# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 46 (406) ◆ 18 – 24 ნოემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადით მხოლოდ სამეგრელო ზარალდება

თუ დღეს, ქართველი და აფხაზი კრიმინალები დაუახლოვდნენ ერთმანეთს იატაკქვეშა ბიზნესის წარმართვისთვის, რატომ გვგონია, რომ ამ ბიზნესის ლეგალიზების შემთხვევაში უბრალო ხალხი არ დაახლოვდება? აი, ამის შემდეგ, დროთა განმავლობაში გატარებული ხავერდოვანი პოლიტიკის გზით უკვე რუსი სამშვიდობოების სხვა ძალებით ჩანაცვლებაც შეიძლება და არჩევნების გზით აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მოშორებაც. გვ.3

## ზურაბ ქვანიას ჩვენს იქით გზა არ აქვს



### სააკაშვილმა კახაძის სავარძელი კარგად მოირგო... და თბილისის ბედის ჭრა-კერვა დაიწყო

თუ შევარდნაძე ზოდელავას არ მოხსნის, როგორც მოგახსენეთ, ექოლება ძალიან სუსტი მერი, რომელიც მის პოლიტიკას ვერ გაატარებს და ხორცს შეისხამს ლოზუნგი: „თბილისი შევარდნაძის გარეშე". თუ მოხსნის, ამით აღიარებს, რომ თბილისში ოპოზიციამ გაიმარჯვა, რითაც შექმნის თავისი წასვლის პრეცედენტსაც. გვ.7

## რა მოხდა სინამდვილეში



გვ.5

### ინტერვიუ კაცთან, რომელსაც „ტაშკენტას" სიკვდილს აბრალებდნენ

იმის მიხედვით, რაც ბოლო დროს იბეჭდება, შეიძლება ვიფიქროთ ისიც, რომ თითქოს „ტაშკენტას" სიკვდილში მეც მიმიძღვის „წვლილი". მე მასთან ვმეგობრობდი და ამით ყველაფერია ნათქვამი. იმედი მაქვს, ის ინფორმაცია, რაც ამ დღეებში მოვიპოვე, სამართალდამცველებს დაეხმარება, მალე დაადგინონ სიმართლე. ეს ინფორმაცია კი ის გახლავთ, რომ ამ ბინძური ჭორების თავიდან ასაცილებლად, მოვიძიე ერთ-ერთი იმ პირთაგანი, რომელიც იმ დღეს „ტაშკენტასთან" ერთად იმყოფებოდა...

### პიტერ შოუს გაქცევის უცნობი დეტალები

დაახლოებით 9 საათზე ტყეში შემთხვევით გადააწყდნენ 6-კაციან ჯგუფს, ყველანი თავიდან ფეხებამდე შავი ტანსაცმლით იყვნენ შემოსილები. „ტაშკენტამ" შეაჩერა თავისი ხალხი, შეიარაღებულ ჯგუფს ჯიქურ მიუახლოვდა და შესძახა: „არ ისროლოთ, თანამშრომელი ვარ!"...

გამტაცებლებს, ეტყობა, „ტაშკენტას" თანმხლებნიც „თანამშრომლები" ეგონათ. მდგომარეობა ალარ გაამწვავეს და გაიქცნენ. ამ აურზაურით ისარგებლა პიტერ შოუმ და გაქცევით უშველა თავს.

## ჩვენ მაგათთან შედარებით პატარ-პატარა ვირთხუნიები ვართ...

გვ.7

შევარდნაძეს ხარაგაულის გამგებლის დანიშვნა ვთხოვე, მაგრამ ვიცი, გადამაგდებს...



## სადაზღვევო ბიზნესში ომი დაიწყო



### რომელი კომპანია ჩაუნაცვლეს „ალდაგს"

„როგორც გავიგე, „ბრიტანეთ-კავკასიის" გამონოპოლისტება სწორედ შს სამინისტროს იდეაა. მარტივი და უკვე გამოცდილი მექანიზმი აამოქმედეს – სადაზღვევო კომპანიას გვერდში დაუყენეს „აგრომრეწვბანკი", რომელმაც კატეგორიული უარი თქვა სხვა სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული პოლისებით ერთლარიანი ქვითრების გაცემაზე. მძღოლები იძულებული არიან იმ კომპანიის სადაზღვევო პოლისი აიღონ, რომელსაც ბანკი მიუთითებს." გვ.6,11



გვ.13

## გიორგი სანაიას მეუღლე 100.000 ლარს ითხოვს

მკვლელობის შემკვეთი ამ ეტაპზე „კარგად" მოქმედებს... იმათთან, ვის გვერდითაც ნათელა ქართველიშვილი პურს ყიდდა, დღეს პერმანენტულად მიდიან საეჭვო პირები და ეკითხებიან: სად არის? როდის ჩამოვა?

სასამართლო პროცესზე გვერდში დამიდგება...

**რას წერენ ჩვენზე:** ჩვენი მოძმე სომხები თურმე მთელ საქართველოზე კი არ აცხადებენ პრეტენზიას, არამედ მხოლოდ – ჯავახქზე, შემდგომ უკვე – ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის (ადრეულ სომხურ) რეგიონზე...

**აგვაშენათ ღმერთმა!** გვ.14

## გაქვთ თუ არა ახალი საკრებულოს იმედი

დამატებითი კითხვა გვ.35

## ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს კოტე მახარაძე

ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე მსახიობი გახლავართ და მაშასადამე, მასხარების მოდგმისა. მასხარებს კი თავიანთი პატრონებისა და ხალხის გაცინების გარდა, ის მისიაც ჰქონდათ, რომ მეფეებსა და იმპერატორებს სიცილ-სიცილით მწარე სიმართლესაც ეუბნებოდნენ. გვ.22



ვერსია გვ.10

## უცხოეთის „აგენტი" სკივრში ცოცხლად ჩატენეს...

მთელი რაიონის მილიცია და პროკურატურა აქ იყო. სოფელი იასონის ეზოში შეკრებილიყო. როგორც იქნა, სკივრს თავი ახადეს. ჩანდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ჩაეტენათ შიგ. სიმწრისაგან საკუთარი თითები დაეჭამა უბედურს.

„ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთ. მე ეს დავიმსახურე და ახია ჩემს თავს. ჩემნაირებმა არ უნდა იცოცხლონ". ქაღალდი სისხლის წვეთებით იყო დაწინწკლული.

# წმინდა გიორგის მადლი გვფარავდეს!

## პრეზიდენტი კმაყოფილია, ამერიკელები კი ვალებს გვისტუმრებენ...

სახელფასო დავალიანების გამო დედაქალაქში ერთდროულად გაითიშა ნავთლუღის, გლდანის და ლისის ქვესადგურები. გაფიცული ენერგეტიკოსები თვეობით გაუცემელ ხელფასებს ითხოვდნენ. მათი თქმით, გაფიცვა და ელექტროენერგიის შეწყვეტა კუთვნილი ხელფასის მიღების ერთადერთ გზად იქცა. გაფიცვის პარალელურად, პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოში არსებული ენერგეტიკული კრიზისი მოგვარდა და დედაქალაქს ბნელი და ცივი ზამთარი აღარ ემუქრება. როგორც მოგვიანებით გაირკვა, საქართველოს პრეზიდენტი დაპირებებს ამერიკელების იმედზე არიგებდა — „ეი-ი-ეს თელასი“ იძულებული გახდა რუს ენერგეტიკოსებთან შეხვედრისას საკუთარ თავზე აეღო სახელმწიფოს ვალის დაფარვა შუამავალი კომპანია „ვინგფილდის“ მიმართ, მილიონ რვაასი ათასი დოლარის ოდენობით. ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ „ვინგფილდთან“ თანამშრომლობაზე აქამდე ამერიკელები სასტიკ უარს აცხადებდნენ, მისი საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის გამო. რუსეთის მხარე ელექტროენერგიის მოწოდებაზე საქართველოში მხოლოდ ამ ვალის დაფარვის შემდეგ დათანხმდა.

## ვითომ, ჩამოვა?

შინაგან საქმეთა მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, პიტერ შოუ თბილისში გამოძიებისთვის ჩვენების მისაცემად ჩამოვა. მინისტრის განცხადებით, ევროპელი ბანკირის გატაცებასთან დაკავშირებით აღძრული საქმე წინ მიიწევს, დგინდება გამტაცებელთა ვინაობა. ძალოვნები არ გამორიცხავენ, რომ ესპანელი ბიზნესმენებისა და ევროკავშირის ექსპერტის გატაცება ერთი და იმავე ჯგუფის ჩადენილი იყოს. რაც შეეხება პოლიციის ყოფილი თანამშრომლის, მერაბ მექუდიშვილის მკვლელობას, ნარჩემაშვილი ამ ფაქტს კვლავ უკომენტაროდ ტოვებს. თავად პიტერ შოუ ლონდონში წასვლის შემდეგ ნაკლებად თუ ფიქრობს საქართველოში დაბრუნებაზე და თავისი პანკისური ეპოპეის შესახებ ათასგვარ ლეგენდას ჰყვება.

## ზოგი გურული იქნება, ზოგიც — კახელი...

ამჟამად მე-5 იზოლატორში მყოფი რვა ჩეჩენიდან ორი ირწმუნება, რომ ჩეჩნეთში არც არასოდეს ყოფილან და, შესაბამისად, მათ ვერც საზღვრის გადმოკვეთის მომენტში დააკავებდნენ. საქართველოს უშიშროების სამსახურის განცხადებით, აქამდე ტეფსაევად და ბეისაროვად ცნობილი ჩეჩენი პატიმრები ადგილობრივი ქისტები — მარგოშვილი და კუშტანაშვილი აღმოჩნდნენ. მათ ამის დამადასტურებელი პირადობის მოწმობებიც წარმოადგინეს. გამოძიების ხელთ არსებული მასალებით, ამ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ. რაც შეეხება სხვა ბრალდებულებს, მათი საკითხი ჯერაც გაურკვეველია, თუმცა, გამორიცხული არ არის, სანამ ევროსასამართლო მათი ექსტრადიციის საკითხის განხილვას დაასრულებს, დანარჩენი ჩეჩნებიც საქართველოს მოქალაქეები — სულაც, კახელები ან გურულები აღმოჩნდნენ...

## ქართულ ენერგეტიკაში ახალი კრედიტები გამოჩნდა

როგორც ჩანს, ამჯერად ქართველი ენერგომამების მადის დაკმაყოფილებას გერმანია შეეცდება. დავით მირცხულავას განცხადებით, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მზად არის, საქართველოს ენერგოსფეროს დახმარების სახით 90 მლნ დოლარის კრედიტი გამოუყოს. უცხოელი ინვესტორები ამ თანხებით ამიერკავკასიის საერთო ენერგოსივრცის შექმნას იმედოვნებენ, თუმცა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ფონზე პროექტი ნაკლებდამაჯერებელი ჩანს. საქართველოს ენერგეტიკაში უკვე 125 მილიონია დახარჯული. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოს ჰესები საშინელ მდგომარეობაშია და მალე მათი ექსპლუატაცია შეუძლებელი იქნება.

## კანადაც ჩვენს მხარეზეა...

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი გარ კნუტსონი, რომელიც რეგიონის ქვეყნებს სტუმრობდა. თბილისში იგი საქართველოს პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს და საქართველოს პარლამენტის სპიკერს შეხვდა. ნინო ბურჯანაძე შეეცადა, საპატიო სტუმრისთვის ჩვენი ქვეყანა შეეცოდებინა. ჩრდილოელი მეზობლის აგრესიულ პოლიტიკაზე, მისი გამოისობით დაკარგულ აფხაზეთსა და კრემლის ორმაგ სტანდარტებზე საუბრის შემდეგ,, პარლამენტის სპიკერმა საქართველოს უმდიდრეს ბუნებრივ რესურსებსა და წიაღისეულზე, ასევე ხელსაყრელ მდებარეობაზე ისაუბრა და შეეცადა, სტუმარი კანადისა და საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის სარგებლიანობაში დაერწმუნებინა. ნინო ბურჯანაძემ ისიც აღნიშნა, რომ ინვესტიციების დაბანდების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება კანადელ ბიზნესმენებს ხელშემწყობ პირობებს შეუქმნის. კანადის წარმომადგენელი, როგორც ჩანს,, ერთბაშაბად ამდენ პრობლემას არ მოელოდა, ამიტომ სპიკერს ლაკონიურად დაჰპირდა, ყველაფერში დაგეხმარებითო.

## ზამთარი ბუნებრივი აირის გარეშე?

ზამთრის მოახლოებასთან ერთად, „იტერა“ ბუნებრივი აირის შეწყვეტაზე ალაპარაკდა. „საქგაზის“ გენერალურმა დირექტორმა, ლეონიდ დეიკალომ ტრადიციული შეუპოვრობა გამოამჟღავნა და ულტიმატუმის ვადის გასვლის შემდეგ, 16 ნოემბრიდან დედაქალაქს გაზის მიწოდება შეუწყვიტა. დღესდღეობით „თბილგაზს“ „საქგაზის“ 1.800.000 ლარი მართებს. თუმცა მოგვიანებით, ვალის ნაწილობრივ დაფარვის შემდეგ, ნელ-ნელა დაიწყო დედაქალაქში გათიშული გაზის მიწოდება. ვარაუდობენ, რომ კვირის ბოლოსთვის თბილისი სრულად დაიტვირთება.

## დროებით მინისტრი

სახელმწიფო მინისტრის ახალგაზრდა მოადგილე, გიორგი ისაკაძე პრეზიდენტმა პარლამენტს მშენებლობის მინისტრის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგინა. მართალია, ისაკაძე ამ ფაქტთან დაკავშირებით აშკარად კმაყოფილი და ამაყი იყო, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა არა მისი, არამედ კანონისადმი პატივისცემის გამო მიიღო — მშენებლობის მინისტრის თანამდებობა მხოლოდ ამ წლის ბოლომდე, ანუ თვე-ნახევარი თუ იარსებებს, შემდეგ კი მას ქონების მართვის სამინისტროსთან ერთად დაშლიან და სხვადასხვა უწყებას შეუერთებენ. ამის მიუხედავად, პრეზიდენტს თანამდებობაზე ვინმე მაინც უნდა წარედგინა, რადგან კანონი მინისტრის ადგილის თავისუფლად დატოვების უფლებას მხოლოდ ორი კვირით იძლევა. როგორც ჩანს, პრეზიდენტის პოლიტიკურ დაფაზე სხვა, იოლად გადასაადგილებელი ფიგურა ვერ მოინახა.

## დასავლეთ საქართველოს მოწამვლა ემუქრება

ფეთქებადსაშიში სპეცქონებისა და მომწამვლელი ნივთიერებებისათვის შესაბამისი საცავის უქონლობის გამო დასავლეთ საქართველო ეკოლოგიური საფრთხის წინაშე დგას, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ჯონი ფირცხალაიშვილმა, — ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება ბაღდათის, ვანისა და ტყიბულის რაიონებს, ასევე ქალაქ ქუთაისს, რისი მიზეზიც ის არის, რომ შეჩერებულია ვარციხის საავიაციო დაზიანების საშუალებების საამწყობო მეურნეობის სარემონტო სამუშაოები. ეს განსაკუთრებით საშიში ნივთიერებები და ასაფეთქებელი საშუალებები რუსეთის სამხედრო ბაზებიდან დარჩა. თუ არ აშენდა მათი საცავი, მომწამვლელი ნივთიერებები ატმოსფეროში გაიფრქვევა. თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად მოითხოვს საგაისო ბიუჯეტში ვარციხის საწყობის სარემონტო სამუშაოების დასასრულებლად თანხების გამოყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტრო შედეგებზე პასუხს არ აგებს.

## ფინანსთა მინისტრის მიერ დასჯილებს პრეზიდენტი მფარველობს

აჭარიდან გადასახადების ცენტრალურ ბიუჯეტში შემოუსვლელობის გამო განაწყენებულმა ფინანსთა მინისტრმა თბილისში არსებული სიგარეტის მწარმოებელი ფირმა „ოჯთ“-ს დასჯა გადაწყვიტა. თუ მეწარმე ცენტრალურ ბიუჯეტში არ ჩარიცხავს თანხებს, სააქციზო მარკებს ვერ მიიღებსო, — მკაცრად განაცხადა გოგიაშვილმა. თუმცა, „ოჯთ“-მ პრეზიდენტ შევარდნაძის მეშვეობით ყველა პრობლემა მოაგვარა და 14 ნოემბერს, თამბაქოს ფაბრიკის ოფიციალური გახსნისას, ხელშეკრულების თანახმად, ლიცენზიით „ფილიპ მორის ინტერნეიშენალის“ სიგარეტის წარმოების დაწყების შესახებ განაცხადიც გააკეთა. ამიერიდან შპს „ოჯთ“, სიგარეტი „მტკვრის“ გარდა, „პრემიერ ინტერნეიშენალს“, „ასტრა ექსპორტს“ და „ასტრა ოვალურსაც“ გამოუშვებს. პრეზიდენტი შევარდნაძე კმაყოფილი დარჩა საქართველოში სიგარეტის მწარმოებელი უნიკალური ქარხნის გახსნით. თუმცა, ჯანდაცვის გაფრთხილებაც არ დაივიწყა და ყველას მოუწოდა — სიგარეტის „ქაჩვას“ თავი დაანებეთ და კაი საქმეები აკეთეთო. სიგარეტი „პირველის“ „შემოქმედმა“ ავთო წერეთელმა კი კონკურენტის გამოჩენას პოზიტიური მოვლენა უწოდა და თქვა, — ამიერიდან ორნი უკეთ შევებრძოლებით სიგარეტის ბაზარზე კონტრაბანდასო.

## დაითხოვენ თუ არა პარლამენტარებს?

როგორც ჩანს, პარლამენტის უმრავლესობამ არ გაიზიარა საკრებულოში მოხვედრილი რამდენიმე დეპუტატის პათოსი — სამშობლოს კეთილდღეობისთვის ორ ფრონტზე ებრძოლათ. უახლოეს მომავალში პარლამენტი კენჭისყრაზე ელენე თევდორაძისთვის, ელდარ შენგელაიასა და გიორგი ბარამიძისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების გაუქმების საკითხს დააყენებს. მას შემდეგ, რაც „გაერთიანებული დემოკრატების“ სიით პარლამენტარები საკრებულოში მოხვდნენ, მათ თანამდებობრივ შეუთავსებლობაზე ინტენსიური მსჯელობა მიმდინარეობდა. საბოლოოდ, როგორც ჩანს, პოლიტიკურმა ინტერესებმა ზოგიერთ პარლამენტარს გონება გაუხსნა და იმ საკანონმდებლო ლაბირინთებშიც გაარკვია, რომელშიც ცესკომ მრავალსაათიანი სხდომის შემდეგაც კი გზა ვერ გაიგნო.

## მილოცვა

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ რედაქცია და მისი მკითხველი გულითადად ულოცავს დაბადების დღეს სასიქადულო მწერალსა და მოღვაწეს ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას და „დათასა“ და „გორას“ დარი ახალი გმირებით მკითხველის სულის გამდიდრებას.**

**მრავალჟამიერ, ბატონო ჭაბუა!**

## ჩვენს გაფუჭებულს ამერიკელები ასწორებენ...

როგორც ჩანს, ყუბანის მხარეს შეფარებული ე. წ. თურქი მესხები უმოკლეს ხანში ამერიკელები გახდებიან. რუსეთში ამერიკის საელჩოს და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ლტოლვილთა სამმართველოს განცხადებით, შეერთებული შტატები მზად არის ლტოლვილის სტატუსით შეიფაროს 13 ათასი თურქი მესხი. მათი დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში, ჩვენმა ქვეყანამ ევროსაბჭოში გაწევრების შემდეგ მიიღო. თუმცა მდგომარეობას ის გარემოება ართულებდა, რომ თურქი მესხების ერთი ნაწილი ისტორიულ სამშობლოდ თურქეთს მიიჩნევდა, მასთან მოსაზღვრე მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიებს კი ისტორიულ თურქეთად. ამიტომაც ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ საზღვრის სიახლოვეს კომპაქტურად ჩასახლებას. მეორე, — ქართული ორიენტაციის მქონე ნაწილი ყველა პირობაზე თანახმა იყო, ოღონდ სამშობლოში მოხვედრილიყო და ქართული გვარ-სახელების დაბრუნებასაც მოითხოვდა. ევროსაბჭოს წინაშე უპირობო ვალდებულების აღებისას, ქართველებს ამ პრობლემაზე არ უფიქრიათ. დათქმული ვადა კი იწურება და საქართველო იძულებული იქნება, გადაწყვეტილება მიიღოს. ასეთ სიტუაციაში ამერიკის გადაწყვეტილება ლტოლვილი მესხების შეფარების თაობაზე ნამდვილ ხსნას უდრის, რადგან ლტოლვილთა კომპაქტური ჩასახლებით საქართველოში კონფლიქტის კიდევ ერთი პოტენციური კერა შეიქმნებოდა, რასაც რუსეთის მხრიდან, ბუნებრივია, პროვოკაციები მოჰყვებოდა.

## დეპუტატები ფარჯიშს აგრძელებენ...

გასულ კვირას დეპუტატებს შორის ორთაბრძოლის ნაირსახეობებში დაწყებული შეჯიბრი კვლავაც გრძელდება. ამჯერად საპარლამენტო რინგზე ბორის კაკუბავა და ედუარდ სურმანიძე გამოვიდნენ. ამ უკანასკნელმა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, სივიწროვის პირობებში, ორი-სამი საფეხურით დაბლა მდგომ კაკუბავას მაგალითზე, საზოგადოებას ზემოდან ქვემოთ მუცელში წიხლის ჩაზელვის უნაკლო ილეთი უჩვენა. ბორის კაკუბავა ამის შემდეგ თავდამსხმელს დაჟინებით სთხოვდა გარეთ გამოსვლას, მაგრამ ვერ დაიყოლია.

## მორიგი საპარლამენტო ნოვაცია

პარლამენტის მიმდინარე სპორტული ღონისძიებების ფონზე, ფრაქცია „21-საუკუნე“ ერთობ რაციონალური წინადადებით გამოდის — ელიზბარ ჯაველიძე აცხადებს, რომ ლუსტრაციის კანონის მიღების გარდა, პარლამენტმა ყველა დეპუტატისთვის სავალდებულო უნდა გახადოს ფსიქიატრიული და პროქტოლოგიური შემოწმება. ჯაველიძის თქმით, ბევრი დეპუტატი ძალიან ხშირად ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე დასეირნობს, ეს კი რასაც ნიშნავს, ყველამ იცის.

## რევოლუცია თუ თეატრალური შოუ?

თბილისის საკრებულოს სხდომაზე განვითარებულ სკანდალურ მოვლენებს ზოგი სპექტაკლს უწოდებს, ზოგიც — რევოლუციას. „ნაციონალური მოძრაობის“ ხმაურიანი ლიდერის ინიციატივით მერიაში ხავერდოვანი გადატრიალება მოეწყო — თანამდებობის პირებიდან, ვინც თავისი ნებით არ გადადგა, კენჭისყრით გადააყენეს. ჯერჯერობით თანამდებობას ქალაქის მერი, ვანო ზოდელავა ინარჩუნებს და ისიც პრეზიდენტის განაჩენს ელოდება (ვრცლად იხ. გვ. 7).

## ტაქსის მძღოლმა ორი თავდამსხმელი მოკლა...

— მესამე კი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია და საავადმყოფოში იმყოფება. ტაქსის მძღოლების და, ზოგადად, მოქალაქეების დაყაჩაღება თბილისური სინამდვილისთვის ახალი ამბავი ნამდვილად არ არის. მაგრამ პოლიციისთვის თავსატეხი აღმოჩნდა ქსნის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გვამის და მძიმედ დაჭრილი უცნობი მამაკაცის პოვნა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მოგვიანებით იმავე საავადმყოფოში ასევე მძიმედ დაჭრილი კიდევ ერთი მოქალაქე მიიყვანეს. სამივეს თითქმის ანალოგიურად, გულმკერდის არეში ჰქონდათ ჭრილობები. როგორც ბოლოს მიყვანილი, ცოცხლად გადარჩენილი მოქალაქე გამოტყდა, მას თავის ორ მეგობართან ერთად მთელი დღე უქეიფია, შემდეგ კი შინ დაბრუნებისას ტაქსის მძღოლის გაძარცვა განუზრახავთ. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი არ დაიბნა, დანა ამოიღო და სამივე თავდამსხმელი დაუნდობლად, სასიკვდილოდ დაჭრა. გლდანი-ნაძალადევის პროკურორის განცხადებით, ტაქსის მძღოლს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ემუქრება, რადგან იგი აუცილებელი მოგერიების პირობებში მოქმედებდა.

## კი არ გაჰყავთ, ცვლიან...

20 ნოემბრიდან აფხაზეთში მყოფი რუსი სამშვიდობო ძალების როტაცია დაიწყება. სამშვიდობო ძალების სარდლის, ევტეევის განცხადებით, აფხაზეთში დისლოცირებული რუსული ქვედანაყოფები სამასი კაცით შემცირდება, ჩრდილოეთ ზონაში არსებული რამდენიმე პოსტის გაუქმების ხარჯზე. სამაგიეროდ, დამატებითი პოსტები გაიხსნება ენგურჰესთან, მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

## თუ მოასწრეს აშენება, კი გადაიხდიან...

ძნელი სათქმელია, თუ ეყოფა 5 ან 10 წელი საქართველოში ისეთი დაქცეული და გაპარტახებული დარგის აღორძინებას, როგორიც ტურიზმია. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება იმედს არ კარგავს — ტურიზმის სფეროში მსხვილი ინვესტორებისთვის სერიოზული შეღავათები გამოცხადდა. 10 მლნ დოლარის ინვესტიციის დაბანდების შემთხვევაში, ინვესტორი 5 წლის განმავლობაში გადასახადებისგან გათავისუფლდება, მომდევნო 2 წლის განმავლობაში კი მხოლოდ 50%-ს გადაიხდის. 50 მლნ დოლარის დაბანდების შემთხვევაში, ინვესტორს გადასახადებისგან 10 წლით გათავისუფლებას ჰპირდებიან.

## რუსეთი რაღაცას გვიწყობს?!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშიშროების საბჭოს სხდომის მოახლოებასთან ერთად, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებაც აქტიურდება. 19 ნოემბერს გაერომ აფხაზეთის საკითხზე უნდა იმსჯელოს. ალბათ განხილვის მთავარი საგანი ე. წ. ბოდენის გეგმა იქნება. რუსეთი ყოველმხრივ ცდილობს, ნიუ-იორკში ჩატარებულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზი სეპარატისტებიც აღმოჩნდნენ. შესაძლებელია, ამითაც იყოს გამოწვეული უჩვეულო აქტივობა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისაღებში — რამდენიმე დღის განმავლობაში ვალერი ლოშინინი ასლან აბაშიძეს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ დირექტორს, პიტერ რიკეტს, გაეროს გენმდივნის მოადგილეს და გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს, ასევე აშშ-ის წარმომადგენელს შეხვდა. საქართველოს დიპლომატიური უწყების აღშფოთება გამოიწვია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის აფხაზთა სეპარატისტული მთავრობის მეთაურთან, ანრი ჯერგენიასთან ოფიციალურმა შეხვედრამ. როგორც ჩანს, რუსეთი საქართველოს გარშემო პოლიტიკური ინტრიგების ხლართვას არ ეშვება.

## აფხაზეთში რკინიგზა ამოქმედდება?

ყოველ შემთხვევაში, სომხეთის ოფიციალური წრეები ამ ფაქტთან დაკავშირებით უკვე ზეიმობენ კიდეც. სომხეთის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის, ანდრანიკ მანუკიანის განცხადებით, რუსეთის მხარე უკვე აქტიურად მუშაობს რკინიგზის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენაზე. სომეხი მინისტრის თქმით, აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა სომხეთის უდიდესი წარმატება იქნება.

## რუსეთი ბოღმას ანთხევს...

რუსულ ჟურნალის, „კომპრომატის“ მთლიანი ნომერი საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს მიეძღვნა. ნომერში პრეზიდენტის სალანძღავი ყველა ის სტატიაა დაბეჭდილი, რაც კი ოდესმე რუსულ პრესაში გამოქვეყნებულა (თითქმის ყველა მათგანი შესაბამისი კომენტარებით თავის დროზე „კვირის პალიტრის“ უცხოურ მიმოხილვაში დაიბეჭდა) ქართული ოფიციალური სტრუქტურებისგან პუბლიკაციას ჯერჯერობით რეაქცია არ მოჰყოლია.




## შვედეთმა რუსი დიპლომატები გააძევა

საერთაშორისო სკანდალის მიზეზი კომპანია „ერიქსონიდან“ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაციის დაკარგვა გახდა. „ერიქსონი“ მობილური ტელეფონების გარდა, შვედეთის არმიისთვის სპეციალური კავშირის საშუალებებს და თანამგზავრულ აპარატურასაც აწარმოებს. შვედეთის სპეცსამსახურების ცნობით, მათ მიერ დაკავებულმა მოქალაქეებმა აღიარეს, რომ კომპანიიდან მოპარული დოკუმენტაცია რუსეთის საელჩოს ორ დიპლომატს მიჰყიდეს. შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ გამოიძახა რუსეთის ელჩი და მისი უწყების ორი თანამშრომლის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება ამცნო.

## რუსეთში დიქტატურა ფესვებს იდგამს

მორიგი კაბალური კანონი პრესის შესახებ რუსეთის ფედერაციის საბჭომ 145 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო. კანონის მიხედვით, იკრძალება ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება იმ პირთა შესახებ, ვინც ანტიტერორისტულ ოპერაციებში რაიმე ფორმით იქნება ჩართული. იკრძალება ინფორმაციის გავრცელება თვით ტერაქტის შესახებაც. გარდა ამისა, მასმედიას აეკრძალა იმ სიუჟეტების და სტატიების გამოქვეყნება, რომლებიც ჩეჩნებს (ტერორისტებს) ამართლებს. კაბალური კანონი მხოლოდ პოლიტიკურმა გაერთიანება „იაბლოკომ“ გააპროტესტა, თუმცა მისი აქტივისტების დემონსტრაცია პოლიციამ კენჭისყრის დასრულებისთანავე დაშალა.

# აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადით მხოლოდ სამეგრელო ზარალდება



ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა არასწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემთხვევაში ქვეყნისთვის სავალალოდ შეიძლება იქცეს, რადგან მეზობელი სახელმწიფოებისთვის ის ყოველთვის მსუყე და სასურველ ლუკმად დარჩება. საერთაშორისო ასპარეზზე აფხაზეთის თემის გააქტიურება ბევრი რამის მიმანიშნებელია. დღევანდელ მსოფლიოში დასავლეთთან არსებული შეფარული თუ პირდაპირი კონფრონტაციის ორივე კერის — ერაყის და რუსეთის სახელმწიფოებრივი სტაბილურობა მნიშვნელოვანწილად ნავთობზეა დამყარებული. საერთაშორისო ბაზარზე მისი ფასის გაკონტროლება კი დასავლეთისთვის რეალურად ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებით გახდება შესაძლებელი; სადაც საქართველოს გადამწყვეტი მისია ეკისრება. ამას ემატება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი უმოკლესი სავაჭრო, სატრანსპორტო საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო მარშრუტები. როგორც ჩანს, საერთაშორისო პოლიტიკაში უკვე მომწიფდა ის მომენტი, როდესაც დასავლეთს მართლაც აღარ სჭირდება საქართველოში, ევროპისა და აზიის საზღვარზე, ეთნოკონფლიქტური კერების არსებობა. მით უმეტეს, თუ მათი გასაღები თიხის ფეხებზე მდგომ გოლიათს, რუსეთს ექნება. პრაღაში, ნატოს სამიტის გამართვამდე ორიოდე დღით ადრე, გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის საკითხი უნდა განიხილოს. გაეროში ანალოგიური ხასიათის შეხვედრები ადრეც ტარდებოდა, მაგრამ საგულისხმოა, რომ ამჯერად უშიშროების საბჭოს სხდომამდე საქართველოში და რუსეთში აფხაზეთთან დაკავშირებით ათამდე ვიზიტი მაინც შედგა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან და იმავდროულად პუტინის საგანგებო წარმომადგენელთან აფხაზეთის საკითხებში, ვალერი ლოშინინთან პირველი შეხვედრა მამა-შვილმა ასლან და გიორგი აბაშიძეებმა გამართეს. მას დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების პოლიტიკური დირექტორის და გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ვიზიტები მოჰყვა. ამავე პერიოდში თბილისში ჩამოდის უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნის, კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, რომელიც ცხადად აფიქსირებს საქართველოს მხარდაჭერას. პარალელურად, ქართული მენტალიტეტის მცოდნე რუსეთი კიდევ ერთ სვლას აკეთებს — საქართველოში ქართული წარმომავლობის დესპანს გზავნის... საინტერესოა, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით მრავალრიცხოვან ოფიციალურ ვიზიტიორებს შორის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის პრემიერი, ანრი ჯერგენიაც გამოჩნდა. რუსეთი დაჟინებით მოითხოვს გაეროს უშიშროების სხდომაზე აფხაზური წარმომადგენლობის დასწრებას. ყოველივე ამის ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულად მოჩანს აჭარის დეპუტაციისა და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ძიძგილაობა და ურთიერთბრალდების წაყენება. სხვათა შორის, თბილისში ვიზიტით მყოფ გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს, გეენოს, ნადარეიშვილმა ლამის მუშტები უბრახუნა მაგიდაზე, ამდენი წელი გავიდა და აფხაზეთს რატომ არ გვიბრუნებთ, ძალისმიერი მეთოდები ავამოქმედოთო?..

ასევე საინტერესოა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების თანხვედრა მიმდინარე მოვლენებთან — თურქი მესხების ამერიკაში მიგრაციის შესახებ. გამოდის, რომ საქართველოს პრობლემების მოგვარებაზე დასავლეთი ძალიან სერიოზულად ზრუნავს მაშინ, როდესაც ქართველი დეპუტატები პარლამენტში საკმაოდ არასერიოზული საქმეებით არიან დაკავებული და ძირითად დროს ცემა-ტყეპას და საქმეების ქუჩურ გარჩევას ანდომებენ. პანკისში მიმდინარე სპეცოპერაციისა და რუსული მედიის მიერ გახმაურებული, იქ დაკავებული არაბი ტერორისტების ამერიკისთვის გადაცემის ვერსიის ფონზე საყურადღებო უნდა იყოს ალ-ჯაზირას მიერ ტრანსლირებული ბინ ლადენის აუდიოგამოსვლა, სადაც შეფარულმა მუქარამ ჩვენი ქვეყნის მიმართაც გაიჟღერა. თუ რა გავლენას იქონიებს საქართველოს აწმყოსა და მომავალზე საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენები, ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს.**

**— ე.წ. ბოდენის დოკუმენტმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოგვარდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, ქართულ ისტებლიშმენტში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ქართველი პოლიტიკოსები მას ერთგვარი უნდობლობითაც შეხვდნენ... თუმცა, შესაძლებელია ეს იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ეს დოკუმენტი საქართველოში არც გამოქვეყნებულა, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მას არც კი იცნობს...**

— ელემენტარული ლოგიკის ამბავია, რომ დოკუმენტი, რომელსაც რუსეთი და არძინბას ხელისუფლება გააფთრებით ეწინააღმდეგებიან, გაერო და მეგობარი სახელმწიფოები კი იწონებენ, ჩვენთვის სასარგებლო იქნება. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დამოკიდებულებაში გაერო ყოველთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობიდან და სახელმწიფოებრიობიდან გამოდიოდა. ჩვენს საზოგადოებას ძალიან ცუდი ჩვევა აქვს — იდეის ატაცება. დოკუმენტის ლანძღვა მასში ნახსენები მხოლოდ ერთი სიტყვის, სუვერენიტეტის გამო დაიწყო, რომელიც ზოგიერთმა უვიცმა დეპუტატმა ვერ გაიგო. საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომია დააფიქსირა. გამოდის, რომ თანახმანი არიან აფხაზეთის ავტონომიაზე, ოღონდ სასტიკად ეწინააღმდეგებიან მის სუვერენიტეტს. არადა ელემენტარული პოლიტოლოგიაც კი არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ავტონომია თავისთავად ნიშნავს სუვერენიტეტს, ეს უკანასკნელი კი ავტომატურად სულაც არ გულისხმობს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ახლახან დიდი ბრიტანეთის ელჩმა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით განაცხადა, პრობლემა ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედებით უნდა გადაიჭრასო. შეგახსენებთ, რომ დიდი ბრიტანეთი შეერთებული შტატების მთავარი ევროპელი მოკავშირეა, ელჩის ოფიციალური პოზიცია კი მისი ქვეყნის პოზიციას ნიშნავს. როდესაც აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნაზე დაიწყო ლაპარაკი, ამის პირველი წინააღმდეგი თბილისში მყოფი აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა გამოვიდა. გაჟღერდა მუქარა — ამოქმედების შემთხვევაში რკინიგზას ააფეთქებენ, მოაწყობენ დივერსიებს და ა.შ. ასეთ დროს ოფიციალური სამშვიდობო მანდატის მქონე რუსეთს დამატებითი არგუმენტები გაუჩნდება საიმისოდ, რომ აფხაზეთიდან რუსული ბაზები არათუ გაიყვანოს, არამედ გააძლიეროს.

**— მაგრამ ეკონომიკური ბლოკადის მოხსნით და დამატებითი შემოსავლების გაჩენით ხომ ისევ აფხაზი სეპარატისტები ისარგებლებენ — მათი ხარჯების მიმართულებას კი თბილისი ვერ გააკონტროლებს... თუმცა, არსებობს მედლის მეორე მხარეც: დღეისობით აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ ნაწილს შორის საკმაოდ ინტენსიური, ოღონდ იატაკქვეშა სავაჭრო ურთიერთობებია...**

— დავუკვირდეთ, რას ნიშნავს აფხაზეთის ამჟამინდელი ეკონომიკური ბლოკადა. ალბათ მხოლოდ სამეგრელოს რეგიონის ბლოკადას, რადგან რუსეთის მხრიდან აფხაზ სეპარატისტებს სავაჭრო ურთიერთობის ყველანაირი საშუალება — საჰაერო და საზღვაო, სარკინიგზოც კი, გახსნილი აქვთ. არცთუ იშვიათად, რუსი ჩინოვნიკები სოხუმში ოფიციალურ ვიზიტებსაც კი აწყობენ ხოლმე აფხაზეთთან ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად. არ უნდა დაგვავიწყდეს სოხუმის საკმაოდ ინტენსიური საზღვაო-სავაჭრო, არალეგალური ურთიერთობები თურქეთთან. რაც შეეხება საქართველოს მხრიდან ეკონომიკურ ბლოკადას, ესეც მხოლოდ ფიქტიურად არსებობს. ყველამ კარგად ვიცით, როგორი ალებ-მიცემობაა გაჩაღებული ენგურის ხიდთან. თუ დღეს ეკონომიკური ბლოკადით ვინმე ზარალობს, ეს საქართველოს ბიუჯეტია, რადგან ქართველებმა და აფხაზებმა არალეგალური ბიზნესურთიერთობისთვის შესანიშნავად გამონახეს საერთო ენა. კარგად რომ დავუკვირდეთ, საკმაოდ უცნაური რამ ხდება — აფხაზეთის მოხმარებულ ელექტროენერგიისა და კავშირგაბმულობის საფასურს საქართველოს ბიუჯეტი იხდის. ამ ეკონომიკური ბლოკადის ახირებით, ენგურთან მყოფი რუსი სამშვიდობოები მესაზღვრეებად ვაქციეთ და დღევანდელი აფხაზეთის ფაქტობრივი საზღვრები ჩვენვე დავაფიქსირეთ. საინტერესოა ისიც, რომ რკინიგზის ამოქმედებას და აფხაზეთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადებას დღესდღეობით არძინბა და ნადარეიშვილი ერთნაირი აგრესიულობით აპროტესტებენ. იმიტომ ხომ არა, რომ აფხაზეთში არსებული თავისუფალი კონტრაბანდული ზონით სწორედ ეს ძალები ითბობენ ხელს? არ უნდა დაგვავიწყდეს ზუგდიდის ფაქტორიც — საბჭოთა პერიოდში ეს მხარე ერთ-ერთი აყვავებული და შემოსავლიანი იყო. დღეს იქ ცხოვრება ჩამკვდარია და ზუგდიდი, ისევე როგორც გალი, აფხაზი თუ ქართველი კონტრაბანდისტების სათარეშოდ არის ქცეული. ამ მხარეს სწორედ აფხაზეთთან არალეგალური ვაჭრობა ასულდგმულებს მაშინ, როცა პირიქით უნდა იყოს — თუ რეგიონზე გავლენა გინდა გქონდეს, მასთან მოსაზღვრე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის კეთილდღეობის მაგალითზე არჩევნის საშუალება უნდა მისცე.

**— აქვე, ალბათ სომხეთის ფაქტორიც არის გასათვალისწინებელი, რომელიც უკვე დაჟინებით ითხოვს საქართველოს მხრიდან აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენას. საინტერესოა, რომ ამ მოთხოვნას ერთგვარ ლობირებას რუსეთიც უწევს. ეს უკანასკნელი კი აფხაზეთის პრობლემის საქართველოს სასარგებლოდ მოგვარებაში დაინტერესებული ვერ იქნება, რადგან დასავლეთთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან ბერკეტს დაკარგავს...**

— კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში როგორც საერთაშორისო, ისე შიდარეგიონული თვალსაზრისით, სომხეთია. რუსეთთან მიმართებაში კავკასიური სიტუაცია ის ორმო აღმოჩნდა, სადაც მყოფი ქვეყნებიდან ყველას აღმოაჩნდა ფაქტორი, რის გამოც დასავლეთი მათ ხელს გაუწოდებდა და ამოსვლაში დაეხმარებოდა. აზერბაიჯანს ამ შემთხვევაში ნავთობი აქვს, საქართველოს კი მდებარეობა ამ ნავთობის გასატარებლად და ტრანსკავკასიური დერეფნის მოსაწყობად. გეოგრაფიულ ჩიხში მყოფ სომხეთს ამ შემთხვევაში ერთადერთ კოზირად პრორუსული ორიენტაცია დარჩა, თორემ დამოუკიდებლობის პირველ წლებში სომხეთს კავკასიაში ყველაზე პროდასავლური ორიენტაცია ჰქონდა. მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრად ამერიკელი სომეხი ჩამოიყვანეს, რომელმაც სომხურიც კი არ იცოდა... ამის შემდეგ რუსეთმა ყარაბაღის ფაქტორი აამოქმედა და სომხეთსაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ხატოვნად რომ ვთქვათ, ის იძულებულია, ხან საქართველოს ჩამოეკონწიალოს, ხან აზერბაიჯანს და მათ ორმოდან ამოსვლის საშუალება არ მისცეს. აქაც გადამწყვეტ ფაქტორად კვლავ ეკონომიკური ურთიერთობები შემოდის. რკინიგზის გახსნით სომხეთი ამოისუნთქებს და კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ საქართველოსთან კონფრონტაცია ხელს არ აძლევს. მას აქამდეც იოლად შეეძლო ახალქალაქის „ნაღმის აფეთქება", მაგრამ რუსეთის დახმარებით ეთნოკონფლიქტის კერას აშკარად ნელთბილად, ყოველი შემთხვევისთვის ინახავს... ჩვენს ხელისუფლებას კი არც უნარი აღმოაჩნდა და არც სურვილი საიმისოდ, რომ ეს პრობლემა საკმაოდ იოლად, ეკონომიკური დაინტერესების გზით მოეგვარებინა და ახალქალაქის ბაზიდან მიღებული შემოსავალი ადგილობრივი მოსახლეობისთვის რითიმე ჩაენაცვლებინა. სომხეთში ამჟამად კვლავ ამერიკული ორიენტაცია იკრებს ძალას. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ცოტა ხანში იქ ვრცლად ჩატარდება ნატოს პარტნიორობის სამხედრო წვრთნები, სადაც, რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, თურქი ოფიცრებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**— აფხაზეთში რკინიგზის ამოქმედებით რუსეთიც არის დაინტერესებული, თუმცა, საეჭვოა, აფხაზეთის პრობლემის საქართველოს სასარგებლოდ გადაჭრა უნდოდეს...**

— რაც შეეხება რუსეთს, აფხაზეთში რკინიგზის სრულად ამოქმედება მასაც ხელს აძლევს, რადგან ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ მისთვის ნოვოროსიისკი-სუფსის მაგისტრალს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის დასავლური ვარიანტი იმას მიუთითებს, რომ ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, რუსეთისთვის საჭირო ფაქტორებზეც იმოქმედოს. აფხაზეთს რომ ომით ვერ დავიბრუნებთ, ეს ცხადზე ცხადია — ამისთვის მთელი ეთნიკური აფხაზობის განადგურება მოგვიწევს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ომით დაბრუნებულ ტერიტორიაზე (ესეც თუ მოვახერხეთ...) ომისთვის საბაბი ყოველთვის იქნება. ამიტომაც, ვფიქრობ, პირველ რიგში აფხაზეთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადება უნდა მოხდეს, ოღონდ ლტოლვილთა დაბრუნების უპირობო შეთანხმებით. მაგრამ, აქაც დაფიქრებაა საჭირო. ამ ეტაპზე, ლტოლვილთა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაბრუნება უტოპიაა და მთავრობა ხალხს არ უნდა ატყუებდეს. დღესდღეობით ქართული დევნილი მოსახლეობა მხოლოდ გუმისთამდე შეიძლება დაბრუნდეს. ასეთ შემთხვევაში, რუსეთის სამშვიდობო მანდატის შენარჩუნებაც შეიძლება, ოღონდ ერთი პირობით — ისინი ენგურთან კი არ უნდა იდგნენ მესაზღვრეებად და ქართულ-აფხაზური კონტრაბანდის შუამავლებად, არამედ პოლიციის ფუნქციები უნდა იტვირთონ და მთელი აფხაზეთის შიდატერიტორიაზე გაიშალონ, რათა მოსახლეობა აფხაზური და, სხვათა შორის, არა მხოლოდ აფხაზური, ბანდების ძარცვისგან დაიცვან. ვფიქრობ, საერთაშორისო თანამეგობრობაც ამ გზით მიდის. როდესაც აფხაზი ხალხი დარწმუნდება, რომ ქართველები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მათი გაულეტის ხარჯზე არ აპირებენ, ბევრ რამეზე დაფიქრდებიან. ამ დროს კი მათი არჩევანის გაკეთებაზე ეკონომიკურმა ფაქტორმა უნდა იმოქმედოს — თუ დღეს, ქართველი და აფხაზი კრიმინალები დაუახლოვდნენ ერთმანეთს იატაკქვეშა ბიზნესის წარმართვისთვის, რატომ გვგონია, რომ ამ ბიზნესის ლეგალიზების შემთხვევაში უბრალო ხალხი არ დაახლოვდება? აი, ამის შემდეგ, დროთა განმავლობაში გატარებული ხავერდოვანი პოლიტიკის გზით უკვე რუსი სამშვიდობოების სხვა ძალებით ჩანაცვლებაც შეიძლება და არჩევნების გზით აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მოშორებაც. თბილისში მყოფი ე.წ. ლეგიტიმური მთავრობა კი ძალიან მარტივად უყურებს მოვლენებს — მას პარტიზანული მოძრაობაც უნდა, კონტრაბანდული ურთიერთობებიც და ერთდღიანი „ბლიც კრიგით" აფხაზეთის დაბრუნებაც, რის შემდეგაც უმაღლეს ადგილობრივ ხელისუფლად პრეზიდენტი კვლავ ნადარეიშვილს დაამტკიცებს. მაპატიოს ნადარეიშვილმა, მაგრამ მე მგონი, ბევრი ფიქრი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ საქართველოს ფარგლებში არსებული მშვიდობიანი აფხაზეთის მმართველად მისი პერსონაც ისეთივე წარმოუდგენელი და შეუძლებელია, როგორიც არძინბა ან მისი პოლიტიკური მემკვიდრე. როდესაც აფხაზეთზე ვლაპარაკობთ, აქ საამისოდ სხვა უამრავი არგუმენტიც არსებობს, მაგრამ ნებისმიერი მხარის მმართველს მთელ საქართველოში ხალხი უნდა ირჩევდეს და არა პრეზიდენტი.

> ძნელი სათქმელია, რამდენად იყენებს ქონების მოხვეჭაზე გადაგებული ხელისუფლება საერთაშორისო ვითარებას ქვეყნის აშენება-განმტკიცებისათვის. ჯერჯერობით, ვიწროპოლიტიკურ ინტერესებზე კინკლაობას ვერ გავცდით. ისე არ მოხდეს, რომ ცივილიზაციათა შეჯახების შემთხვევაში, სახელი დასავლური გვქონდეს, ცხოვრების დონე აღმოსავლური, მენტალიტეტი კი ჩრდილოური.

**— ამის საწინააღმდეგო არგუმენტად საქართველოში არსებული კომპაქტური ეთნიკური დასახლებები მოჰყავთ. პრეზიდენტის მიერ გუბერნატორის დანიშვნის მომხრეები აცხადებენ, რომ არჩევითობის შემთხვევაში შესაძლებელია, რუსეთმა პრორუსული ორიენტაციის პიროვნების არჩევას შეუწყოს ხელი...**

— იმის გამო, რომ რომელიმე მხარე რუსული, ან სხვა, ნებისმიერი ჩვენთვის არასასურველი ორიენტაციისგან დავიცვათ, ყველა მხარეში მმართველის დანიშვნას ერთ კაცს ვანდობთ? რა გარანტია გვაქვს ამ კაცის პოლიტიკურ ორიენტაციაზე? ან, რატომ უნდა იყოს მთელი სახელმწიფო ერთ პიროვნებაზე დამოკიდებული და შიშით ფიქრობდეს, — რა მოხდება მისი წასვლის შემდეგ? რაც შეეხება რუსულ ორიენტაციას, საქმე იქით მიდის, რომ თუ რუსეთს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება უნდა, იმპერიულ აზროვნებაზე უარი უნდა თქვას და ეროვნულ სახელმწიფოდ იქცეს. ჯერჯერობით, რუსების უმრავლესობას უჭირს იმის გააზრება, რომ უმჯობესია, მე-16 საუკუნის ტერიტორიულ საზღვრებში, ანუ ისტორიულ რუსეთად არსებობდეს და მდიდარი ევროპული ქვეყანა იყოს, ვიდრე უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი ღატაკი იმპერია. მაგრამ ამის დროც მოვა. რუსეთში ახალი თაობა მოდის...

**— ახლახან, ალ-ჯაზირას ეთერით გაშვებულ ბინ ლადენის აუდიოგამოსვლაში შეფარულმა მუქარამ საქართველოს მიმართაც გაიჟღერა. მომავლის პერსპექტივები კარგია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველაფერი საქართველოსთვის საზიანოდ შეიძლება შემოტრიალდეს. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გამოითქმება ვარაუდი, რომ თუ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ესკალაციას ამერიკა-ერაყის ომი დაერთო, გამორიცხული არ არის, ყოველივე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის რელიგიურ ომში გადაიზარდოს. ასეთ შემთხვევაში საქართველო არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება...**

— ბინ ლადენს და ტერორისტებს რაც შეეხება, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისევე, როგორც ცხოვრებაში, ათასი ჯურის ყაჩაღს თვალი მდიდარი ადამიანის ქონებაზე უჭირავს, მდიდარი სახელმწიფოც ყოველთვის უნდა იყოს მზად სხვადასხვა სახის აგრესიის მოსაგერიებლად. მით უმეტეს, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით.

რაც შეეხება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ომს, ანუ „ცივილიზაციათა შეჯახებას", როგორც მას მოიხსენიებენ ხოლმე, საქართველო ყველაფრისთვის უნდა იყოს მზად. 22 არაბულ ქვეყანაში, ერთი-ორის გარდა, სილატაკე და ფანატიზმი მეფობს. ამ ქვეყნების ხალხი, ძირითადი მასა, მუსლიმანურ ტერორს თანაუგრძნობს კიდეც და კეთილმოწყობილი ევროპა-ამერიკისადმი სიძულვილით არის გამსჭვალული. მოვლენათა ესკალაციის შემთხვევაში საქართველოსთვის მართლაც საშიში ვითარება შეიქმნება. როდესაც არჩევანს აკეთებ, უნდა იცოდე, რაზე მიდიხარ. მაგრამ ეს არჩევანი მის შედეგად უნდა გიღირდეს. ჩვენს შემთხვევაში, ძნელი სათქმელია, რამდენად იყენებს ქონების მოხვეჭაზე გადაგებული ხელისუფლება საერთაშორისო ვითარებას ქვეყნის აშენება-განმტკიცებისათვის. ჯერჯერობით, ვიწროპოლიტიკურ ინტერესებზე კინკლაობას ვერ გავცდით. ისე არ მოხდეს, რომ ცივილიზაციათა შეჯახების შემთხვევაში, სახელი დასავლური გვქონდეს, ცხოვრების დონე აღმოსავლური, მენტალიტეტი კი ჩრდილოური. ასეთ შემთხვევაში, საქართველო დასავლეთის თავდაცვითი ზღუდის გარეთ აღმოჩნდება, ოღონდ დასავლური დამღით...

*დაჩი გრძელიშვილი*

# ადამიანად ყოფნა-არყოფნის სევდა საგამოფენო დარბაზიდან



ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზი მეტად უცნაურ, სევდიან და ლამაზ გამოფენას მასპინძლობდა — დამთვალიერებლებს ეგებებოდნენ საფლავის ქვების ფოტოები და ეპიტაფიები. ალბათ არსად, არასოდეს, არავის უფიქრია, თავისი ოჯახის წევრის საფლავზე დადებული ქვა საუკუნის შემდეგ საგამოფენო დარბაზში თუ მოხვდებოდა და მასზე მწუხარებით დაწერილი სიტყვები მრავალ ადამიანს შეუკუმშავდა გულს ტკივილით. და არა მარტო სევდითა და ტკივილით, აღფრთოვანებითაც, რადგან საფლავის ქვა და ეპიტაფია ხშირად ჩვენი ხალხური შემოქმედების საგანძურს წარმოადგენს...

გამოფენის გახსნაზე აღნიშნეს, და ეს მართლაც სამწუხაროა, რომ ღია ცის ქვეშ მდებარე, ხავსით დაფარული საფლავის ქვები განადგურების საფრთხის წინაშეა. ვიდრე კიდევ შეიძლება ამოიკითხო წარწერები, გადაიღო ფოტოები, დრო არ უნდა დაიკარგოს.

ეს ეროვნული საქმე დაისახა მიზნად ეთერ თათარაიძის, თენგიზ მირზაშვილისა და ამირან არაბულის პროექტმა, რომელიც „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ფინანსური ხელშეწყობით ხორციელდება. გამოფენაზე გამოტანილი და კიდევ სხვა მასალებით, ალბათ გამოიცემა ალბომიც, რომელიც დავიწყების წყვდიადს გამოსტაცებს ამ კულტურულ რელიკვიებს.

როცა ჩვენ თვალწინ, როგორც თენგიზ მირზაშვილმა თქვა, ფასანაურის სასაფლაოზე არსებული ასზე მეტი ქვიდან დღეს მხოლოდ ოთხილაა შემორჩენილი, ლაპარაკი ზედმეტია ჩატარებული სამუშაოს დიდ მნიშვნელობაზე. მით უმეტეს, რომ ქვითხუროები, რომლებიც ჭრეთდნენ საფლავის ქვებს, კარგა ხანია, საფლავებს ამოეფარნენ...

— ვერ გადმოვცემ, რა გრძნობა მეუფლებოდა თითოეული საფლავის ქვის დანახვისას, — გვითხრა ბატონმა **ამირან არაბულმა,** — როგორ გვხვდებოდნენ და გვეხმარებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, დაგვყვებოდნენ ქარში, წვიმაში, მზეში და ძველ საფლავებს გვიჩვენებდნენ. ძალიან მნიშვნელოვანია, მივუსწროთ თითოეულ ქვას, ვიდრე ის დაშლილა ან წარწერა დაკარგულა...

მინდა მკითხველს რამდენიმე ეპიტაფია შევთავაზო საგამოფენო დარბაზიდან, რომ უფრო კარგად იგრძნოთ, რა ხელოვნებასთან გვაქვს საქმე:

*„მშვენიერებანი პირთანი დალპეს და*
*სიჭაბუკის ყვავილი დააჭკნო*
*სიკვდილმან*
*ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე*
*კაცობრივი არამედ ნათელსა*
*პირსა შენისასა განუსვენე*
*ქრისტე სულსა“.*

**მუხრანი**

*„...ეშხის მერანზე ვიჯექ*
*მიბორძიკა, წამექ-ცა.*
*და სიცოცხლის ფრინველი*
*გამიფრინდა, გამექ-ცა.“*

**კოჯორი**

*„ცის მაგიერ მფარავს მიწა,*
*ვმადლობ მასა, ვინც მამიწა.*
*წარმკითხველნო, გთხოვთ*
*ვედრებით,*
*ღირს მყოთ თქვენგან მოხსენებით.*
*იცით, რომელ ვიყავ თქვენებრ,*
*ერთ ჟამს თქვენც იქნებით*
*ჩემებრ.“*

**მარაბდა**

*„ზოგი სოფელსა ემდურის,*
*ზოგი შუბლისა წერასა,*
*სამუდამოდ ვინ შერჩება*
*მზისა და მთვარის ცქერასა.“*

**შინდისი**

*„ამ წუთისოფლითგან*
*არა მხვდა წილი,*
*არც ქმარი მყვანდა,*
*არც თუ ყმაწვილი,*
*ზეცათ ინდომეთ ჩემი ქორწილი.“*

**ნინოწმინდა**

*„სიკვდილს არა ვფიქრობდი.“*

**ჩუკურაანთგორი**

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ადამიანად ყოფნისა და ადამიანად არყოფნის სევდა ერთმანეთის პირისპირ დადგა. ლელა თათარაიძემ და მისმა მეგობრებმა ჯერ დატირება შეასრულეს,



მერე ლაღი ქართული ხალხური სიმღერები. სიკვდილი და სიცოცხლე ხომ ძმები არიან. ქართველი კი ორივეს სიმღერით უნდა ხვდებოდეს. ამ საოცარ ზღაპრულ გარემოს ისიც შვენოდა, რომ გამოფენის გახსნაზე სტუმრებს ქართული ღვინით, შოთით, გუდის ყველითა და ხილით უმასპინძლდებოდნენ... შეიძლება აქ ისეთი მიცვალებულის შესანდობარიც შეისვა, მახსენებლად რომ არავინ ჰყავს დარჩენილი, ჩვენ კი გავიხსენეთ, იმიტომ, რომ მისი სახე ქართული ხალხური ხელოვნებითაა უკვდავყოფილი.

დაბოლოს, ალექსი ჭინჭარაულმა თქვა: „ამ გამოფენის დათვალიერების შემდეგ სიკვდილი მომინდა, სიამოვნებით მოვკვდებოდი, თუკი ასეთ ქვას დამადებს ვინმე... მაგრამ ვიცი, ასეთ ქვას არავინ გამიკეთებს... ამიტომ სჯობს, არ მოვკვდე“.

ასეთები ვართ ქართველები. ერთად ვატარებთ სევდასა და იუმორს, სიკვდილსა და სიცოცხლეს.

**ლელა ჯიყაშვილი**

# ვინ ჰკითხავს თარგამაძეს, პრეზიდენტს დღეებს რომ უთვლის

**ჯანსუღ ჩარკვიანი**



„ნაბილბორდალი“

უკვე აღარავისთვისაა უცხო, ოპოზიციონერები რომ შევარდნაძეს პრეზიდენტობის დღეებს უთვლიან, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ პროტესტის გამოხატვის ორიგინალურმა ფორმამ მყისვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება — „სპორტის სასახლის“ წინ აღმართული „ბილ-ბორდი“ კარგა ხნის მანძილზე ყოველდღიურად, კალენდარული სიზუსტით აღრიცხავდა შევარდნაძის პრეზიდენტობის დარჩენილ დღეებს და, რომ არა ვიღაცის ვანდალური გამოხდომა, ალბათ ეს სიამოვნება მომავალი პრეზიდენტის არჩევნებამდე გასტანდა. უკვე მთელი საქართველოსთვის ცნობილ „ბილ-ბორდს“ დაახლოებით ერთი კვირის წინ, შუაღამისას, ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა ბენზინი შეასხა და ცეცხლი წაუკიდა. იქვე მდგარ ტაქსიში ჩაძინებულ მძღოლს სწორედ იმ დროს გაღვიძებია, ცეცხლი რომ აბრიალებულა, და „ნავაჟკაცარით“ კმაყოფილ ბიჭებს წასვლა დაუპირებიათ...

„ბილ-ბორდის“ გაქრობას ელვის სისწრაფით მოჰყვა ახალ-ახალი ვარაუდი თუ ჭორი საზოგადოებაში. ჩვენ კი სიმართლის დასადგენად „სპორტის სასახლესთან“ მდებარე შტაბბინაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს **გივი თარგამაძეს** ვესაუბრეთ.

— **რა მოხდა, ვინ აიღო „ბილ-ბორდი“? არსებობს ვარაუდი, რომ უხერხულობას გიქმნიდათ თქვენი და შევარდნაძის პლაკატები ერთსა და იმავე ტერიტორიაზე რომ იყო.**

— ვახერხებთ რაღაცნაირად ერთ სივრცეში ყოფნას — ანტიკორუფციულ საბჭოში ის თავმჯდომარეა, მე რიგითი წევრი. აქაც ჩვენ არაფერში გვიშლიდა ხელს „ბილ-ბორდი“. ისევ შევარდნაძის კერპთაყვანისმცემლები შეწუხდნენ და გაისარჯნენ.

— **მათ დაწვეს „ბილ-ბორდი“?**

— სხვა ვინ უნდა შეწუხებულიყო? ეტყობა, ჯერ ერთი ათჯერ მაინც მოიწვიეს თათბირი, მერე, ბჭობის შემდეგ, მოხსენებით აქტებსაც შეადგენდნენ და ბოლოს იმის მაგივრად, რომ სასამართლოში ეჩივლათ და იქ გაგვერკვია საქმე, „ბილ-ბორდი“ მუხანათურად დაწვეს. ამის შემდეგ, ნახევრად დამწვარი აიღეს და ცირკის მახლობლად, სანაპიროზე, ფრიად შეუფერებელ ადგილას დააგდეს. არ მეგონა საკუთარ კერპზე ხელს თუ აღმართავდნენ და საკუთარ პრეზიდენტს ასე გაუსწორდებოდნენ. მე, ცხადია, ცრემლები არ მიღვრია ამ ამბის გამო, „ბილ-ბორდი“ აღვადგინეთ, ამჯერად რკინის გავაკეთებინეთ და ვეღარ დაწვავენ. სულ მალე პლაკატსაც ისევ გამოვკიდებთ.

— **თქვენ ხშირად გირეკავდნენ, თქვენივე საქციელით აღშფოთებული პრეზიდენტის ოჯახის წევრები. ამჯერადაც ხომ არ ყოფილა ზარი?**

— ჯოხთაბერიძეების ოჯახიდან მესაუბრებოდა წყვილად ცოლ-ქმარი. გასაოცარია, ნებისმიერ ტელეფონის ნომერს ძალიან სწრაფად იგებდნენ ჩემთან დასაკავშირებლად. ერთხელაც ახსნა-განმარტება ჩავუტარე — აღარ შემაწუხოთ-მეთქი და მას მერე აღარ მაწუხებენ. ახვლედიანები ჟურნალისტებს სთხოვდნენ ჩემთან შესახვედრად შუამდგომლობას, მაგრამ მათთან საუბრის სურვილი არა მაქვს. ამ ბოლოს კი ჯანსუღ ჩარკვიანი გაბრაზებულა, რიტორიკულად უკითხავს — ვინ არის გივი თარგამაძე, პრეზიდენტს დღეებს რომ უთვლისო. მე არ ვიცი, ვინ უნდა ვიყო ბატონი ჯანსუღისათვის. ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ, რიგითი ამომრჩეველი, რომელიც უგვანო პრეზიდენტს პრეზიდენტობის ვადას თუ დღეებს უნდა უთვლიდეს და ვუთვლი კიდეც.

**ეკა ლომიძე**

# გაუმარჯოს სიყვარულს!

ახლა სიყვარულზე იშვიათად ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, ბევრს საუბრობენ სექსზე, რეაქტიული მუსიკით აღძრულ ვნებებზე, ინტერნეტულ გაცნობაზე... მაგრამ გრძნობაზე, რომელიც მთვარეს გაგაყოლებს და აფრთხიალებულ გულს ზედ მკერდზე შემოგახეთქებს, აღარ ლაპარაკობენ... არადა ხომ არ გგონიათ, რომ ასეთი სიყვარული არ არსებობს. არსებობს და რამდენიც გინდა, ებრძოლე, ცხრა ფენად დაგებული ასფალტიდან ჯიუტი ბალახივით ამ-



ოვა და რამდენიც გინდა, გადაუარო, მაინც წელში გასწორდება. აი, მაგალითიც, ბატონო:

ორი-სამი თვის წინ ხმაურიან და მტვრიან აკაკი წერეთლის პროსპექტზე (დაგიკონკრეტებთ: წერეთლის №65), ნაცრისფერი კორპუსის წინ, ტროტუარზე ვიღაცამ თეთრი საღებავით უზარმაზარი ასოებით დააწერა — მიყვარხარო... მერე მთელ წარწერას თეთრი ქვები თითო-თითოდ შემოავლო და იქაურობა ასურული თიხის ჭურჭელივით მოქარგა. ყმაწვილმა მთელი ღამე ისე იმუშავა, არავის შეუმჩნევია. არც შუაღამისას გადმოიხედავდნენ ფანჯრებიდან, იმ ადგილზე შემთხვევით ჩავლილ ნაცნობებს ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან რომ არ დაერეკათ: გამოიხედეთ, ხალხო, თქვენს სახლთან რა ხდებაო... გამოიხედეს და თეთრ ასოებზე ჩამომწკრივებული ანთებული სანთლები ისე ბრიალებდა, ბევრმა დაივიწყა, რომ ქვეყანაზე ათასი უბედურება არსებობს.

არ ვიცი, რა ხდება იმ გოგონას გულში, რომელსაც ეს აბრიალებული სიყვარული მიუძღვნეს, მაგრამ აქ ჩავლილი ქალაქი ერთი წამით მაინც იღიმება თბილად.

...ძალიან მინდოდა ის გოგონა მენახა, მაგრამ როცა მის კარზე ზარი დავრეკე, მხოლოდ ძაღლის მხიარული ყეფა მომესმა და მეორე სართულისკენ გავწიე. სასიამოვნო ქალმა გამომხედა და საბედნიეროდ, სულაც არ გაჰკვირვებია ამ თემას ყურადღება რომ მივაქციე. წარწერის ადრესატზე ისეთი სიყვარულით მელაპარაკა, რომ ვიფიქრე, ქვეყანაზე ყოველთვის იქნება ვინმე, რომელიც ეყვარებათ, ასფალტსაც მოუხატავენ და გიტარითაც უმღერებენ-მეთქი...

— ეს წარწერა რომ დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ ირინასთვის გააკეთეს. მანდ ცხოვრობს, პირველ სართულზე. არაჩვეულებრივი გოგოა, წესიერი, ჭკვიანი, ლამაზი, სიყვარულის ღირსი... მომღერალია და 24 წლის არის. მეტს არაფერს გეტყვით, რადგან თვითონ არ უნდა ამაზე ლაპარაკი.

— **რატომ, ის ბიჭი არ უყვარს?**

— რა ვიცი... არ ლაპარაკობს ამაზე...

— **თუ ასეა, რატომ არ წაშალა ეს წარწერა?**

— ისე დაწერა იმ ბიჭმა, ვერ წაშლის, საღებავით ხომ არ დადგება ქუჩაში და გადახატავს? ისე, არა მგონია, წაშლა უნდოდეს. საოცარი სანახაობა იყო დანთებული სანთლები... ასეთი ლამაზი დიდი ხანია არაფერი მინახავს...

— **მერე იმ ბიჭს სიტყვა ვერ წააშველეთ?**

— როგორ არ წავაშველე, მაგრამ შევატყვე, რომ ირინა ბოლომდე არ დამეთანხმა. შეიძლება გულში კიდეც უყვარს, მაგრამ იმან ასე ძალიან, ძალიან სახალხოდ რომ გაუმჟღავნა ეს ამბავი, ეტყობა, გაბრაზდა... მაგ ასფალტს რომ გადავხედავ, სულ ასე ვფიქრობ, — ღმერთო, ასეთი სიყვარული ყველა გოგოს არგუნე-მეთქი. არა მგონია, ბიჭი, რომელიც ამას აკეთებს, სიყვარულის ღირსი არ იყოს...

კიბეზე ჩამოსვლისას კიდევ ერთხელ დავრეკე ზარი ირინასთან. ისევ არავინ მიპასუხა. გამოვედი და წარწერასთან ახლოს, ქუჩაში დავდექი. შევხედე დახურულ დარაბებს და წარმოვიდგინე, ყმაწვილი კაცი რამდენჯერ მიაშტერდება მას თავისი პრინცესას მოლოდინში.

მართალია, პრინცესა ჯერჯერობით მთლად დატყვევებული არ ყოფილა, მაგრამ შეუძლებელია, ასეთმა სიყვარულმა ნაყოფი არ გამოიღოს... სხვათა შორის, მას უკვე აქვს შედეგი: ირინას ძებნაში მის მეზობელს, 10 წლის დათოს გადავეყარე და ვკითხე, შენ თუ გააკეთებ როდესმე ამას-მეთქი... როგორ არაო, — მიპასუხა...

მაშ ასე: გაუმარჯოს სიყვარულს და მტვრიან ქალაქს, სადაც ბიჭები ასფალტზე და სახლების კედლებზე ისევ ხატავენ ისარგაყრილ გულებს, „მიყვარხარო“, წერენ და მზად არიან, თავიანთი სიყვარულის ამბავი ქვეყანას გააგებინონ...

**ეთერ ერაძე**



# „ჩემი აზრით, „ტაშკენტა“ ჯილდოზეა წარსადგენი“




## ექსკლუზიური ინტერვიუ ზურაბ ოტიაშვილთან...

რაც დრო გადის, პიტერ შოუს საქმეში მით მეტი პასუხგაუცემელი შეკითხვები გროვდება. ჯერ-ჯერობით, ძალოვნებიც ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე და ეს არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ დღემდე თავს არიდებენ ჟურნალისტებთან შეხვედრას. ისიც არ არის გარკვეული, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის და რა კაცია პიტერ შოუ — ფინანსური მაქინაციების საერთაშორისო დონის დიდოსტატი თუ უბრალოდ ნიჭიერი ექსპერტი, რომელსაც ბედმა ჯერ გაუღიმა, მერე აღარ გაუღიმა და ბოლოს, ისევ გაუღიმა. — ამის დადგენას ჩვენი ძალოვნები იღბლიან პიტერთან სატელეფონო საუბრებით ცდილობენ (როგორც გავიგეთ, ეს მოკვლევა მათ საკმაოდ ძვირი უჯდებათ). ვინ არის სინამდვილეში გარდაცვლილი მერაბ (იგივე „ტაშკენტა“) მექუდიშვილი — უშიშროების აგენტი, სისხლიანი შეტაკების უნებლიე მოწმე თუ გმირი? — ეს ეპითეტი მის სახელთან დაკავშირებით პირველად ზურაბ ოტიაშვილმა გამოიყენა: „ტაშკენტა“ არც კრიმინალია, არც აგენტი და არც მეგობრისგან გამეტებული კაცი. ის გმირია, რომ არა „ტაშკენტა“ პიტერ შოუ დღესაც ორმოში იჯდებოდა“. ამას სწორედ ის ზურაბ ოტიაშვილი ამბობს, რომელსაც „ტაშკენტას“ მეუღლემ ქმრის სიკვდილი დასდო ბრალად. მისი თქმით, სწორედ ზურაბ ოტიაშვილი სთხოვდა მერაბ მექუდიშვილს: ოთხი თვე მე ვინახავდი პიტერ შოუს და ახლა ერთი თვით შენ შეინახეო. ამ ბრალდებების შემდეგ კახეთის უშიშროების რეგიონალური სამმართველოს უფროსის თანაშემწე (ამჟამად კადრების განკარგულებაშია) **ზურაბ ოტიაშვილი** კარგა ხანს დუმდა. დღეს კი „კვირის პალიტრა“ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ. ინტერვიუზე რესპონდენტის დათანხმება საკმაოდ ძნელად მისაღწევი აღმოჩნდა, რადგან იგი სრულ უნდობლობას უცხადებს ჟურნალისტებს. სამაგიეროდ, ჩიტი ბდღვნად ღირდა და ჩვენც არ გავუშვით ეს შესაძლებლობა ხელიდან — პირველი პირისგან მოგვესმინა, როგორ აღმოჩნდა „ტაშკენტა“ შოუსთან ერთად.

**— ბატონო ზურაბ, რატომ დუმდით აქამდე, ან დღეს რა კომენტარს გაუკეთებთ „ტაშკენტას“ მეუღლის ნაამბობს?**

— ვდუმდი იმიტომ, რომ აბსოლუტურ გაურკვევლობაში ვიყავი. მოკლეს ჩემი უახლოესი მეგობარი, რომელიც დღემდე არ ვიცოდი, როგორ აღმოჩნდა იქ, სადაც იყო პიტერ შოუ. და კიდევ იმიტომ, რომ ვერ დავარღვევდი სამსახურებრივ ეტიკეტს, ვერ გავცემდი ინფორმაციას მანამდე, სანამ უშიშროების მინისტრი და მისი პირველი მოადგილე არ გადაწყვეტდნენ, ამ ეტაპზე რისი თქმა შეიძლებოდა და რისი არა. რაც შეეხება „ტაშკენტას“ მეუღლის განცხადებას, მართლაც ხშირად ვხვდებოდი „ტაშკენტას“ და 6 ნოემბერსაც მქონდა მასთან სატელეფონო საუბარი. მასთან საუბრისას არასოდეს მიხსენებია პიტერ შოუ. მე მას ვთხოვე, დახმარებოდა რამდენიმე ჩეჩენს, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება უნდოდათ, მაგრამ არ გააჩნდათ საბუთები და, შესაბამისად, საქართველოს საზღვარს ვერ გადაკვეთდნენ.

**— ხშირად მიმართავდით „ტაშკენტას“ ამგვარი თხოვნით?**

— ეს იყო პირველი შემთხვევა და როგორც დღეს გავიგე, სწორედ ამ საქმეს შეეწირა იგი სრულიად უდანაშაულო და სრულიად შემთხვევით. მოლაპარაკების შემდეგ „ტაშკენტა“ დამთანხმდა, რომ 4 ჩეჩენს, რომელთაც დაკარგული ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, პანკისის ხეობიდან ახმეტაში ჩამოიყვანდა და რამდენიმე დღით თავის სახლში დატოვებდა. 6 ნოემბერს, საღამოს მან თავისი მანქანით ჩამოიყვანა ჩეჩნები სოფელ ყვარელწყალში. მანქანა დატოვა ერთ-ერთი ახლობლის ოჯახში და ტყეში გამავალი ბილიკით, ფეხით, ცდილობდა სოფელ მატნამდე ჩამოეყვანა მგზავრები. დაახლოებით 9 საათზე ტყეში შემთხვევით გადააწყდნენ 6-კაციან ჯგუფს, ყველანი თავიდან ფეხებამდე შავი ტანსაცმლით იყვნენ შემოსილები. შეაჩერა თავისი ხალხი, შეიარაღებულ ჯგუფს ჯიქურ მიუახლოვდა და შესძახა: „არ ისროლოთ, თანამშრომელი ვარ!“ მის თანმხლებ ერთ-ერთ პირს გაუგია, როგორ გამოეპასუხა ერთი შავოსანი ქართულად: „მერე რა, ჩვენც თანამშრომლები ვართ“ და მაშინვე რამდენჯერმე ესროლა. გამტაცებლებს, ეტყობა, „ტაშკენტას“ თანმხლებნიც „თანამშრომლები“ ეგონათ. მდგომარეობა აღარ გაამწვავეს და გაიქცნენ. ამ აურზაურით ისარგებლა პიტერ შოუმ და გაქცევით უშველა თავს. გაიქცნენ გამტაცებლებიც, რომელთაც იქვე მიატოვეს შავი ჩანთა, რომელშიც მათი იარაღი და „ციმციმა“ აღმოჩნდა.

**— თქვენი ნაამბობით, „ტაშკენტა“ უნებლიე მსხვერპლი გამოდის. იყო თუ არა ის თქვენი აგენტი?**

— არა, ჩემი აგენტი არ ყოფილა, თუმცა ეძებდა სამსახურს. არაერთხელ მთხოვა დახმარება და მეც შესაბამისი რეკომენდაციის გაწევის შემდეგ ირაკლი ალასანიას შევახვედრე. საოცრად გამბედავი და გულიანი ბიჭი იყო. არ შეიძლებოდა მისი შესაძლებლობების

> იმის მიხედვით, რაც ბოლო დროს იბეჭდება, შეიძლება ვიფიქროთ ისიც, რომ თითქოს „ტაშკენტას“ სიკვდილში მეც მიმიძღვის „წვლილი“. მე მასთან ვმეგობრობდი და ამით ყველაფერია ნათქვამი. იმედი მაქვს,ის ინფორმაცია,რაც ამ დღეებში მოვიპოვე, სამართალდამცველებს დაეხმარება მალე დაადგინონ სიმართლე. ეს ინფორმაცია კი ის გახლავთ, რომ ამ ბინძური ჭორების თავიდან ასაცილებლად, მოვიძიე ერთ-ერთი იმ პირთაგანი, რომელიც იმ დღეს „ტაშკენტასთან“ ერთად იმყოფებოდა

მქონე კაცი უსაქმოდ ყოფილიყო. მაგრამ მაშინ მისი სამსახურებრივი მოწყობის საკითხი უარყოფითად გადაწყდა.

**— თქვენი ნაამბობით ირკვევა, რომ პიტერ შოუს გამოსახსნელად არც უშიშროებას დაუგეგმავს სპეცოპერაცია და არც შსს-ს? ანუ „ტაშკენტა“ რომ შემთხვევით არ გადაჰყროდა გამტაცებლებს, შოუ დღესაც ტყვეობაში იქნებოდა?!**

— უშიშროების სამინისტროს და შსს ოპერატიული ქვედანაყოფები ინტენსიურად მუშაობდნენ პიტერ შოუს ადგილსამყოფლის დასადგენად. დადგენილ იქნა იმ პირთა წრე, რომლებსაც პიტერ შოუ ჰყავდათ გადამალული პანკისის ხეობაში. სწორედ ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, ოპერატიულმა ქვედანაყოფებმა დაგეგმეს არაერთი სპეცღონისძიება. ერთ-ერთი მათგანი გულისხმობდა გამტაცებლების მიერ ადგილსამყოფლის შეცვლის პროვოცირებას. ჩემი ვარაუდით, პიტერ შოუს ადგილსამყოფლის შეცვლისას გადააწყდნენ გამტაცებლები ჯგუფს, რომელშიც მექუდიშვილიც („ტაშკენტა“) იყო. დანარჩენი უკვე იცით...

**— ერთ-ერთი ვერსიით, პიტერ შოუ და რამდენიმე ჩეჩენი თქვენს ბინაში ნახა ახმეტის უშიშროების უფროსმა, დავით ლორთქიფანიძემ და ამის შემდეგ გახდით იძულებული, პიტერ შოუს გადასამალავად სხვა ადგილი მოგეძებნათ...**

— და თქვენ ფიქრობთ, რომ გადასამალ ადგილად „ტაშკენტას“ სახლი შევარჩიე? სისულელეა. არა მგონია, ეს ინფორმაცია დათო ლორთქიფანიძისგან მოდიოდეს. რაც შეეხება ჩემს ოჯახში მყოფ ჩეჩნებს, ისინი სწორედ პიტერ შოუს გამოხსნაში გვეხმარებოდნენ და რამდენიმე დღე მართლაც გაჩერდნენ ჩემს ოჯახში. სწორედ მათ დაადგინეს, რომ გამტაცებელთა შორის იყვნენ ხეობაში მცხოვრები ერთი ქისტი და ერთიც ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე.

**— ვითომ დადგენილია, ვინ არიან გამტაცებლები? როგორც ვიცი, ძალოვნებს ჯერ ის ორმოც ვერ უპოვიათ, სადაც პიტერ შოუ იჯდა. ჟურნალისტთა წრეში ამის შესახებ ხუმრობენ კიდეც: პრესკონფერენციას მანამდე ვერ ველირსებით, სანამ ძალოვნები საჭირო ადგილას ისეთ ორმოს არ ამოთხრიან, პიტერ შოუმ თავისი ფანტაზიით რომ აღწერაო.**

— რამდენადაც ვიცი, ორმო ჯერ არ უპოვიათ, მაგრამ გამტაცებელთაგან რამდენიმეს ვინაობა უკვე დადგენილია. მათ შორის ერთი ქართველიცაა.

**— პიტერ შოუ სხვადასხვა ვერსიის მოყოლას განაგრძობს. რა შეგიძლიათ ამ ვერსიებთან დაკავშირებით გვითხრათ?**

— ამის შესახებაც ალბათ მინისტრი გააკეთებს ინფორმაციას. როგორც ვიცი, პიტერ შოუმ დაკითხვისას განაცხადა, ორმოში ვიჯექი, ზემოდან კი გოჭების ჭყვიტინი მესმოდაო...

**— როგორც ვიცი, მექუდიშვილს ჰქონდა ღორების ფერმა...**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: „ტაშკენტას“ ძალიან კარგად ვიცნობდი. მას პიტერ შოუსთან არაფერი აკავშირებდა. არ გამოვრიცხავ არც იმას, რომ მიახლოებისას იცნო კიდეც ერთ-ერთი გამტაცებელი და სწორედ ამიტომ მოკლეს. ჩემი აზრით, „ტაშკენტა“ ჯილდოზეა წარსადგენი, პრესამ კი ლამისაა პიტერ შოუს გამტაცებლად წარმოაჩინა. იმის მიხედვით, რაც ბოლო დროს იბეჭდება, შეიძლება ვიფიქროთ ისიც, რომ თითქოს „ტაშკენტას“ სიკვდილში მეც მიმიძღვის „წვლილი“. მე მასთან ვმეგობრობდი და ამით ყველაფერია ნათქვამი. იმედი მაქვს, ის ინფორმაცია, რაც ამ დღეებში მოვიპოვე, სამართალდამცველებს დაეხმარება მალე დაადგინონ სიმართლე. ეს ინფორმაცია კი ის გახლავთ, რომ ამ ბინძური ჭორების თავიდან ასაცილებლად, მოვიძიე ერთ-ერთი იმ პირთაგანი, რომელიც იმ დღეს „ტაშკენტასთან“ ერთად იმყოფებოდა და იქ მომხდარი ამბავიც მისგან შევიტყვე. პიტერ შოუ დღეს თავისუფალია, გამტაცებელთა ძებნა კვლავ მიმდინარეობს, „ტაშკენტა“ კი, ერთი გულიანი ახმეტელი ბიჭი, მოკლულია. მას დარჩა მეუღლე და ორი შვილი. შვილები, რომლებისთვისაც სულერთი არ არის, რაც მამის შესახებ პრესაში დაიწერება ან ტელევიზიით ითქმება.

**— თქვენი ინფორმაციით, არის თუ არა ამ საქმეში გარეული ახმედოვების დაჯგუფება?**

— ამის შესახებ, ჯერჯერობით, ინფორმაცია არ მომეპოვება.

***ნანა ქბიშაური***




# სადაზღვევო ბიზნესში ომი დაიწყო

*სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" ადვოკატები „აგრომრეწვბანკის" წინააღმდეგ რამდენიმემილიონიან სარჩელს ამზადებენ საოლქო სასამართლოში შესატანად. სარჩელის საფუძველი „აგრომრეწვბანკის" მიერ „ალდაგის" სადაზღვევო პოლისების ბლოკირება გახლავთ. კომპანიის მტკიცებით, ბანკის უკან შს სამინისტრო დგას, რომელიც ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის ბიზნესში დღეს უპირატესობას რატომღაც სხვა სადაზღვევო კომპანიებს ანიჭებს...*

„ორიოდე კვირის წინ მამაჩემს თავისი დაფეხვილი „06" მარკის ჟიგულის ტექდათვალიერების გასავლელად დიაგნოსტიკურ ცენტრში გავყევი. სავალდებულო პროცედურების გავლის შემდეგ, „ალდაგის" თხუთმეტლარიანი სადაზღვევო პოლისიც ავიღეთ და ტექდათვალიერების ერთლარიანი ქვითრის ასაღებად „გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალს მივაშურეთ. ბანკის ფილიალში გვითხრეს, ამჟამად ქვითრებს მხოლოდ „აგრომრეწვბანკი" იძლევაო. რა უნდა გვექნა, „აგრომრეწვბანკის" გლდანის რაიონის ფილიალს მივაკითხეთ. ბანკის ფილიალის თანამშრომელმა „ალდაგის" სადაზღვევო პოლისი უკან დაგვიბრუნა, ფირნიშები არა გვაქვსო. მოკლედ, იმ დღეს „აგრომრეწვბანკის" კიდევ რამდენიმე ფილიალი შემოვიარეთ, მაგრამ ტექდათვალიერების დამადასტურებელი ფირნიში ვერსად ავიღეთ. ბოლოს „აგრომრეწვბანკის" სათავო ოფისს მივაკითხეთ და როცა მოლარესთან ე.წ. ერთლარიანი ქვითრების შეკვრა დავინახეთ, შვებით ამოვისუნთქეთ. თუმცა ჩვენი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. მოლარემ როგორც კი თვალი მოჰკრა „ალდაგის" პოლისს, პირდაპირ განგვიცხადა: ქვითრები გამოგველიია და სხვა დროს მობრძანდითო... რაღა ბევრი გავაგრძელო, ბოლოს გავიგეთ, რომ ძაღლის თავი სხვაგან ყოფილა დამარხული. როგორც ერთმა მძღოლმა აგვიხსნა, ახალი სადაზღვევო კომპანია გამოსულა ასპარეზზე და მის დასაწინაურებლად ხელისუფლებას „ალდაგის" ჩაძირვა გადაუწყვეტია. ამიტომაც არ იძლევიან ქვითრებს „ალდაგის" სადაზღვევო პოლისებით. პრივილეგირებულ ახალ სადაზღვევო კომპანიას „ბრიტანეთ-კავკასია" ჰქვია, სწორედ მისი პოლისებით გაიცემა ქვითრები. ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიონ, რა ხდება? ოფიციალურად გამოაცხადონ, რომელი კომპანიის სადაზღვევო პოლისი ავიღოთ და არც ჩვენ ვიწვალებთ და არც ისინი.

*პატივისცემით უამრავ ავტომოყვარულთა სახელით ვაჟა ცომაია."*

ეჭვგარეშეა, რომ ვიღაც(!) ძლიერმა ამა ქვეყნისამ სადაზღვევო ბიზნესში ძალთა ახალი გადანაწილება დაიწყო და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მოსახლეობის, ნერვების, დროის და ფულის ხარჯზე. რა იყო დღემდე და რა იქნება ხვალ?!

დაახლოებით ოთხი-ხუთი წლის წინ ერთ-ერთი პირველი კომპრომატი, რომელიც ზოგიერთმა პარლამენტარმა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, კახა თარგამაძეს გამოუჩხრიკა, „გაერთიანებული ქართული ბანკისა" და სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" ინტერესების ლობირება გახლდათ. საქმე ის იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელთა ხელშეწყობით, სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა" ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის ბაზრის დიდი ნაწილი ჩაიგდო ხელთ. მექანიზმი ასე მუშაობდა — იმისათვის, რომ ავტომობილს ტექნიკური დათვალიერება გაევლო, მძღოლი იღებდა ტექდათვალიერების, ეკოლოგიურ და დიაგნოსტიკურ ტალონებს. ამ საბუთებს დიაგნოსტიკური ცენტრები გასცემდნენ. მათ მუშაობის ლიცენზიას შს სამინისტრო აძლევდა, რაც ცენტრებზე სამინისტროსგან კონტროლს ნიშნავდა. სწორედ შს სამინისტრომ აიძულა დიაგნოსტიკური ცენტრები ტექდათვალიერებისათვის საჭირო საბუთები მხოლოდ მას შემდეგ გაეცა, თუ ავტომობილის მეპატრონე სავალდებულო სადაზღვევო პოლისს „ალდაგში" აიღებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომობილის მფლობელს გადაულახავი პრობლემები შეექმნებოდა — საგზაო პოლიციაში ტექდათვალიერების დამადასტურებელ ფირნიშს არ მისცემდნენ, — ბანკი ერთლარიან ქვითარს არ აღირსებდა. ფირნიშის გარეშე მოძრაობა კი იმას ნიშნავდა, რომ ყოველდღიურად ავტოინსპექცია მძღოლს ჯარიმას მაინც გადაახდევინებდა. შს სამინისტროს ზეწოლით დიაგნოსტიკურმა ცენტრებმა ხელშეკრულებები სადაზღვევო კომპანია „ალდაგთან" გააფორმეს. ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში წერია: „დიაგნოსტიკური ცენტრის კუთვნილ ტერიტორიაზე, გარდა „ალდაგისა", სხვა სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლების განთავსების, ანდა მათ მიერ სადაზღვევო საქმიანობის წარმოება აკრძალულია". ერთი სიტყვით, დიაგნოსტიკურ ცენტრებში „ალდაგმა" თავისი წარმომადგენლები დასვა, ისინი მხოლოდ თავიანთი კომპანიის სადაზღვევო პოლისებს იძლეოდნენ. ასე რომ, „ალდაგი" ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის სფეროში მონოპოლისტი გახდა. თუმცა იმ დროს ანტიმონოპოლიური კანონი არ არსებობდა და „ალდაგს" ვერავინ შეედავებოდა. მაგრამ, როცა კანონი მიიღეს და, შესაბამისად, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურიც შეიქმნა, „ალდაგის" განუსაზღვრელი უფლებები მნიშვნელოვნად შეიკვეცა და ავტომობილების დაზღვევა სხვა სადაზღვევო კომპანიებმაც დაიწყეს (მთლიანი ბაზრის დაახლოებით 30% — ზ. ჩ.). მიუხედავად ამისა, „ალდაგი" მაინც მონოპოლისტად რჩებოდა. ნათქვამია, მუდმივი არაფერიაო (და ეს ჩვენ მიერ მოკვლეულმა მასალებმაც ცხადყო) და ერთ მშვენიერ დღეს კობა ნარჩემაშვილმა, ხელისუფლების მხარდაჭერით, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" აითვალწუნა, — უფრო სანდო და საჭირო პარტნიორები იპოვა, „ალდაგისა" და „გაერთიანებული ქართული ბანკის" ნაცვლად. ე. წ. ხუთკუთხედი: შინაგან საქმეთა სამინისტრო — „გაერთიანებული ქართული ბანკი"-სადაზღვევო კომპანია „ალდაგი"-დიაგნოსტიკური ცენტრები-ავტომფლობელი — დაიშალა და მათ სხვა სადაზღვევო კომპანია და ბანკი ჩაენაცვლა. თუმცა, როგორც ჩანს, ფულის შოვნის მექანიზმი არ იცვლება, მეტიც, შეიძლება ითქვას, გაუმჯობესდა (დაიხვეწა(!)) და უფრო გასაიდუმლოვდა კიდეც. ასეა თუ ისე, ავტომობილის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე ახალი ომი დაიწყო.



რომელი სადაზღვევო კომპანია ჩაუნაცვლეს „ალდაგს"



იმის გასარკვევად, თუ რა ხდება ავტომობილის სავალდებულო დაზღვევის ბიზნესში, სადაზღვევო კომპანია „ჯამის" თბილისის ერთ-ერთი ფილიალის ხელმძღვანელს, **ვალერი კვანტალიანს** ვთხოვეთ კომენტარი: „ხდება ის, რაც ქართული ბიზნესისთვისაა დამახასიათებელი. თუ ხელისუფლებაში პატრონი არ გყავს, დიდი ჭკუა-გონების და მოხერხების კაციც რომ იყო, ბიზნესს ხელს ვერ მოჰკიდებ. საქმე ის არის, რომ ჩინოვნიკებს სადაზღვევო სფეროში წესრიგის დამყარება ხელს არ აძლევდათ. არადა, ყველაფერი ამისკენ მიდიოდა. ჰოდა, ადგნენ ჩინოვნიკები, საიდანღაც გამოჩხრიკეს „ბრიტანეთ-კავკასიის" სადაზღვევო კომპანია და ახლა ცდილობენ იგი აქციონ ავტომობილის სავალდებულო დაზღვევაში მონოპოლისტად. რა თქმა უნდა, სადაზღვევო კომპანია დახმარების გარეშე მონოპოლიის ხელში ჩაგდებას ვერ შეძლებდა და დამხმარედ „აგრომრეწვბანკი" მიუჩინეს. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთა დიდი ინტერესი ამ საქმის მიმართ — როგორც გავიგე, „ბრიტანეთ-კავკასიის" გამონოპოლისტება სწორედ შს სამინისტროს იდეაა. მარტივი და უკვე გამოცდილი მექანიზმი აამოქმედეს — სადაზღვევო კომპანიას გვერდში დაუყენეს „აგრომრეწვბანკი", რომელმაც კატეგორიული უარი თქვა სხვა სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული პოლისებით ერთლარიანი ქვითრების გაცემაზე. მძღოლები იძულებული არიან იმ კომპანიის სადაზღვევო პოლისი აიღონ, რომელსაც ბანკი მიუთითებს — კერძოდ, „ბრიტანეთ-კავკასიის" პოლისი. ეს კი ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევაა. რა უფლება აქვს ბანკს, არ მიიღოს სხვა სადაზღვევო კომპანიების პოლისები? მაგრამ ეს შეგნებულად კეთდება. მაშინ რომ გაიძახოდნენ, „ალდაგი" შეკრულია კახა თარგამაძესთანო, ახლა რა, განა რამე შეიცვალა, მექანიზმი ხომ იგივე დარჩა. ხელისუფლებამ დაზღვევის ყველა სახეობა ბარემ შს სამინისტროს გადააბაროს და სამედიცინო დაზღვევაც პოლიციამ იკისროს. კურიოზია, მაგრამ ჩვენში ყველაფერია მოსალოდნელი."

**„როგორც გავიგე, „ბრიტანეთ-კავკასიის" გამონოპოლისტება სწორედ შს სამინისტროს იდეაა. მარტივი და უკვე გამოცდილი მექანიზმი აამოქმედეს — სადაზღვევო კომპანიას გვერდში დაუყენეს „აგრომრეწვბანკი", რომელმაც კატეგორიული უარი თქვა სხვა სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული პოლისებით ერთლარიანი ქვითრების გაცემაზე. მძღოლები იძულებული არიან იმ კომპანიის სადაზღვევო პოლისი აიღონ, რომელსაც ბანკი მიუთითებს."**

ჩვენ სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" გენერალურ დირექტორს, **თეგიზ მეზურნიშვილსაც** ვესტუმრეთ და კომენტარი ვთხოვეთ: „მას შემდეგ, რაც თქვენ, ჟურნალისტები, ამ საკითხით დაინტერესდით, შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ვალერი ნარსიას მოთხოვნით დამატებით შეარჩიეს სხვა სადაზღვევო კომპანიები: „სელბი", „ნაბათი" და „ჰელიოსი". მათ შერჩევაში აქტიურად მონაწილეობდა „აგრომრეწვბანკის" ხელმძღვანელობა. შერჩევის შემდეგ შს სამინისტროში ვალერი ნარსიას ხელმძღვანელობით გაიმართა „საიდუმლო სერობა" — შერჩეულ კომპანიებს ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის ბაზრის ვითომ თანაბრად, 25-25 პროცენტად გაყოფა შესთავაზეს. ეს იმიტომ გაკეთდა, სამინისტროსთვის, „აგრომრეწვბანკისათვის" და „ბრიტანეთ-კავკასიის" სადაზღვევო კომპანიისთვის ვერავის ესაყვედურებინა და დაებრალებინა მონოპოლისტობა. ისინი იტყვიან, — როგორ გეკადრებათ, დაზღვევის პოლისები მხოლოდ „ბრიტანეთ-კავკასიის" კომპანიის კი არა, აგერ, კიდევ სამი სხვა კომპანიისაც არისო. სინამდვილეში, სამინისტროში ამ კომპანიებს 25-25 კი არა, სადაზღვევო ბაზრის 3-5% შესთავაზეს. მას შემდეგ კიდევ ერთი სადაზღვევო კომპანია „ოლიმპი" მიიწვიეს, მაგრამ რა მოილაპარაკეს, ჯერ არ ვიცით. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს სამინისტროში დადგმული სპექტაკლია თქვენთვის, ჟურნალისტებისთვის და ანტიმონოპოლიური სამსახურის შეცდომაში შესაყვანად. კანონით, საქართველოში არსებული 25 სადაზღვევო კომპანია თანაბარი პირობებით უნდა მუშაობდეს და უპირატესობას ვის მიანიჭებს მძღოლი, ეს მისი უფლებაა.

— **რა როლი ეკისრება ამ ბიზნესში „აგრომრეწვბანკს"?**

— „აგრომრეწვბანკი", იგივე „სახალხო ბანკი", ის საფინანსო ორგანიზაციაა, რომელიც ბოლო დროს ორჯერ მაინც გადაურჩა გაკოტრებას. ამ ბანკის მფლობელი პრეზიდენტის კლანის წევრი და ნათესავი ანდრო დევდარიანი გახლავთ. თავის დროზე, სწორედ პრეზიდენტის განკარგულებებმა გადაარჩინა „სახალხო ბანკი" გაკოტრებას. ახლა, როგორც ჩანს, მთელი კლანი ცდილობს მისი შემოსავლებისა და ავტორიტეტის გაზრდა-ამაღლებას. ცოტა ხნის წინ პენსიების და დახმარებების გაცემის უფლებაც მისცეს. ახლახან კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტენდერის გარეშე არასაბიუჯეტო მოსაკრებლების ამოღებაც დაავალა (შს სამინისტროს არასაბიუჯეტო მოსაკრებლებში შედის პასპორტის, პირადობის მოწმობის, სანომრე ნიშნების, მართვის მოწმობების, ტექდათვალიერების ფირნიშის, ავტოინსპექციის ჯარიმებისა და სხვა გადასახდელი თანხები. — ზ. ჩ.). არადა, დღემდე შს სამინისტროს არასაბიუჯეტო მოსაკრებლებს „გაერთიანებულ ქართულ ბანკში" იხდიდნენ. მოულოდნელად სამინისტრომ უარი განაცხადა „გაერთიანებული ქართული ბანკის" მომსახურებაზე. თითქოს ტენდერიც გაიმართა, სადაც ყველაზე კარგი პირობები „აგრომრეწვბანკმა" წამოაყენა და უპირატესობაც მას მიანიჭეს — ქიმერაა და მეტი არაფერი. „სახალხო ბანკს" მჭიდრო ურთიერთობა აქვს „ბრიტანეთ-კავკასიასთან" და მხოლოდ მისი პოლისებით გასცემს ფირნიშის ასაღებ ერთლარიან ქვითარს. მეტიც, სადაზღვევო კომპანია „ბრიტანეთ-კავკასიის" დამფუძნებელთა შორის „აგრომრეწვბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და ბანკის პრეზიდენტის მეუღლე მამუკა ჯინჯიხაძე შეიყვანეს. ისინი სხვისი გვარებით არიან დაფიქსირებულნი კომპანიაში. ასე რომ, მძლავრი წრე შეიკრა. თუ თანახმა იქნებით, ასეთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ. მოგცემთ ტექდათვალიერების დიაგნოსტიკური ცენტრის ყველა საბუთს, მათ შორის „ალდაგის" სადაზღვევო პოლისს და მიბრძანდით „აგრომრეწვბანკის" სათავო ოფისში ან ბანკის ნებისმიერ ფილიალში და ვნახოთ, მოგცემენ თუ არა ერთლარიან ქვითარს."

ჩემი რესპონდენტის წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. მეორე დღეს საჭირო საბუთებით „შეიარაღებული" „აგრომრეწვბანკის" რამდენიმე ფილიალს ვესტუმრე. ზოგიერთ მათგანში დაცვამ არ შემიშვა, მხოლოდ იმიტომ, რომ „ალდაგის" სადაზღვევო პოლისი მქონდა. რომ აღარ მოვეშვი, დაუფარავად მომახალა — „რით ვერ გაიგე, არც „ალდაგის" და არც „იმედის" პოლისზე ქვითარს არ მოგცემენ. ეგ პოლისი გააუქმე და აგერ, ფილიალში, აიღე ის პოლისი, რომელსაც მოლარე გირჩევს". მართლაც, „ალდაგის" პოლისით მოლარისგან ქვითარი ვერ მივიღე, თუმცა არც ხვეწნა დამიკლია და არც მუდარა. ერთი სიტყვით, ფილიალიდან უბოდიშოდ გამომაპანღურეს. იგივე განმეორდა „აგრომრეწვბანკის" კიდევ ოთხ ფილიალში. ბოლოს „აგრომრეწვბანკის" სათავო ოფისში გადავწყვიტე ბედი მეცადა, მაგრამ ვერც იქ მივაღწიე საწადელს. მეტიც, საოპერაციო დარბაზში მაგიდა გამოეტანათ, რომელზეც მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების „ბრიტანეთ-კავკასიის", „ნაბათის", „სელბის" და „ჰელიოსის" შეუვსებელი პოლისები ეწყო. სხვა კომპანიების პოლისები არც ჰქონდათ. ბანკის მენეჯერს ჩემი ნამდვილი ვინაობა გავუმხილე და ხელმძღვანელობასთან შეხვედრა ვთხოვე. ტელეფონზე დარეკვა-გადმორეკვის შემდეგ ჩემთან გასაუბრება „აგრომრეწვბანკის" დირექტორს, **ალექსანდრე თოდუას** დაევალა: „ყველაფერი კანონის სრული დაცვით მოხდა. შს სამინისტრომ, შემოსავლების გაზრდის მიზნით, „გაერთიანებულ ქართულ ბანკთან" ხელშეკრულება დაარღვია — სამინისტროს ის 3%, რომელსაც ბანკი სამინისტროს კუთვნილი მოსაკრებლებიდან მომსახურების საფასურად იტოვებდა, ეძვირებოდა. ამიტომ გამოაცხადა შიდაუწყებრივი ტენდერი, სადაც ყველაზე მისაღები პირობები ჩვენმა ბანკმა შესთავაზა, კერძოდ, მომსახურების სანაცვლოდ ჩვენ მხოლოდ 0,85%-ს ვითხოვდით. სწორედ ამან გადაწყვიტა ჩვენს სასარგებლოდ ტენდერის შედეგი. ამასთან, ისიც მნიშვნელოვანია, რომ „აგრომრეწვბანკს" ფილიალების ყველაზე დიდი ქსელი აქვს.

— **დავუშვათ, ტენდერში დამსახურებულად გაიმარჯვეთ. მაშ, რატომ უარყოფთ „ალდაგის" და სხვა სადაზღვევო კომპანიების პოლისებს?**

— რას ჰქვია, უარვყოფთ. გარწმუნებთ, ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიის პოლისს მივიღებთ(?!). ახლაც არა მარტო „ბრიტანეთ-კავკასიის", არამედ „სელბის", „ნაბათის" და „ჰელიოსის" სადაზღვევო კომპანიების პოლისებიც მივიღეთ. რა ჩვენი ბრალია, თუ „ალდაგის" ან „იმედის" სადაზღვევო პოლისები არ შემოსულა.

— **ბატონო ალექსანდრე, თვითონ ვნახე, თქვენი თანამშრომლები „ალდაგისა" და სხვა კომპანიების პოლისებს რომ არ იღებდნენ...**

— არ მჯერა. თქვენ რომ „აგრომრეწვბანკთან" შეკრულ სადაზღვევო კომპანიებს უწოდებთ, ისინი ჩვენი კლიენტები არიან, ანუ ჩვენს ბანკში აქვთ ანგარიშები გახსნილი და ამიტომაც ვანიჭებთ მათ უპირატესობას. მაგალითად, ურიგოდ გავუშვებთ ან სხვა შეღავათს მივცემთ(?!).

— **რა შეღავათებზე მელაპარაკებით, როცა მოლარეები კატეგორიულად სთხოვენ ავტომფლობელებს მხოლოდ მათ მიერ დასახელებული კომპანიების პოლისებს.**

— კარგი რა, კაცო, მითხრეს, ჩვენი მეგობარიაო და რად გინდა ეს კითხვები.

მეორე დღეს „გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილეს, **უშანგი ყურაშვილს** ვესტუმრე:

— **ამბობენ, თქვენმა ბანკმა ხელშეკრულების გაგრძელებაზე შს სამინისტროსთან უარი თქვა და ტენდერში მონაწილეობა შეგნებულად არ მიიღოო.**

— სიცრუეა. ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარს როგორ ვიტყოდით, როცა ამდენი შრომა და სახსრები შევალიეთ მოსაკრებლების გადახდისა და აკრეფის სისტემის მოწესრიგებას. მიუხედავად ამისა, შს სამინისტრომ ჩვენთან თანამშრომლობა აღარ ისურვა. ეს მისი უფლებაა და ვერ შევედავებით, მაგრამ თუ მომსახურებაზე პროცენტის დაკლება სურდა, ჩვენთვისაც უნდა შეეტყობინებინა. არც ტენდერში მივუწვევივართ ვინმეს. ისე, მართლა ჩატარდა კი ტენდერი?

— **როგორც ამბობენ, ტენდერში გამარჯვება მომსახურების დაბალ პროცენტს გადაუწყვეტია.**

— არა მგონია, მომსახურების 0,85%-ით „აგრომრეწვბანკმა" თავისი ხარჯების დაფარვა შეძლოს. ალბათ იმის იმედი აქვთ, ქვითრების დაბეჭდვის და მათი ინკასაციის ხარჯები შს სამინისტრომ რომ აიღო საკუთარ თავზე. ადრე ჩვენ ვბეჭდავდით ქვითრებს...

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*



# ზურაბ ჟვანიას ჩვენს იქით გზა არ აქვს

## სააკაშვილმა კახაძის სავარძელი კარგად მოირგო, გვერდით ზურაბ ჟვანია მოისვა და თბილისის ბედის ჭრა-კერვა დაიწყო

როგორც მოსალოდნელი იყო, **მიხეილ სააკაშვილმა** რევოლუციური განწყობა პარლამენტიდან საკრებულოშიც შეიტანა. „ნაციონალებისა“ და „ლეიბორისტების“ ორ ხმაში სიმღერა ისტორიული პროცედურით — თბილისის მთავრობის გადაყენებით დასრულდა. წყნეთის გამგებელს, 12 სამსახურის უფროსს და 3 ვიცე-პრემიერს ზოდელავაც მიაყოლეს. უფრო სწორად, 34-მა საკრებულოს წევრმა თბილისის მერის ბედი პრეზიდენტს მიანდო. თუმცა, სააკაშვილის დანთებული ცეცხლი და საკრებულოს ერთსულოვნება ზოგისთვის მხოლოდ შოუ იყო, ითქვა — სააკაშვილი კანცელარიაში დადგმულ სპექტაკლს ისეთი ვირტუოზულობით თამაშობს, გენიალურ ჩარლი ჩაპლინსაც კი შეშურდებოდაო...

ასეა, სააკაშვილის ქარიზმა მხოლოდ გამორჩეულ ხალხთან მსგავსებას იტანს — ზოგისთვის ის მეორე ზვიადია, ზოგისთვის კი დიდი აქტიორი. რას ფიქრობს ყოველივე ამაზე თავად ბატონი მიხეილი?

— არაერთხელ მსმენია, რომ ხან საქართველოს პირველ პრეზიდენტს მადარებენ, ხან ვიღაც გამოჩენილ მოღვაწეს. ყველაზე კარგი პოლიტიკოსი ის არის, ვისაც სჯერა იმისა, რასაც აკეთებს. ქარიზმა ეს არის, წარმატების მიზეზი. როცა პოლიტიკაში თამაშს დაიწყებ, წააგებ. რაც უნდა დიდი სამსახიობო მონაცემები ჰქონდეს პოლიტიკოსს, მუდმივად ხალხს ვერ მოატყუებს. ყველაზე დიდი მსახიობი შევარდნაძეა, მაგრამ უკვე 4 წელია, ვეღარავის ატყუებს. ასე რომ, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ რადიკალური განახლება დავიწყეთ ორმაგი წნეხის პირობებში, როცა ერთი მხრივ, ქალაქის ხელისუფლება და, მერე მხრივ, ცენტრალური ხელისუფლება იბრძვის ჩვენს წინააღმდეგ. დედაქალაქში ძალზე მძლავრობს ფინანსური ინტერესები, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც შევძლებთ ქალაქში ბევრი რამის შეცვლას.

— **საკრებულოს გასული კვირის გადაწყვეტილებები ბევრმა არაერთგვაროვნად აღიქვა.**

— გასულ კვირას საკრებულომ ზოდელავა და ქალაქის ხელმძღვანელობა გადააყენა. თუ წარმოვიდგენთ, რომ საკრებულო პარლამენტი იყო, გამოჩნდება, რომ ჩვენ იმპიჩმენტი გამოვუცხადეთ მთელ მთავრობას. გადადგა ყველა მინისტრი და დარჩა მხოლოდ სახელმწიფო მინისტრი. ნურავის ეგონება, რომ ქალაქის ზოგიერთი სამსახურის უფროსი რომელიმე მთავრობის წევრზე ნაკლებგავლენიანი იყოს.

— **რატომ ვერ გადააყენეს ქალაქის პრემიერი?**

— დიდი როლი შეასრულა ამ პიროვნების მიმართ საკრებულოს რამდენიმე წევრის კეთილგანწყობამ. ჩემი ფრაქციის ზოგიერთმა წევრმა კი გადაწყვიტა, საბოლოო დასკვნა გია შერაძეზე მისი ანგარიშის მოსმენის შემდეგ გაეკეთებინა. ასეთი მიდგომა არასწორად მიმაჩნია, შედეგებიც სახეზეა და, შესაბამისად, პასუხი ყველამ უნდა აგოს ქალაქის დღევანდელ მდგომარეობაზე.

— **მაგრამ ითქვა, პრეზიდენტი ზოდელავას ვერ შეელევაო.**

— დღეს ზოდელავას გაუჭირდება იმ საკრებულოსთან მუშაობა, რომლის 3/4-მა მის გადაყენებას მისცა ხმა. ასე რომ, პრეზიდენტს ძალზე სუსტი მერი შერჩება ხელთ. ზოდელავასთან პიროვნული პრეტენზია არ მაქვს, სხვათა შორის, იგი სულაც არ არის მზაკვარი და ინტრიგანი ადამიანი. სამაგიეროდ, არის შევარდნაძის სისტემის განუყოფელი ნაწილი. ის, რაც ზოდელავას მისამართით განხორციელდა, სინამდვილეში შევარდნაძის წინააღმდეგ გალაშქრება იყო. თუ შევარდნაძე ზოდელავას არ მოხსნის, როგორც მოგახსენეთ, ეყოლება ძალიან სუსტი მერი, რომელიც მის პოლიტიკას ვერ გაატარებს და ხორცს შეისხამს ლოზუნგი „თბილისი შევარდნაძის გარეშე“. თუ მოხსნის, ამით აღიარებს, რომ თბილისში ოპოზიციამ გაიმარჯვა, რითაც შექმნის თავისი წასვლის პრეცედენტსაც. ამრიგად, რთულ სიტუაციაში საკრებულო და ზოდელავა კი არა, თავად შევარდნაძეა.

**თუ შევარდნაძე ზოდელავას არ მოხსნის, როგორც მოგახსენეთ, ეყოლება ძალიან სუსტი მერი, რომელიც მის პოლიტიკას ვერ გაატარებს და ხორცს შეისხამს ლოზუნგი „თბილისი შევარდნაძის გარეშე“. თუ მოხსნის, ამით აღიარებს, რომ თბილისში ოპოზიციამ გაიმარჯვა, რითაც შექმნის თავის წასვლის პრეცედენტსაც.**

— **ცესკოსა და საკრებულოში „ნაციონალების“ ზედმეტმა აქტიურობამ პოლიტიკური სპექტრისა და მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია, თვით ზურაბ ჟვანიამაც კი დაგმო ძალმომრეობის ის ფაქტები, რაც ცესკოსა და საკრებულოში განხორციელდა.**

— გასაგებია ზურაბ ჟვანიას არგუმენტები, რომ ჩვენ რადიკალები ვართ და ის შედარებით ზომიერია, მაგრამ ყველაფერი, რასაც ის რადიკალიზმს უწოდებდა ექვსი თვის წინ, დღეს მისთვის სამოქმედო პროგრამაა. ანუ ის ნაბიჯ-ნაბიჯ იმეორებს ყველაფერს, რასაც მასზე ადრე ვაკეთებდით. ასე იყო შევარდნაძესთან მიმართებით, ასე იყო ქუჩის აქციებთან დაკავშირებითაც. ადრე ჟვანიას 6 თვე სჭირდებოდა, რომ ჩვენნაირი დასკვნები გაეკეთებინა, ახლა ერთ კვირაში აკეთებს.

ლაპარაკი, თითქოს ოპოზიცია ძალადობას იყენებს, ფარისევლებისა და შურიანი ადამიანების საქმეა, რომელთაც ვერ იპოვეს თავიანთი ადგილი ვერც ცხოვრებაში, ვერც ოპოზიციაში, ვერც ხელისუფლებას მიეტმასნენ და ახლა ფარისევლობენ. ცესკოსა და საკრებულოს მოვლენების შემდეგ ვიყავი კორეაში, როგორც ქართული ოპოზიციის ლიდერი (იქ მსოფლიო დემოკრატიულ ორგანიზაციათა ფორუმმა მიმიწვია, რომლის ხელმძღვანელი მადლენ ოლბრაითია). ფორუმის მონაწილეთაგან არც ერთი საყვედური არ მომისმენია ვითომ ძალადობაზე, რის გამოც ადგილობრივი ფსევდოდემოკრატები მსაყვედურობენ. პირიქით, სრული მხარდაჭერა გამომიცხადეს და დადებითად შეაფასეს, რომ ოპოზიციამ საკრებულოში მოახერხა წამყვანი პოზიციების დაკავება. ეს არის ზუსტად იმავე პროცესების განმეორება, რაც მოხდა ბელგრადსა და ზაგრებში. იუგოსლავიის ოპოზიციამ მაშინ პარლამენტი დაწვა, მაგრამ საყვედური არავის დასცდენია, რადგან იგი დაუპირისპირდა მილოშევიჩს, რომელიც არ აღიარებდა არჩევნების შედეგებს.

რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას, მას ჩვენს იქით გზა არ აქვს, კონსოლიდაციის გარეშე არაფერი გამოგვივა. თუ გვინდა ამ ქვეყანაში რეალურად შეიცვალოს რაღაც, კონკურენტები თანამშრომლებად უნდა ვაქციოთ, ამის პრეცედენტი უკვე შევქმენით საკრებულოში ჩვენ და ლეიბორისტებმა. ზურაბ ჟვანია და მე მეგობრები ვართ. მეგობრებს შორის ყოველთვის არის ემოციური მომენტები, გარკვეული ეჭვიანობა... ძალიან არ მომწონს, როცა ნაციონალური მოძრაობის წევრები ჟვანიას აკრიტიკებენ და ძალზე მკაცრად ვუდგები ამ საკითხს. რამდენჯერმე სერიოზული გარჩევებიც მქონდა პარტიაში, იმის თაობაზე, რომ ჩვენი მხრიდან თავდასხმები ზურაბ ჟვანიაზე აბსოლუტურად მიუღებელია.

— **ითქვა, ხალხის ქუჩაში გამოყვანა, 10 წლის წინანდელ საქართველოში დაგვაბრუნებსო.**

— 10 წლის წინ სამხედრო გადატრიალება მოხდა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ რუსები. დღეს სამხედრო გადატრიალებას არავინ მოაწყობს საქართველოში. ხალხი, რომელთაც თავიანთი იდეები არ აქვთ, ჩვენ ფონად გვიყენებს. სწორედ ესენი არიან საშიშები, ჩვენ გაცილებით წესიერები და ზომიერები ვართ და „ნაციონალებზე“ უკეთ მოგეპყრობითო. ამ ზომიერების უკან ნახევრად ოპოზიციონერები დგანან, რომლებიც სახელმწიფო აპარატთან კორუმპირებული ინტერესებით არიან გადაჯაჭვულნი, ძალიან კარგად ფინანსდებიან და დღევანდელი სახელმწიფო უწყებებიდან იღებენ ფულს. სანამ ოპოზიციური სპექტრი არ დაიწმინდება სახელმწიფო აპარატთან შეკრული ხალხისაგან, ყოველთვის იქნება ასეთი მითქმა-მოთქმა.

— **ამას წინათ გააკეთეთ განცხადება, გაისად პრეზიდენტი თავის პოსტიდან წავაო.**

— დარწმუნებული ვარ, თუ პარლამენტშიც ისეთივე ოპოზიციური ძალთა განლაგება იქნება, როგორიც საკრებულოშია, პრეზიდენტის იმპიჩმენტი გარდაუვალი იქნება. თუ არა და უნდა განხორციელდეს საკონსტიტუციო ცვლილება და პრეზიდენტის უფლებამოსილება პრაქტიკულად ნულზე უნდა დავიდეს. ასე რომ, რაც საკრებულოში განხორციელდა, იყო გენერალური რეპეტიცია იმისა, რაც 11 თვეში მოხდება საქართველოს მასშტაბით.

— **თქვენ არაფერი გითქვამთ განაწყენებულ „ახალ მემარჯვენეებთან“ ურთიერთობაზე.**

— გასულ კვირას ძალზე წყნარად და მშვიდად მუშაობდნენ. ამ ხალხს დასჭირდება დრო, რათა ოპოზიციაში დამკვიდრდნენ. თუმცა ამ პროცესში ჩაერია შევარდნაძე, ბოლო დროს პრეზიდენტმა დაიწყო მათი ქონების კონფისკაცია. რაც ხდება „ალდაგის“ და გქბ-ის გარშემო, სხვა არაფერია, თუ არა ქონების ჩამორთმევა. შევარდნაძემ ახლებს უთხრა, — ეს ქონება მე მოგეცით, რაკი უმადურები აღმოჩნდით, ყველაფერს წაგართმევთო. არ მგონია, შევარდნაძე ბოლომდე მართალი იყოს. ეს ახალგაზრდები კარგი ბიზნესმენები არიან, კონკურენტუნარიან გარემოშიც შეძლებენ მუშაობას, თუმცა აქამდე არასოდეს უმუშავიათ ასეთ გარემოში. როგორც მოიპოვეს, ისე კარგავენ ბევრ რამეს იმ უსამართლობის გამო, რომელიც დამკვიდრებულია ამ ქვეყანაში. უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, სადაც მათაც და ნებისმიერ მოქალაქესაც წარმატების თანაბარი შანსი ექნებათ. ისინი ახლა იბადებიან როგორც ბიზნესმენები და როგორც პოლიტიკოსები, ამ პროცესში დაიხვეწებიან, მათ მომავალს იმედით შევყურებ.

# „ჩვენ მაგათთან შედარებით პატარ-პატარა ვირთხუნიები ვართ“

## შევარდნაძეს ხარაგაულის გამგებლის დანიშვნა ვთხოვე, მაგრამ ვიცი, გადამაგდებს...

ბოლო დროს **ვახტანგ რჩეულიშვილი** პრეზიდენტს უჩვეულოდ დაუტკბა. ყოველ ოთხშაბათს მთავრობის სხდომაზე ცხადდება, შევარდნაძეს გვერდით უჯდება და კონსპირაციულად ეჩურჩულება. თუ რა სჭირს სოციალისტთა ლიდერს, ამის შესახებ „კვირის პალიტრამ“ ბატონი ვახტანგისგან ფრიად გულახდილი აღსარება მოისმინა.

— კანცელარიაში იმიტომ დავდივარ, პრეზიდენტი და მთავრობა ჩემი გზით წავიყვანო. იქ მისვლის „პრიჩინა“ კი მაქვს, ვიცე-სპიკერი ვარ და უნდა ვესწრებოდე იმ კანონპროექტების განხილვას, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს.

— **პრეზიდენტს ზედმეტი გაშინაურება არ უყვარს. არ გახსოვთ, კახა თარგამაძის შევარდნაძესთან ჩურჩული რა ცუდად დამთავრდა?**

— ჩემი უფრო ადრე დამთავრდა ცუდად. პატიაშვილი და ჟიული შარტავა მეუბნებოდნენ, შევარდნაძე მოგატყუებსო. არც ვიცი, რატომ აღმოვჩნდი ისტორიის სანაგვეზე, არადა პირიქით კი ვემუქრებოდი. თავიდან ვნერვიულობდი, მაგრამ მერე გადავხარშე. შევარდნაძე არასოდეს ითვალისწინებს სხვის ინტერესებს. ჩვენ პაიკებივით ვჭირდებით თავისი თამაშისთვის. დღეს მისგან არაფერს ველი.

— **აბა, რატომ ეჩურჩულებოდით?**

— პირდაპირ გეტყვით, მთავრობის სხდომაზე გვერდით რომ მივუჯექი შევარდნაძეს, ხარაგაულის გამგებლად ჩემი პარტიის წევრის დანიშვნა ვთხოვე. 6 თვეა შაშიაშვილის ინტრიგების გამო იქ გამგებელი არ არის. ხომ დაინახეთ, რა ტკბილად მეჭუკჭუკებოდა, მაინც არ გამიკეთა საქმე, — გადავწყვიტოთ, მაგრამ შაშიაშვილსაც შევუთანხმოთო... ვიცი, ახლაც გადამაგდებს, მაგრამ დასაკარგი არაფერი მაქვს.

**ერთი პერიოდი იყო, შევარდნაძე ყველას განწირული ეგონა, კრუჩკოვმა ძალიან გააკრიტიკა. თითქოს უნდა დაეცურებინათ კიდეც, მაგრამ მოახერხა როგორღაც, რომ მისი საკითხის განხილვა გადაედოთ, მესამე დღეს კი გორბაჩოვის მაგიდაზე კრუჩკოვზე ეწყო კომპრომატები.**

— **ერთხანს ამტკიცებდით, — დავსერიოზულდიო, მაგრამ ბოლოდროინდელ საპარლამენტო ჩხუბში არცთუ სერიოზულად გამოიყურებოდით.**

— მესმის, სწორი შენიშვნაა... რაც მამა გარდამეცვალა, ოჯახი ჩემს კისერზეა და გაგრძელებული ბავშვობის ხანაც დამისრულდა. დასერიოზულების მიზეზი ეს არის. ჩხუბის დროს კი გამოვხატე პროტესტი სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივების გამო. თვალწინ დამიდგა ზვიადის პერიოდი, ჯაბა, იარაღი...



— **მაგრამ რა დააშავა ნოდარ გრიგალაშვილმა?**

— საკრებულოს არჩევნები რომ მოიგეს „ნაციონალებმა“ და მერიაში შეცვივდნენ, მერე მთაწმინდაზე ავიდნენ და გრიგალაშვილმა გამოაცხადა — „თბილისი შევარდნაძის და რჩეულიშვილის გარეშეო“. ოჯახთან ერთად ვუყურებდი ამ დროს ტელევიზორს. ტვინში სისხლმა ამასხა. შევარდნაძეს ჯარი, პოლიცია და ამერიკა იცავს, მე კი მარტო ვარ. წარმოვიდგინე, რომ ჩემზე დაიწყებოდა შეტევა. ამის მთქმელი კაცი მეორე დღეს რომ დავინახე, ვეღარ მოვითმინე. ოჯახის წინააღმდეგ გამოხატულ წამოსულ აგრესიას ყოველთვის შევებრძოლები, არა, გრიგალაშვილს და მისთანებს წავალეკვინებ თავს! ჩხუბიც იმიტომ მოხდა პარლამენტში, რომ ყველამ დაინახა საშიშროება — თბილისში ახალი წამლეკავი ტალღა მოდისო.

— **ვფიქრობ, გულახდილი მაინც არ ხართ. კანცელარიაში თქვენს სიარულს კულუარებში იმით ხსნიან, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში გინდათ გადანაცვლება.**

— არ გამოვრიცხავ აღმასრულებელ ხელისუფლებაში არჩევნების შემდეგ მოვიდე. იქ რომ რაიმეს გაკეთება შევძლო, კანცელარიის სიტუაციას უნდა ვფლობდე, პრინციპში სწორია თქვენი შენიშვნა — იქ ინფორმაციის მიღების მიზნით დავდივარ. შევარდნაძე დიდი სკოლაა — სხვა საქმეა, დადებითი თუ უარყოფითი. გეტყვით, ხელისუფლების ტექნოლოგია მინდა ამოვხსნა, რაც ძალიან კარგად იცის შევარდნაძემ, კაცს იმხელა პოლიტბიურო დაჰყავდა თავის ჭკუაზე, ხუმრობა ხომ არ არის?! ძალიან ნაწყენი ვარ რუსებზე, ჟურნალი გამოსცეს შევარდნაძეზე „ვირთხისტყაოსანი“. შევარდნაძე ვირთხისტყაოსანი არ არის, სამაგიეროდ, ერთი პარალელის გავლება შეიძლება „დათა თუთაშხიასთან“. ხომ გახსოვთ კაციჭამია ვირთხების გამოყვანის ამბავი. ისეთივე ჭამა იყო პოლიტბიუროში. იმ სკოლაში გამოიბრძმედა შევარდნაძე.

— **ანუ ის კაციჭამიაა?**

— ყველანი, პოლიტბიუროს წევრები, მასეთები არიან. ჩვენ მაგათთან შედარებით პატარ-პატარა ვირთხუნიები ვართ. ერთი კბილი რომ გაგვკრან, გაგვაქრობენ.

— **ეი. შევარდნაძისგან ესეც გინდათ ისწავლოთ?**

— რასაკვირველია, სერიოზულად მაინტერესებს ძალაუფლების ტექნოლოგია და ამას შევარდნაძისგან ნამდვილად ისწავლი მონდომებული კაცი. შევარდნაძეს რუსეთის „კგბ“ — კრუჩკოვი უპირისპირდებოდა და მაინც ვერაფერს გახდა.

ერთი პერიოდი იყო, შევარდნაძე ყველას განწირული ეგონა, კრუჩკოვმა ძალიან გააკრიტიკა. თითქოს უნდა დაეცურებინათ კიდეც, მაგრამ მოახერხა როგორღაც, რომ მისი საკითხის განხილვა გადაედოთ, მესამე დღეს კი გორბაჩოვის მაგიდაზე კრუჩკოვზე ეწყო კომპრომატები. კერძოდ, ეს იყო კრუჩკოვის გამოსვლები და საუბრები, სადაც მიწასთან იყო გასწორებული გორბაჩოვის „პერესტროიკა“ და „გლასნოსტი“. ასე გააგორა შევარდნაძემ ერთ დღეში კგბ-ს თავმჯდომარე. ამიტომ მეცინება, ოპოზიცია რომ ეძახის, პრეზიდენტს — ჩაუშესკუო! მე კი არა, უცხოეთში პრეზიდენტების რიგი უდგას ხოლმე შევარდნაძეს, არა მე დამელაპარაკე, არა მეო...

*გვერდი მოამზადა*
*იზო რიკაძემ*

# რა უნდოდა გოგიტიძეს მექუდიშვილის დაკრძალვაზე?

გასულ კვირას „აღორძინების“ ლიდერი **ჯემალ გოგიტიძე** პიტერ შოუს გათავისუფლების ოპერაციის დროს დაღუპული ზურა მექუდიშვილის, მეტსახელად „ტაშკენტას“ დაკრძალვას დაესწრო. ეს უცნაური ჟესტი აჭარის წარმომადგენელმა იმით ახსნა, რომ მექუდიშვილი „აღორძინების“ აქტიური მხარდამჭერი იყო.

— **ბატონო ჯემალ, როგორც მითხრეს, პიტერ შოუს გათავისუფლების ოპერაციისას მოკლული მექუდიშვილის დაკრძალვაზე ბრძანდებოდით პანკისში. ცოტა უცნაურია. იცნობდით მას?**

— არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ არსებობდა ვინმე მექუდიშვილი, ვინც არ დაუშვა სოფელ მატანში 2002 წლის 3 ივნისს არჩევნების გაყალბება. ამის შედეგად მოსახლეობამ თავისი პოზიცია დააფიქსირა — მათ ხმა მისცეს „აღორძინებას“ და შესაბამისად დღეს მატნის საკრებულოში „აღორძინების“ წარმომადგენლები არიან.

— **„აღორძინების“ წევრი იყო ეს პიროვნება?**

— არ იყო. უბრალოდ, ეს იყო პიროვნება, რომელსაც არ სურდა, რომ თავის სოფელში გაყალბებულიყო არჩევნები.

— **ამ პერიოდში ის უკვე აღარ მუშაობდა ძალოვან სტრუქტურაში...**

— ეს არასწორი ინფორმაციაა. იგი ამ პერიოდში ასრულებდა უშიშროების სამინისტროსა და შს სამინისტროს ცალკეულ დავალებებს. მას თავად უშიშროების მინისტრის მოადგილე ალასანია ჰპირდებოდა საკმაოდ მაღალ თანამდებობას უშიშროების სისტემაში.

— **თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ვერსია — ის იყო აგენტი, მართალია?**

— საუბარია იმაზე, რომ ის შტატგარეშე მუშაობდა სოფ. მატნის პოლიციის რწმუნებულად და პარალელურად ასრულებდა უშიშროების დავალებებს. გარდა ამისა, ალასანია მობილურ სატელეფონო მონობარათებს უგზავნიდა, სხვადასხვა დავალებას აძლევდა რაიონის უშიშროების ხელმძღვანელი ოტიაშვილიც. ასე რომ, ის იყო არა აგენტი, არამედ უშიშროების წარმომადგენელი. მან ყველაფერი იცოდა, რაც პანკისის ხეობაში ხდებოდა, იცოდა ასევე ქართველი სამართალდამცველების მიერ იარაღით უკანონო ვაჭრობის შესახებაც. ფლობდა ინფორმაციას ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებაც პანკისის ხეობაში და ამიტომ მოიცილეს. ხოლო პიტერ შოუს გათავისუფლებას რომ დაამთხვიეს ეს მკვლელობა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ დადგმული სპექტაკლი იყო. მისი ახლობლები ირწმუნებიან, რომ „ტაშკენტამ“ იცოდა ყველაფერი დეტალურად, იცოდა ისიც, რომ უშიშროების დავალებით შოთა ჭიჭიაშვილის გატაცებული იყო პიტერ შოუ. ამის გამო თავად ჭიჭიაშვილი უშიშროებამ გადაკეთებული მონაცემებით ამერიკაში გაუშვა.

— **რატომ უნდა დაევალებინა უშიშროებას ჭიჭიაშვილისთვის შოუს გატაცება?**

— თუ ლოგიკურად გავყვებით, საქართველოს ხელისუფლებამ პიტერ შოუს მეშვეობით 40 მილიონით დააყაჩაღა ევროპის საბჭო, იმ 40 მილიონით, რომელსაც საქართველო შოუს გათავისუფლების შემდეგ მიიღებს...

— **თქვენ ამბობთ, რომ მექუდიშვილს პირადად არ იცნობდით და ის იყო „აღორძინების“ მხარდამჭერი. ასეთ შემთხვევაში თავისუფლად შეგეძლოთ, სამძიმარზე არ წასულიყავით. ცოტა უცნაურია თქვენი ნაბიჯი...**

— და მაინც, რატომ წავედი არა?.. მაინტერესებდა მოსახლეობის დამოკიდებულება. მაინტერესებდა, იქნებოდა თუ არა პანაშვიდზე სოფელი. რაც იქ ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს ადამიანი სარგებლობდა თურმე ძალიან დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით თანასოფლელებსა და თანარაიონელებში. მაგალითად, მიამბეს, რომ ის ეხმარებოდა მოსახლეობას საქონლის გატაცების ან ქურდობის ფაქტების გამოვლინებაში. ყოფილა შემთხვევა, გაუტაციათ ნახირი. გამოსდევნებია ზურა და იმისათვის, რომ ქურდებისთვის გზა გადაეჭრა და მიესწრო დროზე, ყინულივით ცივი წყალი გადაუცურავს. ამის გამო, თურმე რამდენიმე თვე მკურნალობდა. აი, ასეთი თავდადებული კაცი იყო და სოფელსაც ამიტომ უყვარდა. ეს დავინახე პანაშვიდზე მოსული ხალხის რაოდენობით. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა დაკრძალვაზე ნანახი ხალხის ემოციების შემდეგ, რომ „ტაშკენტა“ არაფერ შუაში იყო პიტერ შოუს გატაცებასთან.

— **როგორც ამბობთ, თუ მან იარაღისა და ნარკოტიკების ბიზნესის ირგვლივ ბევრი რამ იცოდა, ე.ი. ის სჭირდებოდათ და ამიტომაც ახედებდნენ ამ საქმეში. მაშ, რა მოხდა ისეთი, რომ ის უნდა მოეკლათ?**

— როგორც ჩანს, „ტაშკენტასაგან“ ამ ეტაპზე მათ სერიოზული საფრთხე იგრძნეს. ეს ჩემი ვარაუდია. როდესაც მის სახლში შევედი, დავრწმუნდი, რომ „ტაშკენტა“ ფულის მკეთებელი კაცი არ იყო და ფულის გულისთვის არაფერს გააკეთებდა. ეკონომიურად უჭირდა. წვიმის დროს წყალი ჩამოგვდისო, შემომჩივლეს. ამდენად, თუ „ტაშკენტა“ ამ ოპერაციებში მონაწილეობდა, ყველაფრის საქმის კურსში იყო, ბუნებრივია, ოპერაციებიდან წილი უნდა მიეღო. უშიშროება მუშაობს მიზანდასახულად. ჯერ ერთ ლარს მისცემს, მერე — 2 ლარს და ა.შ. თუ ადამიანი ხდება იარაღით ვაჭრობის მოწმე, მას ან ფულს აძლევენ, ან — კლავენ, ან აწინაურებენ. ფაქტია, რომ მას მხოლოდ ჰპირდებოდნენ და არაფერი გაუკეთეს.

— **მისი მეუღლე საკმაოდ მწვავედ საუბრობს...**

— მასთან არ მისაუბრია. როდესაც მივედი, დედამ მომატირა — ჩვენ გახლდით ბათუმში და ამის შემდეგ ჩვენზე ზეწოლა გაიზარდაო. წარმოიდგინეთ, ამ ერთმა კაცმა შეძლო, რომ სოფელ მატანში არ გააყალბებინა არჩევნები. ეს საკმაოდ სერიოზული ფაქტია.

— **ალბათ, მარტო არ ჩახვიდოდით...**

— მარტო ვიყავი.

— **რატომ არავინ წაიყვანეთ „აღორძინებიდან“?**

— რატომღაც არ მომსვლია აზრად.

— **დაუჯერებელია, რომ მარტო წახვედით მის დაკრძალვაზე და არ იცნობდით...**

— თქვენ თუ იმას ფიქრობთ, რომ საქმიანი ურთიერთობა გვქონდა, ბუნებრივია, დავიმალებოდი და არ მივიდოდი.

— **ოჯახი თუ აპირებს სასამართლოში ჩივილს, ან რაიმე კომპენსაციის მოთხოვნას...**

— ვის?! შევარდნაძეს უჩივლოს შევარდნაძესთან?! ან ვის მოსთხოვოს, შევარდნაძეს შევარდნაძისგან?! ჩვენს ქვეყანაში არსებობს რაიმე კანონი?!

— **თქვენი ვიზიტის გამო თუ დაინტერესდნენ ძალოვნები. რაიმე ზარი ხომ არ ყოფილა?**

— როგორ ფიქრობთ, ახლა მე ჩვენებებს მივცემდი ოფიციალურ სტრუქტურებს?! არც არანაირი ზარი არ ყოფილა და ისინი ჩემგან ზუსტად იმას გაიგებენ, რაც გითხარით. ასე რომ, შეუძლიათ წაიკითხონ.

*ჩვენი სამართალდამცველები რასაც იპარავენ და სახლში მიაქვთ, უკან გამოტანა აღარ სურთ. ოპერაციას კი ფული სჭირდება. იმ აგენტს ფული უნდა მისცე. თუ აგენტი იყო „ტაშკენტა“, მისთვის უნდა მიეცათ შესაბამისი ანაზღაურება, რათა ჭერიდან წყალი არ ჩამოსვლოდა. ანაზღაურება რომ მიეცათ, თვითონაც მშვიდად იქნებოდნენ და შიში აღარ ექნებოდათ, რომ ამ ამბავს სადმე იტყოდა და ა.შ. ქართული სიხარბე — უმსგავსო საქციელით. სხვა არაფერი არ ჰქვია ამას.*

***მარინა მამისაშვილი***

**სამხედრო თემაზე**

# პანკისში ტერორისტებისთვის ყველაზე ეფექტურ და სასურველ იარაღს პოულობენ



ვერა და ვერ მოვაბით თავი ქართული არმიისთვის უკრაინაში საჰაერო თავდაცვის სისტემების შესყიდვის საქმეს. პოლიციელები კი სასროლად გამზადებულ „სტრელებს“ პანკისის ხეობის სოფლებში, სარდაფებში პოულობენ.

მადლობა ჩეჩნებს, რომ სამშობლოში დაბრუნებისას საბრძოლო იარაღი მაინც გვაჩუქეს. კერძოდ: 5,4 მმ კალიბრის ავტომატის ათი ათასი ვაზნა, 85 ცალი 200-გრამიანი ტროტილის ბრიკეტი. 15 ავტომატი და უმართავი საავიაციო რაკეტების (Нурс-ები, როგორც მას ხალხში ეძახიან) გასაშვები დანადგარები. ნარჩემაშვილი და თევზაძე რომ უწყებრივ ბარიერებს გადალახავდნენ, ამ იარაღით ქართულ არმიას ასე თუ ისე, გავაძლიერებდით.

თევზაძეს ალბათ პოლიციელი კოლეგისგან ასევე პანკისში აღმოჩენილი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექს ФАГОТ-ის დანადგარის და, რაც მთავარია, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო სისტემა Стрела-2M-ის სამი კომპლექსის ფეშქაშად მიღება უფრო გაუხარდება.

ეტყობა, ჩეჩნებმა შეგნებულად დაგვიტოვეს Стрел-ები — ქართველი მეზენიტეები ავარჯიშეთ, თორემ სირცხვილია, ბოლო სამი წლის განმავლობაში 38 რუსული შვეულმფრენი ჩამოვაგდეთ, თქვენ კი მხოლოდ გულში მჯიღს იცემთ და შურდულების იმედზეღა ხართო.

Фагот-ისა და Стрела-ს პანკისის ხეობაში აღმოჩენა კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ბოლო პერიოდში ზუგდიდიდან და ცხინვალიდან მომავალ მანქანებში დაკავებული ამ ტიპის იარაღი სწორედ პანკისის ხეობაში ჩასატანად იყო განკუთვნილი.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები (როგორიცაა Игла და Стрела) და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსები (Фагот-ი, Конкурс-ი), უბრალო იარაღის სახეობები როდია — მათ გამოყენებას შეიძლება დიდი პოლიტიკური კატაკლიზმები მოჰყვეს, საერთოდ შეიცვალოს ქვეყნის პოლიტიკური კურსი, რადგან Стрела-თი და Фагот-ით განხორციელებულ ზუსტ ტერორისტულ აქტს თავდამსხმელებისთვის სასურველი შედეგი თითქმის ყოველთვის მოაქვს.

# უკრაინულ-ამერიკული დაპირისპირება გრძელდება

## Êîëü÷óãà-მ ვაშინგტონი კიევს გადაამტერა



**Êîëü÷óãà-ს ერთ დანადგარს უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე მთელი საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემას**

„კვირის პალიტრა“ ერთი თვის წინ უკვე წერდა იმ საერთაშორისო სკანდალზე, რომელიც უკრაინის მიერ ერაყისთვის თანამედროვე რადიოელექტრონული დაზვერვის საშუალებების მიყიდვის ბრალდების შემდეგ წარმოიშვა.

განვლილ პერიოდში 13-კაციანმა ამერიკულ-ბრიტანულმა საექსპერტო ჯგუფმა (მასში, ტექნიკური სპეციალისტების გარდა, გამოცდილი მზვერავებიც შედიოდნენ) დაასრულა საინსპექციო სამუშაოები უკრაინაში, კერძოდ კი ქ. დონეცკის ქარხანა „ტოპაზში“, სადაც უკვე ყბადაღებულ Êîëü÷óãà-ს აწარმოებენ.

მართალია, ამ უცხოურმა საინსპექციო ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა ერაყისთვის მისი მიყიდვის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები, მაგრამ თეთრ სახლს გააჩნია უკრაინის პრეზიდენტ კუჩმას ხმის მაგნიტოფონური ჩანაწერი (კუჩმას კაბინეტში დივანქვეშ დიქტოფონი მისმა ყოფილმა დაცვის ოფიცერმა ჩამალა. იგი ამჟამად ამერიკას აფარებს თავს): უკრაინის პრეზიდენტი Êîëü÷óãà-ს ერაყში გაყიდვის ნებას იძლევა. აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვევრო სამმართველომ რამდენჯერმე მოახდინა პრეზიდენტ კუჩმას ხმის მაგნიტოფონური ჩანაწერის ექსპერტიზა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ხმა მართლაც მისია.

რაღა დასამალია და, რუსეთის სპეცსამსახურები აქტიურად აღვივებენ ამ კონფლიქტს უკრაინასა და აშშ-ს შორის, რის გამოც თეთრმა სახლმა ამ ეტაპზე უკრაინას 230 მლნ დოლარის დახმარებიდან უკვე ჩამოაჭრა 54 მლნ.

რუსული სპეცსამსახურები კი ავრცელებენ ინფორმაციას, Êîëü÷óãà-ს სამი კომპლექსი უკრაინელებმა სადამ ჰუსეინს 100 მლნ დოლარად მიჰყიდესო. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ გაყიდვა იორდანიის შუამავლობით მოხდა და თანაც, რაც ყველაზე საეჭვოა, „უკრსპეცექსპორტის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ვალერი მალევი (რომელმაც, სავარაუდოდ, ეს კონტრაქტი განახორციელა) მალე ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ისე, მკითხველისთვის მნიშვნელოვანი იქნება ის ინფორმაცია, რომ საქართველოსთვის საზენიტო რაკეტების მიყიდვა სწორედ „უკრსპეცექსპორტის“ დახმარებით უნდა განხორციელდეს.

თავად Êîëü÷óãà-ს შესაძლებლობებზე წინა სტატიაში დაწვრილებით ვწერდით, თუმცა ჩვენი მკითხველი მაინც დაინტერესდა მისი სრული შესაძლებლობებით, ამიტომაც დავუმატებთ — Êîëü÷óãà-ს ოფიციალურად ეწოდება „რადიოელექტრონული მდგომარეობის კონტროლის მოდერნიზებული პასიური სადგური“. რეალურად კი განკუთვნილია სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამიზნეების კოორდინატებისა და მოძრაობის მარშრუტების აღმოსაჩენად და დასადგენად. ამისთვის იგი აღჭურვილია მეტრული, დეციმეტრული და სანტიმეტრული ოთხი პასიური მოქმედების (ანუ ეს ანტენები მხოლოდ გამოსხივებული რადიოტალღების მიღებაზე მუშაობენ) ანტენით, რომლებიც 200 (ახლო მოქმედების ზონა) — 600 (შორი მოქმედების ზონა) კმ-ის დიაპაზონში აღმოაჩენენ დღეისათვის მსოფლიოში არსებულ ნებისმიერ აქტიურ რადიოტექნიკურ საშუალებას (რადიოგადამცემები, საბორტე რადიოლოკატორები, სისტემები: „ჩემი — სხვისი“ და სხვ.), რომლებიც დგას ტანკებზე, საზღვაო ხომალდებსა და თვითმფრინავებზე.

პენტაგონს განსაკუთრებით „აცოფებს“ ის ფაქტი, რომ უკრაინულ Êîëü÷óãà-ს შეუძლია ამერიკული „სტელსის“ ტექნოლოგიით დამზადებული, აქტიური რადიოლოკატორების მიერ ძნელად შესამჩნევი B-2 სტრატეგიული ბომბდამშენისა და F-117A დამრტყმელი თვითმფრინავის აღმოჩენა საკმაოდ შორ მანძილზე. ეს კი ამერიკული „ღირსების“ შელახვაა — პენტაგონი ხომ დღემდე სულ ტრაბახობდა — ჩემი „უხილავი“ თვითმფრინავების აღმოჩენა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვას არ შეუძლიაო.

Êîëü÷óãà-ს კიდევ ერთი უპირატესობაა მისი პასიური მოქმედების პრინციპი, რაც ამერიკელ პილოტებს საშუალებას არ მისცემს, იგი აღმოაჩინონ და გაანადგურონ. ჩვეულებრივი რადიოლოკატორები კი აქტიურ ფაზაში მუშაობენ, ანუ გამოასხივებენ რადიოტალღებს, რასაც აფიქსირებენ ამერიკული თვითმფრინავები და ამ რადიოლოკატორების მიმართულებით სპეციალური დანიშნულების „ჰაერი-რადიოლოკატორი“ კლასის „შრაიკის“ ტიპის მართვად რაკეტებს წარმატებით უშვებენ.





NATO-ში ქართული დროშის აფრიალებას წინ არმიის გადარჩენა უნდა უძღოდეს

# NATO-ში დაშლილი ჯარით?!

**„ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“ სამხედრო ბიუჯეტის შესრულებას ვერ ახერხებენ**

მუდმივად გაჭირვებული საქართველო თავის არმიასაც გერივით ექცევა. არცაა გასაკვირი — არაპროფესიონალი ხელისუფალნი, რომელთა მცდელობა მხოლოდ საკუთარი სკამების შენარჩუნებასა და დაუსრულებელ ინტრიგებს ხმარდება, არმიისთვის ვერ იცლიან.

14 ნოემბერს თავდაცვის სამინისტროში გაიმართა გაფართოებული სამხედრო საბჭო, სადაც გენერალიტეტის წარმომადგენლები საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის პირველ პირებს — კიდევ ერთხელ უხსნიდნენ, თუ რა შავ დღეში არიან შეიარაღებული ძალები.

ფაქტობრივად, სახალხოდ, საჯაროდ ცდილობდნენ იმ პრობლემების მოგვარებას, რაც, წესით, სულ ოთხი მამაკაცისა და ერთი ქალბატონის ვიწრო წრეში აქამდეც უმტკივნეულოდ უნდა გაკეთებულიყო, კერძოდ კი, ეს ერთობლივად უნდა მოეწესრიგებინათ პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, ფინანსთა მინისტრს, თავდაცვის მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს.

ამის მაგივრად თავდაცვის სამინისტრო სახალხოდ კვლავ მისტირის ბიუჯეტიდან მიუღებელ თანხებს და პარლამენტს კვლავ შეახსენებს იმ მითს, — სახელად 11 მლნ ლარს, რომელიც, მართალია, ამ მთავარმა საკანონმდებლო ორგანომ გამოუყო ასევე მთავარ სამხედრო უწყებას, მაგრამ თვალით არავის უნახავს.

ყველაფერში დამნაშავე კი, თურმე არც ფინანსთა სამინისტროა და არც პარლამენტი, არამედ ის რუსი პილოტები, რომლებმაც შეწყვიტეს ქართული მიწის დაბომბვა! ორი-სამი კვირა მაინც რომ გაეგრძელებინათ, აღმასრულებელი ხელისუფლება, ალბათ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მაინც, როგორღაც გამოუყოფდა ამ ავადსახსენებელ 11 მლნ ლარს გენერალ თევზაძის უწყებას.

ასე რომ, კრემლმა მორიგ ხრიკს მიმართა და დროზე ადრე შეწყვიტა საქართველოს დაბომბვა. ასეთმა ვერაგულმა გადაწყვეტილებამ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კრახის წინაშე დააყენა!

ეს ყველაფერი მწარე ხუმრობაა. რეალურად კი ძნელი დასაჯერებელია, დღევანდელი ფინანსთა მინისტრი იმ დონის ფიგურა იყოს, თავადვე უარყოფდეს პარლამენტის გადაწყვეტილებას, უბრალოდ, იგი უშუალოდ პრეზიდენტის დავალებას ასრულებს. მაგრამ საოცარი სხვა რამეა: საქართველოს პრეზიდენტი ხომ ქვეყნის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალიცაა? განა მის მოვალეობაში არ შედის სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა?

ამის ფონზე ძალიან უცნაურად ჩანს პრეზიდენტი-უმაღლესი მთავარსარდლის გადაწყვეტილება — პრაღაში NATO-ს სამიტზე გამოაცხადოს საქართველოს სურვილი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის შესახებ. ეს შესანიშნავი პოლიტიკური ნაბიჯია და ეტყობა, მომავალში მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს სუვერენიტეტის უსაფრთხოებას, მაგრამ NATO ხომ მარტო პოლიტიკური ორგანო არ არის? იგი მსოფლიოს უმსხვილესი სამხედრო ბლოკიცაა, რომელიც რაღაცით მსოფლიოში უძლიერეს ფეხბურთის გუნდსაც წააგავს. რომელი მწვრთნელი შეიყვანს ძირითად შემადგენლობაში შიმშილით გასავათებულ ფეხბურთელს, რომელსაც დახეული ბუცები, ჩამოფხრეწილი მაისური აცვია და მინდორზე სირბილი კი არა, ნაბიჯის გადადგმა უჭირს?

განა შემთხვევითი იყო, რომ რამდენიმე დღის წინ ამერიკელ სამხედრო ექსპერტთა ერთმა ჯგუფმა აშშ-ის თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდს დაჟინებით ურჩია, თავი შეეკავებინათ პრაღის სამიტზე NATO-ს რიგებში ლატვიის, ბულგარეთისა და სლოვენიის მიღებაზე, რადგან ეს ქვეყნები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ საჭირო პარამეტრებს და არც ეროვნული სამხედრო ბიუჯეტები გაუზრდიათ.

დღეს, სამწუხაროდ, ასე გამოიყურება სახელმწიფოსგან მიტოვებული ჩვენი არმიაც, რომელიც ძირითადად უცხოური დახმარებებით სულდგმულობს.

ამაში დამნაშავე კი მარტო პრეზიდენტი-უმაღლესი მთავარსარდალი, მისი მინისტრები, პარლამენტი თუ გენერალიტეტი როდია, ჩვენი საზოგადოებაცაა, რომლისთვის ჯარში სამსახური ციხეში ჯდომას უტოლდება.

## ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა... ან მათ სამხრეებზე ვარსკვლავები...

ტელემაყურებელი გაოგნებული დარჩა, როდესაც ქართველი გენერლების სამხრეებზე მომრავლებული ვარსკვლავები დათვალეს ეკრანზე — თურმე გენერალ-პოლკოვნიკებიც გვყოლია და ამას გვიმალავდნენო, — საზღვარი არ ჰქონდა მათ აღშფოთებას.

ბევრმა მათგანმა არც „კვირის პალიტრის“ რედაქციაში დარეკვა დაიზარა იმის გასარკვევად, თუ საიდან გაგვიჩნდა ერთ ღამეში ამდენი გენერალ-პოლკოვნიკი, გენერალ-ლეიტენანტი და გენერალ-მაიორი.

სამწუხაროდ, მკითხველს ეს სიხარული უნდა ჩავუშხამოთ, საქართველოს სამხედრო ძალებს დღემდე არ ჰყავს გენერალ-პოლკოვნიკის ჩინის სამხედრო.

გენერლების სამხრეებზე ვარსკვლავთა რიცხვი კი, მათივე დაჟინებული მოთხოვნით პარლამენტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გაამრავლა — ამიერიდან გენერალ-მაიორის სამხრეებს ერთი ამოქარგული შვიდქიმიანი ვარსკვლავის ნაცვლად, ორი დაამშვენებს, გენერალ-ლეიტენანტისას კი ორის ნაცვლად — სამი. სამაგიეროდ, შემოიღეს ახალი სამხედრო წოდება — ბრიგადის გენერალი, მას ერთი ვარსკვლავი ექნება სამხრეზე ამოქარგული.



**გენერალთა სამხრეებზე ვარსკვლავების დამატებით ამოქარგვა არმიას პრობლემას რომ უხსნიდეს...**

ბრიგადის გენერლის წოდება ერთგვარ გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს, მას სამი წლის ვადით მიანიჭებენ ბრიგადის მეთაურებს და მათთან გათანაბრებულ სხვა სამხედრო ჩინებს. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი მათ ან მიანიჭებენ გენერალ-მაიორის წოდებას, ანდა ხახამშრალს დატოვებენ.

ძნელი სათქმელია, რა აუცილებელი იყო ამ ახალი სამხედრო წოდების დაწესება (სხვათა შორის, იგი ვრცელდება არა მარტო თავდაცვის სამინისტროზე, არამედ სამხედრო ძალების სხვა კომპონენტებზეც). პირადად სტატიის ავტორი ძალიან ეჭვობს მისი შემოღების საჭიროებაზე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მთლიანად სამხედრო ძალებს ბევრი უფრო მეტად საჭირბოროტო პრობლემა აწუხებს.

თუმცა, რას ვერჩით ჩვენს გენერლებს, დაე გაიხარონ: თუ სხვა, „მესამე ქვეყნების“ არმიებსაც კი, ვერ ვუახლოვდებით შეიარაღების დონით, ჩვენი გენერლები მაინც ნუ ჩამორჩებიან სამხრეებზე ვარსკვლავების რაოდენობით!

# რა შეუძლიათ სომხეთის და აზერბაიჯანის არმიებს?

**მინისტრი თევზაძე რეალურ საფრთხედ სომხეთისა და ყარაბაღის არმიების სიძლიერესაც მიიჩნევს**

14 ნოემბრის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე საჯაროდ პირველად შეეხო იმ საფრთხეს, რომელიც მარტო ჩრდილოეთიდან, რუსეთის მხრიდან როდი გვემუქრება.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანთანაც და სომხეთთანაც ასე თუ ისე, ნორმალური დამოკიდებულება გვაქვს, ბუნებრივია, არ არის გამორიცხული მათი მხრიდან რაიმე სამხედრო საფრთხის შესაძლებლობა, მით უმეტეს, რომ საერთო საზღვრების დემარკაცია დღემდე არ დასრულებულა.

ამაში არაფერი პროვოკაციული ან ზედმეტი არ გახლავთ, რადგან სავარაუდოდ, არც ბაქო და არც ერევანი ბოლომდე არ გამორიცხავენ თბილისურ საფრთხეს.

შეიძლება მინისტრ თევზაძის გულახდილობამ პოლიტიკოსების დიდი ნაწილი და საზოგადოების გარკვეული ფენებიც ააღელვა (განსაკუთრებით კი მინისტრის ამ ნათქვამმა — სომხეთისა და ყარაბაღის არმიები რომ გაერთიანდნენ, საზღვრიდან 80 კმ-ში მყოფი თბილისი ასეთი დაფინანსებით როგორ დავიცვათო!), ამიტომაც მკითხველს უთუოდ დააინტერესებს, თუ რა სამხედრო პოტენციალის მქონე გახლავთ დღეისათვის მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი.

2002 წლის შუა პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკის არმია 69.996 კაცს ითვლიდა. მის შეიარაღებაში იყო 220 ერთეული საბრძოლო ტანკი, აქედან 100 ცალი T-55 და 120 T-72 ტიპისა. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანები აზერბაიჯანელებს 210 ცალი ჰყავთ, აქედან 28 ცალი მედესანტეთა საბრძოლო მანქანა БМД-1, ქვეითთა საბრძოლო მანქანა — БМП-1 — 44 ერთეულია, БМП-2 — 41 ცალი, БМП-3 კი ერთი ცალი. 21 საბრძოლო-სადაზვერვო მანქანა □□□-1□, 25 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი БТР-70 და 11 БТР-80, ამდენივეა მუხლუხებიანი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-□.

აზერბაიჯანულ არმიაში ირიცხება ჯავშანტრანსპორტიორებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების მსგავსი 556 ერთეული მანქანა, საიდანაც 393 ცალი შეჯავშნული გამწევი МТ-ЛБ-ია.

არტილერიის რაოდენობითაც აზერბაიჯანელები შთამბეჭდავად გამოიყურებიან — 282 ერთეული (აქედან 38 ცალი თვითმავალი საარტილერიო დანადგარია). მათ განკარგულებაშია აგრეთვე ტანკის ბაზაზე შექმნილი 8 ცალი ხიდდამგები.

საბრძოლო ავიაციაში აზერბაიჯანელთა უპირატესობა ორ მეზობელ ქვეყანასთან შედარებით ძალზე თვალში საცემია — 107 თვითმფრინავი და 34 შვეულმფრენი. შეიძლება ყველა მათგანი ამ წუთში ვერ დაფრინავდეს, მაგრამ როდესაც ქვეყანას შეიარაღებაში ჰყავს 45 ზებგერითი გამანადგურებელი МиГ-25 და 15 დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-24, ეს არც ისე ცოტას ნიშნავს.



ქართველი მეომრები მეზობლებს ვაჟკაცობით არ ჩამოუვარდებიან, ოღონდ სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს მათზე ხანდახან მაინც

სომხეთის არმიის შეიარაღება ნაკლებად მრავალრიცხოვანია, მაგრამ ჩვენთვის უსათუოდ გასათვალისწინებელი. სომხური არმია ამჟამად თავის რიგებში 44.618 კაცს ითვლის. აქვს 110 ტანკი (აქედან 102 ცალი □-72-ია), 110 ჯავშანმანქანა (აქედან 80 БМП-1), 131 ერთეული ჯავშანმანქანის მსგავსი, 229 საარტილერიო სისტემა (28 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი და ამდენივე მსხვილკალიბრიანი ჰაუბიცა), 4 ხიდდამგები, 8 საბრძოლო თვითმფრინავი (ერთი აზერბაიჯანელებისთვის მოპარული МиГ-25, 5 მოიერიშე Су-25, მათგან ერთი ქართველებს მოჰპარეს და 2 სასწავლო L-39) და 29 შვეულმფრენი (მათ შორის 12 დამრტყმელი Ми-24, 6 სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8МТ და 9 Ми-2).



ეულად დარჩენილი ტყვიამფრქვევები პატრონებს ელიან, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდა კი თითქმის აღარავის სურს

როგორც თავდაცვის მინისტრმა თევზაძემ აღნიშნა, ყარაბაღის არმია, ფაქტობრივად, სომხურია და მათი გაერთიანება ჩვენს წინააღმდეგ, სულაც არ არის გამოსარიცხი.

მთიანი ყარაბაღი ისეთივე „თეთრი ლაქაა“, როგორიც ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი თუ დნესტრისპირეთი. მის არმიაზე ზუსტი ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთულია, თუმცა უნდა ჰყავდეს 25 ათასამდე მებრძოლი, რომლის შეიარაღებაშიც 300 ერთეულზე მეტი მძიმე ტექნიკა და საარტილერიო სისტემაა.

სამხრეთ კავკასიაში არსებულ სამხედრო ბალანსზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად საინტერესო იქნება ქართული არმიის მონაცემების მოყვანაც. არც ისე ადვილი საქმეა იმის დაზუსტება, თუ რამდენი კაცია მის პირად შემადგენლობაში, შესაძლოა 20 ათასზე ნაკლებიც იყოს. შეიარაღებაში აქვს 90 ტანკი (59 ცალი T-55 და 31 T-72), 92 ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა, 200 მისი მსგავსი მანქანა, 109 საარტილერიო სისტემა (100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის), 2 ხიდდამგები, 16 თვითმფრინავი (7 Су-25 და 9 L-29) და 16 შვეულმფრენი (თუმცა მათგან 7 — დღემდე უკრაინაშია შესაკეთებლად).

აზერბაიჯანისა და სომხეთის არმიების ფონზე ქართული არმია, ჩვენდა სამწუხაროდ, ძალზე უსუსურად გამოიყურება, განსაკუთრებით კი პირადი შემადგენლობის რაოდენობის მიხედვით. გასაგებია მინისტრ თევზაძის წუხილი — თუ კიდევ შევამცირებთ არმიას, ქვეყანას სამხედრო ორკესტრიღა დარჩებაო. რეალურად დღეისათვის ერთ საბჭოთა მოტომსროლელ დივიზიაზე ნაკლები იარაღის ხელში დამჭერი გვყავს, რაც ბუნებრივია, ბადებს კითხვას — მაშინ რაღა საჭიროა ორ ათეულამდე მოქმედი გენერალი იმ თავდაცვის სამინისტროში, რომელსაც ერთ დივიზიაზე ნაკლები არმია ჰყავს?

უახლოეს მომავალში კი არმიის დაკომპლექტების მხრივ სიტუაცია უფრო გაუარესდება, რადგან საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის პრინციპმა საქართველოში საბოლოო კრახი განიცადა, რაც, ერთი მხრივ, შეიძლება კარგიც იყოს, რადგან ცხოვრებამ გვაჩვენა — ჯარში მხოლოდ მსურველმა უნდა იმსახუროს. „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა იმის კარგი მაგალითია, თუ როგორი სახის არმია სჭირდება საქართველოს.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

*შემზარავი მკვლელობა, რომლის შესახებაც დღევანდელ „ვერსიაში“ მოგითხრობთ, 1968 წელს, გურიაში მოხდა. მას შემდეგ 34 წელი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში. სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადავსახლდით. მაშინდელი პროლეტარი ახლა მათხოვარია, მექრთამე — კორუფციონერი, საქმოსანი — ბიზნესმენად იქცა, ხელის ბიჭები — მენეჯერებად. ყველაფერი ავუშვით: სინდისიც, მორალიც, ფასებიც. უკვე მოგვწონს, რომ ახალგაზრდები ქორწინებამდე სექსით ერთობიან. აღარ გვიკვირს გუშინდელი ხეჩუა, თავის დღეში წიგნი რომ არ გადაუშლია, პარლამენტის ტრიბუნიდან რომ გვმოძღვრავს და კანონსა და სამართალს გვიწესებს. პატარ-პატარა წურბლები კი ათი წლის წინ თაღლითობით რომ ირჩენდნენ თავს, ახლა მილიონერებად იქცნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დატაცებული ფულით და გამარჯვებასაც აღარ კადრულობენ. სამაგიეროდ, უცვლელი დარჩა (ჩემი აზრით) დანაშაულის სტრუქტურა და დამნაშავის ფსიქოლოგია. ამიტომ, როცა ერთმა ჩემმა ერთგულმა მკითხველმა, ამას წინათ, „მისაყვედურა“ — შედარებით ახალ ამბებზე იშვიათად წერო, — ვუპასუხე, რაკი დანაშაულის ანატომია იგივეა, ასაკს რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი და ისიც დავძინე (ვფიქრობ, არცთუ უსამართლოდ) — რომ ბოლო წლებში სამართალდამცველთაგან ძალზე ხშირად გვესმის თითქოს იმედისმომცემი ფრაზა — მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ იშვიათად თუ გვინახავს დანაშაულის რეზონანსის შესაფერისი საბოლოო განაჩენი. ასე რომ, რატომღაც მჯერა, დანაშაულის შესატყვისი სასჯელი ისევ ისტორიულ სასამართლო დოკუმენტებში უნდა ვეძებოთ. მერე და მერე კი ალბათ იმასაც მოვესწრებით, რომ კანონი თავისუფალ საქართველოშიც იზეიმებს.*

# უცხოეთის „აგენტი“ სკივრში ცოცხლად ჩატენეს…

## „დანტისტი“

კარჩაკეტილი ადამიანი (ის სამყაროც, სადაც ის ცხოვრობს) გარშემომყოფთათვის გაუნელებელი ინტერესის საგანია და აუცილებლად მითქმა-მოთქმისთვისაა განწირული. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში მაინც. ამჯერადაც ასე მოხდა:

იასონ დარჩიამ, როგორც კი კბილის ტექნიკის პროფესიას დაეუფლა, ჩათვალა, ამიერიდან თავის რჩენა შემიძლიაო და თავისიანებისგან მოშორებით სიმინდის ყანაში ჩადგა პატარა ქოხი. არც მეზობელი, არც მეგობარი, ნათესავებსაც და ოჯახის წევრებსაც განუდგა და ბერივით გამოიკეტა სახლში. არავის უნახავს ვინმე ამ ქოხში შესულიყო. თვითონ იასონი თუ დაარღვევდა ქოხის სიმყუდროვეს საღამოდან დილამდე, რადგან მთელი დღე სამსახურში იყო და, რაც მართალია, მახარაძეში მალე მიიქცია ყურადღება, როგორც თავისი საქმის უზადო სპეციალისტმა. ამის გამო კლიენტებიც ფუტკარივით ესეოდნენ და მოცლილიც არავის უნახავს. ოღონდ ეგ იყო, ვერავინ იტყოდა, იასონი სახლში იღებს პაციენტებსო. ეს იმ დროს აკრძალული იყო და ისიც ემორჩილებოდა კანონს.

ხომ ასე კარჩაკეტილი და გაუცინარი იყო, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც შეამჩნევდა მასში სიკეთის საწყისს. თუნდაც ის, რას ნიშნავდა, რომ მთელი ოცი წლის მანძილზე, რაც აქ გადმოსახლდა, რამდენიმე ოჯახი, თავიანთი ყანებისკენ გზა რომ შეემოკლებინათ, მის ეზოზე გადადიოდა, მაგრამ იასონს ერთხელაც არ დასცდენია ამის გამო საყვედური. ის კი არა და გახურებული ალოობის დღეებში ძაღლსაც კი აბამდა, სათოხნად მიმავალი ხალხი არ დაკბინოსო. არავის ახსოვს, ვინმესთვის მიემართოს დახმარების სათხოვნელად. სამაგიეროდ, თვალებში სხივი უდგებოდა, როცა ვინმე დახმარებას სთხოვდა. მთელ რაიონში კაცს ვერ იპოვიდით, ეთქვა, იასონმა ხელი არ გამიმართაო. ზოგიერთივით არც ფულის შოვნას ეხარბებოდა და სანახევროდ გასამრჯელოს გარეშე მუშაობდა.

ჭორები მაინც აგორდა იასონის ირგვლივ, ხან რა მოუგონეს და ხან რა. ჯერ იყო და, თქვეს, — ასე განმარტოებით იმიტომ დასახლდა, რომ ყოველღამე ახალ-ახალ ქალს იცვლისო, მაგრამ როცა თითო-ოროლა ენთუზიასტმა რამდენიმე ღამე უშედეგოდ სდია იასონის სახლისაკენ მიმავალ ლამაზმანებს, ჭორი დაივიწყეს და განაცხადეს, სატანასთან აქვს საქმე, მის სახლში მთელი ღამე ავი სულები ცეკვავენო. ესეც რომ არ დადასტურდა, საბოლოოდ გადაწყვიტეს, უცხო ქვეყნის აგენტია და ფანჯრიდან რომ კედელზე გაკრული ხალიჩა მოჩანს, სინამდვილეში სპეციალური მავთულებით მოქსოვილი ანტენაა, რადიოსადგური კი ქვითკირის კედელშია ჩაშენებული და იასონი ყოველ დილა-საღამოს აქაურ საიდუმლო ამბებს უცხო ქვეყნების დაზვერვას გადასცემსო.

— თუ ასეა, გაკეთებულა იასონა და ეგაა. ჯერ კბილებით რამდენს შოულობს და უცხოელებსაც რეიზა მოემსახურება ტყუილა. უყურე შენ, აბდალი მეგონა მე, ასე გაბუტული რომ დაიარებოდა ამდენი ხანი და თურმე ვინ ყოფილა სინამდვილეში.

— ასთეა, ძამა, ასთე. ეგ ჩუმჩუმელები არიან, რაც არიან, მარა მაგასაც მიაკითხავენ, აცალე კიდო პაწა ხანს.

არავინ იცის, აღწევდა თუ არა ეს ჭორები იასონამდე. თუმცა ფაქტია, რომ მას ცხოვრების წესი არ შეუცვლია. აგერ უკვე შეღერებულ ასაკშიც ზუსტად ისე აგრძელებდა, როგორც დაიწყო. წინა ზაფხულს მოზრდილი ქვითკირის სახლი ააშენა, გადახურა კიდეც, მაგრამ ვეღარ გამართა, დურგალმა უღალატა, შეჰპირდა და მოატყუა. წელს კი ერთი-ორი დღე შალაშინის ხმა ისმოდა და თითქოს შიგნიდან, მაგრამ წინა დღით ის ხმაც მიწყდა, აღარც იასონი გამოჩენილა სადმე.

## საეჭვო დუმილი

— წამო, ძამა ვალოდიე, ღვინო მაქვს ეგერ, ჩაცივებული, წყაროზე და ცოტა წევიხემსოთ კიდეც, თვარა ნამეტანი ასიცხდა და კუჭმაც ქე შემაწუხა პატარა. ნუ მეტყვი უარს თუ კაცი ხარ.

— აგაშენა ღმერთმა, სულიკიე ჩემო, ყოველთვის რავა სულ კარგი აზრები მოგდის თავში. ვიცოდი ამფერ რამეს იტყოდი და ამიზა ვიყავი გაყუჩებული, თვარა მომკლა ამ თოხმა და ეგაა. უარს რავა გეტყვი, შე კაცო, მაგრე მიცნობ მე შენ? — მეზობლებმა თოხები ყანაშივე დატოვეს და ამჯერადაც იასონის ეზოს გავლით შეიმოკლეს გზა.

— ვინაა, ბოშო, ე ბანჯგვლიანი ახმახი, ამოდენა ტომარას რომ მიათრევს, ხომ არ გეცნობა, სულიკიე?

— მაი არ ვიცი, მარა იასონა რომ აღარ გამოჩენილა ეს დღეები, აი ნაღდია. უცნაური კაცია. ახლა ეს კაცი უეჭველი დაქირავებული ჰყავს. ფრჩხილის საღირალ საქმეს არ დაგავალებს აქეთ, მაგრამ შენ თუ შეაწუხებ, სიამოვნებს კიდეც და უარის მთქმელი არაა.

— მოიცა, კაცო, შენ, ტომრიანო? რას გვეტყვი, სადაა იასონა?

— ა ვი ნე ზნაეტე ჩტო, ეტო ნე პრასიოლოჩნაია დაროგა ნა დვორ! ჩევო ტუტ ხოდიტე, კაკ ბუდტო ნა სვაეი ზემლე? — შეუღრინა უცნობმა და ხვნეშით გააგრძელა გზა.

— ეტყობა, დროებით ამას ჩააბარა აქაურობა იასონმა. მაგრამ აქ რომ ჩვენი გატარება აღარ უნდოდეს, ძაღლს აუშვებდა მაშინ. რაღაცაშია საქმე, ვალოდიე... სადილზე ორივენი ისე გამოთვრნენ არც იმ, არც მეორე და კიდევ ორი თუ სამი დღე აღარც იასონი გახსენებიათ და აღარც ის ბანჯგვლიანი ახმახი, მაგრამ მეოთხე თუ მეხუთე დღეს ვალოდია გუგუნავას გულმა აღარ მოუთმინა და იასონის სახლის კარი შეაღო... საშინელი სიმყრალე ეცა ცხვირ-პირში. სისხლის ჯერ კიდევ დაუმშრალი გუბეებიც შენიშნა სკივრის ძირში, საიდანაც სიმყრალე ამოდიოდა და ტყვიანაკრავივით უკან გამოვარდა...

კარს უკან მდგარი ძველებური, მოგრძო სკივრისათვის თავი ლურსმნებით დაეჭედებინათ. მთელი რაიონის მილიცია და პროკურატურა აქ იყო. სოფელი იასონის ეზოში შეკრებილიყო. როგორც იქნა, სკივრს თავი ახადეს. ჩანდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ჩაეტენათ შიგ. სიმწრისაგან საკუთარი თითები დაეჭამა უბედურს. მთელი სახლი ერთიანად გადატრიალებული იყო. აშკარად ჩანდა, რომ მეტ-ნაკლებად საღირალი ყველა ნივთი წაეღოთ. იქვე, სკივრის სიახლოვეს, ქაღალდის ნაგლეჯი იპოვეს წარწერით — „ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთ. მე ეს დავიმსახურე და ახია ჩემს თავს. ჩემნაირებმა არ უნდა იცოცხლონ“. ქაღალდი სისხლის წვეთებით იყო დაწინწკლული.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ამნაირად თავს არავინ იკლავს. აშკარაა, მკვლელი არსებობს, მაგრამ წერილი ხომ მკვლელობამდეა დაწერილი. მაშ, სისხლის წვეთები როგორღა გაჩნდა ზედ? გამოცანა სულ უფრო თავსატეხი ხდებოდა. ამ წერილმა ხომ საერთოდ აურია ყველაფერი.

**„ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთ. მე ეს დავიმსახურე და ახია ჩემს თავს. ჩემნაირებმა არ უნდა იცოცხლონ“. ქაღალდი სისხლის წვეთებით იყო დაწინწკლული.**

ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ წერილი იასონის ხელით იყო ნაწერი, მაგრამ სისხლის ლაქები აშკარად სხვისი იყო. ვინაა ეს სხვა? ალბათ მკვლელი. დიახ, მკვლელი და იგი უნდა ვიპოვოთ.. რადაც უნდა დაგვიჯდეს, თავს იმტვრევდა გამომძიებელი.

მთელი ორი კვირა ეძებდა ვლადიმერისა და სულიკოს მიერ აღწერილ ბანჯგვლიან, არაქართველ ახმახს მახარაძის მილიცია. მთელი რაიონი ფეხზე დააყენეს, ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა თუ ჩაის ფაბრიკაში, სხვა ორგანიზაციებში სპეციალურად კრებები მოიწვიეს და შესაძლო მკვლელების ზეპირი პორტრეტები გააცნეს ხალხს, მაგრამ ამაოდ. ბოლო კრება ნარუჯის საბჭოთა მეურნეობაში ტარდებოდა და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით მივიდნენ იქ მილიციის თანამშრომლები. ამ ხერხით ეჭვმიტანილის პოვნის იმედი უკვე გადაწურული იყო. თუმცა... უცებ ვიღაც შუახნის კაცი წამოდგა დარბაზის უკანა რიგიდან და რაღაც ისე, თითქოს თვითონაც არ სჯეროდა, განაცხადა: — მაგნაირი ახმახი ერთხანს ჩვენთან მუშაობდა და თავს დურგლად ასაღებდა, ალი-ოღლი ჰქვია და თუ არ მეშლება, მგონი ახლაც ჩვენს საერთო საცხოვრებელში ათევს ღამესო. უფრო დეტალურად რომ გამოიკითხეს, ცხადი გახდა, გარეგნული აღწერა ფაქტობრივად ემთხვეოდა ერთმანეთს.

— ალი-ოღლი? ეს დღეები დაკარგული იყო, მაგრამ სწორედ დღეს, ნაშუადღევს გამოჩნდა. ახლა ალბათ თავის ოთახში სძინავს, — იყო მეზობლის პასუხი. დიდხანს აკაკუნეს კარზე მილიციის თანამშრომლებმა და როცა დარწმუნდნენ, მის გაღებას შიგნიდან არავინ აპირებდა, კარი შეანგრიეს, მაგრამ... ოთახში არავინ იყო. თუმცა ღია ფანჯრის რაფაზე დარჩენილი ტალახი მიანიშნებდა, რომ აქაურობის ბინადარი ფანჯრიდან გადამძვრალიყო და საწვიმარი მილის დახმარებით დაბლა დაცურებულიყო. იქით კი, შენობის უკანა მხარეს, ჩაის პლანტაციები იწყებოდა. ნაწვიმარი იყო და პლანტაციებში სიარული ჭირდა. თუმცა ალის სხვა გზა არ ჰქონდა და უეჭველია, აქეთ უნდა წამოსულიყო. მილიციის უფროსი, ვახტანგ ჩხიკვიშვილი თავს კიცხავდა, ეს როგორ მომივიდაო. მკვლელობაში ეჭვმიტანილის ასაყვანად მივიდა და ის ვეღარ განსაზღვრა, რომ შეიძლებოდა გაქცეულიყო. მაგრამ ეს იმის ბრალი იყო, რომ მან ვერაფრით დაიჯერა, უცხოტომელი მკვლელი აქ თუ დაბრუნდებოდა, როცა მთელი რაიონი ამის გამო ფეხზე იდგა.



ალი-ოღლის კი მიწაზე დაშვებისას ფეხი გადაბრუნებოდა და მართალია, ახლა, ამ სიბნელეში თავგამოდებით ცდილობდა პლანტაციებიდან გაღწევას, მაგრამ ფეხი რომ ვეღარ დაიმორჩილა, იქვე მიწვა იმ იმედით, მდევარი ჩამომეხსნება და მერე რაღაცას მოვიფიქრებო, მაგრამ ბოლოს მიხვდა, ასე იოლად ვერ დაუსხლტებოდა ხელიდან. ჯერ იყო და, პლანტაციიდან გასასვლელი მანქანებით გადაკეტეს, მერე იქაურობას შეესივნენ. ბოლოს და ბოლოს, როცა დარწმუნდა, აქედან ვეღარ გავიდოდა, ხელები მაღლა ასწია და სიბნელეს გასძახა — ია ზდეს!

## „მე უცხო ქვეყნის დაზვერვის აგენტი მოვკალი…“

ალი-ოღლი ბორჩალოელი თათრის უკანონო შვილი აღმოჩნდა. თავის დროზე ხელობა კი შეესწავლა, მაგრამ მერე და მერე გალოთებულიყო და ახლა ბომჟივით ცხოვრობდა. ხან ბათუმში შეეკედლებოდა რამდენიმე დღით ვიღაცას, ხან ქობულეთში ან მახარაძეში. უქნარას და ლოთს დიდხანს არავინ აჩერებდა და განუწყვეტლივ ხეტიალში იყო.

— თქვენ ბრალი გედებათ საქართველოს მოქალაქის, იასონ დარჩიას განზრახ მკვლელობაში, — ფორმალობის სრული დაცვით გამოუცხადა გამომძიებელმა.

— ნეთ, ია გრაჟდანინა გრუზიი ნე უბივალ. ია უბილ აგენტა ინოსტრანნოი რაზვეტკი. ალლაჰ პატვერდიტ.

— ეგ როგორ გავიგოთ?

— როგორ და... — ამჯერად უკვე ქართულად ალაპარაკდა ალი-ოღლი, — მე იმან, იასონმა, სახლის გასარემონტებლად დამიქირავა, მაგრამ როცა დავერიაში შემოვიდა, თავის საქმეში ჩაბმა დამიპირა. მაჩვენა აპარატი, რომლითაც საზღვარგარეთს უკავშირდებოდა და მითხრა, შენ ხომ სინამდვილეში თურქი ხარ. მოდი, შენი ნამდვილი სამშობლოსათვის ვიმუშაოთო, მაგრამ ამას როგორ გავაკეთებდი, საქართველოში დავიბადე, აქ გავიზარდე და ჩემი ნამდვილი სამშობლოც ეს არი. როგორ შემეძლო ამ ხალხის ღალატი, ამის გამო ვცემე კიდეც. მერე, როცა ვნახე, რომ ზედმეტი მომივიდა, შემეშინდა, არ მოკვდეს-მეთქი და წერილი დავაწერინე და იქაურობას გავეცალე. ალაჰია მოწმე.

— მაშ, შენ გინდა თქვა, რომ ნაცემი იასონი სკივრში თვითონ ჩაძვრა, მერე ზემოდან ლურსმნებით დაიჭედა და სული განუტევა?

— არა, კლანუს ალაჰ, სკივრი არ ვიცი, არც დაჭედება ვიცი, უარს ხომ არ ვამბობ. მაგრა ვცემე, თუ მოკვდა, ზნაჩიტ ჩემი ბრალია, მაგრამ სკივრი და მაგისთანა არ ვიცი...

სინამდვილე კი, რომელიც თანდათან გამოიკვეთა ძიებისას, ასეთი იყო.

## ხელოსანი

მთელი კვირა გადაუღებლად თოვდა. პირველ დღეებში თითქოს ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ მერე და მერე, იძალა და ახლა მუხლამდე აღწევდა. გურულები არ იყვნენ ნაჩვევი დიდთოვლობას, — გზები რომ ჩაიკეტა, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ მეზობელი მეზობელთან ვეღარ გადადიოდა, სახლიდან პირუტყვის სადგომამდე უჭირდათ მისვლა. ახლა ეს ოხერი ქარიც დაერთო და ისეთი კორიანტელი დააყენა, ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ. იასონი ცეცხლის პირას მიმჯდარიყო და მალიმალ უკეთებდა შეშას, რადგან ამ ფარღალალა სახლში ისე უბერავდა, როგორც გარეთ. არადა, ვიღაც გაჭირვებული ეზოდან ისეთი ხმით ეძახდა, იასონი მიხვდა, ამბულატორიაში წასვლა არ ასცდებოდა. წინკარში მთლად თოვლში ამოგანგლული ყბაახვეული შავწვერა ახმახი აყუდებულიყო.

— ბუდტე დაბრი, სპასაიტე! — რატომღაც რუსულად მიმართა სტუმარმა იასონს. ამ უკანასკნელმა ერთხელ კიდევ გახედა ფანჯრის იქით ატეხილ ქარბორბალას, სტუმარს სკამი შესთავაზა და უსიტყვოდ შეუდგა ჩაცმას.

— პაეხალი! — მალევე ამცნო მოსულს და უკვე სამგზავროდ გამოწყობილმა კარი გამოაღო.

— ზაჩემ პაეხალ, ხაზიაინ. მნე ტოლკო ზუბ ნადო ვირვატ. ჩტო უ ვას პლასკაგუბც ნე ნაიდოტსია, ჩტო ლი?

— პაეხალი, პაეხალი, ზდეს ია ლეჩენიემ ნე ზანიმაუს. და ი ვააბშე, ეტო ნე მაიო დელო. ესტ ჟე ვ გოროდე ზუბნოი ვრაჩ ი ნე ადინ.

— ნეტ, მნე სკაზალი ჩტო ვი სამი ხაროში, ია კნიმ ნე ხაჩუ.

— კარგი, რა, მამა გიცხონდა. ბალშოე უვაჟენიე ტასკატ ჩელოვეკა ვდრუგოი კრაი გოროდა ვტაკუიუ პაგოდუ, — ამოთქვა გაჯავრებულმა და კარში გავიდა.

— ზატო ია ვიჟუ უ ვას ტუტ მაი რუკი პანადაბიტსია. ია პლოტნიკ, ბუდუ რად ესლი პრიგლასიტე...

იასონს მაშინ ამის თავი არ ჰქონდა და არც დაინტერესებულა სტუმრის შემოთავაზებით, მიუხედავად იმისა, რომ დურგალი ნამდვილად სჭირდებოდა მის ფარღალალა სახლს. თუმცა ახლა, ზაფხულის პირზე, ბაზრის შესასვლელში შემთხვევით რომ გადაეყარა ამ გაურკვეველი წარმომავლობის კაცს, უმალ გაახსენდა, რომ ეს კაცი დურგალი იყო.

— ნუ კაკ, ხაზიაინ, ზაიმიომსია ვაშიმ, დომომ. ჩესტნოე სლოვო მნოგო ნე ვოზმუ, — აქეთ დაასწრო იასონს და თვალებში ჩააცქერდა.

— კაგდა მოჟეტე პრისტუპიტ?

— ხოტ სეგოდნია. დლია ვას ვსეგდა გატოვ... — უსიმპათიო კაცი იყო, მაგრამ იმ წუთში იასონი თავის თავს გამოუტყდა, — ალბათ არც იმდენად, მე რომ მეჩვენებაო.

უმარი (ასე გაეცნო იგი იასონს) მეორე დღესვე გადმოსახლდა და ისე იმუშავა რამდენიმე დღე, კაციშვილს არ უნახავს. ხმაურსაც ერიდებოდა. ჯერჯერობით, მხოლოდ ფიცარს აშალაშინებდა და ისიც მაშინ, როცა სახლის პატრონი შინ იყო, დანარჩენ დროს აქაურობის ჩხრეკით იყო დაკავებული. მის ყურამდეც მიეღწია იმ მოარულ ხმებს, რომლის თანახმად იასონი უცხო ქვეყნის აგენტი და დიდი ფულის პატრონი უნდა ყოფილიყო.

— ზნაეშ, ხაზიაინ, ია სტებია დენგი ნე ვაზმუ, ესლი პააბეშაეშ, ჩტო ზალატიე ზუბი პასტავიშ.

— ხარაშო, იდიოტ. ნო ბაიუს, ჩტო ეტო ბუდეტ მალო.

— ნიჩეგო, სტაბოი ნე პრაპაიდიოტ.

სამი დღე ეძება ალი-ოღლიმ ფულისა და, როგორც თვითონ ფიქრობდა, ძვირფასეულობის სამალავი, მაგრამ უშედეგოდ. ალბათ გარეთ, ეზოში აქვს დაფლულიო, დაასკვნა თავისთვის და მოქმედების ტაქტიკა შეცვალა. იმ საღამოსვე, ვახშმის შემდეგ, ისე მოულოდნელად აძგერა თავი ცხვირ-პირში, რომ უბედურმა მასპინძელმა გაკვირვების გამოხატვაც ვერ მოასწრო. სისხლმა ერთბაშად იფეთქა დახეთქილი ტუჩებიდან, რომელსაც რამდენიმე კბილიც მიჰყვა თან. მერე ამ ბანჯგვლიანმა ახმახმა წიწილასავით ყელში წაუჭირა ხელი და აფთრის ხმით დაიხრიალა — გდე დენგი? იასონმა მხოლოდ ახლა შეიტყო, რას ითხოვდნენ მისგან. ხელით ანიშნა, აგერ მაქვს ჯიბეშიო და ასი თუ ასორმოცდაათი მანეთი დაუყარა ფეხებთან. ეს იყო და ახლა სულ გადაირია მოძალადე. მასპინძელი ფეხქვეშ გაიგდო და მანამ ურტყა გვერდებში წიხლი, ვიდრე იასონმა გრძნობა არ დაკარგა. მერე ვედროთი წყალი აიღო და გადაასხა ერთიანად დასისხლიანებულ მსხვერპლს — გდე დენგი?! კიდევ რამდენჯერმე ჩაჰკითხა თავისი არაადამიანური, ხრიალა ხმით, მაგრამ იასონი მხოლოდ ერთსა და იმავეს ანიშნებდა — ფული არა მაქვსო. გათენებამდე აწამა ალი-ოღლიმ იასონი. მხოლოდ მაშინ შეეშვებოდა ხოლმე, როცა გონს კარგავდა უბედური. ალიმ იცოდა, რომ დღეიდან იასონს შვებულება ჰქონდა და სამსახურში არ მოისაკლისებდნენ. პაციენტები კი, როგორც წესი, სახლში არ აკითხავდნენ. ამიტომაც იქცეოდა ასე გაბედულად. ალი-ოღლი ვერ იჯერებდა, რომ იასონს ფული არ ჰქონდა. არ იცოდა, რომ მისი უკანასკნელი კაპიკები ხეტყის მასალის შეძენაში დაიხარჯა და საბრალოს საფიქრალი ის იყო, როგორ გაესტუმრებინა ხელოსანი. გააფთრებული ალი დროდადრო არაყს სვამდა და როგორც კი იასონს ოდნავ გონზე მოსულს დაიგულებდა, კვლავ მუშტებს ურტყამდა თავპირში. მერე ერთხანს გონება გაუნათდა და იფიქრა, რომ შემომაკვდეს ალიბი მექნებაო და აიძულა, ჩვენთვის უკვე ნაცნობი წერილი დაეწერა, რომელზეც ალიმ თავისივე თითიდან გამონადენი სისხლის კვალი დატოვა. მერე კი ცოცხალი იასონი სკივრში ჩატენა, ზემოდან თავი დაულურსმნა, არყის ბოთლი ბოლომდე გამოცალა და იქვე მიეძინა. მეორე დღეს კი ნაძარცვი ნივთებით გატენილ ტომარას მიათრევდა, როცა ჩვენმა ნაცნობმა გურულებმა ნახეს.

***ვაჟა გავაშელი***

# სადაზღვევო ბიზნესში ომი დაიწყო



„ალდაგის“ პოლისის მფლობელის მუდარა არ ქრის

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

„გაერთიანებული ქართული ბანკიდან“ „აგრომრეწვბანკის“ სადაზღვევო კომპანიებს მივაშურეთ. თავდაპირველად, კომპანია „ოლიმპის“ ხელმძღვანელს, **ავთანდილ დვალს** გავესაუბრეთ:

— **ბატონო ავთანდილ, თქვენს კომპანიას რამდენი პროცენტი შესთავაზეს?**

— ხუთი პროცენტი ხელს არ მაძლევს, უფრო მეტს ვითხოვ... ისე, კარგად ვიცი, რაც ხდება ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის სფეროში, მაგრამ მირჩევნია, ჩუმად ვიყო. ისეთი ხალხია ჩარეული ამ ბიზნესში ხელისუფლებიდან, რომ ზედმეტად მოლაპარაკეს თავი მხრებზე არ შერჩება.

ჩვენი შემდეგი რესპონდენტი სადაზღვევო კომპანია „ჰელიოსის“ მფლობელი **სოსო ჩხაიძე** იყო:

— **გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი კომპანიის გარდა, კიდევ სამ სადაზღვევო კომპანიას მოელაპარაკნენ „აგრომრეწვბანკი“ და შს სამინისტრო სადაზღვევო ბაზრის გაყოფაზე.**

— ასე არ ყოფილა, მაგრამ დავუშვათ და, იყო კიდეც ასეთ მოლაპარაკება. ამით რა დაშავდა? აბა, რა ეგონა „ალდაგს“, თითქმის ხუთი წლის მანძილზე რომ არც ერთი სხვა სადაზღვევო კომპანია არ გაახარა?! ახლა ჩვენი დრო მოვიდა და საკუთარ თავს დააბრალოს, რაც დაემართება...

უყურადღებოდ არც საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელი **არმაზ თავაძე** დავტოვეთ და კომენტარი ვთხოვეთ: „მართალი ბრძანდებით. „აგრომრეწვბანკი“ მხოლოდ „ბრიტანეთ-კავკასიის“ სადაზღვევო პოლისების მქონე ავტომოყვარულებს აძლევს საგზაო პოლიციაში ტექდათვალიერების დამადასტურებელი ფირნიშის აღების უფლებას და ამით არღვევს სხვა კომპანიების კანონიერ უფლებებს. ჩვენ საკითხი შევისწავლეთ და შესაბამისი ღონისძიებებიც გავატარეთ. თუ „აგრომრეწვბანკი“ თავისას არ მოიშლის, გაფრთხილებას აღარ ვაკმარებთ და სერიოზულ სანქციებს მივმართავთ მის წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოკალათებულ ზოგიერთ ჩინოვნიკს ამ სფეროში წესრიგის დამყარება არ სურს...

ანტიმონოპოლიურ სამსახურში თავისი მოსაზრება გამიზიარა ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელმაც: „დიდი ომი დაიწყო სადაზღვევო ბიზნესში. შს მინისტრი ამას ვერ გაბედავდა, ხელისუფლებაში გავლენიანი მხარდამჭერები რომ არ ჰყავდეს. ყოველივე ბინძური პოლიტიკური თამაშია — ამით ყველა გააფრთხილა პრეზიდენტის კლანმა, თუ ვინ არის ქვეყნისა და სიტუაციის რეალური პატრონი. როგორც იცით, სამინისტროს მოსაკრებლების 60% ბიუჯეტისაა და ამ თანხას „აგრომრეწვბანკი“ მომგებიან საქმეში დააბანდებს, ხოლო მოგება, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად მინისტრსაც შეხვდება. ერთი სიტყვით, ყველა კმაყოფილი დარჩება“...

ამ საკითხთან დაკავშირებით გასულ კვირას შს სამინისტროში პრესკონფერენცია ჩატარდა, სადაც სამინისტროს საფინანსო სამმართველოს წარმომადგენელმა **გურამ თეთრაშვილმა** განაცხადა: „ახლა, როცა პანკისის პრობლემაც დაგვემატა, ყოველი თეთრისა და ლარის დაზოგვა გვიწევს. სწორედ ამიტომ ავირჩიეთ ის ბანკი, რომელმაც მომსახურებისათვის ნაკლები პროცენტი შემოგვთავაზა. „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ მომსახურების პროცენტის დაკლება ვთხოვეთ და მისგან უარი მივიღეთ(?!). ამასთან, „აგრომრეწვბანკი“ მისი კარგი რეპუტაციის გამოც შევარჩიეთ. ბანკის ასარჩევი ტენდერი მართლაც არ ჩატარებულა, რადგან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის თანახმად, როცა მომსახურების საერთო თანხა თვეში 25 ათას ლარს არ აჭარბებს, ტენდერის ჩატარება აუცილებელი არ არის“.

ამ უკანასკნელ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე **ნიკა ჭახნაკია**: „ბანკის ასარჩევად ტენდერი აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო. თუ გავითვალისწინებთ ყველა მოსაკრებელს, რომლებიც შს სამინისტროს ხაზით გროვდება, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმოიდგინეთ, ავტოინსპექტორებისგან დაჯარიმებული მძღოლების მიერ გადახდილი თანხა რამხელა იქნება?! ამ თანხებთან შედარებით, 25.000 სასაცილოდ მოჩანს.“

ჩვენი ბოლო რესპონდენტი სადაზღვევო კომპანია „ბრიტანეთ-კავკასიის“ ხელმძღვანელი **რამაზ კუკულაძე** გახლდათ, რომელმაც კატეგორიულად უარყო კომპანიის რაიმე უკანონო ქმედებაში მონაწილეობა. „აგრომრეწვბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ზოგიერთი წევრის მათ კომპანიაში გაწევრებასაც აბსურდული უწოდა და დამფუძნებელთა ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენებას დაგვპირდა, მაგრამ ვერც მასთან სტუმრობისას და ვერც შემდგომ კომპანიის დამფუძნებელთა სია ვერ ვნახეთ.

P. S. ასეა თუ ისე, საავტომობილო სავალდებულო დაზღვევის სფეროში ძალთა ხელახალი გადანაწილება დაიწყო. ამ ორომტრიალში ჩვენ მხოლოდ სიმართლის დადგენა გვსურს. სიმართლე კი, როგორც ჩანს, ის არის, რომ ერთი უკანონობა მეორეთი იცვლება. უფრო სწორად, მხოლოდ მოქმედი პირები და ორგანიზაციები შეიცვალნენ, თორემ სხვა ყველაფერი (გამდიდრების მექანიზმები — ზ. ჩ.) ისევ იგივე დარჩა.

*ზვიად ჩაკვეტაძე*




გსურთ ზიანის ფულადი ანაზღაურება?
კავშირი „თქვენი ადვოკატი“ გთავაზობთ უფასო იურიდიულ მომსახურებას თუ:

- თქვენს მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე;
- გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი;
- გამომძიებელი და პროკურორი არღვევენ თქვენს უფლებებს.

თქვენ გაქვთ უფლება სახელმწიფოს მოსთხოვოთ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და რეაბილიტაცია (უფლებების აღდგენა).

მის: თაბუკაშვილის ქ. №37 ☎ 92-21-57



# საიდუმლო დოკუმენტი — ხაფანგი თუ მტკიცებულება?!

ამ დღეებში პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია გამოაქვეყნებს დასკვნას, რომელიც საზოგადოებას საბოლოოდ აცნობებს, იყო თუ არ სუკის აგენტი ფრაქცია „XX საუკუნის“ ერთ-ერთი ლიდერი ჯემალ გამახარია, რომელიც უშიშროებასთან თანამშრომლობის დროს მჭედლიშვილის ფსევდონომით სარგებლობდა. კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ოსაძე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, თამაზ ნადარეიშვილის მიერ წარმოდგენილი ბარათის შესახებ მინიშნებებით საუბრობს, ამბობს, რომ ბევრი შეუსაბამობაა და გამახარიას აგენტობა არ დასტურდება. თავის მხრივ, ინტერვიუს მოცემისას იხტიბარი არ გაიტეხა თავად ნადარეიშვილმა და დაიქადნა კიდეც, რომ თუ კომისია მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს ყალბად გამოაცხადებს, მაშინ ის სხვა მტკიცებულებებს დადებს. მთავარი ამ დაპირისპირებაში კი მაინც ის არის, რომ „აღორძინება“ და აფხაზეთის უზენაესი საბჭო უკვე დიდი ხანია ერთმანეთს ვეღარ იტანენ. ამის გამო არცთუ ისე დიდი ხნის წინ, „იმელის“ შენობაში ყრილობის მიმდინარეობისას, ნადარეიშვილის დაცვამ გამახარიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და დარბაზიდან ძალის გამოყენებით გაიყვანა. როგორც ჩანს, ნადარეიშვილი დღემდე ვერ ინელებს საკუთარი ოპონენტების მხრიდან წამოყენებულ ბრალდებებს, რომ ის არის თხილის ბიზნესში ჩართული, ეწევა არაერთ უკანონო ბიზნესს, რომ უაზრობაა სახელმწიფოში სახელმწიფოს არსებობა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სახით... საპასუხო დარტყმები დაიწყო. ნადარეიშვილმა ჩვენთან საუბრისას ბრძანა, რომ ის და გამახარია შეხვდნენ ერთმანეთს და გადაწყვიტეს, შეწყვიტონ დაპირისპირება, მიუხედავად ამისა, საეჭვოა, კონფლიქტი ამით დასრულდეს. თუ კომისია გამახარიას გაამართლებს, მაშინ ნადარეიშვილის სიტყვას მომავალში ნაკლებად დაუჯერებენ და კანონით იმ პიროვნებების პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დაისვას, ვინც შეცდომაში შეიყვანა ნადარეიშვილიც და საზოგადოებაც. ისე კი, არ არის გამორიცხული, ამ ამბავმა მისი სკამი საბოლოოდ შეარყიოს და მას აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დაატოვებინონ. ასეთი შედეგის შემთხვევაში კი გამოდის, რომ მის მიერ დაგებულ ხაფანგში თავადვე აღმოჩნდება გაბმული. „კვირის პალიტრა“ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომიიის თავმჯდომარეს, **მიხეილ ოსაძეს** ესაუბრა.

— **ბატონო მიხეილ, თქვენს კომისიას შესასწავლად გადმოეცა თამაზ ნადარეიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც „XXI საუკუნის“ ერთ-ერთ ლიდერს, ჯემალ გამახარიას საბჭოთა პერიოდში სუკის აგენტობაში ამხელს.**


Приложение № 1
к Инструкции, п. 8
Сов. секретно

Псевдоним «МЧЕДЛИШВИЛИ»

1. Фам. ГАМАХАРИЯ ДЖЕМАЛ
2. Имя
3. Отч. ОРЕСТОВИЧ
4. Год рожд. Дата рожд.
5. Место рожд.
6. Адрес (адрес содержателя к/к не указывается)
7. Место работы и должность
8. Па, т. КПСС
9. Нац.
10. Гражд. СССР
11. Образов.

№ 4036 архива
Катег.
Когда заверб. 24/II 1982 г.
Кем заверб. фамилия
« 5 » отдел « » отделение
КГБ
орган

Оформить личное дело и взять на учет
Нач. 5 отдела
( фамилия )

Алфавитная карточка, форма 3

საარიცხვო ბარათის ქსეროასლი

— ჩვენ გვქონდა შეხვედრა ბრალდების ავტორთან, თამაზ ნადარეიშვილთან. მან წარმოგვიდგინა დოკუმენტი, რომლის თანახმად ჯემალ გამახარია უშიშროების ორგანოებთან საიდუმლოდ თანამშრომლობდა აფხაზეთში 1982 წლიდან. საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი ტიპის ბარათები ნამდვილად ივსებოდა საბჭოთა კავშირის დროს უშიშროების ორგანოების ყველა საიდუმლო თანამშრომელზე და ეს ბარათები ამჟამადაც ინახება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. ნადარეიშვილმა განგვიცხადა, რომ მას ბარათი არ აქვს — აქვს მხოლოდ წარმოდგენილი ქსეროასლი. მასზე კი, რბილად რომ ვთქვათ, რამდენიმე თვალში საცემი უზუსტობაა, რომელიც განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ჯემალ გამახარიამ წარმოგვიდგინა თავის შრომის წიგნაკი, რომელიც დადასტურებულია თვითონ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მიერ. ამის მიხედვით ჯემალ გამახარია 1976 წლიდან 1982 წლის აგვისტოს ჩათვლით მუშაობდა და ცხოვრობდა ქალაქ კუიბიშევში. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის უშიშროება 1982 წლის 24 თებერვალს, როგორც ბარათშია მითითებული, მის გადმობირებას ვერ შეძლებდა, რადგან მაშინდელი მოქმედი ინსტრუქციით, უშიშროების ორგანოები მხოლოდ თავის სამოქმედო ტერიტორიაზე მუშაობდნენ. ამ ბარათში არის კიდევ ბევრი მომენტი, რომელზეც წინასწარ შემიძლია დასკვნის გაკეთება, მაგრამ კანონით ამის უფლება არ მაქვს.

— **ანუ ეს ბარათი ყალბია?**

— არის მეორე უზუსტობაც, რომელიც შეეხება საცხოვრებელ ადგილს. მითითებულია: სოხუმი. სანშკარის 13. საქმე ის გახლავთ, რომ ამ მისამართზე ჯემალ გამახარია ჩაეწერა რვა წლის შემდეგ, რაც დაფიქსირებულია მის საბინაო წიგნში. გარდა ამისა, მითითებულია, რომ თითქოს მაშინ მუშაობდა სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში. გამახარიას მიერ წარმოდგენილი შრომის წიგნაკის მიხედვით კი, იგი სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მუშაობდა არა 1982 წლიდან, არამედ 1984 წლის სექტემბრიდან.

— **ანუ ბარათში სახელის და გვარის გარდა, არც ერთი ფაქტი არ ემთხვევა?**

— სახელის, გვარის, დაბადების წლის გარდა ყველაფერი ეჭვქვეშაა. ბარათები საერთოდ ინახება უშიშროების სამინისტროში. მე უკვე გავუგზავნე მოთხოვნა მათ და ამ კვირაში პასუხი იქნება. გპირდებით, რომ ამ კვირის ბოლოს საბოლო პასუხი დაიდება.

— **როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ვის ჩასაძირად იყო გაკეთებული — გამახარიასი, თუ თავად ნადარეიშვილის, რომელიც ალბათ, ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება...**

— ეს არის გამოძიების საგანი. თეორიულად ორ ვერსიას აქვს არსებობის უფლება. ერთის მიხედვით, ეს გაკეთდა გამახარიას კომპრომენტირებისთვის, მეორე ვერსიით, ვინაიდან გარკვეული დაპირისპირება იყო გამახარიასა და ბატონ თამაზს შორის, ვიღაცამ ისარგებლა ამით. მიაწოდეს მას ეს დოკუმენტი, რომელიც ვერ ჩაითვლება იურიდიულ მტკიცებულებად. ამ შეკითხვას პასუხი აუცილებლად გაეცემა — რატომ მოხდა, ვის ინტერესებში იყო.

— **ვინ მიაწოდა ნადარეიშვილს ქსეროასლი?**

— ნადარეიშვილი ამბობს, ბარათი ვნახე ჩემს ფოსტაშიო. პირველი, რაც გაუკეთებია, დაავალა შესაბამის სამსახურებს ქსეროასლის შესწავლა. მათ უთხრეს, საბჭოთა კავშირის დროს ასეთი ბარათები ივსებოდა მოქმედ აგენტებზეო. ნადარეიშვილმა ეს საკმარისად ჩათვალა და ამის საფუძველზე გააკეთა პრესაში განცხადება.

— **თვითონ გამახარიას მიერ წარმოდგენილი შრომის წიგნაკი და საბინაო წიგნი თუ გადაამოწმეთ? იქნებ ის არის გაყალბებული?**

— არ არის გაყალბებული... გააყალბა იმან, ვინც შეთითხნა ეგ ბარათი...

— **თუ დაისმება ნადარეიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი, ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამო?**

— არა მგონია. პასუხისმგებლობის საკითხი მოგვიანებით გაირკვევა. დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ყველა თავის წილ პასუხისმგებლობას გაიზიარებს.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა **თამაზ ნადარეიშვილს,** რომელიც კვლავ მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მის მიერ წარმოდგენილი უშიშროების სამინისტროს ბარათის ქსეროასლი ყალბი არ არის.

— **ბატონო თამაზ, დღეს უკვე ამბობენ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ბარათის ქსეროასლი, რომელიც ჯემალ გამახარიას აგენტობას ამტკიცებდა, ყალბია. როგორ ფიქრობთ, ყალბი ბარათი განგებ შემოგაჩეჩეს ხელში?**

— მე არ ვიცი, რატომ გავრცელდა ასეთი აზრი და ეწევიან პროპაგანდას, რომ დოკუმენტი ყალბია, არ შეესაბამება სიმართლეს და ა.შ. ძალიან კარგად ვიცი, რომ ქსეროასლი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ოფიციალური დოკუმენტი და ამის გამო პასუხისმგებლობის საკითხი არავის არ დაეკისრება. მეორე მომენტი ის არის, რომ საქართველოში არ არსებობს ლუსტრაციის კანონი და ვინც არ უნდა უმტკიცოს სხვას, რომ ის აგენტია, საქართველოში მას არავინ დასჯის. ჩემს მიზნებში არც შედიოდა, რომ ვინმესთვის იურიდიული პასუხისმგებლობა მომეთხოვა.

**(გაგრძელება იხ. გვ.13)**





# რას გვეტყვი, მამაო?

— **გთხოვთ მიპასუხოთ, მეთვლება თუ არა ცოდვად ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალების ხმარება, მაშინ როცა ქრონიკული ავადმყოფი ვარ, ვღებულობ ძლიერ წამალს, რომელიც ორსულობას ვნებს. ვიწონი 120 კგ-ს და თან 44 წლის ვარ.**

— იმ წამლის მიღება, რომელიც აუცილებელია მკურნალობისთვის და ხელს თავისთავად უშლის დაორსულებას, ცოდვა არ არის, მაგრამ თუ თქვენ საგანგებოდ სვამთ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა თქვენი სამკურნალო წამალი ვნებს ორსულს, ეს ცოდვად გეთვლებათ. ამ ფაქტით გამოიხატება თქვენი დამოკიდებულება სიცოცხლის მომვლინებლის მიმართ; ხოლო ის, თუ როგორი დაიბადება ბავშვი, უფლის ნებაა და უფალი თავის შვილზე თავად იზრუნებს.

— **მომნათლა ჯვარახსნილმა მღვდელმა ე.ი. ვარ მოუნათლავი; თუ მაქვს უფლება წირვა-ლოცვებზე დასწრების, როგორ მოვინათლო, რას მირჩევთ?**

— ყველა შემთხვევაში, როცა საიდუმლოს ასრულებს ღვთისმსახურებააკრძალული მღვდელი, ქრისტიანმა უნდა მიმართოს ადგილობრივ ეპისკოპოსს. ეპისკოპოსის კურთხევით ხდება ან ზაიარებაზე დაშვება, ან იმის გამოძიება თავიდან მოინათლოს თუ არა ადამიანი.

— **ოჯახში გვაქვს ღვთისმშობლის ქვევრი „ზედაშე“, რომელიც გატეხილია და გამოუყენებელი, როგორ მოვიქცეთ?**

— ძველად საქართველოში ქვევრში ინახავდნენ ეკლესიისათვის შესაწირ ღვინოს „ზედაშეს“. ახლა ეს ტრადიცია იშვიათად ვლინდება. თუ ქვევრი გატეხილია, შეგიძლიათ გამოცვალოთ ან უბრალოდ, დატოვოთ ადგილზე. იგი საეკლესიო სიწმინდეს არ წარმოადგენს., მაგრამ ჩვენი აზრით, თუკი ასეთი ტრადიცია აღდგება კარგი იქნება, რადგან ღვინის შეწირვა ეკლესიისათვის უფლის სახელით გაღებული შესაწირია.

— **ცნობილია პავლე მოციქულის სიტყვები: „ღმერთთან არ არს მიკერძოება“, მაშინ რატომ ამბობს პავლე მოციქული, რომ „წუთისოფლის მორწმუნეები ღმერთმა თავიდან ამოგვარჩიაო“?**

— ამ საკითხში გასარკვევად შეგვიძლია დავიხმაროთ სიტყვები წმინდა წერილიდან „მრავალნი არიან ჩინებულნი და მცირედნი რჩეულნი“... უფალმა მთელი კაცობრიობა გამოისყიდა თავისი ჯვარცმით, ყველას მისცა ცხონების საშუალება. მაგრამ ყველა არ მიჰყვება უფლის ძახილს, ვინც თვითონ ირჩევს უფალს და მასთან მიდის, სწორედ ის არის გამორჩეული. ისინი კი ცოტანი არიან.

— **გთხოვთ გვიპასუხოთ, ქრისტიანული თვალსაზრისით შესაძლებელია თუ არა ცოლ-ქმარმა მონათლოს ერთი ბავშვი და შეიძლება თუ არა, ადამიანს ჰყავდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე ნათლია?**

— ცოლ-ქმარი ვალდებულია ერთმანეთის ნათლულზე იზრუნონ. როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, ცოლ-ქმარი „ერთ სულ და ერთ ხორც არს“. რადგანაც ერთი ბავშვის ნათლიებს შორის ქორწინება აკრძალულია, ცოლ-ქმარიც ვერ მონათლავს ერთ ბავშვს. ჩვეულებრივად კი, ბავშვს შეიძლება ერთი ან რამდენიმე ნათლია ჰყავდეს.

— **ერთმა ქალმა 11 წლის წინ აიყვანა ბავშვი და ამ დროის მანძილზე თავის საყვარელს ეუბნება, ბავშვი შენგან მყავსო. ამაზე არის გაუთავებელი დავა. მე ვიცოდი სიმართლე და არ დავმალე. ჩამეთვლება თუ არა ეს ცოდვად?**

— საიდუმლოს გაცემა მართებული არ არის და ჩანს, ამას თქვენც გრძნობთ. თქვენ კიდევ უფრო დაამძიმეთ ისედაც დამძიმებული ურთიერთობა ადამიანებს შორის. თქვით აღსარება და მოინანიეთ ეს საქციელი. ცოდვილის მიმართ ყველაზე მართებული მოქმედება მისთვის ლოცვაა. ილოცეთ მისთვის. ეს თქვენთვისაც სიმშვიდის საფუძველი იქნება.

— **მიყვარს ჩემი ნათლულის დის ნათლია. შეიძლება თუ არა ჩვენი ქორწინება?**

— ეკლესია მსგავს კავშირებს სიფრთხილით ეკიდება. თქვენ უკვე ნათლულის ოჯახის ნათესავი ხართ. ნათლობით ნათესაობა კი იმდენივე თაობაზე გრძელდება, რამდენზეც სისხლით ნათესაობა, ოღონდ, პირდაპირი შტოს შთამომავლებზე — ეს ნათესაობა არ ეხება თქვენი ძმის ან დის შთამომავლებს. ეს წმინდა საეკლესიო წესია. პრობლემის გადასაწყვეტად რჩევისათვის მიმართეთ ადგილობრივ მმართველ მღვდელმთავარს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# საიდუმლო დოკუმენტი — ხაფანგი თუ მტკიცებულება?!

(დასაწყისი იხ. გვ. 12)

ეს ყველაფერი გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ სერიოზული დაპირისპირება გვქონდა ფრაქცია „აღორძინებასთან“, მათ შორის „XX საუკუნის“ ფრაქციასთან, ჯემალ გამახარიასთან, რომელიც სისტემატურად ავრცელებდა ჩვენ მიმართ სხვადასხვა სიცრუეს და გარკვეულ ბრალდებებს მიყენებდა. რამდენჯერმე შევუთვალე, თავი დაენებებინათ ამ სისულელეების გავრცელებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენც მივიღებდით ადეკვატურ ზომებს. მათ მაინც გააგრძელეს ცილისწამება და იძულებულნი გავხდით დაგვეწყო ადამიანების გამოაშკარავება — ვინ ვინ არის. მეუბნებით, რომ დოკუმენტი ყალბია, ამაზე დასკვნა არავის გაუკეთებია, მაგრამ გეთანხმებით, განცხადებები გაკეთდა ჯემალ გამახარიას მიერ გარკვეული დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე. რატომ არ შეიძლება, რომ ჯემალ გამახარიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი იყოს ყალბი?! გაუგებარია. როდესაც ყველა დოკუმენტს ჩაუტარდება ექსპერტიზა, მერე ვილაპარაკოთ.

— **ბატონო თამაზ, როგორც ვიცი, ოსაძის კომისია გამოაქვეყნებს დასკვნას, სადაც აღნიშნული იქნება, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ყალბია. ასეთ შემთხვევაში საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით...**

— იცით, ჯერ კომისიას უშიშროების სამინისტროდან ინფორმაცია არ მიუღია. არა მგონია, კომისიამ ასეთი დასკვნა გააკეთოს, რადგან არის ამის საწინააღმდეგო სხვა მასალებიც... გამოცდილება არც მე მაქვს ნაკლები. წლების განმავლობაში ვმუშაობდი აფხაზეთში, უშიშროების სტრუქტურებში, შემდეგ ვიყავი პირველი პირი აფხაზეთში და ჩემთვის ხელისგულზე იყო მთელი სურათი, ვინ ვინ არის და ვინ რას წარმოადგენს. მოდით, ჩვენი მოსაზრებებით ნუ ვილაპარაკებთ. ნუ ვიჩქარებთ. ასე რომ, მე არ ვღებულობ ბრალდებას, რომ თითქოს ყალბი დოკუმენტი წარვადგინე. გგონიათ, რომ ასე იოლად ვუყურებ ამ საქმეს?! სანამ დროებით საგამოძიებო კომისიაში გადავაგზავნიდი და გამოვაქვეყნებდი, ამ მასალაზე სერიოზულად მუშაობდა უშიშროების სამსახური, გარკვეული ექსპერტები, რომლებიც მაძლევენ საფუძველს ვთქვა, რომ ეს დოკუმენტი არ არის ყალბი.

— **ისე, ნაკლებდამაჯერებლად გამოიყურება ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტი ფოსტით მიიღეთ. ვინ გადმოგცათ?**

— ვერ გეტყვით. კომისია იტყვის ყველაფერს.

მაშ ასე, ამ კვირას ოსაძის კომისია ჩვენი ინფორმაციით გამახარიას დაუჭერს მხარს. ეს თავად გამახარიამაც იცოდა და გულდაარხეინებულმა გაგვასწრო გერმანიაში, რის გამოც მასთან კომენტარის ჩაწერა ველარ შევძელით.

# გიორგი სანაიას მეუღლე 100.000 ლარს ითხოვს



გიორგი სანაიას მკვლელობიდან წელიწადზე მეტი გავიდა. პროკურატურამ გამოძიება უკვე კარგა ხანია დაასრულა და დღეს სისხლის სამართლის საქმეს მკვლელობაში ბრალდებულის, გრიგოლ ხურცილავას ადვოკატი ეცნობა. არადა, გიორგი სანაიას მეუღლე და ადვოკატი ხათუნა ჩხაიძე პროკურატურის მუშაობით აღშფოთებულია და მიიჩნევს, რომ საქმე გაუხსნელია და ძიებაშივე იმდენად გაფუჭდა მტკიცებულებები, რომ არც არასოდეს გაიხსნება. მან პროკურატურისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა. ის მორალური ზიანისთვის 100.000 ლარს ითხოვს. ამ საჩივარს ხათუნა ჩხაიძის ინფორმაციით, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო ამ დღეებში განიხილავს და შეიძლება ითქვას, სასამართლო გადაწყვეტილება ლაკმუსის ქაღალდივით გამოაჩენს საქმისადმი მიდგომას, რაც შეეხება ძირითად პროცესს, ის, სავარაუდოდ, ახალ წლამდე დაიწყება. ვესაუბრებით **ხათუნა ჩხაიძეს**:

— **ხათუნა, როგორც შევიტყვე, სასამართლოში შეგიტანიათ საჩივარი და ფულად კომპენსაციას ითხოვთ...**

— დიახ, მე ვუჩივი პროკურატურას და სახელმწიფოს იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მსვლელობაში ძალიან ბევრი კანონდარღვევა მოხდა. დაირღვა ჩემი უფლებები. ისეთ დონემდე მიიყვანეს საქმე, რომ საზოგადოება საერთოდ ვერასოდეს გაიგებს, ვინ იყო გიორგის მკვლელი. იმის გამო, რომ ამ საქმეში მე ვიყავი დაზარალებული მხარე, მოვითხოვე 100.000 ლარის კომპენსაცია მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. საერთოდ, მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ვერასოდეს აღდგება ვერც უფლებები და ვერაფერი. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ეს არის გაფრთხილება ჯარიმის სახით, რომელიც ეკისრება გამოძიებას და სახელმწიფოს. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ 10.000 მოხმარდება სანდროს, დანარჩენი 90.000 ობოლ ბავშვებს.

— **როდის განიხილავს ამ საჩივარს სასამართლო?**

— უახლოეს დღეებში განიხილავს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლო.

— **თავის მხრივ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ გენერალურმა პროკურატურამ გააკეთა განცხადება, თითქოს თქვენი მხარე ხელოვნურად აჭიანურებს სასამართლო პროცესის დაწყებას...**

— თავიდან პროკურატურა არ მაძლევდა საშუალებას, რომ საქმეს გავცნობოდი. საქმე რომ აღიძრა ივლისში, მეორე ივლისამდე საერთოდ ერთი ფურცელიც კი არ წამაკითხეს. ხურცილავას მხარეს კი, როგორც კი დააკავეს, პირველი დღიდანვე ჰქონდა საქმის გაცნობის საშუალება. ის და მისი ადვოკატი დეკემბრიდან ივლისამდე კითხულობდნენ ამ საქმეს და ატრიალებდნენ ყველა მხრიდან. მე კი, რისი გაცნობის უფლებაც მქონდა, ისიც არ გამაცნეს. ამის უფლება მათ კანონით არ ჰქონდათ. საერთოდ არც ერთი ნივთი, რომელიც ტრიალებს პროკურატურის ხელში, ჩემთვის სარწმუნო არ არის, ყველაფერს ვაყენებ ეჭვის ქვეშ, დაწყებული თითის ანაბეჭდებიდან, დამთავრებული — იარაღამდე. ჩვენ ვიცით, საქართველოში როგორ მუშაობენ ასეთი სტრუქტურები და ელემენტარულად, რა სახელი აქვთ და რა იმიჯი. ხომ შეიძლება იდეის დონეზე დავუშვათ, რომ შესაძლებელი იყო ყველაფერი შეეცვალათ თავიდანვე? ასე რომ, ასეთი მტკიცებულებებით გიოს მკვლელობას ვერ გახსნიან.

— **საკმაო დრო გავიდა და დარწმუნებული ვარ, განუწყვეტლივ ფიქრობდით, რატომ, რა მიზეზით შეიძლებოდა მომხდარიყო ეს მკვლელობა. დღეისთვის თქვენთვის ყველაზე მეტად რომელი ვერსიაა მისაღები?**

— ვერსია მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის შესახებ — ხელისუფლებაში მოკალათებულ კრიმინალურ კლანებს ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ. უფრო კონკრეტულად რა გითხრათ, ისეთი ადამიანის მიერ არის ჩადენილი მკვლელობა, რომელიც შავ საქმიანობაშია გასვრილი და თავიდან მოიცილა ისეთი ჟურნალისტი, რომელიც მის საქმიანობაზე ინფორმაციას გაავრცელებდა.

— **გაქვთ სასამართლოს იმედი?**

— როდესაც დაიწყება ჩემი საჩივრის განხილვა, მაშინვე გამოჩნდება, უნდა მქონდეს თუ არა სასამართლოს იმედი.

— **სავარაუდოდ, როდის დაიწყება ძირითადი სასამართლო პროცესი?**

— იმდენი დარღვევეაა, შეიძლება საქმე ძიებაშიც თავიდან დაბრუნდეს. რაც შეეხება პროცესს, ვფიქრობ, ახალ წლამდე დაიწყება. თუმცა ნურავინ ელის რაღაც განსაკუთრებულს სასამართლოსგან. ეს იქნება იმავე სცენარით წარმართული რაღაც სპექტაკლი, რომელიც თუნდაც იმ დღიდან დაიწყო, როდესაც გამოვიდა პროკურორი და განაცხადა, რომ საქმე გახსნილია.

— **მახსოვს, რომ თქვენ მოწმედ წარმოადგინეთ ნათელა ქართველიშვილი, რომელზეც შემდეგ ზეწოლას ჰქონდა ადგილი. რა ხდება დღეს მის ირგვლივ?**

— ღმერთმა დაიფაროს ყველაფრისგან. დღესაც სოფელშია და თითქმის არ ჩამოდის, იმათთან კი ვის გვერდითაც პურს ყიდდა, დღეს პერმანენტულად მიდიან საეჭვო პირები და ეკითხებიან: სად არის? როდის ჩამოვა? ყოველ შემთხვევაში ამას ისე აკეთებენ, რომ ნათელას ყურამდე მივიდეს. ასე რომ, მკვლელობის შემკვეთი ამ ეტაპზე „კარგად“ მოქმედებს, დაწყებული პურების გადაყრიდან, დამთავრებული მუქარით, რომ მის შვილს გაანადგურებენ. ეს ქალი სამი დღის წინ ჩამოვიდა თბილისში. პურის გამყიდველებმა უთხრეს, რომ ეძებდნენ. ეს პირდაპირ მუქარას ნიშნავს. ეს თავად ნათელამ მითხრა.

— **მაგრამ ის ალბათ, სასამართლო პროცესზე გვერდში დაგიდგებათ...**

— კი, რა თქმა უნდა. ღმერთმა კარგად ამყოფოს.

*გვერდი მოამზადა*
*მარინა მამისაშვილმა*




# „და ალიონზე, თეთრ დუქანთან სტირის არღანი...“

არღნის ჩიტისოდენა ვიყავი ალბათ მაშინ, როდესაც პირველად გავიფიქრე, არღანი თბილისში ყველაფერზე ადრე გაჩნდა-მეთქი, ისე მოუხდა, ისე შეიფერა და დაიტია ჩემი ქალაქი. მაგრამ სისხლში გავიფიქრე ეს თუ გულში, აღარც კი მახსოვს. აკი გითხარით, არღნის ჩიტისოდენა ვიყავი-მეთქი მაშინ. ეს ამბავი კარგად იციან არღნის შექმნის დიდოსტატებმა, 700 წლის წინ, ანუ, როგორც თბილისში ხუმრობენ, ქალაქში ხოხობთან ერთად შემოფრენილმა ქიტესოვებმა, რომელთა მეთხუთმეტე თაობა ახლაც წინაპრების საქმეს აგრძელებს.

კაი ხანს დაობდნენ ერთმანეთთან: გერმანია, საფრანგეთი და იტალია, სამივე არღნის სამშობლოს სახელს იჩემებდა. თუმცა სამთაგან უპირატესობა მაინც გერმანიას ეკუთვნის, რადგან იქ განვითარდა საორგანო მუსიკა, რომელიც ძირითადად ეკლესიებში სრულდებოდა და პრიმიტიულ სტრუქტურას თითქმის არაფერი აქვს საერთო ქართულ არღანთან, რომელიც მსოფლიოში უნიკალურია. ასევე გერმანიაში დაიწყო მოღვაწეობა არღნის ფუძემდებელმა ჩეხმა იოჰან მაჩადომ. მერე ოდესაში ჩამოვიდა და 1886 წელს ბალკოვის ქუჩა №139-ში გახსნა ფაბრიკა, სადაც არღნებს აკეთებდნენ. ამ საქმეში 18 კაცი მონაწილეობდა, ყველას თავისი საქმე ჰქონდა, ხოლო მთავარი საიდუმლო, ანუ არღნის ამღერება მხოლოდ მაჩადოს შეეძლო. იქ დამზადებული არღანი ერთ-ერთმა ვაჭარმა შეიძინა და თბილისში ჩამოიტანა. აქედან დაიწყო ყველაფერი.

რა ვუყოთ მერე, თუკი თითქმის არღნის ჩიტისოდენა ვარ ახლაც და ჩემი მცირეწლოვანება ქიტესოვების თბილისში დასახლების 700 წელთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ ამ 700 წლიდან 250 წელია ისინი ავლაბარში, სართიჭალის ქუჩის №32-ში ცხოვრობენ. მათ ოჯახში იკრიბებოდა თბილისის მაშინდელი ელიტა და ყველა სიახლეს კბილს ერთად უსინჯავდნენ. არღანმა არა მარტო პირველი გილდიის ვაჭრები, მთელი საზოგადოება დააინტერესა. მოსვენება დაუკარგა ნაღდ ქალაქელს, ერუდირებულ კაცს, თბილისში ცნობილ თამადას, შესანიშნავ პიროვნებას, ხის დამუშავების დიდოსტატს ვანო ქიტესოვს, ანუ დიდ ვანო პაპას, როგორც მას ეძახდნენ. თავის დროზე ვანო პაპას მოსკოვიდან ლენინმა დაუკვეთა საწერი მაგიდა და წიგნების კარადა, რომელიც ლენინის მუზეუმს ახლაც ამშვენებს. მუსიკალური განათლების მქონე, მოუსვენარი, შემოქმედი კაცი როგორ შეეგუებოდა ხის „სიყრუეს“, გადაწყვიტა, ხეს მეც ავამღერებო, დაჰკრა ფეხი და ოდესაში მაჩადოს არღნის ფაბრიკაში ჩავიდა... მაშინ არღნისთვის გერმანიიდან გამზადებულ ხის მასალებს იღებდნენ, შეაერთებდი და მორჩა, არღნის ყუთიც მზად იყო. დიდი ვანო პაპა ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა. მიხვდა მაჩადო, მოსწავლემ მაჯობაო და მიუხედავად იმისა, რომ ორი შვილი ჰყავდა, მთავარი საიდუმლო იმ ჯადოსნური ყუთის ამღერებისა ჩეხმა ოსტატმა თბილისელ კაცს ასწავლა. ოდესიდან თბილისში დაბრუნდა დიდი ვანო პაპა და სიცოცხლე მისცა ქართულ არღანს, რომელიც არა მარტო თბილისსა და საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ხელოვნების უნიკალური ნიმუშია, არღნის ამ დიდოსტატს არც სასამართლოებში ურბენია პირველობის დასაჩემებლად, არც სიგელ-გუჯრები დაუთვლია, სად ეცალა, რად უნდოდა? შვიდი თვე მარტო არღნის ყუთის კეთებას უნდა, — დღეში 8 საათი მაინც უნდა იმუშაო, თითქმის ორი წელი კი სრულყოფილებისთვის სჭირდება. დიდმა ვანო პაპამ სულ ამ პატარა ყუთში დაატია, აზიაცა და ევროპაც, ყარაჩოხელის დარდიმანდობაცა და კინტოს ეშმაკობაც, ორთაჭალის ტურფების ღიმილიც, თბილისის მზის ნატეხიც, აქაური რობაია, მუნასიბი თუ მუსიკა სულ ერთად გამონასკვა. არღანს გულში თითბრის ნემსები დაასო, ანუ მათ ენაზე რომ გითხრათ, სიმღერა ჩაარტყა, სული ჩაბერა და... იცოდა, ყველაზე კარგად თავად იცოდა დიდმა ვანო პაპამ იქიდან რა გამოვიდოდა, იმ ერთი შეხედვით მარტივ, არღნის სახელურის ტრიალისას, ადამიანის სულის რომელ სიმს გამოჰკრავდა... იცოდა, რომ რკინის ხელით გალახულ ქვეყანას, ისევ არღნის სიმღერაზე უნდა ეტირა... „კამსამოლსკაიაზე“ ანუ ვერდენის დუქანშიც უნდა ეთქვა თავისი და წაკიდებულ ქალაქელებთანაც, იმათი სულის ქვითკირიც უნდა გაერღვია, რომ მერე ეთქვათ: „მოდი, ჯიგარო, იუზგრები ვიყოთ!“




თბილისს ცნობილი მეარღნეები ჰყავდა: ალე პაპა, არაქელ პაპა, კოლა პაპა, ლექსო პაპა... ისინი არღანს უკრავდნენ და მღეროდნენ. თორემ, ქიტესოვების გარდა, არღანი არავის გაუკეთებია. დიდი ვანო პაპას შვილმა, იაკობმა გააგრძელა მერე მამის საქმე. სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი ჯარში წავიდა და იქიდან დაბრუნებულმა მთელი ცხოვრება არღნის შექმნა-„ექიმობას“ მოანდომა, მის კვალზე მიდის მისი შვილი, პაპის მოსახელე ვანიკოც, მეგობრები „მერვე საოცრებას“ რომ ეძახიან. ქიტესოვების გაკეთებული არღნები მსოფლიოს რამდენიმე საგამოფენო დარბაზსა და კერძო კოლექციას ამშვენებს. მათ ნახელავს მაშინვე იცნობ, არა მარტო წარწერით: Органный мастер Китесов - Тбилиси — არამედ, ტკბილხმოვანებითაც. მათი არღანი 26-კლავიშიანი, 6-რეგისტრიანია და 8 სიმღერას იტევს. 1987 წელს სახალხო ხელოვნების მეორე საკავშირო ფესტივალზე, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა იყო წარმოდგენილი, მათ არღანს პირველი ადგილი მიაკუთვნეს. იგივე მოხდა გერმანიაში, მსოფლიო საორგანო მუსიკის ფესტივალზე... ჰოლანდიის მუზეუმში, საქართველოს კუთხეს ქიტესოვების არღანი ამშვენებს, რასაც ვერ ვიტყვი საქართველოს მუზეუმებზე... 90-იან წლებში კულტურის სამინისტროს დადგენილებით, არღნის ოსტატთა სკოლა უნდა გახსნილიყო, მაგრამ... იყო დრო, როდესაც ერთი არღნის ფასად სამ სახლს იყიდდი, ერთხელ, გორკიდან ჩამოყვანილ ორ ახალ „გაზ-24“-ს ერთ არღანში უცვლიდნენ, მაგრამ უარით გაისტუმრეს ქიტესოვებმა, არღანს მანქანაზე არ ვცვლითო... იაკობ ძიას, ანუ პაპას, როგორც მას ვეძახით, გაკეთებული სამი არღანი ჰქონდა იოსებ გრიშაშვილს. ერთხელ საკუთარ ტექსტზე შექმნილი სიმღერა „სად შენი და სად იმისი თვალები“ ჩაარტყმევინა. „სამუშაოს მის სახლში ვასრულებდი, — იხსენებს პაპა, შემიყვანა კაბინეტში და მითხრა — ამ ოთახში მე მხოლოდ დიდოსტატები შემომყავსო. ფული რომ მომცა, მითხრა დათვალეო. მე ვუთხარი: ძია სოსო, თქვენ ამხელა კაცი ხართ, ამას როგორ შემოგკადრებთ-მეთქი. არაო, გინდა თუ არა დათვალეო. დავთვალე და იმაზე მეტი იყო, რაც მეკუთვნოდა. მეტი იმიტომ მოგეცი, შენს ამქარში რომ წახვალ, ჩემი სადღეგრძელო დალიოო — მითხრა ძია სოსომ. მაშინ მეტი ჰალალობა იყო...“

ძია იაკობი 82 წლისაა. ისევ ისეთი სიყვარულით აკეთებს თავის საქმეს, როგორც ბავშვობაში, მამამ რომ ასწავლა. ღიმილიც ძველებური აქვს, ხანგრძლივი უამინდობის შემდეგ ცა რომ გამოანათებს, ისეთი. რამდენიმე წლის წინ, იმ ავადსახსენებელი არეულობისა და უშუქობის დროს სახლში ხანძარი გაუჩნდათ. მაშინ პაპამ ორივე ხელები ისე დაიწვა, თითქმის ძვლები უჩანდა. უნდა გაეკეთებინათ ოპერაცია, რომლის შემდეგაც ორივე ხელი პარალიზებული ექნებოდა. ექიმი თემურ ჩხაიძე იყო წინააღმდეგი: ეს ხელები, პაპა, მარტო თქვენ კი არა, მთელ საქართველოს ეკუთვნის და უნდა გადავარჩინოთო — უთხრა ძია იაკობს და დანაპირები ნახევარწლიანი უანგარო მკურნალობის შემდეგ აუსრულა. კეთილ ადამიანებს ქვეყანაზე რა დალევს, მაგრამ მათი ოჯახი არავის რჩება ვალში და ის სითბო და სიყვარული, რომელსაც ქიტესოვების სიახლოვეს იგრძნობ, უმეტესად ალბათ მათი ნამოქმედარის გამოძახილია.

„ადრე, მამაჩემს არღნისთვის მოსამზადებელ ოპერაციებში დედაჩემი ეხმარებოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს „შავი სამუშაო“ ჩემმა დამ, რუსუდანმა შეცვალა. ახლობლები ეხუმრებიან: პაპას და ვანიკოს სახით მთელ საქართველოს უვლიო. ჩვენ არაფერი არ გვინდა, უკანასკნელ რამეს გავყიდით და არღნისათვის მასალებს ვიყიდით, მაგრამ კარგი იქნებოდა, ცოტა ყურადღება გამოეჩინათ ბიზნესმენებს და მასალების შეძენაში დაგვხმარებოდნენ. არ მინდა, რომ გაჩერდეს ეს საშვილიშვილო საქმე, მოკვდეს, ვარსკვლავივით გაქრეს, ნუთუ ბოლო გაელვება უნდა იყოს?!“ რა უცნაურია ქვეყანა, რომელსაც დიდი ნიჭიერებისა და კულტურის გარდა სატრაბახო აღარაფერი აქვს, ასეთი სიმდიდრე ხელისგულზე უდევს და გული გაუქვავებია... გასაქრობად როგორ უნდა გაიმეტო ეს საოცრება და კოლორიტი, არღანი, რომელიც თბილისის სიმბოლოდაც კი იქცა. იმ 18 კაცის საქმეს, რომელიც არღნის შექმნას სჭირდება, ქიტესოვების დინასტია სრულყოფილად ფლობს. ვანიკო ამ დინასტიის გამგრძელებლად თავისი დის, რუსუდანის სამწლინახევრის შვილიშვილს ლუკას მიიჩნევს, მაგრამ მაინც არ მჯერა ამით „მოიგოს“ რუსუდანის გული, რომელიც ძმას ახლობლებთან ერთად, ივანე კოტორაშვილივით გაკოჭვასა და დაქორწინებით ემუქრება... არღნის ჩიტის ასაკის კი ვარ, მაგრამ რუსუდანს ვანიკოს გაკოჭვაში მაინც მივეხმარები...

არღნის დიდოსტატები, მამა-შვილი იაკობ და ვანიკო ქიტესოვები ახლაც აკეთებენ არღანს — მოხატულს ჩიტებით, მოცეკვავე გოგოებით, მოჭიდავეებით, მწყემსი გოგონებით, ღვინის ბოთლებით, ნიკოლოზის დროინდელი ფულის ბრჭყვიალა თვლებით... კარგად იციან ამ ჯადოქრებმა იმ თითბრის ჩხვლეტია ნემსებს რა თილისმა ჩააყოლონ, რომ სიმღერას, რომელსაც მათი არღანი იტყვის, ისევ ტირილი დავარქვათ... მარტო მაშინ კი არა, როცა ღვინო „ძველი თბილისით“ გაიღვიძებს თრობა ნიჭივით, არამედ ყოველთვის. ქიტესოვების ოჯახმა მარტო არღნის კეთების კი არა, სიყვარულის, ქალაქელობის, თბილისის კოლორიტის ტრადიციაც გააგრძელა. მათ ოჯახში არა მარტო მთელი თბილისი, სრულიად საქართველო სტუმრობს. მე უთქვენოდ არარამ კაცი ვიქნებიო, იტყვის ხოლმე ვანიკო ქიტესოვი. იმავეს ვამბობთ ჩვენც, მათი სტუმრები და ამას მაინცდამაინც ღვინო „ძველ თბილისს“ ნუკი დააბრალებთ. ჩვენც ხომ არღნის ჩიტები ვართ თბილისქალაქის ქუჩებში ბანიბან, სუფრა-სუფრა, ვერცხლისწყალივით ვაგროვებთ სითბოს, რომ მთელ საუკუნეს სიცხე გავუზომოთ. როდის ვიფიქრე ეს, ალიონზე?! როცა თეთრ დუქანთან ტიროდა არღანი თუ მაშინ, როცა არღნის ჩიტისოდენა ვიყავი? ღმერთმანი, არ მახსოვს, ასე კი იყო...

R

CMYK

# ჯავახქი: შეუცნობელია გზანი ისტორიისა

**ჯავახქი ის თემაა, რომელიც წამდაუწუმ ხმიანობს ქართულ პრესაში. ჩვენი მეზობელი ქრისტიანული ქვეყნის მასმედია დაჟინებით ამტკიცებს — სომხებს მუდმივად აქვთ პრეტენზია ამ ძირძველი ქართული მხარის მიმართო. სომხური მხარეც ხშირად უბრუნდება ამ თემას, მაგრამ ეს პუბლიკაციები მხოლოდ და მხოლოდ ჯავახეთის მოსახლეობასა და მთლიანად მხარის პრობლემებს ეხება ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებზე, რომ სომხეთის ხელისუფლებას არანაირი ტერიტორიული პრეტენზია არ აქვს საქართველოს მიმართ. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პოლიტოლოგი ალექსანდრ კანანიანი შეეცდება გახსნას დაპირისპირებათა კვანძი, რომელიც ჯავახქის ირგვლივ შეიკრა.**


НОВОЕ ВРЕМЯ

• Армения-Грузия

ДЖАВАХК: неисповедимы пути истории

Джавахк — тема, которую постоянно муссирует грузинская пресса. Масс-медиа соседней с нами христианской страны методично твердят, что армяне не претендуют на этот исконно грузинский край. СМИ Армении также многократно обращаются к этой теме. Но затрагивают в основном проблемы армянского населения Джавахка и края в целом, подчеркивая, что армянские власти никаких территориальных претензий к Грузии не имеют. В беседе с нами научный сотрудник Института истории НАН РА политолог Александр КАНАНЯН попытался распутать сложно переплетенный узел противоречий, который являет собой Джавахк.

— ჯავახქი სომხურ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად გახლავთ შესწავლილი. გასაბჭოებამდე სომეხი მეცნიერები გაკვრით თუ შეეხებოდნენ ამ მხარის ისტორიას, თუმცა საფუძვლიანი კვლევა არც ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით ერვანდ ლალაიანის ფრაგმენტულ ჩანაწერებს. საბჭოთა პერიოდში ეს თემა ტაბუდადებული იყო — სომეხ მეცნიერებს საშუალება არ ეძლეოდათ, ჩაეტარებინათ ჯავახქის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები, საველე სამუშაოები. მეტიც, სამეცნიერო შრომებშიც კი ვერ მიმოიხილავდნენ ამ მხარის ისტორიას.

სომხეთისგან განსხვავებით, ქართული ისტორიოგრაფია ბევრად „მდიდარია“. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის ხანაში ქართველმა მკვლევარებმა: ე. თაყაიშვილმა და ი. როსტომაშვილმა აღწერეს ახალქალაქის მაზრის ისტორიული ძეგლები, სადაც ჯავახქი წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, სადაც 1830 წლიდან დამკვიდრდა გადმოსახლებული კარინელი სომხობა. იმის აუცილებლობამ, რომ ჯავახქი ნებისმიერი ხერხებით მიეკუთვნებინათ ქართული ეთნოკულტურისთვის, ქართველი მეცნიერები აიძულა საბჭოთა პერიოდში ათეულობით ტომი გამოეცათ ისტორიის, არქეოლოგიის, არქიტექტურის დარგში. ზოგი მათგანი, მართალია, გარკვეულწილად, რაღაც მეცნიერულ ღირებულებას კი წარმოადგენს, მაგრამ მათში შეგნებულად არის უგულებელყოფილი სომხური ნიშატი ჯავახქის ტერიტორიაზე. ეს მხოლოდ უარყოფა როდია მრავალრიცხოვანი სომხური ჯილაგის ამ მიწაზე მოსახლეობისა, არამედ ამ კუთხეში შუა საუკუნეების სომხური კულტურის ძეგლების აღმაშფოთებელი იგნორირებაც გახლავთ.

1959 წ. ლიანა დავლიანიძემ ქართულ სამეცნიერო პერიოდიკაში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც თმკაბერდის ანუ თმოკის (ქართ. თმოგვი) ციხესიმაგრის ჰაჩკარებს (ჯვრებს) ეძღვნებოდა. სტატიაში აღწერილია XIII-XIV ს-ების ოცი სომხური ჰაჩკარი, რომლებზეც სომხური წარწერები იყო შემონახული. მაგრამ ქართველი „მკვლევარებისთვის“ ამას ხელი არ შეუშლია, რომ ჰაჩკარებისთვის ჯერ ძირი გამოეთხარათ და შემდეგ მდინარე მტკვრის ხეობაში გადაეყარათ. სამწუხაროდ, ეს ამბავი ძეგლების განადგურებით არ დასრულებულა. ჯავახქის (1933წ.) სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელის, ნიკო ბერძენიშვილის მიერ გამოცემული არქეოლოგიური დღიური კიდევ ერთი წყარო გახდა, რომელსაც დღემდე ეყრდნობიან ანტისომხური სტატიების ავტორები. ჩვენ არ უარვყოფთ მის მიერ ჩატარებულ კვლევას — მეცნიერულად აღიწერა ათზე მეტი მანამდე უცნობი წარწერა, კიდევ ერთხელ დაზუსტდა ადრე აღმოჩენილი წარწერებიც. მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი, მთავარი ის არის, რომ ნიკო ბერძენიშვილი ყოვლად უსაფუძვლოდ სდებს ბრალს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას ქართული წარწერების შეგნებულად დაზიანებაში. თუმცა, ეპიგრაფიკაში ოდნავ ჩახედული ადამიანი, რომ აღარაფერი ვთქვათ მეცნიერზე, უნდა მიხვდეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ფაქტები ძეგლების „დაზიანებისა“, განპირობებულია დროითა და ბუნების სტიქიებით. და იმ რამდენიმე შემთხვევის გამო, როცა ადამიანი „შეურაცხყოფს“ ძეგლს — უსაფუძვლოდ უნდა დააბრალო ყველაფერი სომხებს?! ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ჯავახქში მუსლიმი მოსახლეობა მძლავრობდა — სწორედ ეს გახლავთ ვანდალიზმის უპირველესი მიზეზი. მაგრამ ქართული საზოგადოებრიობა იმედს არ კარგავს, რომ მუსლიმები როდისმე მაინც დაუბრუნდებიან ქართულ წიაღს და ყველაფერს ხელაღებით სომხებს აბრალებს.

ნიკო ბერძენიშვილი მხოლოდ ქართული სიძველეების განადგურებას როდი გვაბრალებს; 1933 წელს ჯავახქში ყოფნისას მას ხან ანტიქართული განწყობა ელანდება, ხან ანტისაბჭოური შეთქმულება. მისი ექსპედიციის დღიურები მშვენიერი სახელმძღვანელო იყო НКВД-სთვის პატრიოტულად განწყობილი და განათლებული ჯავახქელების ფიზიკურად გასანადგურებლად. ავტორი სოფლებსა და ოჯახებსაც კი ასახელებს, სადაც მას (მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქართველია?!) ლუკმაპური და წყალი დაუკავეს და ატარებს აზრს, რომ ასეთი ადამიანების მიმართ აუცილებელია ზომების მიღება.

მთავარი კოზირი თანამედროვე ისტორიოგრაფიისა, რომელიც პოლიტიკურ წრეებს ემსახურება, განამტკიცებს იმ შეხედულებას, რომ 1830 წლამდე ჯავახქში არ არსებობდა რამდენადმე კომპაქტურად დასახლებული სომხობა, მით უფრო — სომხური ეთნიკური დასახლება.

მაგრამ ჯავახქის ტოპონიმთა ეტიმოლოგია, ისევე, როგორც არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილი უძველესი კულტურული პლასტები, მხარის ადრე შუასაუკუნოვანი ტრადიციების ერთიანობა, მისი მჭიდრო კავშირი სომხეთის ზეგანის საერთოკულტურულ არეალთან და ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ჯავახქი სომეხი ერის გენეზისის არეალში შედიოდა. ქართული ეთნიკური ელემენტის შეჭრა ჯავახეთში უძველეს დროში ხდებოდა, უმთავრესად ქართველი მესაქონლეების სახით, რომელთაც საქონელი გაჰყავდათ ჯავახქის საძოვრებზე. მე-19 საუკუნის პრესაზე დაყრდნობით დგინდება, ამ პროცესს მუდმივი ხასიათი ჰქონია. ტყუილად როდი უწოდებდნენ ქართველი მესაქონლეები საქართველოდან ჯავახქისკენ მიმავალ გზას — „ცხვრის გზა“. მე-9 საუკუნიდან მოყოლებული ჯავახქი ბაგრატიონების არტანუჯული დინასტიის გავლენის ქვეშ ექცევა და ძლიერ ქალკედონურ ზეწოლას განიცდის. შედეგად, სომხეთის ამ კუთხის მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს, თავის პოლიტიკურ ხელისუფალთა მსგავსად, ქალკედონურ საქართველოსთან აქვს შეხება, მართლმადიდებლობას იღებს და ქართველდება. ქალკედონური რწმენის აღმსარებელი ფეოდალები აშენებენ ეკლესიებს, სადაც ღვთისმსახურება წმინდა ბერძნული იყო, ოღონდ ქართულად აღესრულებოდა.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ქართული

> **• • • ჯავახქი, რომლის სომხური სახე შუა საუკუნეებში დასუსტდა, მე-19 საუკუნეში კვლავ აღდგა, როგორც წმინდა სომხური რეგიონი, იმ დროს, როცა ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის რაიონები, პრაქტიკულად, თურქული ეთნიკური ელემენტებით არის დასახლებული.**
>
> **• • • ამ ტერიტორიებზე ყოველ ათ შუასაუკუნოვან სომხურ ეკლესიაზე ერთი ქართული ეკლესია მოდის.**
>
> **• • • ივანე ჯავახიშვილის მტკიცებულება იმის შესახებ, თითქოს სომხები პრაქტიკულად მთელ საქართველოზე აცხადებდნენ პრეტენზიასო, რბილად რომ ვთქვათ, უსაფუძვლოა *(აგაშენათ ღმერთმა — რედ.)*.**

ეპიგრაფიკა ჯავახეთში IX საუკუნეში გამოჩნდა და XIV-ში შეწყდა. XIV საუკუნიდან იქ მხოლოდ სომხურ ეპიგრაფიკას ვხვდებით. თუნდაც ის ფაქტი, რომ 70-მდე შემონახულ საფლავის ქვაზე მხოლოდ ორს ამშვენებს ქართულენოვანი წარწერა (დანარჩენი სომხურია), თვალსაჩინოს ხდის, რომ ქართველთა მრავალსაუკუნოვანმა პოლიტიკურმა ბატონობამ ვერ შერყვნა ჯავახქის ეთნიკური სახე. ქალკედონიზმის მიმდევრებმა და გაქართველებულმა სომხებმა თურქეთის ბატონობის დასაწყისშივე მიიღეს ისლამი. სომხური მოსახლეობა კი, უმძიმესი წნეხის გამო, თანდათან შემცირდა. ამრიგად, 1830 წელს ჯავახქში სომეხი მოსახლეობის გადასახლება უნდა განვიხილოთ არა როგორც საქართველოს ტერიტორიის „კოლონიზაცია“, არამედ სომხური მოსახლეობის მიგრაცია მისი ერთი რეგიონიდან მეორეში.

ქართულ ისტორიოგრაფიასა და პუბლიცისტიკაში ქართულ-სომხური ტერიტორიული ურთიერთშეუთანხმებლობა მე-20 საუკუნის დასაწყისში უკიდურესად ტრაფარეტული და აბსურდულია. ივანე ჯავახიშვილის მსგავსად, სომხებს ბრალს სდებენ, თითქოს ისინი პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს დიდ ნაწილზე, მათ შორის თბილისის, გორის, კახეთის მიმართ. რამდენად აბსურდულია ასეთი მოთხოვნა, ქართველმა ისტორიკოსებმაც კარგად იციან. არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური, თუნდაც პროგრამული დოკუმენტი სომხური მხარისა, სადაც გამოთქმული იქნებოდა მსგავსი პრეტენზია. ამგვარი მტკიცებულებების გახმიანების მიზანი ცხადზე ცხადია. „სომხური პრეტენზიების“ ჰიპერბოლიზებით ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა ცდილობს დაარწმუნოს თანამემამულენი სომხების „უსაზღვრო უსამართლობასა და უსინდისობაში“. სინამდვილეში, მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1905-7 წლებში პოლიტიკურ დესტაბილიზაციასთან დაკავშირებით, ნაციონალურმა ელიტამ, ამიერკავკასიაში ეთნოსთაშორისი პრინციპით, ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილების განხილვის ინიცირება მოახდინა. საქმე ის გახლავთ, რომ იმ დროისთვის რეგიონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა არანაირად არ ემყარებოდა ეთნიკურ პრინციპს, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა რეგიონის რუსეთთან მიერთების ქრონოლოგიისა და მეორე მხრივ, მათი ხელოვნურად დაყოფის ცდით, რათა არ მომხდარიყო რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულის გაიგივება ეთნიკურ ელემენტთან.

1918 წლის მაისში ამიერკავკასიის სეიმის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლის შემდეგ, რეგიონის ეროვნებათაშორისი პრინციპით დაყოფა პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა. ეთნიკური უმრავლესობის ფაქტორი ყველასთვის მისაღები პრინციპი იყო, რაც სოციალური მოლაპარაკებით უნდა მიღწეულიყო. მაგრამ თურქეთის ფრონტის გარღვევამ და რუსეთის ფაქტობრივად ამიერკავკასიიდან წასვლამ დიამეტრულად საწინააღმდეგო ვითარებამდე მიგვიყვანა. აღმოსავლეთი სომხეთი დასავლეთ სომხეთიდან ასობით ათას ლტოლვილს ვერ აუდიოდა, შიმშილი, ეპიდემია და ნგრევა გამეფებულიყო. საქართველოს სახელმწიფო, ჩვეული, საუკუნეებით შემუშავებული ტრადიციისამებრ, თურქეთსა და აზერბაიჯანს მოელაპარაკა, თავის ტერიტორიაზე თურქეთის მოკავშირე გერმანული ჯარი ჩააყენა და რაღაც დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების მსგავსი გაინაღდა. გერმანულ-ავსტრიულ-ოსმანური ბლოკის რღვევამ ერთგვარად გააუმჯობესა სომხეთის მდგომარეობა. 1918 წელს კვლავ მწვავედ დადგა ოსმალურ-ქართული ტრადიციული გამიჯნვის პრობლემა.

იმხანად, მენშევიკებს მნიშვნელოვანი მატერიალური და გეოპოლიტიკური უპირატესობა გააჩნდათ და ამიტომ მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს „ისტორიული კუთვნილებაა“ არა მარტო ჯავახქი და ლორე (რომელიც თბილისის გუბერნიაში შედიოდა), არამედ პამბაკიც (სპიტაკის რაიონი). 1918 წლის დეკემბერში ადგილი ჰქონდა ხანმოკლე ქართულ-სომხურ შეიარაღებულ კონფლიქტს, მაგრამ ინგლისის ჩარევამ შეუშალა ხელი ტერიტორიული გამიჯვნის საბოლოო გადაწყვეტას — ჯავახქი ქართულ მხარეს დარჩა, ლორე ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. 1920 წელს ქემალისტური ჯარების სომხეთში შემოჭრის შემდეგ, საქართველომ კიდევ ერთხელ მოახდინა ლორეს ოკუპაცია. გასაბჭოების შემდეგ ლორე სომხეთს დარჩა.

სამწუხაროდ, დაშნაკთა პარტიამ, რომელმაც იტვირთა პასუხისმგებლობა სომეხი ხალხის მომავალზე, ვერ გამოიჩინა პრინციპულობა სომხეთ-საქართველოს ტერიტორიულ დავაში. ის გარემოება, რომ სომხეთს მრავალი საუკუნის მანძილზე გაუქმებული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და ჩრდილო სომხეთის ზოგიერთი კუთხე ნახევრად დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკური წარმონაქმნების შემადგენლობაში შედიოდა, არ აძლევს საქართველოს უფლებას, ეს ტერიტორიები ისტორიულ კუთვნილებად გამოაცხადოს. შეუცნობელია გზანი ისტორიისა — ალბათ ამიტომაც ჯავახქი, რომლის სომხური სახე შუა საუკუნეებში დასუსტდა, მე-19 საუკუნეში კვლავ აღდგა, როგორც წმინდა სომხური რეგიონი, იმ დროს, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთი გუგარქი — ბოლნოპორი, ქვიშაპორი, ცობოპორი, კოლბოპორი, მანგლიაცპორი (ანუ დღევანდელი საქართველოს ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის რაიონები) პრაქტიკულად თურქული ეთნიკური ელემენტებით არის დასახლებული. თუმცა ასობით სომხური ეკლესია, მრავალი ასეული სომხური წარწერა (რომელთა უმრავლესობა უკვალოდ გაქრა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ქართველ მეცნიერთა „კვლევის“ შედეგად) ნათლად მეტყველებს ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ძირითად ეთნიკურ ელემენტზე. ყოველ ათ შუასაუკუნოვან სომხურ ეკლესიაზე (რომლებიც, ფაქტობრივად, უბრალო ნაგებობებია, უბრალო ხალხის ნაშენები) ერთი ქართული ეკლესია მოდის — დიდი და მდიდრული. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართულ ეკლესიებს სახელმწიფო აშენებდა, ამკვიდრებდა რა სომხურ ტერიტორიებზე ბიზანტიურ მართლმადიდებლობას. მიუხედავად ყოველივე ამისა, დაშნაკები მხოლოდ სომხებით დასახლებულ ჯავახქისა და ლორეს მიერთებას მოითხოვდნენ სომხეთისთვის.

ამრიგად, ივანე ჯავახიშვილისა და მრავალი თანამედროვე პუბლიცისტის მტკიცებულება იმის შესახებ, თითქოს სომხები პრაქტიკულად მთელ საქართველოზე აცხადებდნენ პრეტენზიასო, რბილად რომ ვთქვათ, უსაფუძვლოა და კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

***„ნოვოე ვრემია“ 5 ნოემბერი, 2002 წ.***

***რედაქციისგან:** ამ სტატიას მცირე შემოკლებით გთავაზობთ. იგი სომხეთის რუსულენოვან გაზეთში დაიბეჭდა ახლახან. როგორც ჩანს, საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემები, ჯავახეთი იქნება ეს თუ ბოლნის-თეთრიწყაროს რაიონი („სომხური ეთნოსის ავტოხთონური სამკვიდრო“), ერთობ აქტუალური თემაა ძმურ მეზობელ სახელმწიფოში. ჩვენ კი ბაიბურშიც არ ვართ. თურმე თვალდახუჭული ვენდობით ქართველ მეცნიერთა „მდიდარ“ შრომებს, ჩვენი მიწა-წყალი მართლაც ჩვენი გვგონია და წარმოიდგინეთ, ვამაყობთ კიდეც ჩვენი წარსულით...*

*ხანდახან... იშვიათად... როცა მავანთა ნააზრევი არ მოგვეწონება, გულში მჯიღს ვიცემთ, და... ერთმანეთს ვუმტკიცებთ და ვახსენებთ — რანი ვიყავით, საიდან მოვდივართ, ვისი გორისანი ვართ. ერთმანეთს, თორემ საჯაროდ და საქვეყნოდ მავანთა გამტყუნება უხერხულია, არატოლერანტობას დაგვაბრალებენ და ხომ მოგვეჭრა თავი მთელ დუნიაზე...*

*და მაინც, იქნებ ამ პუბლიკაციამ არ ჩაიაროს ფუჭად, იქნებ გამოგვეხმაურონ კომპეტენტური პირები და გაგვარკვიონ, სად იწყება და სად მთავრდება ჩვენი სამშობლოს — საქართველოს საზღვრები?!*

## რას წერენ ჩვენზე

# მასხადოვი გმობს ტერაქტს და ბასაევის გასამართლებას მოითხოვს...

## ვინ იქნება შუამავალი?

როგორც იქნა, მასხადოვი იატაკქვეშეთიდან გამოვიდა და ოფიციალურად დაგმო მოსკოვში მძევლების აყვანის ფაქტი. მან ტერაქტის გამოძიების დასრულებამდე და შარიათის გადაწყვეტილების მიღებამდე შამილ ბასაევი გადააყენა ყველა თანამდებობიდან.

იჩქერიის პრეზიდენტისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა თვითმკვლელობის ტოლფასია, რადგან პირწავარდნილი ბანდიტის, ბასაევისა და მის რადიკალურ „ბოევიკთა“ მიმართ ასეთი მკაცრი მოპყრობა კარგს არაფერს უქადის მასხადოვს. მაგრამ მან ეს ერთი მიზნით გააკეთა — ამ განცხადებას შეიძლება მოჰყვეს ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოლაპარაკებების განახლება.

მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუსხდნენ ჩეჩნეთის ინტელექტუალური დიასპორის წარმომადგენლები, პატივსაცემი მოლები, ყველაზე დიდი რაზმების საველე მეთაურები.

მაგრამ ვინ მიუჯდება მაგიდას ფედერალების მხრიდან?

ვინ იქნება შუამავალი, ვინ შეარიგებს შეურიგებლებს?

მომრიგებელი ფიგურა, ურომლისოდაც არაფერი მოგვარდება, გარეშე კაცი უნდა იყოს. ოღონდ არა ფედერალების ბუდიდან, — თორემ ჩეჩნები არ ენდობიან.

ყველაზე მეტი შანსი მაინც ედუარდ შევარდნაძეს აქვს. შეიძლება ეს სახელი ვინმეს ეხამუშოს, მაგრამ სწორედ შევარდნაძეა საერთაშორისო შუამავლობისთვის საუკეთესო და პრაგმატული ფიგურა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის საბჭოური ფესვების მქონე პოლიტიკური ბაბუა და ოლიგარქია, მეორე — პანკისის ხეობის აგვისტო-სექტემბრის კრიზისის დროს როგორღაც მოახერხა პუტინთან მოლაპარაკება, ე.ი. „როცა მოინდომებს — შეუძლია“. მესამე და მთავარი: რუსეთს ცხადია მაინცდამაინც გულზე მალამოდ არ მოეცხება, მაგრამ საქართველო დღეს იმ ქვეყანათა შორისაა, სადაც აშშ-ს სტრატეგიული ინტერესები აქვს. ამიტომ შევარდნაძის აზრს, სხვათა სიტყვისგან განსხვავებით, თეთრი სახლი ყურად იღებს.

სად უნდა ჩატარდეს მოლაპარაკებები? რასაკვირველია, მოსკოვში არა. არც თურქეთში — კრემლს ალერგია აქვს მასზე.

ისევ საქართველოს აქვს კარგი შანსი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცე პოლიტიკური გარანტიები იქნება იმისა, რომ ჩეჩენ დესპანებს მზაკვრულად არ სტაცებენ ხელს, ციხეში არ ჩააყუდებენ და რუსეთს არ გადასცემენ.

ასეთი უნდა იყოს დასაწყისი მოლაპარაკებისა, რომელიც გადარჩენის საწინდარი იქნება.

***ნოვაია გაზეტა №83***
***მცირედი შემოკლებით***

# მოსკოვი ტაქტიკას ცვლის

მოსკოვში მომხდარმა „მძევალთა კრიზისმა“, რომელიც რუსეთში „რუსულ 11 სექტემბრად“ მონათლეს, კრემლი იძულებული გახადა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ტაქტიკა შეეცვალა. ქვეყნის შიგნით, ჩეჩნებზე ნამდვილი ნადირობა დაიწყო — რუსეთის სამართალდამცავები „ჩეჩნურ მაფიას“ ებრძვიან, მაგრამ ტაქტიკის ცვლილება უფრო საგარეო პოლიტიკაში შეიმჩნევა. ძირითადად ეს ეხება საქართველოს მიმართ რუსეთის ზეწოლას, რომელიც ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე „მძევალთა კრიზისი“.

ზამთრის დადგომასთან ერთად ჩეჩნეთში ამბოხებულთა აქტივობა მცირდება. ადრე ასობით ჩეჩენი მებრძოლი და მათი არაბი მოკავშირეები კავკასიის მთებით გადმოდიოდნენ საქართველოში, სადაც უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. ხშირად მათ საქართველოს ხელისუფალნიც ეხმარებოდნენ, რაც მოსკოვს აღაშფოთებდა. თუკი წელს ამგვარი რამ განმეორდება, რუსეთი უფრო მკაცრი იქნება საქართველოს მიმართ და შესაძლებელია, ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა საერთაშორისო კრიზისში გადაიზარდოს. ამასთან, რუსი ოფიცრები აცხადებენ, რომ არ ჰყავთ საკმარისი ძალები სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად. თუმცა შესაძლებელია, მათ ეკონომიკური სანქციები შემოიღონ და პარალელურად მოაწყონ შეზღუდული სახის სამხედრო რეიდები — სწორედ ისეთი, როგორსაც თურქეთი ახორციელებს ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ. ეს კი დამატებით დესტაბილიზაციას გამოიწვევს რეგიონში და დიდ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ისედაც არამყარ ადმინისტრაციას. ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ რუსეთი რეგიონში თავისი დომინანტური მდგომარეობის გაძლიერებას დაიწყებს. ამავე დროს რუსეთი დასავლეთში, განსაკუთრებით კი შეერთებულ შტატებში ეძებს მოკავშირეებს. მოსკოვს სურს, ამერიკამ აიძულოს საქართველო, რათა ამ უკანასკნელმა მეტი აქტიურობა გამოიჩინოს ჩეჩენ მეამბოხეთა და მათ არაბ სპონსორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, მოსკოვი ოცნებობს, რომ ვაშინგტონმა ჩეჩენი მეამბოხენი მსოფლიო ტერორისტებად მიიჩნიოს. რუსეთი ტაქტიკას ცვლის, თუმცა პუტინის ჩანაფიქრი შესაძლოა ჩანაფიქრადვე დარჩეს.

***ნიუ ზუიქი***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძნობენ

**3 წლის გიორგი პაჩოშვილი** ეკითხება დედას:

— დედა, თვალებში ლო შავი დადის, ლა ალი?

— თვალის კაკალი, — პასუხობს დედა.

— მომე, რა გავტეხავ...

***

**4 წლის ნიკა ილაშვილი** ეკითხება ძია სულხანს, — ატმის კურკა რომ გადავყლაპო, რა მომივაო?

— მოკვდები, — მიუგო მან.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკა ძია სულხანს ეუბნება:

— ჩემი ბებია მოკვდა, ალბათ ატმის კურკა გადაყლაპა.

***

**4 წლის სალომე კულულაშვილის** მეზობელი ბინას ყიდდა. ბინის სანახავად მოსულებზე იკითხა, ვინ არიანო. რომ გაიგო ბინის მყიდველები იყვნენ, გაუკვირდა, — მერე, რომ იყიდონ, როგორ უნდა წაიღონო.

***

**3 წლის ნატო გზირიშვილი** ბებოს ბოსტანში მწვანილის თესვაში ეხმარებოდა. ნატომ დაინახა ქათმის ბუმბული. აიღო, მიწაში ჩამალა, დაასხა წყალი და ბებოს შეეკითხა, — წიწილა, მალე ამოვა?

***

— დედა შეხედე ამ კაცს თავზე თმა ალა აქვს!

— ასე ხმამაღლა ნუ ამბობ, თორემ გაიგონებს...

— მელე ლა, ჯელ ალ იცის, თუ?

***

მეზობლის გოგონა ეკითხება ექიმს:

— სულხან ბიძია, დიდი რომ გავიზარდო, რა უნდა ვჭამო?

— სტაფილო, — მიუგო ექიმმა.

— რატომ მატყუებ, მაშინ კურდღელი ყველაზე დიდი უნდა იყოს, — განაწყენდა გოგონა.

I




წაიკითხე ასოები ისრის მიხედვით და გამოიცანი, რა სიტყვა წერია თავსატეხზე



დაალაგე სწორად ოთხად გაყოფილი სურათის არეული ფრაგმენტები და მიხვდები რასაც მიიღებ



რომელი თაგვი მივა ყველთან?

### II ანა, გამოიცანი

**1. რუსული ზღაპრის მიხედვით, რად გადაიქცა ალიონუშკას ძმა ივანუშკა?**

ა) ხბოდ; ბ) კვიცად; გ) თაგვად; დ) ბეკეკად.

**2. რომელია ყველაზე დიდი მაიმუნი?**

ა) მაკაკა; ბ) გორილა; გ) შიმპანზე; დ) ორანგუტანგი.

**3. რომელი მწერლის ნაწარმოებია „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“?**

ა) ჰანს კრისტიან ანდერსენის; ბ) მარკ ტვენის; გ) შარლ პეროს; დ) ალექსეი ტოლსტოის.

**4. სად არის დაკრძალული წმინდა ნინო?**

ა) თელავში; ბ) ბოდბეში; გ) მცხეთაში; დ) ბოლნისში.

**5. რამდენი დამწერლობაა მსოფლიოში?**

ა) 14; ბ) 24; გ) 26; დ) 65.

**6. რა ეწოდება ცეკვის შექმნისა და დადგმის ხელოვნებას?**

ა) ტოპოგრაფია; ბ) კალიგრაფია; გ) მონოგრაფია; დ) ქორეოგრაფია.

### III რებუსი




შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „აყლაყუდა ფრინველია, გრძელფეხა და გრძელკისერა, წყლის პირას და ჭაობებში თევზ-ბაყაყთა უყვარს ჭერა.“




## იპოვე 12 განსხვავება




## ბავშვებო და მშობლებო!

**უკვე გამოვიდა!** „მელია და მწყერჩიტა“, „ქალთევზა“, „ნაცარქექია“, „მძინარე მზეთუნახავი“, „კომბლე“




ერთი წიგნი-ზღაპარი
1 ლარი და 20 თეთრი ღირს

„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ საუკეთესო ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, ფერადი ილუსტრაციებითა და გასაფერადებლებით

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ წიგნების მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში

**მალე გამოვა:** „ირმისა“, „ჩი პოლინო“, „წითელქუდა“





ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“



## ჭიაყელა

| შტატი აშშ-ში | სახელმწიფო სამხ. ამერიკაში | განსაკუთრებული ადგილი დარბაზში | პურეულის სალეწი ადგილი | მსოფლიოს უდიდესი მწვერვალი | ქმრის და |
|---|---|---|---|---|---|

| მდინარე რუსეთში | კაცის სახელი | გოლი რაგბიში | საფრ. პრემიერი ... შირაკი | სამკურნალო მცენარე | მდინარე თბილისში | წახალისება, ბიძგის მიცემა |
|---|---|---|---|---|---|---|

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



მდ. ოკა, ცერემონიალის გახსნა. „ნეპტუნი" მიუძღვის მორჟებს

# ქართველი „მორჟი" ამის გახსენებაზე დღესაც კანკალებს...

***დიალოგი:***

— თქვენ თუ იცით, რამდენი ახალგაზრდა ჩავიდა „ქვევით" უდროოდ?

— ...!

— ბევრი! რატომ? რა მიზეზით? ვინ, ან რამ მოკლა ისინი?

— ...?

— საკუთარმა ცოლებმა!

— ?!

— არ გჯერათ, არა?

— ნუ მიწყენთ, ბატონო იაშა და, ცოტა ძნელი წარმოსადგენია!

— ფაქტები გნებავთ? ინებეთ: რით არიან დღის უმეტეს დროს დაკავებულნი ჩვენი მეოჯახე ქალბატონები? ბაზრით, სამზარეულოთი! მერე, კარგია ეს? ქალი მთელი დღე ტრიალებს ქურასთან, ამზადებს მადის აღმძვრელ შემწვარ-მოხრაკულს და თავმომწონედ მიაქვს სუფრაზე... კალორიული სიკვდილი!

— აბა, სადილი არ უნდა დაახვედრონ ქმრებს?

— არა! საღამოს შინ დაბრუნებულ მეუღლეს მოსიყვარულე დიასახლისმა გემოვნებით შერჩეული ხილი უნდა მიართვას ლანგრით!

— მიართმევს და...

წარმოვიდგინე ერთი ჩემი 110-კილოგრამიანი ახლობლის ოჯახში დატრიალებული სცენა და კომენტარი ხმამაღლა გავაკეთე — მიართმევს და... დაამხობს თავზე ლანგრიანად!

— აბა, მოუმზადეთ თქვენს ახლობლებს საცივი, ჩაქაფული, ხაჭაპური, ტორტი (ფუი, ეშმაკს!)... ჰოდა, „აჰკიდებთ" კიდევაც კუჭის წყლულს, ინფარქტს, ინსულტს... იქნებ მითხრათ, რა მოუმზადეთ საუზმედ თქვენს ვაჟს?

— სამი კვერცხის ერბოკვერცხი, ყველ-კარაქიანი ბუტერბროდი და ჩაი...

— მოგიკლავთ ბავშვი!

— ?!

— ჯერ ერთი, ერთდროულად ორ კვერცხზე მეტის ჭამა, თანაც შემწვრის, დაუშვებელია! მეორეც, პური, თანაც იმ სახით, როგორც ჩვენთან აცხობენ, პირდაპირ საწამლავია. მე ხორბალს ვფქვავ და პურს თვითონ ვაცხობ, ზოგჯერ მჭადს ვანაცვლებ...

ბოლოს ჩემმა უცნაურმა თანამოსაუბრემ ასეთი დასკვნა გააკეთა:

— არასოდეს მისაყვედურია მეუღლისთვის, სადილი რატომ არ დამახვედრე-მეთქი. საერთოდ არ მაქვს ეგ პრობლემა. დღეს, შინ რომ მივალ, ხილს მივირთმევ, ძალიან მიყვარს...

***ექსპოზიცია:***

**იასონ ტყემალაძე** მუსიკალური ინსტრუმენტების პროფესიონალი ამწყობი-რესტავრატორია. მოსკოვის კონსერვატორიაში ზიმინთან და კამინსკისთან დახელოვნდა, სათანადო სერტიფიკატიც აქვს. მრავალი ჯილდო (ლენინის თავიანი სიგელებიც) მიუღია პროფესიული წარმატებებისთვის. არ სვამს, არ ეწევა! მთელი კვირა იმუშავა ჩვენი როიალის რესტავრაციაზე, დილიდან გვიან ღამემდე და როგორ არ ვეცადეთ, ლუკმა ვერ ავაღებინეთ. აგვისტოს ცხელ დღეებში ჩაცივებულ ლიმონათზეც უარი განაცხადა (მაგას პირს როგორ დავაკარებო!), ნაყინს არც შეხედა, ერთი ყლუპი წყალიც არ დაულევია და... საკუთარი თვალით რომ არ მენახა და თავადვე არ მომესმინა, ნამდვილად არ დავიჯერებდი — ერთკვირიანი ხვეწნა-მუდარის სანაცვლოდ, იმ ყბადაღებული ლანგრით (წერილის დასაწყისში რომ ვახსენეთ) საგანგებოდ მირთმეული, ზოლებად გადაშლილი საზამთროს ერთი მეთექვსმეტედი ნაჭრის („ყანწის") ერთი მეოთხედი მიირთვა — ესეც თქვენი ხათრითო!..

ვერ მოვითმინე და ვკითხე, — წყალს მაინც როგორ არ სვამთ მთელი დღის მანძილზე-მეთქი. წყალს, ვიდრე სპეციალურად არ დავამუშავებ, რა დამალევინებს. თვითონ მივცურდი ჩვენი სპორტკომპლექსის ნავით თბილისის ზღვის კოლექტორთან და... რის გაფილტვრა, რა დაქლორვა, რაც იქ ხდება, მტერს!!!

***კულმინაცია:***

სიტყვამ მოიტანა და ვუთხარი, — თქვენ ალბათ საკმაოდ არაორდინარული კაცის იმიჯი გექნებათ-მეთქი.

— დიდი ამბავი! საქართველოში გაქცეულ (მორბენალ!) კაცს გიჟად თვლიან, რუსეთში კი ყველა დარბის! მე, მაგალითად, სახლში დავრბივარ, ფეხბურთს ოთახში ვთამაშობ ისე, რომ არავის ვაწუხებ... ჯერ ერთი, სპორტული ინვენტარის უქონლობას რომ იმიზეზებს ზოგიერთი მედღეხვალიე ზარმაცი კაცი, კიბე რა, ნაკლები „ტრენაჟორია"? — აირბინე-ჩაირბინე, აირბინე-ჩაირბინე და იგრძენი თავი კაცად!

ბატონ იაშას არასოდეს უავადმყოფია. ექიმთან არასოდეს ყოფილა. თბილისის ზღვაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსიც მოაწყო და თავისივე ხელით შეკერილი ეროვნული დროშაც აღმართა. მერე, კიტოვანი და მისი ხალხი რომ გამაგრდა თბილისის ზღვაზე და იქაურობა რომ მიასწორ-მოასწორეს, დროშაც შეიწირეს. არადა, ის სტადიონი 9 აპრილს დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობისა იყო. საქმე ისაა, რომ ნოდარი ქართველი „მორჟების" ინსტრუქტორი გახლდათ...

***ბრჭყალების გახსნა:***

ბატონი იაშა ზამთრის ერთ ცივ დღეს შეძლებულ ოჯახში მიუწვევიათ როიალის ასაწყობად. მარმარილოში ჩამჯდარი გალერეა და იატაკი თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. ყურადღება მოპირდაპირე ფასადზე დეკორატიულმა პანომ მიიპყრო და ფრთხილად მიაბიჯებდა მოსარკულ ზედაპირზე. უეცრად... გაყინულ წყალში აღმოჩნდა ჩვენი რესტავრატორი (გალერეას არ ათბობდნენ). გალერეის ნაწილი საცურაო აუზს ეკავა და ამ ბზინვარებაში მყარი და თხევადი ზედაპირის გარჩევა ჭირდა. საშველად არავისთვის უხმია, თვითონვე დააღწია თავი აუზს და... საქმე გააგრძელა. მასპინძლები შეწუხდნენ, მშრალი სამოსი, ცხელი და მაგარი სასმელები შესთავაზეს. ყველაფერზე უარი თქვა. გვიანობამდე იმუშავა (ტანზევე შეაშრა ტანსაცმელი ლამის გაყინულ გალერეაში) და აუჩქარებელი ნაბიჯით გაუყვა გზას შინისკენ(!). სიცხესაც არ აუწევია! ეგღა მაკლდა ამ მორჟკაცსო!

ზღვის ლომ-ვეშაპებს, ანუ მორჟებს ზამთრის ცურვის მოყვარულთ ეძახიან. წარმოიდგინეთ თოვლით გადაპენტილი მოსკოვი, გორკის პარკი, ყინულის სქელი ფენით დაფარული მდინარე მოსკოვი, 23 თებერვალი — საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავი საჩვენებელი ცურვა. ირგვლივ თბილ ქურქებში გამოწყობილი მაყურებელი, ყინულზე კი ენთუზიასტი-სპორტსმენები დგანან... საცურაო ტრუსებისა და რეზინის ფეხსაცმელების (ყინულს რომ არ მიეყინონ!) ამარა. ე.წ. ცივი რეგიონებიდან (ვორონეჟი, ვოლგოგრადი, კალუგა...) 4-4-კაციანი ჯგუფი მონაწილეობს. ერთადერთი „თბილი" გუნდი საქართველოდანაა, თბილისიდან. ჯგუფში არიან პეტრე მაჭავარიანი, ნოდარ ციციშვილი, იასონ ტყემალაძე და გრიშა პოპოვი. ასპარეზობას მორჟების ფედერაციის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი კარაცუპა ხსნის. უკრავს სასულე ორკესტრი. საზეიმო ცერემონიას წინ მიუძღვის მსახიობი მასლენიკოვი — ნეპტუნი... მორჟები ერთმანეთის მიყოლებით უჩინარდებიან ყინულჭრილში. წყლის ტემპერატურა — 20-25$^{0}$C-ია. ყინულის ფენა 70 სანტიმეტრს აღწევს. საჩვენებელი გამოსვლის დისტანცია — 25-30 მეტრია...

რაც შეეხება შეჯიბრებას, იგი ჩატარდა მდინარე ოკაზე, რომლის სიგანე 2 კილომეტრს აღწევს. ბატონი იაშა ამ პირობებში ყოველგვარი გართულების გარეშე ძლებს ზუსტად ნახევარ საათს.

— როდესაც გაყინულ წყალში ჩადიხარ, ორგანიზმი გამოყოფს ჰორმონ ენდოროფილს, რაც სხეულს გამძლეობას მატებს. ალბათ ამის გამოც იყო, რომ რუსი ქალბატონები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ჩვენ მიმართ. მე, მაგალითად, შვედად მთვლიდნენ. დამინახავდნენ თუ არა, აკივლდებოდნენ — იასონ პრიეხალო! ჩემი სახელი გვარად მიიჩნიეს.

***გამაჯანსაღებელი რეცეპტები:***

— საბერძნეთში, ყველაზე მაღალი მთის კალთაზე უზარმაზარი ასოებით წერია:

გსურს იყო ღონიერი? — ირბინე!
გსურს იყო გონიერი? — ირბინე!
გსურს იყო ლამაზი? — ირბინე!

მაგრამ თუ ბატონ იაშას დავუჯერებთ, ორი ადამიანის ერთად სირბილი დანაშაულია! კიდევ ერთი კომენტარი: სპორტის ყოველმხრივ სასარგებლო სახეობა არის აერობიკა!

***წერტილამდე სათქმელი:***

... საქმეს გვიანობამდე შემორჩენილს თავსხმა წვიმამ მოუსწრო. არც გადაღებას დაუცადა, არც რაიმე შემოიცვა, ტაქსის ფული ძალით ჩავუჩურთეთ ჯიბეში და... მეორე დილით უკან მოიტანა — კი გამიჩერა მანქანამ, მაგრამ ფული არ აიღოო! საღებავებისთვის მიცემული თანხიდან კარგა გვარიანი „ხურდა" რომ დაგვიბრუნა, გავოცდით... გამყიდველი დავანამუსე, — სულ შენთან ყიდულობს ეს ხალხი საღებავს და ცოტა დაუკელიო, უთქვამს!..

**P.S.** თითქმის ყველა ცნობილი კომპოზიტორისა თუ მუსიკოსის როიალს „გაუვლია" მის ხელში...

მაგრამ განსაკუთრებით გაოცდა, როცა როიალში მოწყობილი კაზინო ნახა! ე.წ. „რულეტკა", რომელიც მუსიკაში გათვითცნობიერებულ „ოსტატს" მუსიკალური ბგერების პრინციპზე ისე მოუწყვია, რომ მისთვის სასურველი ციფრი ყოველთვის დოზე ჩერდებოდა!.. მორჟი, რომელიც 20-გრადუსიან ყინვაში 10-15 სანტიმეტრი სისქის ყინულით დაფარულ მდინარე ოკას წარბშეუხრელად გადაცურავს და გადმოცურავს და აუჩქარებლად დაიწყებს შემშრალებას, ამ პრეცედენტის გახსენებაზე სიბრაზისგან კანკალებს...

ბატონი იაშა პროფესიით მუსიკალური ინსტრუმენტების რესტავრატორ-ამწყობია, მორჟობა მისი ჰობი და ცხოვრების ნაწილია. სხვა მხრივ, იგი ერთი ჩვეულებრივი, თუმცა რამდენადმე ექსცენტრიკული, ერთი სიტყვით, არაორდინარული კაცია...

***მანანა ბეგიაშვილი***

# მსოფლიო ჩემპიონი ლუდის სმაში თბილისელი პროფესორი გახლავთ...

„რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ" — გავიძახოდით და უცებ გადავსხვაფერდით... დღეს უკვე ხშირად გაიგონებთ — „ქართველზე ცუდი ერი დედამიწაზე არ არსებობს"... მაინც რა მოხდა ისეთი, რომ ასე შევიცვალეთ ჩვენს თავზე წარმოდგენა? ოდითგან კარგებიც ვიყავით და ცუდებიც, კეთილებიც და ბოროტებიც, ლამაზებიც და მახინჯებიც, დამნდობნიც და დაუნდობლებიც, ერთგულებაც ვიცოდით და ღალატიც, სიყვარულიც და სიძულვილიც... მაგრამ მაინც, რაც ქართველებს სხვა ერებისგან გამოგვარჩევს, ნიჭიერებაა, რასაც ვერავინ წაგვართმევს — ცუდსაც და კარგსაც ნიჭიერად ვაკეთებთ. ალბათ ამიტომაც გვიჩნდება სურვილი, გამორჩეულები ვიყოთ და როგორც ჩანს, ამას ვახერხებთ კიდეც... მოდით, არ შევეხოთ ქართულ ხელოვნებას და ლიტერატურას, ფოლკლორს, მეცნიერებას და მწერლობას, სპორტს, პოლიტიკას... კიდევ რა შეგვიძლია ქართველებს? — დედამიწას ველოსიპედით შემოვუაროთ! კიდევ? — იმდენი ლუდი დავლიოთ, რომ მთელი მსოფლიო ავალაპარაკოთ! იქნებ არ დაიჯეროთ, რომ ლუდის სმაში მსოფლიო ჩემპიონი ქართველია? მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ფანტაზიის ნაკლებობას არ ვუჩივით, ეს მაინც სრული ჭეშმარიტებაა და თუ ამ არაჩვეულებრივ ადამიანს გაიცნობთ, თავადაც დარწმუნდებით.

## „ტროცკისტების შვილი" — ჩვენი კეთილი ბატონი დემური

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგე, საინჟინრო და ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი, თბილისის ატამანი, გენერალ-მაიორი, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი, გინესის წიგნის ლაურეატი **დემურ კონსტანტინეს ძე დანელია** — ვკითხულობთ მის სავიზიტო ბარათზე... სახეზე უზარმაზარი სიკეთე და სილაღე აწერია — სულ უნდა, რომ მოგეფეროს, გაგამხიარულოს, მოგეხმაროს და გვერდით დაგიდგეს. ბატონი დემური იმის საუკეთესო მაგალითია, როგორ არ უნდა გააბოროტოს კაცი ცხოვრების უკუღმართობამ. მხოლოდ წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე... 1937 წელს დაიბადა და მისი ამქვეყნად მოვლინებიდან სამი თვის შემდეგ, მშობლები რეპრესიებს შეეწირნენ. დედა — ფილოლოგი, მამა — მათემატიკოსი ტროცკისტებად გამოაცხადეს და მოუსავლეთის გზას გაუყენეს — ბებიამ და ბაბუამ გაჭირვებაში გაზარდეს. ცხოვრობდა პლეხანოვზე. სწავლობდა მე-12 ვაჟთა სკოლაში. ნიჭიერ ახალგაზრდას, „ტროცკისტების შვილს" ხუთზე ნაკლებ ნიშანს ვერ უწერდნენ მასწავლებლები. იმის გამო, რომ კომკავშირში არ მიიღეს, ოქროს მედლის გარეშე დარჩენა ემუქრებოდა, მაგრამ კეთილ ადამიანებს რა გამოლევს... მე-12 ვაჟთა სკოლის დირექტორის, ალექსანდრე კარტოზიას (განათლების მინისტრის ბაბუის) საყვარელი მოსწავლე, იმჟამინდელ განათლების მინისტრთან ვიქტორ კუპრაძესთან მიუყვანიათ. ამ ბიჭს მედალი თუ არ მივეცით, მაშ, სხვას ვის უნდა მივცეთო. მინისტრი კი დახმარებია, მაგრამ ოქროს მედალი ვერაფერში გამოადგა ბატონ დემურს — ისევ „ტროცკისტების შვილობის" და „არაკომკავშირელობის" გამო, საბუთები არც სამედიცინო ინსტიტუტში და არც უნივერსიტეტში არ მიიღეს. ბოლოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადაწყვიტა ჩაბარება სამშენებლო ფაკულტეტზე. ოქროს მედალმა არც აქ გაჭრა და ნაცვლად იმისა, რომ უგამოცდოდ მიეღოთ, ორ დღეში ჩააბარებინეს თერთმეტი გამოცდა — თერთმეტი ხუთიანით ჩაირიცხა. პირველი სტუდენტური ბუნტიც ამის გამო მოხდა. მეგობრებს კომკავშირის კრებაზე შეჰყვა. კრების თავმჯდომარემ საჯაროდ განაცხადა — დემურ დანელია კომკავშირელი არ არის, ტროცკისტების შვილია და ჩვენს შეკრებას არ უნდა ესწრებოდესო. დატოვა დარბაზი, თუმცა სოლიდარობის ნიშნად უკან მიჰყვნენ თბილისის ნარჩევი ბიჭები — მერაბ ყურაშვილი, ზოზო ბაქრაძე, ომარ მასხულია, გურამ ინაშვილი, მერაბ დადიანი, სოსო ოსიძე და სხვები... დარბაზი დაიცალა.

სულ მალე თავისი ნიჭიერებით განაცვიფრა ლექტორები. კათედრის გამგეს, ბატონ ალიოშა კაკუშაძეს „გადაავიწყდა" მისი სტუდენტი კომკავშირელი რომ არ იყო და სტალინურ სტიპენდიაზე წარადგინა. ბატონი დემური ბაბუას — მღვდელ ზოსიმეს ეახლა და ახალი ამბავი ახარა... ბაბუამ ერთი შეხედა, წარბი აიწია და უთხრა — შენ თუ მაგ „ეშმაკის მოციქულის" სახელობის სტიპენდიას მოიტან სახლში, ჩემი შვილიშვილი აღარ იქნებიო. რა უნდა ექნა, უარი განაცხადა სტიპენდიის მიღებაზე. ამ ამბავმა ინსტიტუტის რექტორატი სულ გადარია. ინსტიტუტიდან გარიცხვას კი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ კომპარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩოვმა სტალინი კულტად გამოაცხადა... ერთ თვეში, მშობლების რეაბილიტაციის ცნობაც მიიღო და დეკანის დაჟინებული თხოვნით კომკავშირელთა რიგებშიც ჩაეწერა...



## „კამპუჩიის ნამცეცა პრეზიდენტი ხელის ჩამოსართმევად სკამზე ასული დამხვდა"...

ჰიდროტექნიკური ნაგებობების სპეციალისტმა უამრავი სამსახური და თანამდებობა გამოიცვალა. ასპირანტურის შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან უცხოეთში წარგზავნილი დელეგაციების უცვლელი წევრი გახდა და თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. სწორედ ამ მოგზაურობებს უკავშირდება ის უცნაური თავგადასავლები, რომლებიც მუდამ თან სდევს... თბილისში კი ეს ამბები ლეგენდებად დადის...

## როგორ გადაწყვიტეს „ლილიპუტებმა" „გულივერების" მოჯიშება...

1982 წელს ბატონი დემური ოთხი წლით სამუშაოდ კამბოჯის სახალხო რესპუბლიკაში (კომუნისტების დროინდელ კამპუჩიაში) გაგზავნეს.

იმ სიცხეში 60 კილო დავიკელი — ჩვეული ხალისით ჰყვება ბატონი დემური. ზამთარში, 30-გრადუსიან სიცხეში, იქაურები თავსაბურავებს ატარებდნენ, ალბათ სციოდათ. თქვენ წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ზაფხულში... კამპუჩია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ ინსტიტუტში კათედრის გამგე ვიყავი და თან მოჭიდავეებს, კალათბურთელებს და ფრენბურთელებს ვავარჯიშებდი. კამბოჯელები ტანად ძალიან პატარები არიან. გულივერივით დავდიოდი ქუჩაში. ისინიც ამეკიდებოდნენ და ხშირად ხელით მეხებოდნენ, ალბათ იმის გასარკვევად, ცოცხალი ადამიანი დადის ჩვენ შორის თუ არაო. მაღაზიაში შესულს გამყიდველები ფულს არ მართმევდნენ. საბჭოთა კავშირის ელჩი კამპუჩიაში გახლდათ ბასტორინი, კამპუჩიის პრეზიდენტი კი ხენ-სან-რინი — ნამცეცა კაცი. იმ დროს იქ სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. ერთ დღესაც ბასტორინი მეუბნება — რამე ხომ არ დაგიშავებია, პრეზიდენტი რომ გიბარებსო. კამბოჯელები პატივმოყვარენი არიან და ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ოთახის კარი შევაღე და სკამზე შემდგარი პრეზიდენტი ვიხილე. ხენ-სან-რინი სიმაღლეში რომ გამთანაბრებოდა, სკამზე ამძვრალა. ხელი რომ ჩამომართვა, იატაკზე ფეხი ჩამოდგა, მაგიდასთან საცოდავად მიიკუჭა. ბასტორინმა პრეზიდენტის ნათქვამი მითარგმნა. ამხანაგ პრეზიდენტს თქვენთან სერიოზული თხოვნა აქვს, სურს, რომ თქვენი მეშვეობით მოჯიშდეს კამბოჯელი ხალხიო. გული კინაღამ გამისკდა, მაშინ 6-მილიონიან კამბოჯაში, ნახევარი ხომ მაინც იქნებოდა ქალი? სამ მილიონ ქალს კი რა აუვა-მეთქი რომ გავიფიქრე, ფერი დავკარგე... მაგრამ როგორც მოგვიანებით გავიგე, არც ისე საშინლად ყოფილა ჩემი საქმე. როგორც მითხრეს ფეხმძიმე ქალს ქმარი მომიყვანდა. ჩემი მოვალეობა მხოლოდ ქალის მუცელზე ხელის გადასმა იყო. მაინც ვერ გავიგე დაფეხმძიმებულს რა გადააჯიშებდა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, უარი განვაცხადე და გულდაწყვეტილი პრეზიდენტი და სიცილისაგან გადაბჟირებული ბასტორინი კაბინეტში დავტოვე.

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***

CMYK

DURA LEX
SED LEX

# სასამართლო

ყოველთვიური ჩანართი N17 18.11.2002

# ევროპული პრეცედენტები და ქართული პარალელები

ქეთევან მაისურაძე

სამოსამართლო სამართლის განვითარება პრეცედენტული პრაქტიკის გარეშე წარმოუდგენელია. ამ მხრივ რეფორმის შემდგომ ქართულ სასამართლოში საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით პირველი პრეცედენტები უკვე შეიქმნა.

საქართველოს სამოსამართლო სამართლის პრეცედენტების შექმნა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოც უწევს. ჩეჩნების ექსტრადიციამ ეს ხარვეზიც წარმოაჩინა. ქართული საპროცესო კანონმდებლობით, ექსტრადიციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას გენპროკურორი იღებს, რაც ევროკონვენციის სამართლიანი სასამართლოს უფლებას ეწინააღმდეგება. ჩვენი კანონმდებლობით, პირს ექსტრადიციის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება არ აქვს. სულ ახლახან უზენაესმა სასამართლომ ეს საკანონმდებლო ხარვეზი სასამართლო პრეცედენტის გზით აღმოფხვრა და ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ პირს შეუძლია, ექსტრადიციის შესახებ გენპროკურორის გადაწყვეტილება მინიმუმ სასამართლოს ორ ინსტანციაში გაასაჩივროს.



საქართველოსთვის, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია ის პრეცედენტული სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ამკვიდრებს. თუ რამდენად იყენებს გადაწყვეტილების მიღებისას ქართული სასამართლო ევროსასამართლოს გამოცდილებას და რა ანალოგიურ პრეცედენტებზე შეიძლება საუბარი, ამის შესახებ კომენტარი თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეს მადი ჩანტლაძეს ვთხოვეთ:

– ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს ისეთივე უშუალო და პირდაპირი მოქმედების ძალა აქვთ საქართველოში, როგორც თავად ევროკონვენციის ტექსტს. ცალკე კონვენცია ის შიშველი დებულებაა, რომელიც შემდეგში პრეცედენტებში პოვებს ასახვას. შიშველ ნორმად საქართველოს კონსტიტუციის II თავიც გამოდგება, რომელშიც ევროკონვენციის მსგავსად, ადამიანის უფლებების დაცვის უნიკალური გარანტიებია დეკლარირებული. მთავარია, ის პრეცედენტები, რომლებიც კონვენციის საფუძველზე დაამკვიდრა ევროსასამართლომ. სწორედ ევროსასამართლოს მიერ შექმნილი პრეცედენტები იძლევა საშუალებას ანალოგიური საქმეები აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, კონვენციის მუხლებზე მითითებით გადაწყვიტო. მსგავსი პრაქტიკის გამოყენება პირადად მე გადაწყვეტილების მიღებას მიადვილებს. განსაკუთრებით, როცა სარჩელი გამოხატვის თავისუფლებას და შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლს ეხება.

დასასრული
მე-18 გვერდზე

# სასამართლო სერვისი: მისაღებიდან პროცესამდე

მაია დვალი

სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ქვეკომპონენტი – მმართველი მოსამართლის ინსტიტუტი უკვე სამი თვეა, ამოქმედდა. სამი თვე საკმაოდ მცირე დროა იმისთვის, რომ ამ ინსტიტუტის ამოქმედებამ სასამართლოებში საქმის წარმოების ორგანიზაციულ მხარეს დადებითი შედეგი დაატყოს, თუმცა, პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. საქართველოს თითოეულ რეგიონში თითო მოსამართლე შეირჩა, რომლებმაც სტაჟირება ამერიკაში გაიარეს. ახლახან კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს სამი თვის შედეგები გააცნეს.

მმართველი მოსამართლე თავის რეგიონში სასამართლოთა ორგანიზაციულ მუშაობას არეგულირებს. თითოეულ რეგიონში სამუშაო ჯგუფები შეიქმნა. ჯგუფები სასამართლოს აპარატის მუშაკებით დაკომპლექტდა. თითოეული სასამართლოს სამუშაო ჯგუფს ამ სასამართლოს მოსამართლე ხელმძღვანელობს.

მმართველმა მოსამართლეებმა რეფორმის დაწყებიდან დღემდე თითოეული სასამართლოს მუშაობა, კერძოდ, კანცელარიების, საბარათო სისტემის, საქმის წარმოების ფორმების მდგომარეობა უნდა შეისწავლონ. მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდება მართვის ის ახალი მექანიზმები, რომელთა შესახებ რეკომენდაციები მმართველ მოსამართლეებს მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა ბობ ლიფშერმა გაუწია. მმართველი მოსამართლე რეგიონის ყველა სასამართლოს ერთმანეთთან აკავშირებს. მაგალითად, იმერეთში 12 სასამართლო და 21 მოსამართლეა. სამუშაო ჯგუფმა ორგანიზაციული კუთხით უნდა შეისწავლოს სწორედ ამ 12 სასამართლოს მუშაობა. როგორც სამთვიანი პრაქტიკიდან ირკვევა, მმართველი მოსამართლე სასამართლოებს პრობლემის მოგვარების მხოლოდ საკუთარ ხედვას კი არ სთავაზობს, არამედ მოსამართლეთა მოსაზრებებსაც ითვალისწინებს.

სასამართლოებში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად საქმეთა განხილვის ვადები რჩება. ორგანიზაციული მხარეების მოგვარება კი ამ პრობლემას მეტ-ნაკლებად გადაწყვეტს.

შალვა ხაჭაპურიძე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, იმერეთის რეგიონის მმართველი მოსამართლე: **„დღესდღეობით სასამართლოებში შექმნილმა ჯგუფებმა პრიორიტეტულად ორი საკითხი მიიჩნიეს: საქმეების განხილვის ვადების დაცვის მხრივ მდგომარეობის შესწავლა და მოსამართლეთა მიერ საქმის თვითაცილების პრობლემის მოგვარება. საერთო სურათი უკვე გვაქვს. რაც შეეხება საკითხს, მმართველი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღებამ სიტუაცია გამოასწორა თუ არა, ამისთვის სამი თვე საკმაოდ ცოტაა. ვფიქრობ, 6 თვეში გარკვეულ შედეგებზე ვისაუბრებთ".**

6 თვის შედეგები კი, ანუ რამდენად დაიხვეწება სასამართლო სერვისი, პირველ რიგში, მოქალაქეებისთვის უნდა გახდეს ხელშესახები და საქმეთა განხილვებს უნდა დაეტყოს, რადგან მოქალაქე სასამართლოსთან ურთიერთობას სწორედ მისაღებიდან იწყებს.

## სამართალი საზღვრებს გარეშე

მაია ოქრუაშვილი

# ჟურნალისტები ბელგიის წინააღმდეგ

ბელგიელმა ჟურნალისტებმა დე ჰაიესმა და გიგსელმა ყოველკვირეულ ჟურნალ *„ჰომოში"* გამოაქვეყნეს სტატია, რომელშიც ანტვერპენის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები და გენერალური ადვოკატი გააკრიტიკეს. სტატიის თანახმად, ხსენებული სამი მოსამართლე გადაწყვეტილებების მიღებისას არ იყო დამოუკიდებელი და განსაკუთრებულ მიკერძოებულობას საოჯახო საქმეების განხილვისას იჩენდა. ამის საილუსტრაციოდ ჟურნალისტებმა კონკრეტული მაგალითი მოიყვანეს, რომელიც ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის მიკუთვნებისა და სექსუალური ძალადობის საქმეს ეხებოდა.

სამმა მოსამართლემ და გენერალურმა ადვოკატმა ჟურნალისტების წინააღმდეგ სასამართლოს მიმართეს და მოპასუხეებისათვის სიმბოლური თანხის, ერთი ფრანკის დაკისრება და სასამართლოს გადაწყვეტილების ჟურნალ *„ჰომოში"* და მოპასუხეების ხარჯზე, სხვა ექვს გაზეთში გამოქვეყნება მოითხოვეს.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ჟურნალისტებმა დასაშვები კრიტიკის ფარგლები დაარღვიეს და მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის სარჩელი დააკმაყოფილა.

დე ჰაიესმა და გიგსელმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართეს. სარჩელში ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება კონვენციის მე-10 მუხლს ეწინააღმდეგებოდა, რაც ევროსასამართლომაც გაიზიარა. რადგან მე-10 მუხლი იცავს როგორც იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, ასევე მათი გადმოცემის ფორმებს, სასამართლომ მიზანშეწონილად არ ჩათვალა ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიმართლის დადასტურება. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სტატიაში გამოთქმული იყო ჟურნალისტების მოსაზრება და შეფასებები კონკრეტული ფაქტების მიმართ.

## სასამართლო დარბაზებში

სოფო ბუკია

# ЧИТАЙТЕ, ЗАВИДУЙТЕ!

ვლადიმირ მაიაკოვსკის შემოქმედებით „გატაცების" სანაცვლოდ ვახტანგ სიდამონიძეს ლამის სამი წლით ციხეში ყურყუტი მოუწია.

მარტის ერთ მშვენიერ დღეს ბატონი ვახტანგი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მიადგა. როგორც წესი და რიგია, ბლანკები მოითხოვა და სასურველი წიგნებიც გამოიწერა: მაიაკოვსკის „მოთხრობა დეზერტირებზე", „სიმღერა მშრომელებზე", „ახალი ლექსები" და „მაიაკოვსკი დასცინის", აგრეთვე კრუჩენიხის „საუბარი მაიაკოვსკიზე".

ერთხელ უკვე ნასამართლევმა სიდამონიძემ, შემდეგში მთაწმინდა–კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს უამბო, როგორ მოჰბეზრდა საჯაროში მაიაკოვსკის კითხვა, დასახელებული წიგნები შეუმჩნევლად საკუთარ დიპლომატში ჩაალაგა და მშვიდად დატოვა საჯარო ბიბლიოთეკის კედლები.

მაიაკოვსკის მკითხველ–მყიდველებიც მალე გამოჩენილან. წიგნები სიდამონიძემ ალმაშენებლის გამზირზე მდებარე სათნოების სახლში მიიტანა. სიდამონიძისთვის უცნობმა ვიღაც ქალმა და კაცმა მათში 160 ლარი გადაიხადეს.

სასამართლოს წინაშე სიდამონიძემ თავი დამნაშავედ ცნო და ბიბლიოთეკისთვის ზარალის ანაზღაურების მზადყოფნაც გამოთქვა.

მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა განსასჯელს სამი წლის ვადით მკაცრი რეჟიმის სასჯელთაღსრულებით დაწესებულებაში პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, სასამართლომ გაითვალისწინა სიდამონიძის ეკონომიკური გასაჭირი და სამი შვილი „მაიაკოვსკის მოყვარული" მამის გარეშე არ დატოვა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სიდამონიძეს სასჯელს არ აღუსრულებენ პირობით, თუ გამოსაცდელი ვადის – სამი წლის განმავლობაში ბატონი ვახტანგი სხვა დანაშაულს არ ჩაიდენს.

სისხლის სამართლის ქრონიკა

მეგი ცანავა

# მკვლელობა მოძალადეთა მოსაგერიებლად

2002 წლის 22 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა თბილისელი მამუკა რამიშვილი.

რამიშვილი „საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოში მუშაობდა, როდესაც მას აუცილებელი მოგერიების, ბოროტმოქმედისთვის ართმეული პისტოლეტიდან სამჯერ გასროლა მოუხდა. ამ გასროლას შედეგად ორი ადამიანი – მალხაზ მჭედლიძისა და გიორგი სუთიძის სიკვდილი მოჰყვა.

შემთხვევის შემდეგ რამიშვილი ნებაყოფლობით გამოცხადდა თბილისის პროკურატურაში და მომხდარის შესახებ განაცხადა.

გამოძიებისას გაირკვა, რომ სუთიძე რამიშვილს ადრეც იცნობდა. 2001 წლის 16 ივნისს მან მამუკას დაურეკა და 30 ათასი დოლარი მოსთხოვა. რამიშვილის უარის მიუხედავად – ფული არა მაქვსო – წარსულში არაერთხელ ნასამართლევმა მჭედლიძემ და სუთიძემ საღამოს 10 საათზე იგი საკუთარი ბინიდან გამოიხმეს, მანქანაში ჩაისვეს და ფული რომ ვერ მიიღეს, მის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდნენ, მოგვიანებით მას დანის ტარით დაუწყეს ცემა. როგორც თავად რამიშვილმა აღნიშნა, იგი სახლში წაყვანას ითხოვდა – რა თანხის შეგროვებასაც შევძლებ, ცოტა ხანში მოგიტანთო. თუმცა, გამომძალველები მას არ დათანხმდნენ. მჭედლიძემ „მაკაროვის" სისტემის იარაღი ამოიღო, პისტოლეტის ტარი რამდენჯერმე ჩაარტყა რამიშვილს თავში, სუთიძემ კი მას გულმკერდის მარცხენა არეში დანით ორი ჭრილობა მიაყენა. ცემის შედეგად რამიშვილმა სხეულზე სხვა მრავალი დაზიანება მიიღო, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამაც დაადასტურა.

დაჭრილმა რამიშვილმა მოახერხა და მჭედლიძეს მოულოდნელად ხელიდან პისტოლეტი გამოსტაცა. იმ მომენტში, როცა სუთიძე და მჭედლიძე რამიშვილს იარაღის წასართმევად სწვდნენ, ამ უკანასკნელმა სასხლეტს ხელი გამოკრა და სამჯერ ზედიზედ გაისროლა. ერთმა ტყვიამ – მჭედლიძე, ხოლო ორმა სუთიძე იმსხვერპლა. როგორც გაირკვა, გამომძალველები იმ დღეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ.

პროკურატურამ რამიშვილის ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩათვალა, რადგანაც იგი იძულებული იყო თავი დაეცვა. გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა, დაზარალებულად ცნობილმა ელენე მჭედლიძემ და მანანა კილასონია-სუთიძემ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს საჩივრით მიმართეს და საქმის აღუძვრელობის დადგენილების გაუქმება და ხელახლა გამოძიება მოითხოვეს. მათი აზრით, რამიშვილმა განზრახ მკვლელობა ჩაიდინა.

რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, თუმცა, ეს გადაწყვეტილება ახლა უკვე თავად რამიშვილმა გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2002 წლის 30 აპრილს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე განხილვისთვის იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს დაუბრუნა. ხელმეორე განხილვის დროს საქმის აღუძვრელობის გადაწყვეტილება მიიღეს. მჭედლიძემ და კილასონია-სუთიძემ ეს განაჩენი საკასაციო წესით უზენაესში გაასაჩივრეს. პალატის საბოლოო გადაწყვეტილებით მამუკა რამიშვილი გაამართლეს – მას მოძალადეთა მოგერიება მოუხდა.

სასამართლო დარბაზებში

თეა ხოფერია

# გამომძალველმა სტუმარმა „ნოკია" გაიტაცა



ხათუნა ბ-ს ლევან წულუკიძე სულ ათი დღის გაცნობილი ჰყავდა, ყმაწვილი სახლში რომ ესტუმრა.

მასპინძელმა სტუმარი შინ შეიპატიჟა, ყავით გაუმასპინძლდა და მალე მეგობრული საუბარიც გაიბა.

უცებ ლევანს რაღაც გადაუდებელი საქმე მოაგონდა და ხათუნას მობილური სთხოვა, საქმეზე უნდა გადავრეკოო. ხათუნამაც უყოყმანოდ მიაწოდა ლევანს თავისი სამასლარიანი „ნოკია". სტუმარი უცებ წამოხტა, გარეთ გავარდა და მასპინძლის „ნოკიაც" თან გაიყოლა. ...

ნადავლის რეალიზაცია წულუკიძემ იმ დღესვე მოახერხა. ხათუნას მობილური 130 ლარად გაიყიდა.

ფულის დახარჯვა წულუკიძეს მთაწმინდა–კრწანისის სამმართველოს თანამშრომლებმა არ დააცალეს. მალე „ნოკიას" ახალი მეპატრონეც მოიძებნა. წულუკიძემ ხათუნას ზარალი მალევე აუნაზღაურა. თუმცა, საქმე სასამართლომდე მაინც მივიდა.

მოსამართლემ წულუკიძეს სამი წლით საერთო რეჟიმის სასჯელთაღსრულებით დაწესებულებაში მოხდა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ სასჯელი პირობით შეუცვალა.

# გზების შენებას რა უნდა

ავლანეთის ვეტერანთა კავშირმა 1989 წელს ხარაგაულში გზების გაყვანა მოინადინა და საკუთარი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ორი პროექტიც შეიმუშავა. მოლითი-ნუნისის შვიდკილომეტრიანი გზის მოსაწყობად 700 000 მანეთი, ხოლო ხარაგაულის რაიონში, სოფელ ჩრდილში სამკილომეტრიანი ახალი გზის გასაყვანი 200 000 მანეთი ვეტერანთა კავშირმა შემოწირულობებით შეაგროვა. მოზიდული თანხები საგზაო დეპარტამენტის ანგარიშზე ჩაირიცხა და სამუშაოებიც დაიწყო.

1990 წლისათვის მოლითი-ნუნისის გზის მშენებლობის 10%-ის, ხოლო ჩრდილში 50%-ის შესრულება თუ მოხერხდა. გზების მშენებლობის დროებით შეჩერების მიზეზი რაჭა-იმერეთის რაიონებში მომხდარი მიწისძვრა იყო.

ავლანეთის ვეტერანთა კავშირის გამგეობამ მას შემდეგ არაერთხელ მიმართა საგზაო დეპარტამენტს, სოფელ ჩრდილში გზის მშენებლობის დასრულების მოთხოვნით, თუმცა, დაპირებები დაპირებებადვე დარჩა. საგზაო დეპარტამენტი ფულის არქონას უჩიოდა.

ავლანეთის ვეტერანთა კავშირმა გზების სახელმწიფო დეპარტამენტის წინააღმდეგ ვაკე-საბურთალოს სასამართლოს სარჩელით მიმართა და მოპასუხისაგან სოფელ ჩრდილის სამკილომეტრიანი გზის მშენებლობის დამთავრება მოითხოვა იმდროინდელი 150 000 მანეთის შესაბამისი ლარის კურსის ფარგლებში. ეს მოთხოვნა სასამართლომ დააკმაყოფილა, თუმცა ვეტერანთა კავშირს დამატებით პრეტენზიაზე, ახლა უკვე მოლითი-ნუნისის მშენებლობის დასრულების თაობაზე, პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო, უარი ეთქვა.

# ევროპული პრეცედენტი და ქართული პარალელები

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვ.

**როცა თბილისის საოლქო სასამართლო „რეზონანსის" წინააღმდეგ შს მაშინდელი მინისტრის, კახა თარგამაძისა და შვიდი მაღალჩინოსნის სარჩელს იხილავდა, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები სწორედ ევროსასამართლოს ერთ-ერთ ცნობილ პრეცედენტს – „ლინგერსი ავსტრიის წინააღმდეგ" დაეყრდნენ: ლინგერსმა ჟურნალ „პროფილში" ავსტრიელი პოლიტიკოსები მათ მიერ პოლიტიკურ საკითხებზე გაკეთებული განცხადებების გამო გააკრიტიკა. ავსტრიის სასამართლომ პოლიტიკოსების სარჩელი ცილისწამების შესახებ დააკმაყოფილა. სტრასბურგის სასამართლომ კი მიიჩნია, რომ ავსტრიის სასამართლომ ევროკონვენციის მე-10 მუხლი დაარღვია, რადგან „პოლიტიკოსების მიმართ მისაღები კრიტიკის საზღვრები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო ფიზიკური პირის მიმართ. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, პოლიტიკური მოღვაწე აუცილებლად და შეგნებულად თავად აყენებს თავის თითოეულ სიტყვასა და საქმეს ჟურნალისტების, ისევე როგორც მთლიანად საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ".**

**მადი ჩანტლაძე:**

– ამ გადაწყვეტილებით ევროსასამართლომ ძალიან კარგი სტანდარტი დაადგინა, კერძოდ, საჯარო მოხელემ უნდა ითმინოს გაცილებით მეტი, რადგან მან იცის, რომ იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, მის ყველა მოქმედებას საზოგადოება კრიტიკის თვალით უყურებს და, აქედან გამომდინარე, კრიტიკის დასაშვებობის ზღვარი მის მიმართ გაცილებით მეტია. თუმცა, ეს ფაქტორი პირადი შეურაცხყოფის მოთმენას სრულებითაც არ გულისხმობს.

**– რის მიხედვით ადგენს მოსამართლე ზღვარს შეურაცხყოფას, ცილისწამებას, მოსაზრებასა და შეფასებას შორის?**

– სწორედ ლინგერსის საქმეზე დაადგინა სასამართლომ სტანდარტი: როცა მხარე ასაჩივრებს ამა თუ იმ გამონათქვამს, მოსამართლემ უნდა შეაფასოს, ფაქტია ეს თუ მოსაზრება. ფაქტს აუცილებლად დადასტურება სჭირდება. მაგალითად, როცა ვამბობ, რომ ეს პიროვნება ქურდია, მან რამე მოიპარა, ან იყაჩაღა და ა.შ., ეს არის ფაქტი, რომელსაც დადასტურება სჭირდება, მაგრამ თუ ვამბობ, რომ თანამდებობის პირი არაპროფესიონალია, ეს ჩემი მოსაზრებაა და ამის შეზღუდვის უფლება არავის აქვს, ეს აზრის თავისუფალი გამოხატვაა.

**თარგამაძისა და „რეზონანსის" გახმაურებული დავის გარდა, ქართული მართლმსაჯულების პრაქტიკაში იყო ასევე გახმაურებული დავა ჩხარტიშვილსა და ბერძენიშვილს შორის. მაშინ საოლქო სასამართლო ევროსასამართლოს პრეცედენტს დაეყრდნო და თავის გადაწყვეტილებაში საჯარო პირის თმენის ვალდებულებაზე მიუთითა, თუმცა, მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება შეცვალა. მართალია, ქართული მართლმსაჯულება ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებისკენ მიდის, თუმცა, თავად მოსამართლეები ერთსა და იმავე საკითხზე განსხვავებული გადაწყვეტილებების გამოტანაში ტრაგედიას ვერ ხედავენ:**

**მადი ჩანტლაძე:**

– ასეთი დავები ბოლო ხანს მოზღვავდა და, ფაქტობრივად, პრაქტიკა ახლა ინერგება. ტრაგედია არ არის, თუ ზემდგომი სასამართლო ჩვენს გადაწყვეტილებებს სხვაგვარად შეაფასებს. მთავარია, საქმე კანონიერად გადაწყდეს. უზენაესი სასამართლოს მთავარი ფუნქცია სწორედ ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებაა.

**ევროკონვენციის მე-10 მუხლის გარდა, ქართველ მოსამართლეებს უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა, ევროსასამართლოს ის პრეცედენტებიც გამოეყენებინათ, რომლებიც პირადი ოჯახური ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფას ეხება.**

**მადი ჩანტლაძე:**

– ძალიან ბევრი პრეცედენტი გამოვიყენე ვალერი ასათიანის სარჩელთან დაკავშირებით. ეს სარჩელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ პირველი შემთხვევა იყო, როცა მოსარჩელე მხარემ პირადი ცხოვრების საიდუმლოების შელახვის უფლება გაასაჩივრა. ევროსასამართლოს ერთ-ერთ პრეცედენტში დადგენილია სტანდარტი, მოცემულია დეფინიცია, თუ რა არის პირადი ცხოვრება, ანუ იგი მოიცავს ადამიანის ცხოვრების, ურთიერთობის ყველა სფეროს, რაც არ არის დაკავშირებული მის საზოგადოებრივ საქმიანობასთან. ესაა ცხოვრება სამსახურის გარეთ. საქართველოში ასეთი გადაწყვეტილება ვერ ვნახე. ვერც რომელიმე მუხლი გამცემს ამაზე პასუხს, მაგრამ ვნახე პრეცედენტი. ასათიანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო პირადი ცხოვრების ხელყოფა. ეს საქმე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სახეზე იყო მისი შვილის ჯანმრთელობის შესახებ ფაქტების გახმაურება. ასათიანმა მიიჩნია, რომ მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოება დაირღვა და ეს სასამართლომაც დაადასტურა. არსებობს პრეცედენტი „ზე ფინეთის წინააღმდეგ", სადაც ევროსასამართლომ განსაზღვრა სასამართლოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები, როცა საქმე პირის ჯანმრთელობას ეხება, ანუ სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, რომ მან დაიცვას პირის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები თავისი ინსტიტუტების მეშვეობით, ასევე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, თუ მსგავს შელახვას ჰქონდა ადგილი, თავისი ინსტიტუტების მეშვეობით დაიცვას ამ პირის უფლება.

ქართველ მოსამართლეებს ევროპული პრეცედენტების გამოყენება იმიტომაც გვჭირდება, რომ ჩვენს არაკანონიერ გადაწყვეტილებაზე ევროსასამართლომ შემდგომში საქართველოს კომპენსაცია არ დააკისროს.

**ამონაწერი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებიდან „ლინგერსი ავსტრიის წინააღმდეგ":**

**„ზუსტად უნდა დადგინდეს ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის განსხვავება. ფაქტების არსებობის დემონსტრირება შეიძლება მაშინ, როდესაც მოსაზრებები მტკიცებულებებს არ საჭიროებს... (ავსტრიის კანონის მიხედვით) ჟურნალისტები ასეთ შემთხვევაში ვერ გაექცევიან სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობას, თუკი ისინი ვერ დაამტკიცებენ თავიანთი განცხადებების სიმართლეს... რაც შეეხება კანონით დადგენილ მოთხოვნებს მოსაზრებების მიმართ, შეუძლებელია ამ მოთხოვნის შესრულება და იგი თავად არღვევს აზრის თავისუფლებას, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი უფლების ფუნდამენტურ ნაწილს".**

ჩემი შენი ქონება

თეა ხოფერია

# რძალ-დედამთილიანი ბინისა და ჯიხურის მოტივებზე

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით, დედა-შვილ გალინა და ლეილა თავდგირიძეების საკასაციო საჩივარი რძლის — ნინო დიასამიძის წინააღმდეგ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელე-მოპასუხის დავის საგანი ბათუმში პუშკინის ქუჩაზე მდებარე №58-ე ბინის ძირითადი მესაკუთრეობა და სავაჭრო ჯიხურზე საკუთრების უფლების ცნობა გახდა. თავდაპირველად, სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში რძალმა, ნინო დიასამიძემ შეიტანა.

1989 წლიდან მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო თამაზ თავდგირიძესთან. მათ ოთხი შვილი შეეძინათ. გათხოვების დღიდან ნინო დიასამიძე მეუღლის მშობლების ბინაში ცხოვრობს. მამამთილის — თამაზ თავდგირიძის გარდაცვალების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ სადავო ბინის 1/3 — ნინო დიასამიძეს, ხოლო 2/3 კი გალინა და ლეილა თავდგირიძეებს მიეკუთვნა.

რძალმა თავის სარჩელში, პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, სადავო ბინიდან მისთვის და მისი ოთხი შვილისათვის საკუთრების უფლებით წილის გამოყოფა, ასევე — სავაჭრო ჯიხურზე მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი სარჩელი. მოსარჩელეს სადავო ბინიდან ორი ოთახი, საერთო ფართით 27.68 კვ.მ და ასევე სამზარეულო, ფართით 9.9კვ.მ., სველი წერტილებითა და შესასვლელითურთ გამოეყო.

სადავო ჯიხურიდან მიღებული შემოსავალი —120 ლარი კი მხარეებს ყოველთვიურად სამ თანაბარ წილად გაუნაწილდათ: თითოეულს (ნინო დიასამიძეს, გალინა და ლეილა თავდგირიძეებს) — 40-40 ლარი.

ეს გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა როგორც მოსარჩელისათვის, ასევე მოპასუხისთვისაც. ორივე მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება.

აჭარის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა მოპასუხის და დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი.

ნინო დიასამიძეს უკვე სამი ოთახი (47, 71 კვ.მ) მიაკუთვნეს, ხოლო გალინა და ლეილა თავდგირიძეებს — ორი ოთახი ( 40, 57 კვ.მ. ფართით). რაც შეეხება სადავო ჯიხურზე საკუთრების ცნობას, მისი გასხვისება იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოხერხდა, რომ მესაკუთრე შპს "ხარიტონი" აღმოჩნდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში ახლა უკვე გალინა და ლეილა თავდგირიძეებმა შეიტანეს. მათი განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ კონკრეტულ კანონზე არ მიუთითა და არც ის დაასაბუთა, თუ რატომ მიაკუთვნეს სადავო ბინიდან წილი ნინო დიასამიძეს ხუთი სულის გათვალისწინებით (ანუ დედისა და ოთხი შვილის ჩათვლით). რაც შეეხება სადავო ჯიხურს, მისი შპს „ხარიტონისათვის" მიკუთვნების დამადასტურებელი საბუთი საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

საკასაციო პალატამ კასატორების პრეტენზია სამართლიანად ცნო და მათი სარჩელი, ქონების არასწორად გადანაწილების თაობაზე, დააკმაყოფილა.

ადვოკატი გვირჩევს

## რედაქციაში შემოსულ შეკითხვებს პასუხს სცემს ადვოკატი კახა კუკავა

# რა მოვუხერხოთ „აქტსტუპნოის“?



„1960 წელს მამაჩემმა ე.წ. „აქტსტუპნოის" წესით შეისყიდა ორსართულიანი სახლის პირველი სართული. პიროვნება, რომლისგანაც მამამ სახლი იყიდა გარდაიცვალა, ხოლო მისი შვილი ამავე სახლის მეორე სართულზე ცხოვრობს და მისი მფლობელია. ერთი წლის წინ დავაპირე ჩემი ბინის პრივატიზება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამისთვის ამ პიროვნების შვილის ნებართვა იყო საჭირო, რაზეც იგი უარს მეუბნება. მამაჩემმა ბინის საფასური 1960 წელს მთლიანად გადაიხადა, მაგრამ მე არ მაქვს ფულის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, თუმცა ამას მიდასტურებენ მეზობლები, რომლებთანაც ჩვენი ოჯახი უკვე 40 წელზე მეტია ცხოვრობს. რა გამოსავალი არსებობს ამ ვითარებაში?"

ლამარა ძიმისტარაშვილი, თბილისი

**კახა კუკავა:** ქალბატონი ლამარას შემთხვევა არის საკმაოდ ტიპური. გარდაიცვალა თუ არა ის, ვინც ბინა გაყიდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. არსებული კანონის მიხედვით, თუ საბუთი არ არსებობს, ითვლება, რომ ყიდვა-გაყიდვა არ მომხდარა, შესაბამისად, პრივატიზაციაც ვერ განხორციელდება. მაგრამ, არსებობს კანონიერი მფლობელის ცნება, ანუ სანამ ის პირი, ვინც "აქტსტუპნოის" წესით იყიდა ბინა ცოცხალია, მას ვერავინ გაასახლებს ამ ბინიდან. მაგრამ, როგორც კი ბინის მყიდველი გარდაიცვლება, შეძენილი ქონება მის შვილზე უკვე აღარ გადადის. რადგანაც, მას იურიდიულად კანონიერი უფლება არა აქვს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ანალოგიური სიტუაცია, როდესაც პირი ქირაობს გარკვეულ ფართს, იხდის ქირას, მაგრამ ამ პირის გარდაცვალების ან ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ, ეს ფართი მემკვიდრეობით აღარ გადაიცემა. საერთოდ, უძრავ ქონებაზე უნდა არსებობდეს დამადასტურებელი ნოტარიალური საბუთი, მაგრამ ე.წ. "აქტსტუპნიკებთან" დაკავშირებით 1998 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ნებისმიერ არანოტარიალურ საბუთსაც კი, რომელიც ყიდვა-გაყიდვის ფაქტს ადასტურებდა, კანონიერად ცნობდა. მაგრამ, აღნიშნული კანონი სულ რაღაც 2 წლის მანძილზე მოქმედებდა, რადგან მესაკუთრეებმა იგი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს და მოიგეს კიდეც საქმე. ისინი თვლიდნენ, რომ კანონი არღვევდა მათი საკუთრების უფლებას. კანონი დღეს გაუქმებულია და ამდენად, თუ არ არსებობს ყიდვა-გაყიდვის ნოტარიალური საბუთი (რომელიც ფაქტობრივად არც ერთ "აქტსტუპნიკს" არ გააჩნია). მყიდველის გარდაცვალებისთანავე ქონება ავტომატურად ძველი, ძირითადი მფლობელის საკუთრებაში გადადის. სასამართლო პრაქტიკაც კანონის შესაბამისია, თუმცა, თავად კანონი, ალბათ, მთლად სამართლიანი არ არის, რადგან ის არსებითად მნიშვნელოვანს უნდა ეხმაურებოდეს. თანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავის დროზე "აქტსტუპნოი" ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის ფორმა იყო, ხოლო ქირავნობა ძალიან სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, კანონის პირველი ვარიანტი უფრო სამართლიანი იყო, ვიდრე მისი შესწორებული ვარიანტი. რეალურად, დღეს უამრავი ადამიანია, ვისაც თავის დროზე ფული აქვს გადახდილი ასეთ ქონებაში, შესყიდვის დამადასტურებელი საბუთი კი იმის გამო არ გააჩნია, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში ამ მხრივ ყველაფერი მოუწესრიგებელი იყო, დღეს კი მათ ასახლებენ მათ მიერვე შეძენილი ბინებიდან. ხშირია შემთხვევები, როდესაც მყიდველები, ვისაც ასახლებენ, გაცილებით ძველი მცხოვრებლები არიან, ვიდრე ისინი, ვინც მათ ასახლებს, ანუ ვისაც გააჩნია ამ ქონების მემკვიდრეობით მიღების ან სხვა საკუთრების დამადასტურებელი საბუთი. თუმცა, შესაძლოა ორ მხარეს შორის ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც დაარეგულირებს სიტუაციას.

"ვცხოვრობ ნაძალადევში, კერძო ბინის ერთ ოთახში. ეს ბინა დედაჩემმა "აქტსტუპნოით" კომუნისტების დროს 2500 მანეთად აიღო. მაგრამ, ახლა ბინის მესაკუთრე, რომელმაც სახლის პრივატიზაცია გააკეთა, მოითხოვს ოთახის დაცლას და სანაცვლოდ მთავაზობს 500 დოლარს. მე წასასვლელი არსად მაქვს, ვარ ინვალიდი."

ვალერიან გაბრიჩიძე, თბილისი

**კ.კ:** ეს შემთხვევაც ტიპურია, აქაც იგივე კანონი ვრცელდება, რაც დღეს მოქმედებს, ანუ სასამართლო ისევ მესაკუთრის პოზიციას დაიცავს. უბრალოდ, ამ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს შემოვლითი გზები. მაგალითად, ხსენებული „აქტსტუპნოი" ბინები იმდენად ძველია, რომ როგორც წესი, მოსარგებლეებს ანუ მყიდველებს იქ სარემონტო სამუშაოები და მიშენებები აქვთ ჩატარებული. თუ მყიდველს ასახლებენ ასეთი ბინიდან, მას შეუძლია კომპენსაცია მოითხოვოს. ასეთ შემთხვევაში, ხშირად ორივე მხარე იძულებულია, რაღაც შეთანხმებამდე მივიდეს, გარკვეულ დათმობაზეც წავიდეს და საქმე სასამართლომდე არც კი მიიყვანოს.

საერთოდ, ე.წ. „აქტსტუპნოი" არის აბსოლუტურად აბსურდული ინსტიტუტი, იგი არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. ის არც საკუთრებაა და არც გაქირავება. საკუთრება არაა იმიტომ, რომ იხდი ქირას, მაგრამ ხარ ჩაწერილი ადრე არსებულ საბინაო წიგნებში, იხდიდი კომუნალურ გადასახადებს და ფაქტობრივად, კანონიერ მფლობელად იყავი ჩაწერილი.

ჩაიწერა გვანცა ლიპარტელიანმა



# კაბელი მავნებელია ჯანმრთელობისთვის

სოფო ბუკია

ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში მცხოვრები დონარა და ილონა ტოვმასიანების საცხოვრებელი ბინის იატაკქვეშ „ეი-ი-ეს თელასმა" ძალოვანი კაბელი გაიყვანა, რომელსაც მთელი სადარბაზოს ელექტროენერგიით მომარაგება უნდა უზრუნველეყო. სწორედ ამ დღიდან ექცათ საკუთარ სახლში ცხოვრება ტოვმასიანებს ჯოჯოხეთად. ოჯახის წევრები დაღლილობას, თავის ტკივილს, კანის წვას და ქავილს უჩიოდნენ და მხოლოდ დენის ჩაქრობისას გრძნობდნენ შვებას. როგორც გაირკვა, ავადმყოფობის მიზეზი ყველასთვის სანატრელი ელექტროენერგია, უფრო ზუსტად კი მათი ბინის იატაკქვეშ დამონტაჟებული ძალოვანი კაბელი აღმოჩნდა.

თავდაპირველად ქალბატონმა დონარამ „ეი-ი-ეს თელასის" რაიონულ განყოფილებას მიმართა, სადაც მის ფსიქიკურ მდგომარეობაში ეჭვი შეიტანეს, გულიანად დასცინეს და კვალიფიციურ რჩევასაც არ დაზარდნენ: **„კარგად გაარკვიეთ, იქნებ თქვენ სახლში უცხოპლანეტელები სახლობენო."**

მაშინ თელასელების რჩევის ნაცვლად, ქალბატონმა დონარამ ფიზიკოსების რჩევა გაითვალისწინა, ელექტრომაგნიტური ველების გამოკვლევის ჩატარების თაობაზე და ლაბორატორიული სამუშაოებისთვის თანხის გამოყოფის თხოვნით ისევ თელასს მიაკითხა, საიდანაც ძველებურად აგდებული პასუხით გამოისტუმრეს.

ვარკეთილში დენი მთელი ზამთრის განმავლობაში არ ჩამქრალა. ამგვარი ფუფუნება სულაც არ გახარებიათ ტოვმასიანებს, რომელთა ჯანმრთელობა კიდევ უფრო შეირყა — კანის წვა დამწვრობაში გადაიზარდა. ოჯახის წევრები საცხოვრებლად ნათესავებთან გადასახლდნენ. ინსტანციიდან ინსტანციაში სიარულისას, ქალბატონი დონარა გარემოს დაცვის სამინისტროსაც მიადგა და მინისტრ ნინო ჩხობაძეს პირადად ესაუბრა. გარემოს დაცვის ინსტიტუტმა ტოვმასიანების სახლში სამრეწველო სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის დაძაბულობა გაზომა. ლაბორატორიულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ტოვმასიანების ავადმყოფობის მიზეზი ძალოვანი კაბელი იყო – კაბელის განლაგების გასწვრივ, ელექტრომაგნიტური ველის მდგენელის მნიშვნელობა სანიტარული ნორმებით დასაშვებ დონეს აღემატებოდა.

ქალბატონი დონარას დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ლაბორატორიულ კვლევას თელასის წარმომადგენლები არ დასწრებიან და არც დასკვნით დაინტერესებულან.

დახმარებისთვის ტოვმასიანებმა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონის მთავარ მენეჯერს ლუის სპირს მიმართეს. სწორედ მისი დავალებით დაძრა ადგილიდან თელასმა ბინის ქვეშ დამონტაჟებული კაბელი და სადარბაზოში სხვა მხრიდან შემოიყვანა, მრიცხველებიანი კარადის თავისუფალ კედელზე გადატანა კი იმ ეტაპზე ვერ მოხერხდა. კარადის მოსახსნელად ქალბატონ დონარას ისევ ინსტანციიდან ინსტანციაში სიარული მოუწია.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად, დედა–შვილმა ტოვმასიანებმა ჯანდაცვის სამინისტროსაც მიმართეს. ჯანდაცვის სამინისტროს დასკვნაში ნათქვამია, რომ მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ელექტრომაგნიტურმა ველებმა.

საბოლოოდ, ტოვმასიანებმა სასამართლოს მიმართეს და მიყენებული ზარალის სანაცვლოდ „ეი-ი-ეს თელასისგან" ჯერ – 550 ათასი, ხოლო საბოლოოდ, 28 ათასი დოლარი მოითხოვეს. საოლქო სასამართლოს მოსამართლე მადი ჩანტლაძემ ტოვმასიანების სარჩელი დააკმაყოფილა.

## კურიოზები ამერიკის სასამართლო პრაქტიკიდან

ანდრო გიგაური

**მოსამართლე ეკითხება ნაფიც მსაჯულს:**

**მოსამართლე:** გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რის გამოც თქვენ არ შეგიძლიათ, იყოთ ნაფიცი მსაჯული ამ საქმეში.
**მსაჯული:** ბატონო მოსამართლევ, არ მინდა დიდი ხნით მოვწყდე ჩემს სამსახურს.
**მოსამართლე:** დარწმუნებული ხართ, რომ სამსახურში თქვენს გარეშე მუშაობა არ შეუძლიათ?
**მსაჯული:** შეუძლიათ, ბატონო მოსამართლევ, მაგრამ არ მინდა, რომ იცოდნენ ამ შესაძლებლობის შესახებ.

---

**მას შემდეგ, რაც სასამართლომ ჯონს 90 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მან უკანასკნელი სიტყვა ითხოვა:**

**ჯონი:** ბატონო მოსამართლევ, შეიძლება მივმართო სასამართლოს?
**მოსამართლე:** დიახ, რა თქმა უნდა!
**ჯონი:** ბატონო მოსამართლევ, იდიოტი რომ გიწოდოთ, რას მოიმოქმედებთ?
**მოსამართლე:** შეურაცხყოფისათვის თქვენ სასჯელს კიდევ 5 დღე დაემატება.
**ჯონი:** და რა მოხდება, მართლაც რომ ვიფიქრო, რომ იდიოტი ხართ?
**მოსამართლე:** ვერაფერს ვიზამ, რადგანაც ფიქრის ამკრძალავი კანონი არ არსებობს.
**ჯონი:** ბატონო მოსამართლევ! მაშინ მე ვფიქრობ, რომ თქვენ იდიოტი ხართ!

---

**მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ.:**

გაიგე? – ეუბნება ერთი მეორეს – ტერორისტებმა 500 ადვოკატი აიყვანეს მძევლად და იმუქრებიან, თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, ყოველი საათის შემდეგ თითოს გაათავისუფლებენ!

---

**საუბარი ადვოკატსა და სამედიცინო ექსპერტს შორის სასამართლო პროცესის დროს:**

**ადვოკატი:** ბატონო ექიმო, სანამ გვამის გაკვეთას დაიწყებდით, პულსი თუ შეუმოწმეთ პაციენტს?
**ექიმი:** არა!
**ადვოკატი:** წნევა თუ გაუსინჯეთ?
**ექიმი:** არა!
**ადვოკატი:** მაშინ სხვაგვარად დავსვავ შეკითხვას: ხომ არ შეგინიშნავთ, სუნთქავდა თუ არა თქვენი პაციენტი?
**ექიმი:** არა!
**ადვოკატი:** ექიმო, მომიტევეთ, მაგრამ გამოდის, რომ შესაძლებელია, პაციენტი ცოცხალი იყო, როდესაც მისი გაკვეთა დაიწყეთ?!
**ექიმი:** არა!
**ადვოკატი:** ექიმო, რატომ ხართ დარწმუნებული, რომ მართალს ბრძანებთ?
**ექიმი:** იმიტომ, რომ მისი ტვინი ჩემს მაგიდაზე იდო ქილაში!
**ადვოკატი:** აჰა, გასაგებია! მაგრამ ექიმო, შესაძლებელია, რომ ის მაინც ცოცხალი იყო?
**ექიმი:** კი, შესაძლებელია (გაბრაზებული სახით) ცოცხალი ყოფილიყო და სადმე ადვოკატადაც ემუშავა თქვენნაირად.

---

მაგიანე

სოფო ბუკია

## ახირებული შლიაპები თეატრში გასაპრანჭად



პარიჟის ქალებს ახალი შლიაპები მოუგონიათ. ამ შლიაპებს მხოლოდ მაშინ იხურავენ თურმე, როცა თეატრში აპირებენ წასვლას. ეს შლიაპა გალიაა ოქროსა და ვერცხლის მავთულებით გაკეთებული. გალიები გარედან ყვავილებით არის შემკობილი. გალიებში ჩიტია ჩასმული, ზოგში ბულბული, ზოგში მტრედი, ჭივჭავი და სხვა. მაგალითებრ ამას წინად ერთს სალამოზე ერთის ქალის შლიაპაში მტრედი მჯდარა და მეორე ქვრივი ქალის შლიაპაში ბულბული. დაიწყობენ თუ არა თეატრში არტისტები მღერას, შლიაპაში მომწყვდეული ჩიტებიც ჭიკჭიკს გააბამენ და, რასაკვირველია უშლიან მომღერლებს და თეატრის მოყვარულებს. ამიტომ პარიჟის თეატრის ზოგიერთ დირექტორებს განუზრახავთ, რომ იმ ქალებს, რომელთაც ეს ახირებული შლიაპები ეხურებათ, თეატრში სიარული აღუკრძალონ. ერთის თეატრის დირექტორს საქმე სასამართლომდე მიუტანია. თურმე იმ მოსამართლის ცოლსაც იგივე შლიაპა ჰქონია თეატრში გასაპრანჭად შეძენილი, რომელიც ამ მოსამართლეს ძალზედ ეჯავრებოდა და თქმით კი ვერ უბედავდა. ამიტომ თეატრის დირექტორის განცხადება ძალზედ გახარებია და აუკრძალია თეატრში ამგვარი შლიაპებით გამოპრანჭვა.

„ივერია“, N11, 1887 წელი

## ეჭვიანობა ცხვირის მოკვნეტით

სასამართლოში ერთი მეტად სასაცილო საქმე ირჩევა ამჟამად. ერთ კაცსა ბრალად დებენ ცოლის დამახინჯებას. ცოლი ახალგაზრდა, ლამაზი დედა-კაცია და ცხვირი მოჭმული აქვს თურმე. გამოძიების დროს აღმოჩენილა, რომ ქმარი იჭვიანობდა თურმე ცოლზედ და ცილსა სწამებდა, რომ შენ ამა და ამ ყმაწვილს ყვარობო. ერთხელ კაცს თავისი ცოლი და ეს ყმაწვილი კაცი ერთად უნახავს და ორივესთვის ცხვირი მოუკვნეტია. ყმაწვილს კაცს ეს საქმე გამოუქვეყნებია, მაგრამ არ უჩივლია. ცოლს კი დამნაშავე ქმრის დასჯა მოუწადინებია და სასამართლოში განცხადება დაუწერია. დამნაშავე ქმარი ვაჭარია თურმე 35 წლისა და მოსული და ღონიერი ვაჟი-კაცია. ცოლმა სასამართლოს მოსთხოვა ჩემს ქმარს ცხვირი მოაჭერით და მე დამიკერეთო. არ ვიცით როგორ გადაწყვეტს ახირებული ცოლის სურვილს სასამართლო.



„ივერია“, N13, 1887 წელი

## მთხოვარა შესავალ-გასავლის წიგნით



ამასწინათ ლონდონის პოლიციაში ერთი მთხოვარა დაუპატიმრებიათ. ამ მთხოვარას კომლინის ქუჩაზედ უჭირავს თურმე სახლი და 475 მანათს ქირას იხდის. როცა სახლი გაუჩხრეკიათ, უპოვეს შესავალ-გასავლის წიგნი და შიგ უწერია თურმე დღეში რამდენს შოულობს გლახაობით და მათხოვრობით. ეს ვაჟბატონი თურმე კარ-და-კარ დადიოდა და ისე თხოულობდა. ამ მთხოვარას სახელად ლეოპალდ სამუელი ჰქვიან და 64 წლის კაცია. სამუელი ერთს მხატვარს, სახელად ტირეს, დაუპატიმრებია. 7 დეკემბერსაო, გამოუცხადებია ამ მხატვარს პოლიციაში, მოვიდა ეს ვაჟბატონი და მითხრა, რომ ვაჭარი ვარ, ვიზარალე, გავკოტრდი; ცოლი და შვილები მშივრები მეხოცებიან და შემეწიე, დამეხმარე რითიმეო. მეც შემებრალა, ერთი მანეთი მივეცი და წავიდა. მეორე დღეს ქუჩაში შევხვდი და ავედევნე. ვნახე, რომ ერთს სახლში შევიდა. მივედი იმავ სახლთან, ეზოს ყარაულს დაუძახე და ვკითხე, ვინ არის ეს კაცი თქო. გავიგე, რომ ამ კაცს მშვენივრად მოწყობილი სახლი ეჭირა ქირით და 475 მანეთს ქირას იხდიდა. მაშინვე მოვედი თქვენთან და გამოგიცხადეთ ეს ამბავი. ამ მთხოვარას საქმე სასამართლოში გადაუციათ. მხატვარმა თავისი ერთი მანეთის დაბრუნება მოითხოვა.

სასამართლოში ამ კაცს ულიარებია, რომ მართლა გლახაობდა. მოსამართლისთვის თავი შეუბრალებია, მართლა გავკოტრდიო. ნუ სტყუიო, უთქვამს მოსამართლეს, გლახაობა ხელობად გაგიხდია, ამას შენი შემოსავალ-გასავლის წიგნიც ამტკიცებსო.

მოსამართლემ ამ მათხოვარს ორის თვის ციხეში ჯდომა და მოტყუებულ მხატვარს თავის ერთი მანეთის დაბრუნება გარდაუწყვიტა.

„ივერია“, N16, 1887 წელი

**მამუკა ტყეშელაშვილის** ნახატები

ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
ALPE
მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14
ტელ.: 935841, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: alpeonline@gol.ge www.samartali.ge

R

# ამ ამბავს სხვანაირი დასასრული ექნებოდა, რომ არა...



„უცნაური ხალხი ხართ ქალები, — მეუბნება ერთი ჩემი ნაცნობი, დავით მატაბელი, — სანამ სიყვარულით ხართ გარემოცული, არ აფასებთ ამ გრძნობას, „მისთხოვდებით“ სხვას და საკმარისია ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნათ, ცრემლით იხსენებთ „იმ“ დაკარგულ სიყვარულს, რომელიც თავის დროზე გულთან არ მიიკარეთ...

დიდი ხანია მინდოდა ამ საკითხზე დაგელაპარაკებოდით, მაგრამ რატომღაც თავს ვიკავებდი. ჩემნაირი კაცისთვის „საჯაროობა“ და პირადულზე ლაპარაკი უცხო რამ არის, მაგრამ ამას წინათ, ჩემს ძმაკაცთან ერთად სუფრას რომ მივუჯექი, ტრადიციულად შევეხეთ მისთვის დღემდე მტკივნეულ თემას და გადავწყვიტე, ერთი სასიყვარულო ამბავი მომეთხრო (იმედია, ჩემი ძმაკაცი არ გამიბრაზდება, რადგან სახელებს შევცვლი).

მე და ჩემმა მეგობარმა გიომ ერთმანეთი ავღანეთში, ყანდაარის პროვინციაში გავიცანით. იქ მოხვედრილებს, თავდაპირველად გვიკვირდა, რას ვერჩოდით თავიანთ ტერიტორიაზე მყოფ დუშმანებს? ავღანეთში, სადესანტო მოიერიშეთა ბატალიონში მყოფი ქართველები დასაწყისში გაორებულები თუ ვიყავით, მერე და მერე ისე გავშმაგდით, თავზეხელაღებულებსაც გვეძახდნენ და ხშირად არა მარტო დუშმანები, „ჩვენიანი“ რუსებიც კი გვერიდებოდნენ. ვიბრძოდით იმისთვის, რომ დაღუპული მეგობრებისთვის შური გვეძია, მეტი არაფერი. როცა გიო გავიცანი, გამაკვირვა მისმა შემტევმა ხასიათმა, ისე იბრძოდა, გეგონება, თბილისს გვეცილებოდნენ. ღამღამობით, როცა სიმშვიდე დაისადგურებდა ირგვლივ, გავიდოდით გარეთ, პირაღმა დავწვებოდით და მოკაშკაშე ვარსკვლავების ცქერით ვტკბებოდით. ერთ ასეთ ლამაზ და მშვიდ ღამეს, როცა თბილისს ელოლიავებოდა ჩვენი ფიქრები, გიომ თავისი სიყვარული გაიხსენა. აი, რა მიამბო მან: „დათო, გაგიკვირდება, მაგრამ ავღანეთში წასვლა ჩემი სურვილით მოხდა (მე მართლაც, გაოცებული მივჩერებოდი მას). თავდაპირველად, შორეულ აღმოსავლეთში განმაწესეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მაგრამ როცა თბილისიდან მეგობრებმა შემატყობინეს, ქეთი გათხოვდაო, ისეთი სასოწარკვეთა დამეუფლა, სიცოცხლე აღარ მინდოდა. დავწერე განცხადება, რომ ავღანეთში მინდოდა წასვლა. ავღანეთში წასვლას ბევრი თავს არიდებდა, მე კი — აქეთ ვითხოვდი. რა თქმა უნდა, ერთ თვეში სიხარულით გადმომცეს თანხმობა, რომელიც სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროდან მოვიდა ჩემს სახელზე“.

გიოს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ მივხვდი, იგი იმ წუთებში მზად იყო ჩემთვის ბევრი რამ ეთქვა. ვთხოვე, მოეყოლა ქეთის შესახებ. მანაც განაგრძო:

„მეხუთე კურსზე ვიყავი, როცა ქეთი გავიცანი. მას ახალი დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი და ჩემს ინსტიტუტში რექტორის მდივნად მუშაობდა. სრულიად შემთხვევით შევედი რექტორის მისაღებში, რაღაც განცხადება უნდა დამეტოვებინა. ფანჯარასთან გოგონა იჯდა. შევხედე და უაზროდ მივაშტერდი, ისე მომეწონა. მან ღიმილით ჩამომართვა განცხადება, მგონი რაღაც მკითხა კიდეც, მაგრამ არაფერი გამიგია. ვუთხარი, რომ მეორე დღეს მივიდოდი განცხადების წასაღებად. თუკი, ადრე მეცინებოდა და არ მჯეროდა ერთი ნახვით შეყვარებისა, იმ დღეს ვირწმუნე, რომ ეს შესაძლებელი იყო. ოთახიდან გამოსული მივხვდი, ქეთიზე ყურებამდე შეყვარებული ვიყავი. იმ დღიდან ყველა საშუალებას მივმართავდი, ათასნაირ რამეს ვიგონებდი, რომ ქეთისთან შევსულიყავი. იგი ერთი წლით უფროსი იყო ჩემზე, 23 წლისა, მაგრამ ათი წლით უფროსიც რომ ყოფილიყო, უკან არ დავიხევდი მის ცოლად მოყვანაზე; ორი თვის მერე გადავწყვიტე სიყვარულში გამოვტყდომოდი, ძალა მოვიკრიბე, შევედი მისაღებში, როცა მარტო დარჩა, წინ დავუჯექი და ვუთხარი: ქეთი, მიყვარხარ! ამაზე ძლიერი არ შეიძლება სიყვარული არსებობდეს. შენ გარდა არავინ მინდა-მეთქი ცოლად. შეცბა, არ ელოდა ჩემგან ასეთ „თავხედობას“. ცოტა ხანს დაბნეულმა მიყურა. მერე თვალები აუწყლიანდა და კარისკენ მიმითითა. ეტყობა ჩემგან, როგორც ახალდამეგობრებული სტუდენტი ბიჭისგან, არ მოელოდა სიყვარულის ახსნას. მაშინ კი წამოვედი მისგან, მაგრამ როგორ შემეძლო, რომ ყოველდღე არ მენახა? კვლავ ვცადე მასთან მისასვლელი გზა მეგობრული და საქმიანი ურთიერთობებით გამემყარებინა. ცოტა ხანში, გული მოულბა, მივხვდი, აღარ იყო გაბრაზებული. ერთხელ, გავბედე და ვთხოვე, კაფეში გპატიჟებ და უარს ნუ მეტყვი-მეთქი. ულტიმატუმი წამიყენა: მაშინ, დოდოც (ახალგაზრდა ლექტორი) წამოვიდესო. დოდომ იცოდა, როგორც მიყვარდა ქეთი და ცდილობდა, ხელი შეეწყო ჩემთვის. ამიტომ ჩვენთან ერთად გასეირნებაზე უარი არ უთქვამს. მერე კი, შუა გზაზე ეშმაკობა იხმარა და მეტროსთან მისული უცებ დაგვემშვიდობა: ახლაღა გამახსენდა, რომ შინ სტუმრები მელოდებიანო და მარტო დაგვტოვა. კაფეში რომ შევედით, ხუმრობის ხასიათზე დადგა. თითქოს მიბრძანა (გოგოებს ხომ უყვართ ასეთი „ექსპერიმენტების“ ჩატარება): თუ მართლა გიყვარვარ, სკამზე შედექი და ხმამაღლა დაიყვირე: — ქეთი მიყვარსო. კაფე „ნარგიზი“ როგორც ყოველთვის, სავსე იყო ხალხით, მაგრამ არავისი მომრიდებია, იოლად დავყევი საყვარელი გოგონას ნებასურვილს, შევდექი სკამზე და უფრო ხმამაღლა, ვიდრე ის მოელოდა, დავიყვირე: მე ქეთი მ ი ყ ვ ა რ ს! უცებ ხმაური შეწყდა, ყველამ ჩვენ შემოგვხედა. მას კისკისი აუტყდა და ხელით მანიშნა, სკამზე დაჯექიო. ქეთის არასდროს უთქვამს ჩემთვის, მიყვარხარო, მაგრამ მე ისიც სავსებით მაკმაყოფილებდა, რომ თბილად მელაპარაკებოდა, ინსტიტუტიდან სახლამდე გაცილების უფლებას მაძლევდა. იგი გატაცებული იყო რემარკით. მისი რჩევით, არათუ „სამი მეგობარი“, რემარკის მთელი შემოქმედება გადავაბულბულე. გაზაფხული რომ დადგა, ყოველდღე იები და გვირილები მიმქონდა მასთან. ვიცოდი, რომ გიჟდებოდა გვირილებზე. ერთხელაც, გამომიტყდა, რომ მას დიდი სიყვარული უკვე გამოცდილი ჰქონდა; რახან ეს გრძნობა დაკარგა, შეეცადა ახალი მოეძებნა, მაგრამ არ გამოუვიდა. ასე მითხრა: ვგრძნობ, რომ „ის“ ვერ დავივიწყე, ამიტომ ვერ მოგატყუებ, ცოლად ვერ გამოგყვებიო. ისიც დაამატა: არ იფიქრო, რომ მასთან შერიგებაზე, ან სხვაზე ვფიქრობდე, ისე მაქვს გული გაბზარული, რომ გათხოვება საერთოდ არ მინდაო. კინაღამ გული ამომივარდა საგულედან. ერთადერთი, რამაც დამამშვიდა, ის იყო, რომ არავინ იყო ისეთი, ვის ცოლობასაც ქეთი აპირებდა. მე კვლავ გავაგრძელე მისი მონახულება, მაგრამ იგი თანდათან შეიცვალა, შეუვალი გახდა, ბოლოს გამომიცხადა: აღარ მოხვიდე ჩემთანო. ვერც ხვეწნამ, ვერც მისმა საყვარელმა გვირილებმა ვერ მოულბო გული. მოტაცებაც გადავწყვიტე, მაგრამ ისეთ დღეში ჩავარდა, მეგობარს მანქანა შემოვატრიალებინე და სახლთან გადმოვსვი. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ბოლოს, სათოფეზეც აღარ მიკარებდა. ინსტიტუტი დავამთავრე და 1986 წლის შემოდგომაზე ჯარშიც გამიწვიეს. ნაცნობი მპირდებოდა, ჯარს რომ მოვილევდი, კარგ სამსახურში სარფიან საქმეს მომცემდა. მეგობრებმა მირჩიეს, არ დამეკარგა ასეთი შანსი და მითხრეს: ქეთის ჩვენ მივხედავთ, ხომ ხედავ, გათხოვებას არ აპირებს, ორ წელიწადში ისეთ „პროპაგანდას“ გავწევთ შენზე, რომ სანთელივით დამყოლი დაგხვდებაო. შორეულ აღმოსავლეთში განმაწესეს. გულის ფანცქალით ველოდი თბილისიდან წერილებს. მესამე წერილმა თავზარი დამცა. დოდო მატყობინებდა, ქეთი გათხოვდაო. მერე უკვე იცი, რა გადაწყვეტილებაც მივიღე. ასე მოვხვდი ავღანეთში“.

ამ საუბრის მერე უფრო დავუახლოვდი გიოს. დრო სწრაფად გარბოდა. მისი სამხედრო სამსახური იწურებოდა. რამდენიმე დღით ადრე, სანამ იგი გამოგვემშვიდობებოდა და თბილისში დაბრუნდებოდა, ჩვენს ერთ-ერთ სამორიგეოსათვალთვალო ობიექტზე დუშმანთა თავდასხმა მოხდა. გიომ ჩვენ კი გვიხსნა, მაგრამ თვითონ უსიცოცხლოდ იყო გაშოტილი მიწაზე. საველე სამედიცინო დახმარებამ იგი იმ ობიექტიდან გაიყვანა. კარგა ხანს არ ვიცოდით, მოკვდა თუ გადარჩა. ნეტავ, გენახათ, რამდენიმე თვეში გიოს წერილი რომ მივიღეთ, რა სიხარული განვიცადეთ.

როდესაც საქართველოში დავბრუნდი, ჩემი და გიოს მეგობრობა არათუ განახლდა, უფრო გაღრმავდა. ერთხელ, მოულოდნელად ვკითხე: გიო, ქეთი ხომ არ გინახავს-მეთქი. ლამის გული ამოაყოლა: მენატრება, მაგრამ მისი ნახვა რაღაცნაირად მეშინია კიდეც, არ ვიცი, რა ჭკუაზე დავდგებიო. თანაც, ის უკვე ოჯახის ქალია. თავის დროზე უარი მითხრა და ახლა მისთვის რაღა აზრი აქვს წარსულის გახსენებასო. მართალიც იყო, მაგრამ ჩვენი ხშირი შეხვედრებიდან ერთიც არ ჩაივლიდა ისე, რომ ქეთი არ გაეხსენებინა. სამი წლის მერე ცოლი მოიყვანა. ბიჭიც შეეძინა, გახარებული იყო, მაგრამ ქეთის დავიწყება მაინც ვერ შეძლო. დიდხანს ოჯახში ვერ ჩერდებოდა, უფრო მეგობრებისკენ მოუწევდა გული. სამაჩაბლოს ომი რომ დაიწყო, მეც და გიომაც (კიდევ ბევრმა ჩვენმა მეგობარმა) სამაჩაბლოში წასვლა გადავწყვიტეთ. ავღანეთში ვის ან რის გულისთვის ვიბრძოდით და ახლა, როცა ჩვენს მიწას გვედავებოდნენ, რაღა გაგვაჩერებდა? იმ ომში გიომ თავი გამოიჩინა. ოსებს ისე ეშინოდათ მისი, როგორც სიკვდილის. გიოზე ჯილდოც კი დააწესეს. მაინც ვერაფერი დააკლეს. მერე შემზარავი ამბავი მოხდა: ფეხმძიმე ცოლი და ცოლისძმა მანქანაში ჩაუცხრილეს ვიღაცებმა (დღემდე ვერ მიაკვლიეს მკვლელებს). გიო ორმოცი დღის მერე კვლავ სამაჩაბლოში დაბრუნდა. მისი მეგობრები ხან ვთხოვდით, ხან ვეჩხუბებოდით, რომ შინ დაბრუნებულიყო, მაგრამ არაფერი სჭრიდა. ასე გვეუბნებოდა: ჩემი ბიჭი საიმედო ხელშია, ახლა აქ უფრო საჭირო ვარო. მერე აფხაზეთის ომიც დაიწყო. გიო კვლავ არ გაჩერდა. ახლა აფხაზეთში გადაინაცვლა. წასვლის წინ ვერ მოითმინა და ქეთის შინ დაურეკა. გიო გახარებული იყო: მისი ხმა ხომ გავიგე, ჩემთვის ეგეც საკმარისიაო. საშინელი დღეები ნახა. ის კოშმარული გზაც სვანეთში (ჭუბერში) ლტოლვილებთან ერთად გადმოიარა. ახლა, როცა ერთმანეთს შევხვდებით, არ უყვარს იმ ბრძოლების გახსენება, სამაგიეროდ, ქეთის და მასთან გატარებულ დღეებს იგონებს. იცით, დღემდე გიოს საყვარელი სადღეგრძელო რა არის? საერთოდ სიტყვაძუნწი, ხშირად ამბობს: — ჩემს ნამდვილ სიყვარულს გაუმარჯოსო. ცხადია, ქეთის გულისხმობს.

**ეს ამბავი იცით, რატომ გიამბეთ? მკითხველმა ქალებმა იქნებ, იმ უარის მიზეზი გაგვიშიფრონ, რომელიც ჩვენ — კაცებს ვერ აგვიხსნია (გაითვალისწინეთ ის ფაქტიც, რომ ქეთი გათხოვებას არ აპირებდა იმ ძველი სიყვარულის „არდავიწყების“ გამო, მერე კი სულ სხვას გაჰყვა ცოლად!). აი, ასეთია ერთი ჩვეულებრივი ბიჭის არაჩვეულებრივი ამბავი, რომლის ბედიც (უფრო კი, უბედობა) შეყვარებულის უარით განისაზღვრა. გიო მხოლოდ ოჯახის შექმნის სურვილით ცოლს არ მოიყვანდა... ვფიქრობ, რომ ქეთისთან ძალიან ბედნიერი იქნებოდა.**

**P.S. ქალბატონებო, მამაკაცები ამ სევდიანი, ცალმხრივი სიყვარულის ახსნას თქვენგან ელიან.**

***მარინა ბაბუნაშვილი***

## ტესტი: შეგიძლიათ თუ არა პატიება?

**1. მეგობარს შეუთანხმდით შეხვედრაზე. ის არ მოვიდა, როგორია თქვენი რეაქცია?**
ა) ვფიქრობ, ალბათ რაღაც შეემთხვა;
ბ) არ მოვიდა და ნუ მოვიდა!
გ) ამიხსნას, რატომ არ მოვიდა!



**2. ამ სამი ცხოველიდან ხასიათით რომელი გგავთ?**
ა) სპილო;
ბ) ძაღლი;
გ) თაგვი.

**3. წაეჩხუბეთ ძვირფას ადამიანს. ურიგდებით პირველი?**
ა) რა თქმა უნდა;
ბ) ზოგჯერ — ის, ზოგჯერ — მე;
გ) უფრო ხშირად — ის.

**4. გაურბიხართ კამათს?**
ა) ყოველთვის;
ბ) არავითარ შემთხვევაში;
გ) როდის როგორ.

**5. თქვენს შეფს ჩვევად აქვს წაგეჩხუბოთ წვრილმანზე...**
ა) ეს მე მართობს;
ბ) ვღიზიანდები;
გ) ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

**6. თავდაჯერებული ხართ?**
ა) სამწუხაროდ, არა;
ბ) რა თქმა უნდა;
გ) ეს სიტუაციაზეა დამოკიდებული.

**შედეგები დაითვალეთ ტაბულის მიხედვით:**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 3 | 1 | 3 | 1 | 3 | 1 |
| ბ | 1 | 3 | 2 | 3 | 1 | 3 |
| გ | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 |

**6-9 ქულა:** თქვენ ძალიან მგრძნობიარე ხართ და დიდხანს მიგყვებათ წყენა. ეს ხომ ცხოვრებას გაგიძნელებთ;

**10-14 ქულა:** საერთოდ, თქვენ შეგიძლიათ არ შეამჩნიოთ წვრილმანები. თუმცა, წყენაზე პასუხის მიცემაც შეგიძლიათ;

**15-18 ქულა:** თქვენ გულღრძო არა ხართ. რაც არ უნდა მოხდეს, შეგიძლიათ ნებისმიერს გაუგოთ და მიუტევოთ.

## ნატვრისთვალო, ნატვრისთვალო...

**არსებობს თუ არა ნატვრისთვალი? — ხშირად მიფიქრია ბავშვობაში. დიდობაში კი დავასკვენი, რომ სანუკვარი ოცნებების ამსრულებელი ნატვრისთვალი არ არსებობს. ჩემი რესპოდენტები კი ასე არ ფიქრობენ. კარგით, დავუშვათ, მართლაც იპოვეთ ნატვრისთვალი, რას ინატრებდით-მეთქი — მივმართე ქალბატონებს და ბატონებსაც. კაცებს რომ ჰკითხოთ ქალებს მხოლოდ მატერიალური ოცნებები გვაწუხებს. ამ გამოკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ კაცებს რაც ენატრებათ, ის ელანდებათ, ან როგორიც თავად არიან, სხვაც ისეთი ჰგონიათ.**

**ქეთი (34 წლის)** — ნატვრისთვალი რომ მაპოვნინა? საქართველოს გაერთიანებას და აყვავებას ვთხოვდი. პარლამენტს საერთოდ გავაქრობდი და ქვეყნის მმართველობას ქალებს ჩავაბარებდი. იარაღის ჭაჭანებას მოვსპობდი საქართველოში. მარტო ნამდვილ იარაღს კი არა, სათამაშო იარაღსაც არ შემოვატანინებდი საზღვარზე არავის. ჰო, საზღვრებს მაგრად დავიცავდი, თუ რამე უახლესი და მაგარი ტექნიკა არსებობს, ყველას დავდგამდი საზღვარზე და ქვეყანაში წესრიგის დაცვას პოლიციელებს კი არა, სასულიერო პირებს დავავალებდი. ეჰ, სადაა ნატვრისთვალი?

**ნინო (22 წლის)** — ნატვრისთვალი, ნატვრისთვალი... მივეფერებოდი და ვეტყოდი, ქვეყნად არც ერთი მშიერი, უსახლკარო და მაწანწალა ბავშვი არ იყოს-მეთქი. ბოროტებს გავაქრობდი და ყველას ერთმანეთი გვეყვარებოდა. სევდა მომერია...

**ინგა (34 წლის)** — პირველ რიგში ცხადია აფხაზეთში დაბრუნებას ვინატრებდი, მერე კი... რა ვიცი, აბა. როცა კარგად ხარ, როცა შენს ბუდეში გრძნობ თავს, ოცნებებიც მაშინ გაქვს. ახლა ვერაფერზე ვერ ვოცნებობ.

**მაიკო (25 წლის)** — პარიზში წასვლა მინდა ძალიან, თუნდაც ერთი წლით. თუ ნატვრისთვალს ვიპოვი, აუცილებლად ვთხოვ ამ ოცნების შესრულებას. კიდევ ვაკეში მინდა 3-ოთახიანი მაგარი ბინა.

**ვახო (29 წლის)** — ბოლო მოდელის „ბეემვეს“ ვინატრებდი. კლაუდია შიფერის მსგავს ცოლს, საკუთარ იახტას, ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე ვილას და დანარჩენი სურვილები თანდათან გამიჩნდებოდა.

**ჟორა (38 წლის)** — საქართველოს პრეზიდენტობას ვინატრებდი, ხელად „მოვაყომარებდი“ საქმეებს. პარლამენტში ცემატყეპისათვის ყურებს ავუწევდი „ცელქ“ დეპუტატებს. მაგარ ჯარს ჩამოვაყალიბებდი, აი, ისეთს, რკინის მკვნეტელი ჯარისკაცები რომ ეყოლებოდა.

**ზურა (45 წლის)** — ნატვრისთვალის მფლობელი რომ გავხდე, ხონთქარივით ვიცხოვრებდი. თუ სადმე საუკეთესო ქალია, ყველა ჩემი გახდებოდა. გავაკეთებდი ერთ უზარმაზარ ჰარამხანას და ყველა იქ მეყოლებოდა. ოჰ, ოჰ, რა კარგი იქნებოდა? ისე რა გახდა პარლამენტში ამ მრავალცოლიანობის შესახებ კანონის მიღება, ისედაც ხომ კაცის დეფიციტია. ქალებიც აღარ დარჩებიან გაუთხოვრები და კაცებსაც აღარ დასჭირდებათ გარე-გარე წანწალი.

***ეკა ლომიძე***

## გამოხმაურება

**რედაქციაში წერილების დასტა, როგორც ნიაღვარი, ისე „მოვარდა“. უამრავი გამოხმაურება მივიღეთ პუბლიკაციაზე „ჩემს შვილებს არასოდეს დაავიწყდებათ ცეცხლმოდებული მამის ყვირილი“ („კვირის პალიტრა“ №43), ამბავი დაზარალებული ქალის მხრიდან არის წარმოდგენილი, მაგრამ ნათქვამია მედალს ორი მხარე აქვსო... ეთერ ბოჭორიშვილს სწორედ მეორე მხარე დაუპირისპირდა:**

„გთხოვთ, საზოგადოებას სიმართლე აცნობოთ. რახან გვარსახელები დაბეჭდეთ (ეს კი საჭირო არ იყო!), მაშინ ჩვენგან მოთხრობილიც მოისმინეთ და დაბეჭდეთ: მარინა კახაია შვიდი წელი ოჯახითურთ მშობლებთან ცხოვრობდა. სიდუხჭირემ აიძულა ექვსი წლის ბავშვი დაეტოვებინა დედ-მამისა და დედმამიშვილებისთვის. მარინამ ქმართან 4 წელი იცხოვრა, მაგრამ მეუღლის უმუშევრობამ, ბავშვის აღზრდისათვის აუცილებელმა საარსებო წყაროს ძიებამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. მან საიმედო ხალხის ხელში დატოვა შვილი, ეთერმა კი ორი ვაჟი „ჩააბარა“ ნაციხარ მამას, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს ეტანებოდა... ეთერი ხშირად ურეკავდა მარინას, შენც ჩამოდი საბერძნეთში, სამსახური უკვე ნაშოვნი მაქვსო. მერე, აღმოჩნდა, რომ მარინას ამის გამო 500$ დოლარს სთხოვდა... ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ მყოფ გელასთან (ეთერის მეუღლე) საუბარიც კი შეუძლებელი იყო. სწორედ მისი ასეთი მდგომარეობა გახდა მიზეზი ხანძრის გაჩენისა იმ საყოფაცხოვრებო დაწესებულებაში, სადაც ის მუშაობდა. ზარალი დიდი იყო, რომლის ანაზღაურებაც ვერ შეძლო და აფექტის მდგომარეობაში მყოფმა სხეულზე ბენზინი გადაისხა. შვილებს მართლაც ესმოდათ ცეცხლმოდებული მამის ყვირილი: „არ დამანახოთ ეთერიო“. ეთერის „დამაქცევარმა“ გელას გარდაცვალებამდე შექმნა ოჯახი და არა, 20 დღის მერე... მარინას და მის ოჯახს აღარ აშინებს ეთერის შანტაჟი.

***პატივისცემით მარინა კახაიას ოჯახის წევრები. ქუთაისი“***

„მე, მარინა კახაიას მეუღლე, 2 წელია საბერძნეთში ვცხოვრობ და ვმუშაობ. ყოველთვის ვოცნებობდი თბილ და მოსიყვარულე მეუღლეზე. ვიპოვე კიდეც ამ უცხო ქვეყანაში. მარინას არ გაუმართლა პირველი ქორწინებიდან, 6 წელი წვალებაში გაატარა. ბოლოს და ბოლოს მას და მის შვილსაც ხომ აქვთ ბედნიერების უფლება? მახსოვს, ეთერ და გელა ბოჭორიშვილები როგორ უწყობდნენ შანტაჟს მარინას ფულის გამოძალვის მიზნით. რამდენსაც არ უნდა ეცადოს ეთერ ბოჭორიშვილი, მაინც ვერ დაგვაშორებს ერთმანეთს.

***მარინას მეუღლე. საბერძნეთი“***

რედაქციისაგან: ძნელია, ამ რთული სიტუაციიდან მტყუანმართლის გარჩევა. ორივე მხარეს აქვს თავისი საქციელის გასამართლებელი „არგუმენტები“. ფაქტია, რომ უბედურება მოხდა. უსასრულო დავას და მტრობას სასიკეთო შედეგი არასდროს მოჰყოლია, ამიტომ ქალბატონებს, ეთერსაც და მარინასაც ვურჩევთ, იფიქრონ შვილების სწორ აღზრდაზე, რათა მათ არ გაიმეორონ მშობლების შეცდომები.

CMYK

# ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს კოტე მახარაძე

*გუშინ, 17 ნოემბერს, ჩვენს სასიქადულო მსახიობსა და ლეგენდარულ კომენტატორს (ეს ტიტული რუსებმა უბოძეს, თორემ აბა, საქართველოში ამგვარ რამეს ვინ გაიმეტებდა!) 76 წელი შეუსრულდა.*

*„კვირის პალიტრამ“ ეს ინტერვიუ იუბილართან ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში მოამზადა. მერე იყო რუსეთის ნაკრებთან დათარსული, ავადსახსენებელი საფეხბურთო მარათონის წინასამატჩო პერიპეტიები, რომელიც ისე პოლიტიზებული გახადა ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა, რომ ლამის აფხაზეთის ტრაგედიაც კი დაგვავიწყდა. არადა ბატონი კოტესი არ იყოს, ორი სუსტი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს და მატჩი სპორტული თვალსაზრისითაც კი ვერ იმსახურებდა გამორჩეულ ინტერესს. სწორედ წინასამატჩო ხმაურის შედეგი იყო, რომ 10 ოქტომბერს, ნაშუადღევიდან, თბილისში „გადმოსხდა“ რუსული მასმედიის მრავალრიცხოვანი დესანტი და, როგორც მოსალოდნელი იყო, იმავე საღამოს დადგა მათი გრძელი რიგი ფიქრის გორაზე, ერთი მსახიობის თეატრის შესასვლელთან. მეორე დილით ბატონმა კოტემ დამირეკა — დღეს ბასა ღოღობერიძის მემორიალის გახსნაა „დინამოს“ სტადიონზე და მარტო ნუ გამიშვებო. ჯერ გამსახურდიას გამზირზე, კაფე „ბათუმში“ გეახელით ალუბლის წვენი და „ფენერლი“ (ასე ეძახდნენ ჩემს ბავშვობაში აჭარულ ხაჭაპურს თვით აჭარლებიო, — მითხრა ბატონმა კოტემ. კაფეს თვეში ერთხელ თუ ვეწვეოდით, რადგან ორივენი დიეტაზე ვიყავით და სოფიკოს დაცინვისა გვეშინოდა, რომელიც ჩვენზე ვაჟკაცურად უმკლავდება ამ უსიამოვნო საქმეს), მერე კი დიდუბეში გავწიეთ. ძლივს გავაღწიეთ პოლიციის კორდონებს და სტადიონზე შევედით.*

*საოცარი, ჩვეული სითბოთი ისაუბრა ბატონმა კოტემ დიდი ფეხბურთელის ღვაწლზე. ისეთი წვრილმანებიც კი გაიხსენა, ღოღობერიძის თანაგუნდელებსაც რომ აღარ ახსოვდათ. განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ამ დიდი სპორტსმენის ცხოვრების იმ 14 წელიწადზე, როცა სრულიად პარალიზებული მხოლოდ თვალის დაფახულებით იძლეოდა ნიშანს — „ჰო“ ან „არა“. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ სულ 30-32 საათის შემდეგ დაახლოებით იმავე დღეში ჩავარდებოდა.*

*სტადიონზე, მთელი მატჩის განმავლობაში, ბატონ კოტეს სათამაშო მინდვრისკენ არც გაუხედავს. სხვათა შორის, არც ტელემაუწყებლობის ბრიგადები იყურებოდნენ იქით. ყველა არხის წარმომადგენლობა კოტე მახარაძისგან ინტერვიუს ასაღებად თავის რიგს ელოდებოდა. არადა ეს არ იყო ინტერვიუ სპორტულ კომენტატორ კოტე მახარაძესთან. ბატონი კოტე საუბრობდა იმ უსამართლობაზე, რასაც იმ და წინა დღეებში რუსეთი ამჟღავნებდა ჩვენ მიმართ ვითომ პანკისის პრობლემის გამო, იფიცებოდა, ქართველებმა თავიანთი თვითმფრინავები გადაღებეს და საკუთარი სოფლები დაბომბესო. ამას რომ იხსენებდა, ერთიანად კანკალებდა ბატონი კოტე.*

*თამაშის დასასრულს რედაქციიდან დამირეკეს — სასწრაფოდ მიხმობდნენ. თუ გამოვარღვიე ეს კორდონები, უეჭველად დავბრუნდები-მეთქი. წინ კიდევ ერთი მატჩი იყო — რუსი და ქართველი ვეტერანები ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ სტადიონამდე ველარ მივაღწიე. პოლიციელებს არაფრის მოსმენა არ უნდოდათ. განაწყენებულმა მანქანა შემოვაბრუნე და იმავე საღამოს სოფელში ამოვყავი თავი. დილით, როცა ბატონ კოტეს დავურეკე, მისაყვედურა, რატომ მიმატოვე (თითქოს რამეს ვშველოდი), ჟურნალისტებმა გამაწამეს და დღეს უარეს დღეში ვარო.*

*საღამოთი, როცა სტადიონზე, მატჩის დროს შუქი გამოირთო, დავურეკე, — სტადიონზე თუ ხარ, იქნებ მითხრა, რა ხდება-მეთქი. მიპასუხა, — სტადიონზე წასვლის თავი სადღა მქონდა. ამ წუთშიც ჩემთან, შინ, ორმოცამდე ჟურნალისტია, ზოგი სუფრას უზის, ზოგი ისევ ინტერვიუს მთხოვს. თუ სიმართლე გინდა, მეც არ ვიცი, რა ხდებაო.*

*დაღლილი ხმა ჰქონდა. არც გამკვირვებია, იმხანებში ისედაც ვერ იყო კარგად და ამხელა დატვირთვის შემდეგ ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ იმას, რაც ჩვენი საუბრის შემდეგ მალევე მომხდარა, ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა.*

*თუმცა ღმერთი დიდია და იმისაც გვჯერა, რომ კიდევ არაერთგზის გავიგონებთ მის ნაცნობ ხმას — ყურადღება, ყურადღება!..*

ამჯერადაც **კოტე მახარაძეს** მოვუსმინოთ (როგორც მოგახსენეთ, ინტერვიუ ოქტომბრის თვეში მომზადდა და მას ზურაბ მჭედლიშვილი უძღვებოდა).

— საზოგადოდ, ადამიანებზე არა ვარ მაღალი აზრის... იმიტომ კი არა, ხაზი გავუსვა, ქართველები რა ცუდები ვართ-მეთქი. არა. ჩვენ კაენისა და აბელის მოდგმა ვართ. კაენმა მოკლა თავისი ძმა, რომელსაც არ დარჩენია შთამომავლობა. ჩვენ კი კაენის შთამომავლები ვართ, მაშ, რატომ ველით, რომ კაენის შთამომავლები კარგ საქმეს გააკეთებენ? დედამიწის ზურგზე არ მეგულება დემოკრატიული ქვეყანა. უდიდესმა დემოკრატმა უინსტონ ჩერჩილმა ბრძანა, — დემოკრატია საშინელებაა, მაგრამ კაცობრიობას ამაზე უკეთესი, ჯერჯერობით, არა მოუგონია რაო! ამიტომ ცოტა სასაცილოდ მიმაჩნია იმის ყიჟინა, საქართველო არ არის დემოკრატიული ქვეყანაო. რაც სხვაგან არის, იგივეა აქაც.

სამოციან წლებში შვედეთში ხელებმოჭრილი ადამიანის ძეგლი ვნახე, რომელსაც აწერია: ძეგლი ეძღვნება 150 წლისთავს, რაც ქვეყანაში ქურდობა არ მომხდარაო. ნორვეგიაში კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ვაჟიშვილთან ერთად მოვხვდი ერთ წვეულებაზე. წვეულების შემდეგ, ღამის სამ საათზე ფეხით დავაპირე გასეირნება სასტუმრომდე, მაგრამ არ გამიშვეს — ღამით ნასვამის სიარული კატეგორიულად აკრძალულიაო! თურმე ერთი კვირით ადრე პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი შვილი ნასვამი გაუჩერებია პოლიციას, მართვის მოწმობაც ჩამოურთმევია და დიდი ჯარიმაც გადაახდევინეს თურმე. მერე ერთი კვირით ციხეშიც ჩასვეს და კრინტიც ვერ დაუძრავს პრემიერ-მინისტრს. ჩვენთან კი ვიღაც მოხელეები, რომლებმაც თავიანთი თანამდებობებით ფული იშოვეს, ტელეეკრანებიდან ჭკუას გვასწავლიან, ქრისტიანები როგორ ვიყოთ! ხანდახან მგონია, რომ ქართველებს უბატონოდ ცხოვრება არ შეუძლიათ. ორი წელიწადია, ყოველდღე გავიძახით, აი, ახლა კი მოეღება კორუფციას ბოლო, ახლა ამოვშანთავთ ამ სენსო და ა.შ. მაგრამ ერთი კაცი მაინც, რომლის უპატიოსნობასა და კორუმპირებულობაში არავის ეპარება ეჭვი, დაიჭირეს, გაასამართლეს?! 24 საათი გაჰკივის ჩვენი მასმედია, — გაფიცვებია, ხალხი მშიერია, ქუჩები გადაკეტილი, ხალხი პენსიასა და ხელფასს ითხოვსო. ამ დროს გამოდიან „უფროსები“ და ვითომ აქ არაფერიო, რაღაც გეგმებზე გველაპარაკებიან მენტორული ტონით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გაფიცულები სხვა სახელმწიფოს, ვთქვათ, აფრიკის რომელიმე ღატაკი ქვეყნის წარმომადგენლები არიან.

ბოლოს და ბოლოს, ვინა ვართ, რა ხალხი ვართ, 25 აპრილის მიწისძვრის დროს შინ ვიყავით მთელი ოჯახი და პირველი, რა შეგრძნებაც გამიჩნდა, გახლდათ ის, რომ უმწეო ვიყავი სტიქიის წინაშე. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა 76 წლის კაცი, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ღმერთის რწმენაშია! ამიტომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ის „დისკუსია“, ფული ვერ გროვდებაო. რატომ და როგორ სთხოვ იმ ხალხს ერთი ლარი დადოს, როცა წლიდან წლამდე 14 ლარს არ უხდი პენსიას თუ ხელფასს? რა თანხაცაა საჭირო, მილიონერებმა და მილიარდერებმა გაიღონ. ხომ ამ ხელისუფლების ზეობის ჟამს მომრავლდნენ ეს მილიონერები და მილიარდერები? შეიძლება მთელი აქცენტი ბიძინა ივანიშვილსა და ბადრი პატარკაციშვილზე გადაიტანო, აბა, რას მოგვცემენო?! კეთილი ინებონ და შემოიტანონ ქალაქის აღსადგენად ფული იმათ, ვისაც ხაზინიდან და ბიუჯეტიდან მიჰქონდათ... რაც შეეხება თბილისელობის ცნებას, იმდენი ვიძახეთ და ვიქეთ თავი თბილისელობით, რომ ლამის შევეზიზღეთ დანარჩენ საქართველოს. სად არიან თბილისელები, როცა ამდენი უმსგავსობა ხდება დედაქალაქში? იმას კი არ ვქადაგებ, რომ ნაღდი თბილისელობის ფენომენი გავაქროთ, არა, უზნეობაა ქედმაღლობა და ტრაბახი ამით...



— **ის, რაც მოხდა და ხდება ქვეყანაში, ფაქტობრივად, ქართული ინტელიგენციის სიჩუმის ფონზე მიმდინარეობს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბევრი პოლიტიკური ძალა ცდილობს ინტელიგენციის სიმპათიისა და მხარდაჭერის მოპოვებას. მაგრამ ჩვენი საზოგადოების ეს ფენა ამ საქმეშიც სიჩუმეს არჩევს.**

— ამას წინათ, ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა გამართა ინტელიგენციასთან შეხვედრა. საერთოდ არ დავდივარ შეხვედრებზე, მაგრამ მეგობრებმა მთხოვეს და დავესწარი. ვაკვირდებოდი გამომსვლელთა აზროვნების მასშტაბს, დონეს და სამწუხაროდ, არც ერთს კონკრეტულად არა აქვს წარმოდგენილი, რა უნდა გაკეთდეს. ინტელიგენციამ ბევრჯერ ამოიღო ხმა, მაგრამ კინაღამ „ჩამოახრჩვეს“ და დაშინებულია. ინტელიგენციას ძალიან უჭირს. ჩვენი „ერთი მსახიობის თეატრის“ რეპერტუარი ინტელიგენციისთვის არის გათვლილი, რადგან აქ არის პუბლიცისტიკა, ფილოსოფია და ლიტერატურა, მაგრამ იცით, რომ ბილეთის ფული — 3 ლარი არა აქვთ. რა თქმა უნდა, ასეთ ხალხს ვიწვევთ სპექტაკლებზე, ისევე როგორც ინვალიდები შემოგვყავს უბილეთოდ, ბრმებს შინ ვუგზავნით მანქანებს და ისინი ქართულ სიტყვას ისმენენ აქ. უკეთესი ქველმოქმედება რაღა უნდა იყოს?! ინტელიგენციას ყველაზე მძიმე დღეები უდგას, მაგრამ მიხარია, რომ მათ სულიერებაში მაინც არსებობს დიდი სისუფთავე... შეხვედრაზე გამობრძანდა ალექსანდრე ჭაჭია, რომელმაც დაგვიწყო „ჭკუის სწავლება“, გვითხრა, რომ ამერიკელებს სურთ საქართველოში თურქეთის გავლენის გაძლიერება, რომ იმათ ის უნდათ, ამათ ეს... ჩვენ თვალწინ იდგა პიროვნება, რომელსაც „სულ მცირე“ ალბათ გაეროს გენერალურ მდივნობაზე აქვს პრეტენზია... დალოცვილს ერთხელ არ უთქვამს: „მე ასე ვფიქრობ; ჩემი აზრით ასეა“ და ა.შ. არა, დიდი თავდაჯერებით გვიმტკიცებდა რაღაცებს... ავდექი და წამოვედი. გონიერი კაცია ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი და საოცარია, საპრეზიდენტო არჩევნებისას ეს ჭაჭია რატომ დაიყენა გვერდით.

— **საქართველოს ხელისუფლებასა და პოლიტიკურ სპექტრში მიმდინარე პროცესების ფონზე კვლავ გაურკვეველია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივა, დაძაბული ვითარებაა აფხაზეთშიც... თქვენ გაქვთ იმედი, გნებავთ, ინფორმაცია თქვენი რუსი მეგობრებისაგან, რომ ამ არანორმალურ ურთიერთობებს წერტილი დაესმება?**

— ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ აკეთებს მომგებიან სვლებს. არ ვტრაბახობ, მაგრამ იმავე რუსეთის ტელევიზიით აფხაზეთის საკითხზეც კოტე მახარაძის გარდა თუ გამოვიდა ვინმე, რათა ყველას დაუმტკიცოს ქართველების სიმართლე? აქ გაიძახიან, საინფორმაციო ომი წავაგეთო, მაგრამ რატომ წავაგეთ? იმ გადაცემაში ალბათ გახსოვთ, სახაროვსაც შევეხე, რომელმაც „მცირე იმპერია“ გვიწოდა. რუსეთის შვილი იყო და ჩვენ გვიწოდებდა იმპერიას, ეს იყო სამართალი? ან აფხაზები რამდენნი არიან, თავის თავზე დიდი წარმოდგენა რომ აქვთ? 60-იან წლებში სოხუმში აფხაზებმა წვეულება გაგვიმართეს რუსთაველის თეატრის მსახიობებს და მაშინდელი მათი პირველი მდივანი თემურ ბაღაჟბა, რომელიც აფხაზურად ამბობდა სადღეგრძელოებს, ბაგრატ შინკუბა კი რუსულად გვითარგმნიდა, გაიძახოდა: „ჩვენ 40 ათასი ვართ, მაგრამ დიდი ერი ვართო“. მახსოვს აკაკი ხორავა გაქვავებული იჯდა და ხმას არ იღებდა. კი მაგრამ დიდი ერი როგორ არის, რა, 40 ათასივე გენიოსია? ერთმა კარგმა რუსმა, რომელსაც მართლა გულით უყვარს საქართველო, პირდაპირ მითხრა: „მე უკვე ვრწმუნდები, რომ რუსებს ქართველები შეყვარებული გოგონასავით უყვართ და ამიტომ არ ეთმობათ იგი სხვებისთვისო“; ანუ უზბეკს თუ თურქმენს ყველაფერს აპატიებენ, ქართველს კი არა. სამი ათასი ამერიკელი ჯარისკაცი ჩაჯდა უზბეკეთში და ეშმაკსაც წაუღია უზბეკებიო, გაიძახიან რუსეთში, მაგრამ აქ ორასი ამერიკელი ინსტრუქტორის ჩამოსვლის გამო, კინაღამ ომი გამოგვიცხადეს! ჟურნალისტებმაც კეთილი უნდა ინებოთ და ერთი ამბავი ატეხოთ რუსეთის პრესაშიც და დასავლეთის მასმედიაშიც.

მარტო დუმის წვრილფეხობა არ წყვეტს რუსეთის ბედს... ჩვენ შეცდომებსაც შევეხები. განა ჰქონდა გამართლება იმას, რომ 9 მაისის გამარჯვების დღესასწაული გავაუქმეთ და ამით შეურაცხვყავით მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 300 ათასამდე ქართველის ხსოვნა?

— **აშშ უკვე მყარად და დიდი ხნით იკიდებს ფეხს ჩვენს ქვეყანაში. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ პროცესისადმი და საერთოდ, როგორია თქვენი აზრი ამერიკული ფასეულობებისა და დემოკრატიის მიმართ?**

— რით გამოიხატება აშშ-ის დემოკრატიულობა? ქვეყანა, სადაც ლამის ყოველ მეორე წელიწადს პრეზიდენტს კლავენ, ესვრიან, სკოლებში სასაკლაოებს აწყობენ, სადაც ხალხს შეუძლია ყველაფერი ჩაიდინოს და არად დაგიდევენ მორალურ ნორმებს... ეს თუ არის დემოკრატია, ასეთი დემოკრატია არ მინდა. კი ბატონო, ჩვენი უპირველესი საიმედო მოკავშირეა აშშ პოლიტიკურად, მაგრამ არ მიყვარს, ძმაო, მათი ცხოვრების წესი, მათი ფილმები, სადაც უმეტესწილად ჟლეტისა და სექსის გარდა, სხვას ვერაფერს ვხედავთ. აგერ რუსებმაც მიჰბაძეს უკვე და სატელევიზიო არხი „რომანტიკა“ გახსნეს, სადაც ნებისმიერ დროს ტუჩი ტუჩშია გარჭობილი, ხვნეშა და ოხვრა ისმის მხოლოდ. რომანტიკა კი იქ მთავრდება, სადაც იწყება სექსი.

ამერიკა მდიდარი ქვეყანაა, მდიდარი ხალხია, ფულის შოვნა ისწავლეს, თორემ სხვა რა ისწავლეს?! რომლის უმრავლესობამ დღემდე არ იცის საქართველო მათი ჯორჯიის შტატია თუ კავკასიის ის უძველესი ქვეყანა, სადაც ცივილიზაციის და დიდი ქრისტიანული კულტურის აკვანი ირწეოდა უხსოვარი დროიდან. ეს მათ უწიგნურობაზე მეტყველებს.

ჯიუტად გავიძახით — ადამიანი მართავს ბუნებასო! მაგრამ, რომელ ბუნებას ვმართავთ, რომელი სტიქია გავანეიტრალეთ, რომელ მიწისძვრას მოვერიეთ? ადამიანები დავრჩით პირველყოფილ დონეზე, უბრალოდ ჩვენ გავაუმჯობესეთ ცხოვრებისეული ტექნიკა და ტაქტიკა: შევქმენით თვითმფრინავი ადამიანთა გადასაადგილებლად და იმავდროულად დასაბომბად. ჩვენ მოვიგონეთ ადამიანის და საერთოდ სიცოცხლის გამანადგურებელი საშუალებები. პირადი კეთილდღეობისთვის მოვიგონეთ ლიფტი და უამრავი სხვა რამ. აი, ეგვიპტის პირამიდები როგორ ააშენეს, დღემდე გამოცანად რჩება. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ მინდა ცალსახად დავაფიქსირო: ჩვენი ერის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებაში არაფერს უთამაშია ისეთი დიდი და გადამწყვეტი როლი, როგორიც ქრისტიანობას.

— **ერთი კითხვა თქვენი და მრავალ სხვათა სათაყვანებელი ფეხბურთის შესახებ. მალე მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება. საქართველოს ნაკრები კი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. გაქვთ იმედი, რომ ევროპის ჩემპიონატზე მაინც მოვხვდებით?**

— მიკვირს, როგორ ახერხებს კალასკოვი იმას, რომ რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში, როგორც წესი, ხვდება ანდორას თუ სეიშელის კუნძულების ნაკრებებს და ეს მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები ხვდება გერმანიის, ინგლისის, იტალიის, პოლონეთის ნაკრებებს... იმედი მაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატში შეიძლება მოვხვდეთ, თუმცა თუ რეალურად განვსჯით, ძალიან ძნელი იქნება. საუბედუროდ, ნოდარ ახალკაცის შემდეგ აღარ ჩანს დიდი საფეხბურთო აზროვნების კაცი საქართველოში.

მიუხედავად დღევანდელი შეჭირვებული ყოფისა, გულის გატეხა არ გამოგვადგება. არც ამხელა ალიაქოთი მიმაჩნია მიზანშეწონილად, რაც რუსეთ-საქართველოს საფეხბურთო მატჩზე ატეხეს. არ შეიძლება ფეხბურთისგან გააკეთო პოლიტიკა, უზნეობაა ეს. ბოლოს და ბოლოს, ორი სუსტი გუნდი ხვდება ერთმანეთს და დარწმუნებული ვარ, სანახაობითაც არ იქნება საინტერესო. მით უმეტეს, რა შუაშია აქ პოლიტიკა.

მაინც მჯერა ქართველობისა, მისი გენისა... ერთხელ ლევ ტოლსტოის ცოლს ჰკითხეს, — რატომ არ ჰყავს რუსეთს ტოლსტოის მსგავსი გენიოსიო და უპასუხა, — ბუნება ისვენებსო! მართალია, ჩვენ ყველა სფეროში და მათ შორის ფეხბურთშიც, ძალიან გაგვიგრძელდა „დასვენება“, მაგრამ მალე მოვა დრო, როცა ქართული გენი და ბუნებაც მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავებს გამოყრის ასპარეზზე ისევე, როგორც ეს ადრეც ყოფილა!

— **ბატონო კოტე, ისევ ერთი მსახიობის თეატრის ამპლუაში წარმოიდგინეთ თავი და ბრძანეთ მთავარი სათქმელი, რაც გინდათ უთხრათ თქვენს ქვეყანას და ხალხს...**

— რაც შემეხება პირადად მე, ყველას ვთხოვ, დიდსულოვნად მომიტევოს, თუ ამჯერად ან ოდესმე ჩემი ნალაპარაკევით ვინმეს ვაწყენინე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე მსახიობი გახლავართ და მაშასადამე, მასხარების მოდგმისა. მასხარებს კი თავიანთი პატრონებისა და ხალხის გაცინების გარდა, ის მისიაც ჰქონდათ, რომ მეფეებსა და იმპერატორებს სიცილ-სიცილით მწარე სიმართლესაც ეუბნებოდნენ.

ცხოვრების სხვა დრო დადგა და ამ დროშიც არის ბევრი სასიხარულო და სასიამოვნო. ეგაა ოღონდ, უნდა შეგეძლოს ღირსეულად ისარგებლო ამ მომენტითაც, მიწიერი ყოფის ესოდენ ხანმოკლე ჟამით, ჩვენთვის რომ უბოძებია მამაზეციერს.

*გუშინ საღამოს ჩვენი საყვარელი „ფენერლით“ ხელდამშვენებული ვეწვიე საავადმყოფოში. ღიმილით ჩამიკრა თვალი. მიმახვედრა, რომ გალაკტიონისა არ იყოს, კიდევ ბევრი სადღეგრძელოს დალევა მოგვიწევს მომავალში.*

**ვაჟა გავაშელი**
**ზურაბ მჭედლიშვილი**





## თარაზულად:

**5**



ესპანელ დონ-ჟუანზე არანაკლები იტალიელი მექალთანე

**6**



ტბა, უნგრეთის ღირსშესანიშნაობა

**9**



პოლონური თავად-აზნაურობა

**10**



წყნარი, ატლანტის ან ინდოეთის ...

**11**



საუკეთესო ბულგარული ლუდი

**15**



ნახმარი ან ძველი, ჩვეულებრივ იშვიათი, წიგნებით მოვაჭრე

**17**



ბალახით მოსილი მინდორი

**18**



მარსის პატივსაცემი თვე

**19**



უდაბნო ჩილეში

**20**



ფრანგული ფირმის საათი ზარით

**24**

ადამისა და ევას პირმშო

**25**



მგოსანი

**26**



საბავშვო კურორტი ყირიმში

**29**



მხატვრის სახელოსნო

**32**



დახმარება ხანდაზმულთათვის

**33**



სასწავლებლის პირველი პირი

**34**



მხარე ინგლისში, რომელიც ასახულია ტერიერის სახელწოდებაში

**35**



ზღვის თევზი

## შვეულად:

**1**



თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის დამფუძნებლის, პიერ დე კუბერტენის ტიტული

**2**



ფიგურა

**3**



უზრუნველი ცხოვრების ერთ-ერთი სიმბოლო

**4**



რადარისთვის უხილავი ტექნოლოგია

**5**



ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი

**7**



სახელი

**8**



კომუნიზმის მარწუხებიდან პოლონეთის განმათავისუფლებელი

**12**



რუსი მსახიობი

**13**



სტუდენტთა სარჩო

**14**




ოქროზე ძვირფასი ლითონი

**16**



უნგრელი კომპოზიტორი

**21**



სასიმღერო ხმა ტენორსა და ბანს შორის

**22**



ბამბის ან სელის ნახევრად გამჭვირვალე წმინდა ქსოვილი

**23**



აკაკი ჩხაიძის საუფლო

**27**



ზედა სამოსი

**28**



სამკაულების ერთობლიობა

**30**



თხის გამოყვანილი ტყავი

**31**



მინოტავრის კუნძული

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №42 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კაპილარი; 6. ჰეპბერნი; 9. პლაფონი; 10. ღამურა; 11. ასკილი; 15. ჰორტენზია; 17. ტრაპი; 18. დანია; 19. მამონტი; 20. პორტალი; 24. კონკა; 25. აგასი; 26. ორიფლეიმი; 29. „პობედა“; 32. შლეიფი; 33. სათბურა; 34. ირანისტი; 35. მტვრიანა.

**შვეულად:** 1. პილარი; 2. გრილი; 3. ნეკნი; 4. ხერესი; 5. კავალერი; 7. იზოლაცია; 8. ოფიცერი; 12. კომანდორი; 13. დიაფრაგმა; 14. აპდაიკი; 16. ჯაგლაგი; 21. კომპოსტი; 22. კოლუმბი; 23. ესტაფეტა; 27. უდაბნო; 28. ილუზია; 30. პასტა; 31. შრატი.

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**შეიძლება თუ არა, რომ მენსტრუალური ციკლის დარღვევა გამოიწვიოს ნერვიულობამ?**

*ერთგული მკითხველი*

ნერვულ სტრესს შეუძლია საკმაოდ სერიოზული ძვრების გამოწვევა ორგანიზმში, განსაკუთრებით — ჰორმონულ ციკლთან დაკავშირებული დარღვევების. მენსტრუალური ციკლი სწორედ ჰორმონული ცვლის თვიური ციკლის გამოვლინებას წარმოადგენს. ციკლის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს სათანადო გამოკვლევის ჩასატარებლად.

**ბოლო დროს პროთრომბინი 100 მაქვს. ეს თითქოს არც ისე ცუდია, მაგრამ იქნებ მითხრა, თუ არსებობს რაიმე შინაურული საშუალება მის დასაწევად.**

*მკითხველი*

მართალს ბრძანებთ, პროთრომბინის ასეთი მაჩვენებელი არც ისე ცუდია, მაგრამ თუ ავადმყოფს აწუხებს გული, აქვს არტერიული ჰიპერტენზია (წნევა) გარკვეული გართულებებით, სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული გადაგვარება, უმჯობესი იქნება პროთრომბინის უფრო დაბალ მაჩვენებელზე შენარჩუნება. ხალხური მედიცინა მაღალი პროთრომბინის დროს გვირჩევს მხოლოდ და მხოლოდ მჟავე ტყემლის, ლიმონის, ბროწეულის, ფორთოხლის ჭამას.

**მემართება ეპილეფსიის შეტევები (საკმაოდ იშვიათად — სამ წელიწადში ერთხელ). 1995 წელს, მორიგი შეტევის შემდეგ, ექიმმა გამომიწერა ნოოტროპილი და ფინლეპსინი. ნოოტროპილს თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ვსვამდი. შემდეგი შეტევა 2000 წელს მქონდა. ახლახან წავიკითხე, რომ ეპილეფსიის დროს არ შეიძლება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელი პრეპარატების მიღება. რამდენად სწორეა ეს?**

*დიანა სალუქვაძე, თბილისი*

კრუნჩხვის საწინააღმდეგო (ფინლეპსინის ტიპის) პრეპარატების მიღება ნოოტროპულ (მაგალითად, ნოოტროპილი) პრეპარატებთან ერთად არ არის სასურველი, რადგან ნოოტროპილი და მისი მსგავსი პრეპარატების ტიპის წამლები აძლიერებს კრუნჩხვისადმი მზადყოფნას და იწვევს ეპილეფსიის ახალი შეტევების პროვოცირებას. თუმცა, თუ ასეთი შეტევები ძალიან იშვიათია (3-5 წელიწადში ერთხელ), პაციენტმა შესაძლოა, არც მიიღოს ფინლეპსინი, რადგან მას უფრო მეტი გვერდითი ეფექტების გამოწვევა შეუძლია: დაღლილობა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის დარღვევა. მაგრამ ფინლეპსინის მოხსნა მხოლოდ ნევროპათოლოგის კონსულტაციის შედეგადაა დასაშვები. ფინლეპსინისა და ნოოტროპილის ერთდროული დანიშვნა ზოგჯერ სასარგებლოცაა ქალა-ტვინის ტრავმის შემდგომ, როცა ნოოტროპილი აღადგენს ნერვულ უჯრედებს და ხელს უწყობს გამოჯანმრთელებას. ხოლო იდიოპათიური ეპილეფსიის დროს, როცა შეტევები ბავშვობიდანვე აღინიშნება, ნოოტროპილის დანიშვნა უსაფუძვლოა.

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

**ახლახან ჩემს 17 წლის გოგონას დაუსვეს პოლიკისტოზის დიაგნოზი. რა დაავადება ეს და რას უნდა ველოდოთ?**

*ტ. კვერნაძე, თბილისი*

## პოლიკისტოზი

პოლიკისტოზი იმ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა გავრცელება, ჩვენში, საქართველოში, მნიშვნელოვნად აღემატება (დაახლოებით 3-ჯერ) მსოფლიოს სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს. პოლიკისტოზს სხვანაირად ქართველი ქალების ნაციონალურ დაავადებასაც უწოდებენ. დაავადება ძალიან რთულია. რთულია, როგორც მისი გამომწვევი მიზეზი, ასევე განვითარების მექანიზმი — ის საკვერცხეების პათოლოგიური პროცესია. საკვერცხეების ძირითადი ფუნქცია ოვულაციაა — ეს მომწიფებული კვერცხუჯრედების გადმოსვლაა საკვერცხეებიდან. პოლიკისტოზის დროს კი, ხდება საკვერცხის ისეთი გადაგვარება, როდესაც ოვულაცია არ ხდება, ანუ ადგილი აქვს ანოვულაციას. კვერცხუჯრედი მოთავსებულია ფოლიკულში, რომლის გარსი პათოლოგიური პროცესის გამო სქელდება, რის შედეგადაც ფერხდება ოვულაცია. იკვრება მანკიერი წრე — გასქელებული ფოლიკულის გარსი, ანოვულაცია, ისევ გარსის გასქელება და ასე განუწყვეტლივ. საკვერცხეში შედეგად აღინიშნება პატარა და დიდი კისტები. ვარაუდობენ, რომ ჩვენში პოლიკისტოზის გავრცელების დიდი პროცენტი (ასევე შუა აზიის ქვეყნებში, სომხეთსა და აზერბაიჯანში) გენეტიკურ ფაქტორთან არის დაკავშირებული. გამოყოფენ პოლიკისტოზის 3 ფორმას:

I — საკვერცხისმიერი პოლიკისტოზი. ის ძირითადად თანდაყოლილი დაავადებაა.

II — პოლიკისტოზის ისეთი ფორმა, რომელიც თავის ტვინის წარმონაქმნ ჰიპოთალამუსთან არის დაკავშირებული.

III — შერეული ფორმა, რომელიც თირკმელზედა ჯირკვლისა და საკვერცხეში სპეციფიკური (სტეროიდული) ჰორმონის სინთეზის დარღვევის შედეგია.

**ხელშემწყობი ფაქტორები:** პოლიკისტოზის პირველი ფორმა გენეტიკურ ფაქტორთანაა დაკავშირებული. ხოლო მეორე ფორმა ნებისმიერი ენდოკრინული დაავადების დროს შეიძლება შეგვხვდეს, რომელიც ანოვულაციას განაპირობებს. პოლიკისტოზი გვხვდება როგორც ახალგაზრდა, ასევე ასაკიან ქალებში. ყველაზე თვალსაჩინო ის 15-16 წლის ასაკშია, რადგან ამ დროს მენსტრუაციული ციკლის დარეგულირება ხდება.

**კლინიკური სიმპტომები:** ნიშნები ცვლილებას განიცდის იმის მიხედვით თუ პაციენტს რომელი ფორმა აქვს გამოხატული, თუმცა არსებობს საერთო ნიშნებიც. პოლიკისტოზისთვის დამახასიათებელია — ჭარბთმიანობა, სიმსუქნე, მენსტრუაციული ციკლის მოშლილობა, უშვილობა. მენსტრუაციული ციკლის მოშლილობა შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს, ზოგჯერ ისეც ხდება რომ ქალი ვერ ამჩნევს ციკლის მოშლილობას. ამის დადგენა რექტალური (უკანა ტანის) ტემპერატურის ცვალებადობით ხდება, დარღვევა შეიძლება იყოს, როგორც მსუბუქი, ასევე ძლიერი, როდესაც საქმე გვაქვს სრულ ამენორეასთან — მენსტრუაციის არარსებობა. გაითვალისწინეთ! მენსტრუაციული ციკლის დარეგულირება, პირველი ციკლიდან 1 წელიწადში მაინც უნდა მოხდეს, თუკი ასე არ არის, ექიმთან (გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგთან) კონსულტაცია აუცილებელია.



**დიაგნოსტიკა:** პოლიკისტოზის დიაგნოსტიკისთვის საკვერცხის ზომა და კონსისტენცია ხელით ისინჯება ექიმის მიერ (ჩვენების მიხედვით, ზოგჯერ რექტალურად), გადიდებული და გამკვრივებული საკვერცხე — პოლიკისტოზის მიმანიშნებელია, ამას ემატება ულტრაბგერითი გამოკვლევის შედეგები. კეთდება დიაგნოსტიკური ლაპარასკოპია, რომლის დროსაც საკვერცხეები უშუალოდ ჩანს სპეციალურ ეკრანზე. მნიშვნელოვანია ჰორმონალური კვლევებიც, სისხლში, შარდში. მნიშვნელოვანია მალუთეინიზირებელი ჰორმონის გამოკვლევა სისხლში.

**მკურნალობა:** პოლიკისტოზის დროს გამოიყენება, როგორც კონსერვატიული, ასევე ქირურგიული მკურნალობა. ქირურგიული ოპერაცია ნარკოზის ქვეშ მიმდინარეობს, შეიძლება მისი ლაპარასკოპიულად ჩატარება. ამ დროს განაკვეთი ძალიან მცირეა, მაგრამ ოპერაციას ძალიან ფრთხილად ეკიდებიან. საქმე იმაში გახლავთ, რომ გაუთხოვარ ქალებში ამ ოპერაციის გაკეთება არ არის რეკომენდებული! რადგანაც თუ ქალი ოპერაციის შემდეგ 6 თვის მანძილზე არ დაორსულდა, თავს იჩენს დაავადების რეციდივი (განმეორება).

პოლიკისტოზის სრული განკურნება მხოლოდ ორსულობით ხდება! მკურნალობის მიზანიც სწორედ ქალის დაორსულებაა, თუ ქალი გათხოვილი არ არის, ან ჯერ ორსულობა არ არის დაგეგმილი, გირჩევთ თავი შეიკავოთ ოპერაციული მკურნალობისაგან. ამ დროს მიზანშეწონილია მედიკამენტური მკურნალობა, რომელიც ძირითადად პრეპარატ „დიანე“-თი ხორციელდება. პოლიკისტოზის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, არსებობს ფაქტები, რომლის დროსაც არანამკურნალები პოლიკისტოზი ავთვისებიან სიმსივნედ გადაგვარებულა. თუკი დაავადება თანმხლებია, ანუ არსებობს საწყისი დაავადება, რომლის ფონზეც პოლიკისტოზი ვითარდება, თავდაპირველად ძირითადი დაავადების მკურნალობას მიმართავენ. ზოგჯერ საჭირო ხდება სპეციალური დიეტის დაცვაც.

თუკი ქალი გათხოვილია, მედიკამენტური მკურნალობით იწყებენ, მაგრამ, როგორც წესი, შედეგი მცირეა, შემდეგ კეთდება ოპერაცია; ამ დროს თუკი პარტნიორის მხრივ პრობლემები არ არის ქირურგიული მკურნალობის შემდეგ ქალი მეორე, მესამე ციკლის დროს ორსულდება.

ოპერაციის დროს საკვერცხეებში ამოკვეთენ იმ ნაწილს, რომელიც არასწორად ფუნქციონირებს. მკურნალობა 95%-ით ეფექტურია და ორსულობით მთავრდება.

ოპტიმალური ორსულობა 2-3-ია, მეტი ორსულობა ფიტავს ქალის ორგანიზმს, ის ტვირთავს იმუნურ და ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ღვიძლს, სასქესო ორგანოებს. ფეხმძიმობის 2-3-წლიანი შუალედი მდგომარეობას მნიშვნელოვნად ამსუბუქებს. საერთოდ კი, ორსულობა ქალის ჯანმრთელობაზე სასიკეთო ეფექტს ახდენს.

**ჭარბთმიანობა** — მხოლოდ პოლიკისტოზის თანამდევი სიმპტომი არ არის. ის შეიძლება თან ახლდეს:

**სიმსუქნეს** — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ცხიმი აფერხებს ჰორმონების აქტიურობასა და ფუნქციონირებას.

**სტრესს** — ნერვული დაძაბულობა. ამ დროს ადგილი აქვს თირკმელზედა ჯირკვლით გამოწვეულ ჭარბთმიანობას.

**სიბამხდრეს** — თუკი ის ნივთიერებათა ცვლის მოშლილობითაა განპირობებული.

თავის მხრივ ჭარბთმიანობა ორგვარია:

**პირველის** — თმა ქალისთვის უჩვეულო ადგილებზე ჩნდება (ნიკაპზე, სახეზე, კისრის არეში, მკერდისა და მუცლის თეთრ ხაზზე, თმის ღერი უხეში, ტლანქი და მაგარია.

**მეორე** — შედარებით ჭარბად განვითარებული თმა მისთვის დამახასიათებელ ჩვეულ ადგილებზე, ზოგჯერ მთელი სხეული ბუსუსითაა დაფარული.

*მაია მუხიგული*

## ბუტია და გულჩახვეული იოლად ავადდება

ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც არ ივიწყებენ წყენას და გულში იტოვებენ, პრობლემები შეექმნებათ ჯანმრთელობის მხრივ. მათთვის დამახასიათებელი გახდება დეპრესია, უძილობა, ბევრს კი, შინაგანი ორგანოები დაუავადდება.

მიჩიგანელი ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ დავივიწყოთ წყენა, მთავარია — გავთავისუფლდეთ ჯანმრთელობის დამანგრეველი ბრაზისა და უარყოფითი ემოციისაგან.

*გარდიანი*

## პირველი დახმარება

დამწვრობის დროს პირველ დახმარებას გაგიწევთ ისეთი ჩვეულებრივი ბოსტნეული, როგორიცაა: კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი და გოგრა. რომელიმე ბოსტნეული გახეხეთ, დაიდეთ დამწვარზე და კომბოსტოს ფოთლით შეიხვიეთ. გათბება თუ არა, საფენი გამოიცვალეთ. კარგია ჩაის გრილი ნაყენის საფენიც, რომელიც ხშირ-ხშირად უნდა დაასველოთ.

მძიმე დამწვრობაზე დაიდეთ 100გ უმარილო კარაქისა და 2ც კვერცხის ნარევი და შეიხვიეთ. ანდა, ათქვიფეთ: 1 კვერცხის გული, 1 ს/კ გაფილტრული ზეთი და 2 ს/კ არაჟანი. დაიდეთ დამწვარზე და შეიხვიეთ.

*მეგაპოლის-ექსპრესი №44*

სამედიცინო ცენტრი "მედი"
MEDI

ოტორინოლარინგოლოგია

ლიპოსაქცია
ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
მკერდის გადიდება
სახის კანის გაახალგაზრდავება
ბლეფაროპლასტიკა
ოტორინოლარინგოლოგია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი



• ენდოსკოპიური დიაგნოსტიკა
• ცხვირით სუნთქვის აღდგენა
• ფრონტიტის, ჰაიმორიტის მკურნალობა
• გამორეცხვით, ჩხვლეტის გარეშე
• ენდოსკოპიური ოპერაციები სრული გაუტკივარებით
• ხვრინვის ოპერაციული მკურნალობა

ხელმძღვანელი: გია გვარამია

ალ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 25 02 02 93 89 75
ელ. ფოსტა: meditb@gol.ge
ლიცენზირებულია

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ქოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

დნმ დიაგნოსტიკის ლაბორატორია გთავაზობთ:
სადავო მამობის დადგენას, მემკვიდრული დაავადებების, ფილტვების დაავადებების, ჰეპატიტების B და C, ინფექციური მონონუკლეოზის, პაპილომა ვირუსის, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (ქლამიდია, ჰერპესი, ციტომეგალოვირუსი, ტოქსოპლაზმა, გონორეა და ა.შ.) დიაგნოსტიკას გენური ინჟინერიის საფუძველზე შექმნილი დნმ (ДНК) დიაგნოსტიკის ულტრათანამედროვე – პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით.
ზუსტი დიაგნოზის 100%-იანი გარანტია
მის: ჩიქოვანის ქ. 14 (ყოფ. ხილიანის) ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ტ: 36-37-95; 899-55-61-97

ჩეჩნეთი

## „მეორე ხასავიურტი აღარ იქნება“

რუსეთის პრეზიდენტმა კრემლში, ჩეჩნების თხოვნით, მიიღო დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: ბიზნესმენები, საზოგადო მოღვაწეები, სასულიერო პირები.

უშიშროების საბჭოს დარბაზში დაძაბულობა იგრძნობოდა. სტუმრები პროტოკოლის დაცვით დასხეს — პუტინს მარჯვნივ ჩეჩნეთის ადმინისტრაციის თავკაცმა ა. კადიროვმა დაუმშვენა მხარი, მარცხნივ — პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელმა ჩეჩნეთში ა. სულთიგოვმა. თავად პუტინი დარბაზში დაგვიანებით შევიდა. თითოეულ სტუმარს ხელი ჩამოართვა და მაშინვე განაცხადა: რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ. გრიზლოვმა ხელი მოაწერა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შექმნის ბრძანებულებას. რესპუბლიკაში წესრიგს ახლა ადგილობრივი მილიციელები მიხედავენო.

როცა პუტინი მასხადოვზე ალაპარაკდა, ხმა გაუმკაცრდა: „ხასავიურტის შემდეგ ჩეჩნეთის პრეზიდენტი ფაქტობრივად დამოუკიდებელი ქვეყნის თავკაცი გახდა, მან კი როგორ გამოიყენა ძალაუფლება, რა მოიმოქმედა? რუსეთი და, რაც მთავარია, ჩეჩნეთი, ომში ჩააბა“.

შეხვედრა თითქმის 3 საათს გაგრძელდა. ა. კადიროვის თქმით, მოილაპარაკეს, რომ გაზაფხულზე რესპუბლიკაში კონსტიტუციასთან დაკავშირებით გაიმართება რეფერენდუმი, რასაც მოჰყვება პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევა.

ა. კადიროვმა მხარი აუბა პუტინს — მასხადოვი ჩეჩენი ხალხის მოღალატეაო, თქვა. მას მერე სიტყვა აიღო დარბაზში მყოფმა ერთ-ერთმა მუფთიმ. მან გულისტკივილით აღნიშნა, — როცა ფედერალური ჯარი ჩეჩნეთში „წმენდას“ აწარმოებს, ბევრი მშვიდობიანი მოსახლე იღუპება, ვაითუ, ხალხმა ზურგი უჩვენოს საკონსტიტუციო პროცესსო. ამის საპასუხოდ რუსეთის პრეზიდენტმა გადაჭრით თქვა, — მეორე ხასავიურტი აღარ იქნებაო.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №248*

ერაყი

## სადამთან თავს მშვენივრად გრძნობენ

აბუ აბასის სახელი ახლო აღმოსავლეთში ბევრს თავზარს სცემს. ეს პალესტინელი ისრაელმა ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტად შერაცხა. მან 1985 წელს თანამოაზრეებთან



ერთად, იტალიური სამგზავრო გემის ეკიპაჟი და მგზავრები მძევლებად აიყვანა. აბასი არის პალესტინის ნაციონალური ფრონტის ლიდერი, რომლის მიერ განხორციელებულ ტერაქტებს არაერთგზის ჩაუშლია ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებები. თვითონ თავს პატრიოტს ეძახის და თვლის, რომ „ალ-ქაიდას“ არ აღელვებს პალესტინელთა ბედი.

ისრაელის მიერ დევნილი აბასი ბაღდადელმა დიქტატორმა სიამოვნებით მიიღო.

სწორედ აბასის „დამსახურებაა“ ის, რომ სადამ ჰუსეინი ნებისმიერ არაბს, ვინც ისრაელის წინააღმდეგ ტერაქტს მოაწყობს, 25.000 დოლარს ჰპირდება.

*ნიუ ზუიქი*

## მოკლედ

**მოსკოვის** თხოვნის მიუხედავად, ვარშავამ არ დახურა პოლონეთში მოქმედი ჩეჩნეთის საინფორმაციო ცენტრი იმ მოტივით, რომ იგი პოლონეთის კანონის ფარგლებში მოქმედებს, როგორც ვარშავაში, ასევე კრაკოვში.

**თურქეთის** ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა იჩქერიის მთავრობის წარმომადგენელი ბადრუდინ არსანგერეევი, რომელიც ბოლო დრომდე სტამბოლში ცხოვრობდა.

**დრეზდენის** სურათების გალერეაში წყალდიდობით მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად სამ თვეს მიმდინარეობდა სამუშაოები. ამ დღეებში იგი ნაწილობრივ გაიხსნა, ჯერჯერობით გამოფენენ მხოლოდ რაფაელის, რემბრანდტისა და რუბენსის სახელგანთქმულ ნამუშევრებს. დანარჩენ დარბაზებში გრძელდება სარემონტო სამუშაოები.

**მანჩესტერში** რამდენიმე საათის განმავლობაში იწვოდა პიროტექნიკის ქარხანა, რომელიც სულ ახლოსაა ცენტრალურ სახანძრო სადგურთან. რამდენიმე დღის წინ დაწყებული გაფიცვა მეხანძრეებს არ შეუწყვეტიათ, მხოლოდ რჩევას აძლევდნენ სამხედროებს, რომლებიც ცდილობდნენ ხანძრის ჩაქრობას. ცეცხლმა ორი ადამიანი დააზიანა.

**იტალიელი** მაფიოზი ბენედეტო მარჩიანტე ისე შეძრა რომის პაპის მიერ პარლამენტში წარმოთქმულმა სიტყვამ ქრისტიანულ ფასეულობათა შესახებ, რომ მაშინვე ჩაჰბარდა პოლიციას. 50 წლის მაფიოზის სიცილიაში დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი 30-წლიანი პატიმრობა 7 ადამიანის მოკვლისთვის.

# ჩინეთს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს



მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანმა — 66-მილიონიანმა ჩინეთის კომპარტიამ შარშან არსებობის 80 წელი აღნიშნა. პოლიტიკური, მით უმეტეს „მუშურ-გლეხური“ ორგანიზაციისთვის ეს კრიტიკული ასაკია. არც მისი ხელმძღვანელები არიან ბევრად უმცროსები. პარტია თუ არ განახლდა, უთუოდ დაიღუპება, — განაცხადა კომპარტიის XV ყრილობაზე ამხანაგმა ძიანმა. პარტიული ტრიბუნიდან ეს მისი ბოლო გამოსვლა იყო. იგი პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობაზე შეცვალა 60 წლის ჰუ ძინტაომ, რომელიც თავის დროზე დენ სიაოპინმა დაასახელა მემკვიდრედ. ამხანაგი ძიანი კი პარტიულ გურუდ რჩება, რომლის სიტყვა კიდევ რამდენიმე წელს გადამწყვეტი იქნება უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

ჩინეთის პროპაგანდამ ძიანს მაო ძედუნისა და დენ სიაოპინის გვერდით მიუჩინა ადგილი. მაომ სახალხო ჩინეთის შექმნა გამოაცხადა და იდეებიც ჩამოაყალიბა, დენმა კი რეფორმები გაატარა.

ძიან ძემინის ბოლო გამოსვლამ ცხადი გახადა, რომ პარტია ცდილობს ცხოვრებას აუწყოს ფეხი, ქვეყნის დაგმანული კარის გახსნაზეც ფიქრობს, თუმცა სრულიად გამორიცხავს დემოკრატიის დამკვიდრებას და მრავალპარტიულობას.

ძიან ძემინის 30-წლიანი მმართველობა ჩინეთის ისტორიაში შევა, როგორც ქვეყნის ცხოვრების ყველაზე მშვიდი პერიოდი. ჩინეთმა, როგორც იქნა, დააპურა თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობა.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №46*

## პუტინმა დასავლელ ჟურნალისტს ვითომ „ჭკუა ასწავლა“

საიდუმლო არ არის, რომ დიდი პოლიტიკოსები ჩვეულებრივ მოკვდავებზე ხშირად ხვდებიან სტრესულ სიტუაციაში, მაგრამ სწორედ იმიტომ არიან ლიდერები, რომ ღირსეულად დააღწიონ თავი უხერხულ მდგომარეობას. მართალია, საერთაშორისო ეტიკეტის მკაცრი წესები პოლიტიკოსებისგან კორექტულობას ითხოვს, მაგრამ ცხოვრებაში ზოგჯერ ჭირს ენაზე კბილის დაჭერა. რაღა შორს წავიდეთ, ორიოდე კვირის წინ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი. თქვენ ცუდად ხართ აღზრდილი, ჩემთან ამ ტონით არავის გაუბედავს ლაპარაკიო, — საჯაროდ გაკიცხა შირაკმა ბრიტანელი.

ბრიუსელში რუსეთ-ევროკავშირის სამიტზე რუსეთის პრეზიდენტმაც ვერ მოზომა, როცა ერთ-ერთი დასავლელი ჟურნალისტი არ მოეშვა — გვითხარით, რა ხდება ჩეჩნეთშიო, პუტინმა უთხრა, — ისლამური ექსტრემიზმის საფრთხის წინაშე ყველა დაუცველი ვართ, თუ რატომღაც გსურთ თავად გახდეთ ექსტრემისტი-რადიკალი და არც წინადაცვეთაზე იტყვით უარს, ჩვენი სპეციალისტები ისეთ ოპერაციას გაგიკეთებენ, რომ აღარაფერი ამოგეზრდებათო.



ეს ტირადა ნამდვილად შევა პუტინის ციტატების ოქროს ფონდში. პრეზიდენტმა, რა თქმა უნდა, გადააჭარბა, მაგრამ სამაგიეროდ, ჟურნალისტებმა „ამომწურავი“ პასუხი მიიღეს. დარბაზში მყოფებმა კი არაფერი შეიმჩნიეს, თუმცა დასკვნები ალბათ გამოიტანეს.

*კომსომოლსკაია პრავდა №208*

## ვაშინგტონელი მცირეწლოვანი სნაიპერი ალაპარაკდა

17 წლის იამაიკელი ჯონ ლი მალვო ბოლოს და ბოლოს, ალაპარაკდა. 7-საათიანი დაკითხვის დროს აღიარა, რომ სწორედ მან ესროლა 14 ოქტომბერს ვირჯინიაში სუპერმარკეტის მახლობლად ლინდა ფრანკლინს. მალვო, რომელსაც თავის 41 წლის მამობილთან, ჯონ ალენ მუჰამედთან — „ვაშინგტონელ სნაიპერთან“ ერთად ბრალი ედება 10 ადამიანის მკვლელობასა და სამ თავდასხმაში, აქამდე ჩუმად იყო, ახლა რატომღაც აღარაფერს მალავს: „ჩვენ გულდასმით ვგეგმავდით ყოველ ოპერაციას, ისე ვიქცეოდით, როგორც იქცევიან ჯარისკაცები საბრძოლო მოედანზე — ერთი ისროდა, მეორე მიზანს უთითებდა. ერთმანეთს რაციით ვუკავშირდებოდით, საათობით ვუთვალთვალებდით მსხვერპლს, ჩვენი ნამოქმედარის შედეგს გაზეთებითა და ტელევიზიით ვიგებდით“...

სპარსეთის ყურის ომის ვეტერანი, შვილობილისგან განსხვავებით, დუმს. ორივე ამჟამად ვირჯინიის შტატის საპატიმროშია. ფერფაქსის (ვირჯინიის შტატის) ოლქის პროკურორმა განაცხადა, — ნაპოვნ შაშხანაზე მხოლოდ მალვოს თითების ანაბეჭდია, მისი სიკვდილით დასჯას აუცილებლად მოვითხოვო.

„სნაიპერებს“ ფაქტობრივად ორი დანაშაულის — 53 წლის დინა მეირსისა და ლინდა ფრანკლინის მკვლელობისთვის გაასამართლებენ, რადგან უცილობელი სამხილი მხოლოდ ამ საქმესთან დაკავშირებით არსებობს.

*იზვესტია №204*

ბელორუსი

## ალექსანდრ ლუკაშენკოს ჩეჩენი „შვილიშვილი“ შეეძინა

ბელორუსის პრეზიდენტს ამ დღეებში დიდი პრობლემები ჰქონდა გადასაწყვეტი. ყველასთვის მოულოდნელად, პრაღაში, ნატოს სამიტზე მოინდომა წასვლა, თუმცა მანამდე „აგრესიული ბლოკის“ სიყვარულით თავი არ მოუკლავს. დასავლეთ ევროპაში ლუკაშენკოს მაინცდამაინც არავინ ელის. პრაღაში კიდეც რომ მიიწვიონ, ბელორუსის ბელადს იქ არავინ დაეხმარება იაფფასიანი რუსული გაზის სანაცვლოს შოვნაში. ნატოსთან დაახლოების სურვილი ლუკაშენკოს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მოსკოვმა უარი სტკიცა გაზის შეღავათიანი ტარიფით მიწოდებაზე. ამან ისე განარისხა ლუკაშენკო, რომ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, — რუსეთი უნდა დავსაჯოო. ახლა სწორედ მოსკოვის შესაშინებლად მოინდომა პრაღაში წასვლა — ბელორუსი ხომ ბუფერული ზონაა რუსეთსა და ნატოს ქვეყნებს შორის, ამიტომაც ცხადია, რუსეთს სულაც არ ეჭაშნიკება ლუკაშენკოს და ნატოს დაახლოება.

საგარეო საქმეებით დატვირთული პრეზიდენტი შინაური საქმეებისთვისაც იცლის. ლტოლვილი ჩეჩნების ოჯახში (ისინი ბელორუსში დასახლდნენ, რადგან პოლონეთმა ქვეყანაში არ შეუშვა) გოგონა გაჩნდა. მშობლებმა ლუკაშენკოს სთხოვეს მისთვის სახელის დარქმევა. პრეზიდენტმა ბავშვს ოლესია დაარქვა და საჩუქარიც გაუგზავნა — ერთი თვის ხელფასი. თუმცა სახელმწიფოს სხვა მეთაურებისგან განსხვავებით, რომლებიც არ მალავენ ხელფასის რაოდენობას (მაგალითად, ვ. პუტინი თვეში 2000 დოლარის ეკვივალენტს იღებს, ედ. შევარდნაძე — 183 დოლარის შესაბამის თანხას) ლუკაშენკოს შემოსავლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

*ლენტა რუ*

იტალია

## ტახტის მემკვიდრეები სამშობლოში ბრუნდებიან

იტალიის პრეზიდენტმა კარლო ჩამპიმ გააუქმა აკრძალვა, რომელიც იტალიის მონარქის ოჯახის წევრებს სამშობლოში დაბრუნების ნებას არ რთავდა. ასე რომ, ვიქტორ ემანუილ სავოელის მემკვიდრეები მალე ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდებიან. 1946 წელს მეფე ვიქტორ ემანუილ მუსოლინის ფაშისტურ რეჟიმთან თანამშრომლობისათვის სამშობლოდან გააძევეს. მისი მემკვიდრე ვიქტორ ემანუილ V ვაჟთან, 30 წლის ფილბერტთან ერთად შვეიცარიაში ცხოვრობს.

1997 წელს იტალიის მთავრობას, რომანო პროდის მეთაურობით, სურდა ამ აკრძალვის გაუქმება, მაგრამ ვიქტორ ემანუილის მიზეზით ეს აღარ მოხერხდა. კრონპრინცმა საჯაროდ განაცხადა, — ვიქტორ ემანუილ მესამის მიერ გამოცემული რასობრივი კანონები ურიგო არ იყო და მათ გამო ბოდიშის მოხდას არ ვაპირებო.

იტალიელ პოლიტიკოსებს პრინც ფილბერტის რეპუტაციაც აღელვებთ, რომელიც ხშირად ხდება ყვითელი პრესის გმირი.

ახლა კი აკრძალვა გაუქმდა და ამას ტახტის მემკვიდრეები იტალიის პრემიერ ბერლუსკონის უნდა უმადლოდნენ, რომელსაც მათზე არანაკლებ საეჭვო რეპუტაცია აქვს. იტალიის პრეზიდენტის თქმით, მონარქის ოჯახის წევრებს მეფის ქონებაზე არანაირი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ.

*დი ველტი*

ბრონხიკუმის კოლექცია – აქტიური მცენარეული კომპონენტებით ამარცხებს *გაციებასა და ხველებას*

Aventis

ბრონხიკუმის კოლექციის პრეპარატები შეიცავს ეთერზეთებს და ისინი გამოიყენება გაციების და ხველების პირველივე სიმპტომების დროს, რაც უზრუნველყოფს სწრაფ გამოჯანმრთელებას. მისი ნატურალური შემადგენლობა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას, როგორც ბავშვებში ასევე ფეხმძიმე ქალებში, მათი თითოეული ფორმა შეიცავს სხვადასხვა მცენარის კომპონენტებს და ამიტომ ისინი გამოიყენება გაციებისას ავადმყოფთა სხვადასხვა ჩივილების დროს. საჭიროა დააკვირდეთ თქვენს მდგომარეობას და აირჩიოთ:

შემცივნება, სურდო, ყელის სიმშრალე, ხველება, ცხვირით სუნთქვის გაძნელება, გრიპოზული მდგომარეობა

**ბრონხიკუმის ელექსირი**

ელექსირში შემავალ ფურისულას, გრინდელიის ბალახს და მინდვრის ყვავილს აქვთ ამოსახველებელი თვისება, ბეგქონდარა სპაზმის მომხსნელია, ქვებრადოს ხე, რომელიც იზრდება სამხრეთ ამერიკაში, ცნობილია როგორც „სუნთქვის სტიმულატორი", ააქტიურებს სუნთქვას.

გამოიყენება შეტევითი ხველების დროს, ზემო სასუნთქი გზების კატარის და ლორწოვანის ანთების დროს, ქრონიკული ბრონქიტების და ნახველის არსებობის დროს, განსაკუთრებით სპასტიური ბრონქიტების დროს.

**უნდა მიიღოთ:**

**მოზრდილებმა:** 1 ჩ.კოვზი 2-3 სთ-ში ერთხელ დღეში – (6-ჯერ დღეში)

**ბავშვებმა:**

უფროსი ასაკის: 1 ჩ.კოვზი 2-3-ჯერ დღეში.

უმცროსი ასაკის: 0.5 ჩ.კოვზი 2-3-ჯერ დღეში.

**ბრონხიკუმის პასტილები (საწუწნი ტაბლეტები)**

პრეპარატი შეიცავს ბეგქონდარას დიდ კონცენტრაციას, რომელიც საუკეთესო საშუალებაა ხველების და გაციების წინააღმდეგ. იგი შეიცავს ეთერზეთებს, რომლებიც ათხელებს ნახველს, ხსნის სპაზმს, თრგუნავს ხველების სურვილს და აქვს ანტიბაქტერიული ეფექტი. იგი იდეალური საშუალებაა გაციების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის განსაკუთრებით, როცა გზაში ხართ.

**მიღების წესი:** გაწუწნეთ 1-2 პასტილი რამდენჯერმე დღეში.

**ბრონხიკუმის სიროფი**

აქვს ამოსახველებელი თვისება, სიროფის შემადგენლობაში შემავალი ბეგქონდარა სპაზმის მომხსნელია, ასკილის ყვავილი და პიმპინელას ქერქი აძლიერებს ორგანიზმის ბრძოლის უნარს, თაფლს აქვს ანტიბაქტერიული თვისებები და იწვევს სიცხის დაწევას. მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ აძლიერებს ავადმყოფის ორგანიზმის ბრძოლის უნარს და აჩქარებს გამოჯანმრთელებას.

**გამოიყენება:** ზემო სასუნქი გზების კატარის, ლორწოვანის ანთების დროს, გაციებისას, ხველების დროს, განსაკუთრებით რეკომენდებულია ბრძოლის უნარმოკლებული ბავშვებისა და მოზრდილებისათვის.

**უნდა მიიღოთ:**

**მოზრდილებმა:** 1 ს.კოვზი 2-3 სთ-ში ერთხელ დღეში – (6-ჯერ დღეში)

**ბავშვებმა:**

უფროსი ასაკის: 2 ჩ.კოვზი 2-3-ჯერ დღეში.

უმცროსი ასაკის: 1 ჩ.კოვზი 2-3-ჯერ დღეში.

ძუძუთა ბავშვებს: 0.5 ჩ.კოვზი 2-3-ჯერ დღეში.

თუ გაქვთ ალერგია თაფლზე, აირჩიეთ ბრონხიკუმის ელექსირი. იკითხეთ აფთიაქებში!

შეიძინეთ მწვანე-ყვითლად გაფორმებულ შეფუთვაში, რუსული წარწერებით. რეგისტრირებულია საქართველოში

N R 0002305; N R 0002306; N R 0002307

თავადი დავით პავლეს ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1924 წელს ლონდონში. მამამისი, პავლე ვლადიმერის ძე ჭავჭავაძე, საქართველოს მეფის, გიორგი XII–ისა და ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალია (პოეტის ვაჟს, დავითს, ცოლად ჰყავდა გიორგი XII–ის შვილიშვილი ანა), დედა, ნინა გიორგის ასული რომანოვა, დიდი მთავრის ასული გახლდათ, მისი ბაბუა რუსეთის მეფის ალექსანდრე III–ის ძმისშვილი იყო. საგულისხმოა, რომ დავით ჭავჭავაძის მამას, პავლე ჭავჭავაძეს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე რომანი.

დავით ჭავჭავაძე დიდი ხნის მანძილზე აშშ–ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი იყო. გადადგომის შემდეგ ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უნივერსიტეტში. იგი ორი წიგნის ავტორია: „გვირგვინი და მანტია“ (ინგლისურ ენაზე) და „დიდი მთავრები“ (რუსულ ენაზე).

# — ჭავჭავაძე? ეს რა გვარია რა ეროვნებისა ხართ?


მტისლავ როსტროპოვიჩთან ერთად

**— თქვენი გვარი, ჭავჭავაძე, ამერიკელებისთვის ძნელი გამოსათქმელია. ალბათ რაიმე გაუგებრობაც შეგხვდათ ამის გამო...**

— ბევრი... ამერიკელები ხომ ასო-ასო არ კითხულობენ, თუ სიტყვა არ იციან, ვერ წარმოთქვამენ. ხშირად მეკითხებოდნენ — ეს რა გვარია, რა ეროვნებისა ხართო. ვპასუხობდი: ჯორჯიიდან! მათთვის ჯორჯია ამერიკის ერთ-ერთი შტატია. ვუხსნიდი — ეს ალაბამასთან მდებარე ჯორჯია კი არ არის, არამედ სომხეთის მეზობელი-მეთქი. მერე მომბეზრდა და ყველას ვეუბნებოდი, ჩიროკის ტომის ინდიელთა გვარია-მეთქი და უცებ ყველა თავისუფლად გამოთქვამდა ჩემს გვარს, რადგან მიჩვეულნი არიან ინდიელთა რთულ სიტყვებს.

**— ხუმრობის შემდეგ ალბათ მაინც ამბობდით, რომ ქართველი ხართ.**

— რასაკვირველია. ზოგმა იცოდა საქართველოს არსებობა სტალინის გამო. ვამბობდი ხოლმე, საუბედუროდ, ის ჩემი თანამემამულეა-მეთქი. და როცა შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტი გახდა, მეშველა — ხალხი თავისუფლად წარმოთქვამდა მის გვარს.

**— თქვენს წიგნში ერთი თავი მეორე მსოფლიო ომს ეხება — ალასკაზე სამსახურს და საბჭოთა რუსებთან პირველ შეხვედრას.**

— ჩვენ მაშინ მოკავშირეები ვიყავით. როგორც ოფიცერი, ალასკაზე გამგზავნეს, მეშინოდა, რომ „ბურჟუას“ შემიძულებდნენ. მაგრამ პირიქით მოხდა, ძალიანაც დავმეგობრდით და „ამხანაგ თავადს“ მეძახდნენ.

**— „ამხანაგო თავადო“, მგონი, მამათქვენმა სვეტლანა ალილუევას წიგნი „მხოლოდ ერთი წელი“ თარგმნა. შეხვედრიხართ სტალინის ქალიშვილს?**

— ბევრჯერ. როცა სვეტლანა პირველად გვეწვია, დედაჩემს მაინც და მაინც არ ეპიტნავა სტალინის ქალიშვილთან შეხვედრა. დედა საყიდლებზე იყო წასული. შინ დაბრუნებულს სტალინის ქალიშვილი დაჩოქილი დახვდა — იატაკს რეცხავდა...

**— სტალინის ქალიშვილი რომანოვების სამზარეულოში?**

— დიახ. დედას ძალიან მოეწონა ეს და ამის შემდეგ დაუმეგობრდა. ერთხელ სვეტლანას პრინსტონში ჩავაკითხე. მითხრა, — თქვენთვის გაუგებარია, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება მე თქვენზე მეტად მძულსო.

**— თქვენ წიგნში აღნიშნავთ, რომ ბევრ საბჭოთა დისიდენტს იცნობდით.**

— ჩვენი ოჯახი სტუმართმოყვარე იყო და ამიტომაც ყველა ჩვენთან ჩერდებოდა. მაგალითად, ბუკოვსკი, გალიჩი, ერნსტ ნეიზვესტნი, როსტროპოვიჩიც — ისიც თავისებური, განსაკუთრებული კატეგორიის დისიდენტია. ერთადერთი — სოლჟენიცინი არ ყოფილა და კიდევ კარგი. ამბობენ, ძალიან ჭირვეული სტუმარიაო...

ძველი, პირველი ემიგრაციიდან ალიოშა ვრანგელთან ვმეგობრობდი, ცნობილი თეთრი გენერლის ვრანგელის ვაჟთან.

**— თქვენ პრეზიდენტ კენედისაც შეხვედრიხართ...**

— ის მაშინ სენატორი იყო და ძალიან აინტერესებდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ქალიშვილის ანასტასიას თავგადასავალი. ამბობდა, — ეს რუსეთის ისტორიის ერთადერთი საინტერესო ნაწილიაო...

**— სიტყვამ მოიტანა და, არცთუ დიდი ხნის წინ, რიგით მეთხუთმეტე თვითმარქვია ანასტასია გამოჩნდა, ამჯერად საქართველოში, ვინმე ნატალია პეტრეს ასული ბილიხოძე...**

— მეთხუთმეტე კი არა, ოცდამეხუთე... ჯერ ერთი, ის ანასტასია ახლა ას ერთი წლისა უნდა იყოს. მერე, უცხოეთის ბანკებში შენახულ ფულზე რომ არის ლაპარაკი, ტყუილია. მე ვიცი, რომ მეფემ 1914 წელს ამ ფულის რუსეთში დაბრუნება ბრძანა.

**— ხანდახან რუსეთში მონარქიის აღდგენაზეც ლაპარაკობენ.**

— მონარქიაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დაცემა ძალიან გამიხარდა. რუსეთში სამჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ იქ ცხოვრებაზე რა მოგახსენოთ... ჩვენ აქ ბედნიერნი ვართ...

***ამერიკის ხმა, აშშ***

გაბედული ნაბიჯი

# გურამ ფირცხალავა — მსახიობი



სამხედრო სამსახური მურმანსკის ოლქში მოვიხადე. ნაწილში „სტარიკები“ დამხვდნენ და ჩემი, როგორც ახალმოსულისა და გამოუცდელის დაჯაბნა მოინდომეს. ერთი ვაჟკაცური გარეგნობის უკრაინელი ჯარისკაცი, გვარად ბონდარი, განსაკუთრებით აქტიურობდა — მანამ მდია, სანამ საკადრისი პასუხი არ მიიღო და არ დარწმუნდა, რომ ჩემთან მტრობა არ ღირდა. ბოლოს დავძმაკაცდით კიდეც.

მალე ბონდარის სამხედრო სამსახურის ვადა ამოიწურა და დღედღეზე გათავისუფლებას ელოდა, მაგრამ მოხდა უცნაური რამ — აშშ-სა და კუბას შორის დაძაბული ურთიერთობის გამო, საბჭოთა ჯარში დემობილიზაცია 6 თვით შეაჩერეს. ამ ფაქტმა შინ წასასვლელად გამზადებული ჯარისკაცები სასტიკად გაანერვიულა, ბევრმა მათგანმა სმაც დაიწყო — სწორედ არყით დარდის გამქარვებელთა რიგში მოჰყვა ჩემი უკრაინელი მეგობარიც.

ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, ერთ დეტალში უნდა გაგარკვიოთ — ნაწილში არსებობდა ტანკის პრინციპზე აგებული და ტანკზე უფრო ძლიერი მანქანა „ბატი“. მას უზარმაზარი, ბრტყელი და განიერი ცხვირი ჰქონდა და, ძირითადად, გზების დასაგებად ან თოვლისაგან მათ გასაწმენდად „ბატს“ ჩვენს ნაწილზე ბონდარი მართავდა.

ერთხელაც, გზის თოვლიანი მონაკვეთის გაწმენდის დროს, ნაწილში სამი შეშფოთებული ჯარისკაცი მოვარდა და უფროსობას ამცნო — მთვრალმა და შეიარაღებულმა ბონდარმა „ბატი“ გაიტაცა და გეზი ფინეთის საზღვრისკენ აიღო. შეჩერება ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, ავტომატი დაგვიმიზნა, დაგხოცავთო... ტყვიები ფეხებში მოგვაყარა და იძულებული გავხდით გავცლოდითო.

საზღვართან ჩემს მეგობარს უეჭველი სიკვდილი ელოდა.

ახლა ვერ გეტყვით, რისი იმედი მქონდა მაშინ, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მის მობრუნებას შევძლებდი. თურმე ასმეთაურიც ასე ფიქრობდა, მან უსიტყვოდ მომცა „ვილისის“ გასაღები და გაქცეულ მეგობარს მთელი სისწრაფით დავედევნე. კარგა ხანს მივქროდი, დავეწიე, გარკვეული მანძილით გადავასწარი კიდეც და მანქანა გზის გარდიგარდმო ისე გავაჩერე, „ბატი“ თავისი ბრტყელი ცხვირით თუ აღმგვიდა პირისაგან მიწისა, თორემ გვერდს ვერანაირად ვერ ამიქცევდა.

ბონდარმა „ბატი“ რამდენიმე მეტრის მოშორებით მოწყვეტით შეაჩერა, კაბინიდან თავი გადმოყო და იღრიალა — „ატაიდი, გურამჩიკ!“

— ბონდარ, სლეზაი იზ მაშინი! — რამდენადაც შემეძლო მშვიდად და მტკიცედ დავუბრუნე პასუხი.

— ატაიდი, ია გავარიუ! — იქუხა მეტი გააფთრებით და ავტომატი მომიშვირა... გავქვავდი...

ნასვამი იყო, თანაც გაცოფებული. იმ წუთში თავზეხელაღებული და ყველაფერზე წამსვლელი, მაგრამ რა უნდა მექნა? ერთი რამ ვიცოდი — ვერ გავიწევდი — ახლა ადგილიდან დაძვრა და მისთვის გზის დათმობა ჩემს ძალებს აღემატებოდა, ირგვლივ უკვე უამრავი ჯარისკაცი ირეოდა და თუნდაც ამიტომ ვერ გავიწევდი და არა იმიტომ, რომ სიკვდილის მეშინოდა... არ ვიცი, ეს ყველაფერი რამდენ ხანს გრძელდებოდა, სავარაუდოდ — წუთები, მაგრამ ბევრს, ალბათ, მთელი ცხოვრების მანძილზე არ მოუწევს ისეთი მძაფრი განცდის გადატანა, როგორიც მე დროის იმ მცირე მონაკვეთში გადავიტანე.

ჩემმა სიჯიუტემ თუ თავგანწირვამ ბონდარი გატეხა, ავტომატი მიწაზე დაანარცხა, „ბატიდან“ ჩამოხტა, ნელ-ნელა ჩემკენ გამოემართა, წინ ამესვეტა და კარგა ხანს უცნაურად მიმზერდა თვალებში, მერე კი გადამეხვია და მორჩილი ბავშვივით თავი მხარზე დამადო...

ნაწილში ბონდარის მკაცრად დასჯა გადაწყვიტეს — ისევ აქტიურად ჩავერთე საქმეში. თქვენ წარმოიდგინეთ, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჩემი როლი მომხდარ ინციდენტში და ბონდარი არათუ სასჯელისგან გაათავისუფლეს, ორ კვირაში, შინ გაამგზავრეს კიდეც.

***ნათელა თუთისანი***

# მსოფლიო ჩემპიონი ლუდის სმაში თბილისელი პროფესორი გახლავთ...

## „კამპუჩიის ნამცეცა პრეზიდენტი ხელის ჩამოსართმევად სკამზე ასული დამხვდა“...

***(დასაწყისი იხ. გვ. 16)***

უცნაური ხალხია კამბოჯელები — ქუჩაში გაშლილ სუფრასა და ლხინს თუ შეამჩნევთ, უნდა იცოდეთ, რომ ვიღაცას ასაფლავებენ. კამბოჯელები ბუდისტები არიან, ამიტომ მიცვალებულებს სიხარულით ისტუმრებენ, ბუდამ წაიყვანაო. თავის მოკვლა ცოდვად ითვლება.

### როგორ ჩაუვარდა „ლუდის მსმელთა მეფე“ საბჭოთა სუკ-ელებს ხელში

— მიუნხენში, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ტარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი ლუდის სმაში. პირველად ამ ჩემპიონატზე 1966 წელს მოვხვდი. გავიგე, რომ ყოველ მონაწილეს ჩემპიონატის ფონდში უნდა შეეტანა 1.000 მარკა. თუ მოიგებდა, 3.000 მარკას მიიღებდა, თუ წინა რეკორდს მოხსნიდა — 5.000-ს. ამერიკაში მცხოვრებ შვედ ძალოსანს, ვინმე ანდერსონს დაუმყარებია ეს რეკორდი — ერთ საათში 8 კათხა დაულევია. სმასაც თავის წესები აქვს. ერთლიტრიანი, სავსე კათხა თუ ხელში აიღე, სანამ არ დალევ, არ უნდა დადგა (სმის დროს შესვენება დაუშვებელია). პირველ-ორ ჩასვლაზე ჩემპიონატზე გასვლა ვერ გავბედე, 1974 წელს კი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე თან მახლდნენ მიშა მესხი, ძმები ჯეჯელავები, ავთო ჭკუასელი, ნესტორ ჩხატარაშვილი და სხვები... მიშა შემომიჩნდა — ფულს მე გიშოვი, ოღონდ არ შეგვარცხვინოოო... დატრიალდა და დელეგაციისგან 1.000 მარკა შეაგროვა (თითოს 56 მარკა გვქონდა) და ჩემპიონატის ფონდში შეიტანა.

სამი დღე ვემზადებოდი, წყალს არ ვსვამდი, მხოლოდ მარილიანს ვჭამდი, მიშა უკან დამყვებოდა და მამოწმებდა — ჩუმად ხომ არ ყლურწავს რამესო. ჩემპიონატზე რუსი სპორტსმენები ბობროვი, სიმონიანი და ნიკოლაევი წამოვიდნენ. მაგიდას მივუჯექი და სამ წუთში ხუთი კათხა დავცალე. უკან რომ მოვიხედე, აღმოვაჩინე, რომ კონკურენტები შემომფანტვიან. ცოტა ხანში (სულ ერთი საათი მქონდა დრო), მეექვსე-მეშვიდე და მერვე კათხაც მივაყოლე. 28 წუთში 13 კათხა გამოვცალე, რომ მიშა მესხი უცნობ კაცთან ერთად მომიახლოვდა და მითხრა: ეს, ამ ბარის პატრონია და გთხოვს, მეტი აღარ დალიო, თორემ ამ ჩემპიონატს პრესტიჟი დაეკარგებაო. უცნობი 5.000 მარკასაც მთავაზობდა, ოღონდ კი იქაურობა დროულად დამეტოვებინა. დავთანხმდი. ბარიდან გამოსულმა მოცეკვავე გოგონებს ას-ასი მარკა დავურიგე... ცოტა ხანში გაზეთი აღმოვაჩინე, სადაც ჩემ შესახებ წერდნენ. იქვე ნახევრად შიშველი ქალების ფოტოები იყო დაბეჭდილი. ქუჩაში გამოსულმა ბიჭების ვალი გავისტუმრე და ყველას სტერეომაგნიტოფონები ვუყიდე საჩუქრად. იმ საღამოსვე სასტუმროში საელჩოს წარმომადგენელი მომადგა და ფული მომთხოვა. ბიჭებმა საჩუქრები აჩვენეს და უთხრეს — კაპიკებიღა დაგვრჩაო... არ დაგვიჯერეს.

მოსკოვში, აეროპორტში, შავი „ჩაიკა“ დამხვდა, გენერლებმა მანქანაში ჩამსვეს. სუკ-ის მაშინდელ თავმჯდომარესთან — იური ანდროპოვთან მიმიყვანეს — არცხვენთ საბჭოთა მოქალაქის სახელს, უზნეო კაპიტალისტებს აჰყევითო, — მომახალა ანდროპოვმა. ომის დროს პატარა ვიყავი და გერმანელებზე ჯავრის ამოყრა ვერ შევძელი. ახლა ეს შანსი ხელიდან რომ გამეშვა, მოვკვდებოდი, ამიტომ როგორც შევძელი, ისე დავამარცხე-მეთქი, — ვუპასუხე. მივხვდი — ესიამოვნა. მერე ღილაკს მიაჭირა თითი და ოთახში მაგიდა შემოსრიალდა, ზედ 5 კათხა ლუდი და სოსისები ეწყო... დალევო? — მკითხა. დავეთანხმე. სამი ზედიზედ დავლიე... გამაჩერა. საათი მოიხსნა და მაჩუქა, მომცა ტელეფონის ნომერი — თუ გაგიჭირდეს, დამირეკეო, მერე გენერლებს დაუძახა და უბრძანა, 203-ში წაიყვანეთო. შემეშინდა, ხომ არ მიჭერს-მეთქი. 203 ოთახი სასტუმრო „უკრაინაში“ სუკ-ის აპარტამენტი აღმოჩნდა. რამდენიმე დღე ვიცხოვრე სასმელ-საჭმლით გაძეძგილ ოთახში და თბილისში დაბრუნება რომ მოვინდომე, ბილეთი მომიტანეს და გამომაცილეს კიდეც. თბილისში საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარემ — ალექსი ინაურმა დამიბარა და საათი ჩამომართვა. რამდენიმე დღის შემდეგ ანდროპოვს დავურეკე და ეს ამბავი მოვუყევი. მეორე დღესვე დამიბრუნა ინაურმა საათი — კი არ გართმევდი, ვამოწმებდი, როგორი საათი იყოო, — თავი იმართლა.

აი, ასეთი ამბავი გადამხდა თავს...

P.S. ბატონი დემური იმ, ანდროპოვისეულ „რადუს“ ფირმის საათს მაჩვენებს, თან ტელეფონის ზარებს „იგერიებს“ — მაცადეთ, ხალხი არ ხართ, ახლა დისერტაციის დაცვას უნდა დავესწროთ, მერე მოვიფიქროთ რამე — თან მაცივრისკენ იყურება. ახლა არაფერი მაქვს, ყველაფერს გავაჩენთ, ცოტა მაცადეთ... მეშვიდობება იმ საოცარი გულღია ღიმილით, რომლითაც მიმიღო და რომელიც ასე უხდება... მე კი ვფიქრობ — არც ცუდები ვართ და არც კარგები — უბრალოდ, უცნაურად ნიჭიერი ადამიანები ვართ ქართველები...

***ეკა მახარაშვილი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 16 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1900 |
| ევრო | 2,1988 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4569 |
| რუსული რუბლი | 0,0688 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3586 |

„ალიანსი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
- ჯოხი 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- ქ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46 თბილისი

ВЫХОДИТ КАЖДЫЙ ЧЕТВЕРГ
ЖИЗНЬ
საერთო პროექტი თბილისი-მოსკოვი
გაზეთი „ЖИЗНЬ“
ყველაფერი, რაც თქვენ გაინტერესებთ!!!

# ცხოვრებისეული კურიოზები



## „გურზუნი მეშაიუთ“!..

არც ისე დიდი ხნის წინათ, კომუნისტების დროს, აზერბაიჯანის ერთ, ძალიან ჩამორჩენილ და მოუსავლიან რაიონს საკავშირო ცეკას წარმომადგენელი ეწვია, ვითარების ადგილზე გაცნობის მიზნით.

მოსკოველი სტუმარი მხოლოდ რაიონის პარტიულ აქტივთან შეხვედრით არ დაკმაყოფილდა და ადგილობრივ გლეხობასაც გაესაუბრა, რომელთაც მოსავლის დიდი დანაკარგებით აღების სხვადასხვა მიზეზთა შორის ერთ-ერთად „გურზუნი მეშაიუთ“ — დაასახელეს.

„გრიზუნი“ ანუ მღრღნელები ჰყავდათ მხედველობაში, მაგრამ რუსმა სულ სხვაგვარად გაიგო ნათქვამი.

— პრი ჩიომ ტუტ გრუზინი, კაკ ანი ატ სვაიხ ტერიტორიი მოგუტ პამეშატ ვას? — იკითხა თურმე გაოცებულმა.

— ნი ეთი გურზუნი, — ხელი საქართველოსკენ გამოიშვირეს აზერბაიჯანელებმა, — ა, ხვასთი შთო იმეუთ, თაქიე გურზუნი მეშაიუთ!.. — განუმარტეს უფრო გასაგებად კრემლის წარმომადგენელს.

***რეზო მუხიანელი, თბილისი***

## „ეჭვიანი“ ქმარი



ეს ამბავი ჩემმა მეგობარმა მიამბო და ორივემ გულიანად ვიცინეთ. ოთარი საკუთარი ავტომანქანით მეუღლესთან ერთად ბაზარში წასულა. ცოლ-ქმარმა შეიძინა საჭირო სურსათ-სანოვაგე, ხილი და შინ დაბრუნდნენ. სადარბაზოსთან ოთარმა მაიას მსუბუქი ტვირთი მისცა, მძიმე კი თავისთან დაიტოვა.

მაია სადარბაზოს სიბნელეს შეერია, ხოლო ქმარმა ავტომანქანა ფარეხში შეაგორა.

როგორც იქნა, ჩაკეტა ავტოფარეხის კარი, წამოავლო მძიმე ტვირთს ხელი და ხვნეშით სადარბაზოში შევიდა. ლიფტი არ მუშაობდა, არც მაია ჩანდა და ისიც უხალისოდ აუყვა კიბეს. ზემოდან ხმაური ისმოდა და მიაყურადა:

— ფეხები აუწიე!... ჩქარა, გვიგვიანდება!... ფრთხილად, ქალბატონო, ცოტაც და მოვრჩებით!... ჩქარა! ვილაცა მოდის!... ჰა, ბიჭო, შეტენე, მე მაგისი... — ისმოდა ზემოდან.

— მა-იი-აა! — დაიღრიალა ოთარმა, დაყარა ტვირთი და სირბილით აიჭრა მეშვიდე სართულზე, სადაც ასეთი სანახაობის მოწმე გახდა: კუთხეში უშნოდ გაჩხერილ პიანინოს მუშები ეჯაჯგურებოდნენ და ერთმანეთს ქართულ-ქურთულ ენებზე ეჩხუბებოდნენ. კიბის საფეხურზე მაია იდგა და მუშების საცოდაობაზე ელიმებოდა. ოთარმა სულელივით გაიცინა, გაახსენდა ქვემოთ უპატრონოდ მიყრილი ჩანთები და ორმოცდაერთი წლის მამაკაცი ოცი წლის ბიჭივით გაიქცა ქვემოთ...

***მიშიკო კვანტალიანი, თბილისი***

## დეპეშა



ბუდუ მაღლაკელიძე ზესტაფონში განთქმული ოხუნჯი იყო. მამამისი, ბატონი ვასო, ძველი მილიციელი გახლდათ და მასაც ყველა ზესტაფონელი იცნობდა.

სტუდენტი რომ იყო, ბუდუს ფული შემოაკლდა. დეპეშის გაგზავნა განიზრახა ზესტაფონში. ტექსტი რომ წაიკითხა, ფოსტის მოხელემ მანეთ-ნახევარი მოითხოვა.

— მანეთ-ნახევარი რომ მქონდეს, ერთი ორი დღე კიდევ გავიტანდი თავს!.. — შეიცხადა ბუდუმ.

— შეამცირე სიტყვები! — ურჩია ფოსტის მოხელემ.

საბოლოოდ დეპეშა ასეთი სახის გამოვიდა: „ზესტაფონი ვასოს ფული ბუდუ“.

იმის გამო, რომ გამომგზავნსაც და ადრესატსაც ყველა იცნობდა, დეპეშა ბატონ ვასოს მიუტანეს. მანაც არ დააყოვნა და ფოსტალიონსვე გაატანა ასეთივე მოკლე პასუხი: „თბილისი ბუდუს ფული არა მამა“.

ეს ამბავი დიდხანს ეყოთ ზესტაფონში სასაცილოდ.

## წერა-კითხვის სიკეთე...



მამიდაჩემი, ქალბატონი ნადია ხალასი იუმორის ოსტატი იყო...

სახლი რომ ავაშენეთ, შესაბამისად დამხმარე ნაგებობებიც მოვაწესრიგეთ და როგორც მაშინ მოდაში იყო, ახალთახალ ტუალეტში ჩემი ხელით გაკეთებული „სააგიტაციო“ აზრა ჩამოვკიდე:

„დაიცავით სისუფთავე!“ „ნახმარი ქაღალდები აქ ჩაყარეთ!“ და ა.შ.

ერთხელ მამიდაჩემი გვესტუმრა. გამოდის ტუალეტიდან და თან იცინის. დედაჩემი დაინტერესდა, ტუალეტში რა ნახე სასაცილოო...

— ჩემო ელენა, — უთხრა მამიდამ — კიდევ კარგი, წერა-კითხვა რომ ვიცი, თუ არა, ნახმარი ქაღალდის ჯიბეში ჩადებას ვაპირებდიო!.. რამდენიმე წამში ჩამოვხიე ყველა „სააგიტაციო“ წარწერა.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## როგორ არ მომერგებაო...



ერთი ჩემი მეგობრის ვაჟმა ტყავის ლაბადა შეიძინა, სახლში მიიტანა და ოჯახის წევრების თანდასწრებით ტანზე მოირგო. მერე მამას სთხოვა, ჩაიცვი, შევხედო, ტანზე როგორ დგასო.

მამამ ჩაიცვა. შვილმა აღტაცებით შესძახა — მამა, როგორ გიხდება, მთლად შენს ტანზეა შეკერილიო.

მამამ მიუგო:

— შვილო, ჩემი ტყავია და როგორ არ მომერგებაო.

***მიშა ნიკოლეიშვილი, სამტრედია***

## „ზდრავსტვუიტე“!..

ჩემი მეზობლები ზურია და ოლეგ ივანოვი მოსკოვში არიან. ოლეგი მართალია ქერაა, ცისფერთვალება და ტიპური რუსია გარეგნობით (გვარიც რუსული აქვს), მაგრამ ისეთივე რუსია, როგორიც ზურია იაპონელი, ერთი ღერი რუსული არ იცის.



ავტობუსში ასვლისას ვილაც მოხდენილმა ქალმა ფეხზე წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი დაადგა ამ ჩვენს დიმელ ივანოვს. ოლეგმა სიმწრით ტუჩზე იკბინა, ქალს ვერაფერს გააგებინებდა და ზრდილობიანად უთხრა:

— ზდრავსტვუიტე!..

***ნიკა ჩიქვინიძე, სოფელი დიმი, ბაღდათის რაიონი***

# სიცილი ჯანმრთელობაა!



## ლეჩხუმი ლექსიკონი

ბაბაყული — ბაიყუში, მყრალი ხასიათის
ბაკლა — უწვნოდ მოხარშული, ამოუჭყლეტავი ლობიო
ბერწი — უნაყოფო საქონელი
ბეყეირათი — უხეირო, არაფრის მაქნისი
ბოღღწო — ღვინოში ჩაყრილი პური; (გად. მნიშვნ.) მძიმე ხასიათის მქონე
ბუდრუგანა — პატარა სახლი, ხის ქოხი და სხვა
ბუტუსურა — ქვეშ-ქვეშა, ინტრიგანი
ბურძალი — სიძვის დიაცი
გაპაპაჯორებული — გათავხედებული
გაიბოტა — ადგილიდან არ დაიძრა
დააბურძალა — გააუპატიურა
დაიხახება — მაღლა დადის — ხეზე, სახურავზე და ა.შ.
დაიჩულება — თბილად ჩაიცვამს
დაგოლილი — ტანდაბალი

## მკით
## საყვ
## ანეკ



ნარკომანმა ის-ის იყო „წამალი“ გაიკეთა, რომ პოლიციელები დაადგნენ თავზე. გაიქცა ნარკომანი, პოლიციელებიც მისდევენ. შევარდა ზოოპარკში, სულ უფრო ემატება „პრიხოდი“...

ჩაავლეს ხელი, გინდა თუ არა, წამალი გაქვს გაკეთებულიო.

— არა! — თავს იკლავს ნარკომანი.

— თუ არა, მაშინ კითხვებზე გვიპასუხე! — და მიიყვანეს სპილოს გალიასთან, ეს რა არისო.

— აუ, ჩემი კაი, წინ კუდი, უკან კუდი, დიდი ყურები, აუ, სპილოა, ტო!..

ასევე გამოიცნო ბეჰემოთი. ამასობაში „პრიხოდი“ ემატება. მიიყვანეს კენგურუსთან.

— აუ, ეს, ბაჭიაა, ტო, ლეტ სოროკ-სოროკპიატ!..

***„სიხარა“, თბილისი***

## რეტრო: პოლიტიკური ანეკდოტი



ხრუშჩოვს წარუდგინეს გამოგონების პროექტი, სადაც წარმოდგენილი იყო მექანიზმი, რომელშიც შეაგდებდნენ ცოცხალ ღორს და მთელი რიგი ოპერაციების შემდეგ დანადგარის ბოლოდან გამზადებული ძეხვი გამოდიოდა.

ხრუშჩოვს მოეწონა ეს მექანიზმი და როგორც ყოველთვის, ახლაც გამოამჟღავნა თავისი ერუდიცია, რომლითაც იგი მსოფლიოში მეტად „სახელგანთქმული“ გახლდათ. ცეკას გენმდივანმა გამომგონებელს დაუსვა შეკითხვა, — პირიქითაც თუ შეგიძლია, „კალბასი“ შეაგდო და ბოლოში ღორი გამოვიდესო.

გამომგონებელმაც ველარ მოითმინა და მიახალა: — ეგ, ნიკიტა სერგეევიჩ, მამათქვენს ჰკითხეთ, მას აქვს ჩემზე ადრე ეგეთი მექანიზმი გამოგონებულიო.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



მიხო კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. დილას მიდის სამსახურში. ხედავს, კაბინეტში ქეთო მაგიდას წმენდს უხერხულ პოზაში. მივარდა მიხო...

— მიხო, შენა შაგეშალა, მე მარო კი არა ვარ, ქეთო ვარ ქეთო!..

— ქეთო კი არა, ეხლა თუ გინდა კოტე იყავი!.. — უპასუხა დაარხეინებულმა მიხომ.

***თ.მ., თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K

# მეტროთი მგზავრობა არ გაძვირდება... ჯერჯერობით

**— ვარ მეტროპოლიტენის ყოველდღიური მგზავრი. ელექტროენერგიის გაძვირებასთან დაკავშირებით გამიჩნდა რამდენიმე კითხვა: გაძვირდება თუ არა მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასური? რამდენი კაცი მგზავრობს ამ ტრანსპორტით ყოველდღიურად და ებრძვის თუ არა მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია იქ გამეფებულ კორუფციას?**

***ნონა დგებუაძე***

კითხვაზე უპასუხებს **თემურ რატიანი**, მეტროპოლიტენის სამმართველოს აპარატის უფროსი



— მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია, ჯერჯერობით, არ აპირებს მსგავსი ღონისძიებების გატარებას. მგზავრობის საფასურის გაზრდაზე საუბარი არც ყოფილა, თუმცა წინასწარ გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია. მეტროპოლიტენის შენახვას და მოვლას დიდძალი თანხა სჭირდება. ყოველთვიური ელექტროენერგიის გადასახადიც სოლიდურ თანხას შეადგენს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მგზავრობის ღირებულების გაზრდა არ გვაქვს განზრახული. გასულ წლებთან შედარებით, მეტროპოლიტენის მგზავრთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. თუ ადრე დღეში საშუალოდ 600000 ადამიანი მგზავრობდა, დღეისთვის მათი რიცხვი 350000-მდე შემცირდა. მეტროპოლიტენით მგზავრობა სხვა ტრანსპორტთან შედარებით იაფი, სწრაფი, ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხოა. რაც შეეხება მეტროპოლიტენის თანამშრომელთა კორუმპირებულობას, ვიტყოდი, რომ ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება. ჩვენთვის ცნობილია, რომ ზოგიერთ სადგურზე მეტროპოლიტენის პოლიციის თანამშრომლები ან სადგურის მორიგეები ჟეტონებით ვაჭრობენ. ასეთი ფაქტების აღმოსაფხვრელად მეტროპოლიტენის 22 სადგურიდან 16 სადგურში უკვე დამონტაჟებულია ტელემონიტორი. ჩანაწერი ყოველდღე იშიფრება და, შესაბამისად, თანამშრომელთა მხრიდან დარღვევებმა საგრძნობლად იკლო. ყოველ დარღვევაზე მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია მკაცრად რეაგირებს.

# ქარიშხალი «მაგნიტურიც» სახიფათოა

**— არასოდეს მჯეროდა, რომ მაგნიტურ ქარიშხალს შეეძლო ადამიანის ჯანმრთელობასა თუ გუნება-განწყობილებაზე მოეხდინა ზემოქმედება. დავაკვირდი ბებიის ჯანმრთელობის მდგომარეობასაც. ასეთ დღეებში მას გული აწუხებს და დავრწმუნდი, რომ იგი მართლაც ცუდად გრძნობს თავს. ჩემი აზრით, ბებიას აკვიატებული აზრი ხდის ცუდად და არა მაგნიტური ქარიშხლები. მაინტერესებს სპეციალისტის მოსაზრება, ახდენს თუ არა ადამიანის ჯანმრთელობაზე მაგნიტური ქარიშხალი ზეგავლენას?**

***ლუკა დანელია***

კითხვაზე უპასუხებს **მარინა გიგოლაშვილი**, აბასთუმნის ობსერვატორიის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი

— ბებიის ჩივილი უსაფუძვლო არ გახლავთ. მართლაც, მზეზე ამოფრქვევების შედეგად წარმოშობილი პროტონის ნაკადი თუ დედამიწის ატმოსფერულ გარსში (მაგნიტურ სფეროში) მოხვდა, წარმოიქმნება მაგნიტური ქარიშხლები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს ნაკლებად ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმზე. კვლევებმა ცხადყო, რომ მაგნიტური ქარიშხალი უარყოფითად მოქმედებს გულ სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებზე. ასევე, ჯანმრთელობისა და ასაკის მიუხედავად, ნებისმიერი ადამიანის ნევროფსიქოლოგიურ განწყობაზე. ასეთ დროს ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები. კვალიფიცირებული ექიმი დაგიდასტურებთ, რომ მაგნიტური ქარიშხლების პერიოდში იზრდება ინფარქტებისა და ინსულტების შემთხვევები და სხვ. მზეზე ამოფრქვევების შედეგად ატმოსფეროში შემოჭრილი მაგნიტური ნაკადი ასევე უარყოფითად მოქმედებს ელექტროტექნიკაზე. მაგ. კომპიუტერებზე, ფიჭურ ტელეფონებსა და სხვა ტექნიკაზე. ასეთ დღეებში მგზავრობისას მძღოლებს მეტი სიფრთხილე და ყურადღება მართებთ. გულ სისხლძარღვთა დაავადებების მქონეთ კი ვურჩევ მიიღონ საჭირო მედიკამენტები, ნაკლებად ინერვიულონ და ერიდონ ფიზიკურ დატვირთვას; ხოლო ურწმუნო შვილიშვილს ვურჩევ, გაუფრთხილდეს საყვარელ ბებიას, ნაკლებად ანერვიულოს და მეტი ყურადღებით მოეკიდოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას მაგნიტური ქარიშხლების დღეებში. მაგნიტური ქარიშხალი ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორიც წვიმა, თოვლი, ქარი და სხვ. ასე რომ, ამაში გასაკვირი და სახუმარო არაფერია. კარგია წინასწარ ვიცოდეთ, როდის არის მოსალოდნელი მაგნიტური ქარიშხალი და გავფრთხილდეთ.

# რამდენ ქვეყანაში არსებობს «იჩქერიის» წარმომადგენლობა

**— ვიცით, რომ რუსეთის სახელმწიფომ საქართველოს ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ჩეჩნეთის წარმომადგანლობის დახურვა მოსთხოვა. მაინტერესებს, არის თუ არა სხვა სახელმწიფოებში ჩეჩნეთის წარმომადგენლობები? რომელ სახელმწიფოში ცხოვრობს ჯოჰარ დუდაევის ქვრივი?**

***მერაბ ტყებუჩავა***



**თურქული ანკლავი დიდ დახმარებას უწევს ჩეჩნებს**

— ჩეჩნეთის წარმომადგენლობა გახსნილია შემდეგ სახელმწიფოებში: ესტონეთში, ლიტვაში, დანიაში, ბელგიაში, გერმანიაში, გაერთიანებულ არაბთა საამიროებში, თურქეთში, პოლონეთში, ჰოლანდიაში, ჩეხეთში, კატარში, უკრაინაში, პაკისტანში, დიდ ბრიტანეთში, ერაყსა და სირიაში. ახლახან ბაქოში დაიხურა ჩეჩნეთის კულტურული ცენტრი „იჩქერიის წარმომადგენლობა“.

მოვლადი უდუგოვი, „დამოუკიდებელი იჩქერიის“ მთავარი იდეოლოგი, დღესაც ცდილობს ახალი კავშირები დაამყაროს საუდის არაბეთში, სუდანსა და იორდანიაში, სადაც უკვე დიდი ხანია აგროვებს თანხებს მასხადოვის დაჯგუფების დასაფინანსებლად.

ამჟამად პოლონეთში, ქალაქ კრაკოვსა და გდანსკში არსებობს ორგანიზაციების: — „თავისუფალი კავკასია“, „პოლონეთი-ჩეჩნეთი“-ის კომიტეტები, აგრეთვე ჩეჩნეთის ინფორმაციული ცენტრი. თურქეთის ჩეჩნური დიასპორა კი დაახლოებით ნახევარ მილიონ ადამიანს ითვლის. სტამბულში, ანკარასა და იზმირში ფუნქციონირებს „იჩქერიის რესპუბლიკის კულტურული ცენტრი“. რაც შეეხება ჯოჰარ დუდაევის ქვრივს, ალა დუდაევას — მას თავშესაფარი მისცა თურქეთმა და დღეს იგი სტამბულში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, სიამოვნებს თუ არა რუსეთს ეს გარემოება, ამჟამად თურქეთში 6 ქუჩა და 2 პარკი ჯოჰარ დუდაევის სახელობისაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონეთის ერთ-ერთ ქალაქში არსებულ ქუჩას, რომელიც დუდაევის სახელს ატარებდა, უკვე დაუბრუნეს ძველი სახელწოდება.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# ჯეიმს ბონდი ჩვევებს შეიცვლის

**— ძალიან მიყვარს სერიალი აგენტ 007-ის შესახებ. ბონდის ყველა ჩვევა ზეპირად ვიცი, „ასტონ მარტინი“ ჩემი საყვარელი ავტომობილია. გავიგე, რომ ახალ სერიაში ბონდი „ბმვ“-დან ისევ „ასტონ მარტინზე“ გადაჯდება. საინტერესოა, კიდევ რამე ხომ არ შეიცვლება?**

***გია კიკაძე***



— ახალ სერიაში ბონდი, მართლაც რომ კარდინალურად შეიცვლის ჩვევას. 40 წელია, რაც „აგენტი 007“ საყვარელ კოქტეილს — არყიან მარტინის მიირთმევს. ახალ ფილმში „მოკვდი სხვა დროს“ ეს კოქტეილი ტრადიციული „სმირნოვით“ კი არ გაზავდება, არამედ არყით „ფინლანდია“. ცვლილება განაპირობა კომპანია „სმირნოვის“ მარკეტოლოგების განცხადებამ: „ჩვენ აღარ გვჭირდება მაყურებელთა ის კატეგორია, რომელიც „ბონდიანას“ უყურებს“. თავიანთი კოლეგებისგან განსხვავებით, „ბონდიანაში“ რეკლამის განთავსების საშუალებით აღფრთოვანებულები არიან „ფინლანდიის“ წარმომადგენლები. მათი აზრით, ეს შემთხვევა ბედის საჩუქარია. სწორედ სარეკლამო კამპანიებით არის განპირობებული ცნობილი აგენტის ყველა სხვა ჩვევაც.

# დაანებეთ კაქტუსს თავი

**— მართალია თუ არა, რომ კაქტუსს აქვს საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ტელევიზორი, კომპიუტერი) გამოსხივების შთანთქმის თვისება. არსებობს მოსაზრება, რომ იგი იცავს ადამიანს დასხივებისგან.**

***ლევან ბერჭვაია***

კითხვაზე უპასუხებენ: **ჯონდო ჩიკვაიძე**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი და **შოთა ჭაჭიაშვილი**, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში



ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, ასეთი ფაქტი უცნობია. დასაბუთებული ინფორმაცია ამის თაობაზე არ მოგვეპოვება. ეს უფრო საყოფაცხოვრებო ჭორს ჰგავს, ვიდრე მეცნიერულად დასაბუთებულ რეალობას. ცდა, დაკვირვება ამ მიმართულებით არ ჩატარებულა. რა საერთო აქვს ტექნიკასთან კაქტუსის გაუსაძლის პირობებთან შეგუების უნარს?! ეს უბრალოდ ცრურწმენაა და სხვა არაფერი. კაქტუსი გავრცელებულია ამერიკის კონტინენტზე ტროპიკულ და სუბტროპიკულ, უმეტესწილად, მთის (4500მ-მდე) უდაბნოებში. არსებობს კაქტუსის ოჯახის 3000-მდე სახეობა. მოსაზრება, თითქოს სხვა ქვეყნის სხვა ნაწილსა თუ კონტინენტზე კაქტუსი ბუნებრივად იზრდება, მცდარი გახლავთ. თუმცა გაველურებული სახით იზრდება ტროპიკულ აფრიკაში, მადაგასკარზე, შრი-ლანკაში და სხვ. სხვებისგან განსხვავებით, ამ მცენარეს შეუძლია გაიხაროს ისეთ რთულ კლიმატურ და სხვა მცენარეებისთვის გაუსაძლის პირობებში, როგორიცაა ტროპიკული და სუბტროპიკული ტიპის ტერიტორია. ხარობს მცხუნვარე მზის სხივებქვეშ და დიდხანს ძლებს უწყლოდ, თავად აქვს წყლის შენახვისა და გამოზოგვის უნარი.

სხვა თვისება კაქტუსს არ გააჩნია, მით უფრო, იგი არ შთანთქავს ტელევიზორისა და კომპიუტერის გამოსხივებას.

# პატარა ფერიის შთაბეჭდილებები

**— მიყვარს პატარა ნინი ქარსელაძის სიმღერები. მაინტერესებს, უახლოეს მომავალში, აპირებს თუ არა საფრანგეთიდან დაბრუნებული ფერია მსმენელის წინაშე ახალი რეპერტუარით წარდგომას და რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა საქართველოში?**

***მადონა კამლაძე***

კითხვაზე უპასუხებს **ნინი ქარსელაძის** დედა, ხათუნა ჟორდანია

— ნინიმ უკვე ჩაწერა ახალი სიმღერა, მუსიკის ავტორია რუსა მორჩილაძე, ტექსტის კი ირინა სანიკიძე. ჯერ არ გადაგვიწყვეტია, რა დავარქვათ სიმღერას, შეიძლება, „მეწამული პერანგი“ ვუწოდოთ. რაც შეეხება საფრანგეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს, ნინის აუხდა დიდი ხნის ოცნება, მოინახულა ქვეყანა, რომლის ხილვაც ძალიან უნდოდა. გარდა ამისა, ვიყავით ინგლისში, შვეიცარიაში, მაგრამ ნინი განსაკუთრებით საფრანგეთით მოიხიბლა. მან კარგად იცის ფრანგული ენა და ამიტომ ფრანგებთან ურთიერთობა არ გასძნელებია. პარიზი ის ქალაქია, სადაც თბილისის გარდა ვისურვებდი ცხოვრებასო, ამბობს ხშირად. იყო „დისნეილენდში“, დაათვალიერა საფრანგეთის ღირსშესანიშნავი ადგილები. რაც შეეხება ლონდონს, ნინი არანაკლებ მოიხიბლა ამ ულამაზესი ქალაქით, თუმცა ინგლისური ენის უცოდინარობამ ხელი დიდად შეუშალა მიეღო სრული შთაბეჭდილება.

# ვისაუბროთ ქართულად

**— ინგლისურენოვანი ტერმინები და საკუთარი სახელები სხვადასხვაგვარად იწერება. მაგ: ვაშინგტონი — ვოშინგთონი; ნიუ-იორკი — ნიუ-იორქი; ტეტჩერი — ტეთჩერი. თქვენი გაზეთის ერთ-ერთ რუბრიკაში კი ამოვიკითხე სიტყვა ტინეიჯერი და არა თინეიჯერი. გთხოვთ, განმარტოთ რომელი ფორმაა სწორი?**

***ლილი განძიელი***

კითხვაზე უპასუხებს **შუქია აფრიდონიძე** დოცენტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგე

— სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხშირად მახინჯდება, არასწორად გამოითქმის თუ იწერება უცხო ტერმინები და საკუთარი სახელები. თავი რომ ავარიდოთ მსგავს შეცდომებს, ამისათვის საჭიროა რამდენიმე წესის ცოდნა. მაგ: თუ ინგლისურ სიტყვაში გვხვდება th-ი, მაშინ იგი ქართულში გამოითქმის, როგორც — თ ასო, მაგ: Macbeth, ხოლო თუ სიტყვაში არის ასო t, მაშინ ქართულში მექანიკურად გადმოდის როგორც — ტ, მაგ: Hamlet. სწორი ფორმაა ტინეიჯერი, თეტჩერი, მაკბეთი. ერთადერთი გამონაკლისი დავუშვით სიტყვა ოტელოზე. სინამდვილეში, ინგლისურად ეს სახელი იწერება Th-ით, ვინაიდან იგი წლების მანძილზე ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულია, როგორც ოტელო, მას სახეცვლა არ განუცდია. ინგლისური ph-ის ასოთა შეთანხმებაში ქართულად სიტყვა გამოითქმის — ფ ასოთი, p — შემთხვევაში კი პ-თი. მაგ: პორტი - Port და ph-ის შემთხვევაში კი ფილოსოფია - Philosophia და სხვ. ინგლისური c;ck;k;qu; — ქართულად იკითხება და იწერება როგორც კ ასო და არა ქ. მაგ: Quorum -კვორუმი, New York - ნიუ-იორკი, Camera - კამერა Dickens - დიკენსი და სხა.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

## მილოცვა

*ჩვენს ჭაღარა, სიმპათიურ ძმას*



**ბატონ გურამ წერეთელს!**

წინასწარ გილოცავთ დაბადების დღეს – 24 ნოემბერს! გისურებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში, იმ ლამაზი, კაცური ნაბიჯებით სიარულს, რომელიც ქართველ კაცს მართლაც ამშვენებს, მით უმეტეს ამ გაუსაძლის დროში! ღმერთმა შენს კვალობაზე გაგაზრდევინოს პატარა წერეთლები – ოჯახის, ერის, სამშობლოს მოსიყვარულე კაცურო კაცო! გფარავდეს მაღალი ღმერთი! გაგიმარჯოს ოჯახთან, კეთილისმსურველებთან და ჩვენთან ერთად (დანარჩენზე მცხეთაში, ბუხართან)!

*შენი მეგობრები*

**ეკა არონიას და ერისტო სადიშვილს** ვულოცავთ ოჯახის შექმნას და ვუსურვებთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, უხვს სიხარულს.

*„კვირის პალიტრა“*

**ალექსანდრე ბერიძეს**, ჩვენს ახალგაზრდა კორესპონდენტს და შესანიშნავ პიანისტს ვულოცავთ ნოდარ გაბუნიას სახ. კონკურსში გამარჯვებას და ვუსურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს, ნათელ გზებს.

*„კვირის პალიტრა“*

ყვარლის მხატვართა გაერთიანება **„ფიროსმანი“** დაბადების დღეს ულოცავს **მარინა ცქვიტიაშვილს**, უსურვებს ბედნიერებას და სიხარულს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ **ქრისტინა ლოტფის!**



ჩემო საყვარელო ქრისტინა! გილოცავთ დაბადების დღეს – 16 ნოემბერს. გისურვებთ ცხოვრებაში საუკეთესოს. დიდი სიყვარულით ველოდებით საქართველოში ჩამოსვლას.

*ლერი, გია, დიანა, ნათელა ფაღავები, ქართლოს ახალკაცი* (ბანძა)

## მადლობა

„იმედი-ლ“ მადლობას უხდის ილია ჭავჭავაძის სახ. ბავშვთა დახმარების ფონდი და უსურვებს წარმატებებს.

## ბინები

იყიდება თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) ბურიანში 800 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $800. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

1, 2 და 3-ოთახიანი იზოლირებული ბინები, ასევე, 1 ოთახი, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში – კერძო სასტუმროსავით. ფასი: 1 დღე, 1 კაცი – $7, $15 და $20, $30 და $50 – ოთახების შერჩევით. ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86. სტუმრების მიღება ნებისმიერ დროს.

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ფირმის ოფისში, მენეჯერის თანამდებობაზე გვჭირდება რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, ანაზღაურება – 300-600 ლარი, ასაკი – 18 წელს ზემოთ. საუკეთესო თანამშრომლები, 6 თვეში ერთხელ, სტაჟირებაზე იგზავნებიან საზღვარგარეთ, კომპანიის ხარჯებით. მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

ყურადღება! ოფისში დაგასაქმებთ მენეჯერად. პროფესიას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რაიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

ოფისში სამუშაოდ გვჭირდება სამი საქმიანი და ერუდირებული პიროვნება. შემოსავალი – $100, $160 და $280. ექვსი თვის შემდეგ, შესაძლებელია მომატება. ტელ: 93-18-71; 877 71-69-35. მერაბი

## მომსახურება

„ფესვები“, ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

სილამაზის სალონი „სტილი“! ეპილაცია ანესთეზიით; თმის მოცილება ტანზე მცენარეული დეპილატორით; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი – ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი – ზინა. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 ბინა)

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას; ასევე ვამზადებთ ლამინირებული დეესპესგან სამზარეულოებს და ყველა სახის საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. გიორგი

გთავაზობთ ტურისტულ მომსახურებას, სწრაფად და იაფად; ახალგაზრდული ბარათები ISIC; საერთაშორისო ავიამომსახურება. ტელ: 34-73-15; 899 94-91-55

## მკურნალობა

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან“). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი – მაძიებელი ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით, აღმდგენი აპარატებით და სხვა აღმდგენი მეთოდებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ნევროზს, ლოგონევროზს, ენაჩლუნგობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: სახსრებს, ოსტეოქონდროზს (მარილებს), პოლიართრიტს, ართროზს, ბრონქიალურ ასთმას, დისკს, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ფრონტიტს, ჰაიმორიტს (ფრონტიტი და ჰაიმორიტი იკურნება 6-8 დღეში სრული გარანტიით). მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს“ პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ)

სამკურნალო-დიაგნოსტიკურ კაბინეტ „კოლხ მედეაში“ გთავაზობთ მთლიანი ორგანიზმის უზუსტეს კომპიუტერულ დიაგნოსტიკას. შესაბამისად ინიშნება მკურნალობის კურსი უვნებელი მცენარეული პრეპარატებით. აქვე გთავაზობთ: ჩიყვის, საკვერცხის კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიის, ბუასილის და წყლულის მკურნალობას უოპერაციოდ, მცენარეებით! მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №76 (შესახვევი უზნაძის – ყოფ. კამოს №49), საპატრიარქო პოლიკლინიკა, I სართ. კაბ. №19. ტასო ელიზბარაშვილი. მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, წინასწარი ჩაწერით. ტ: 95-50-12 (სამს); 61-75-27 (ბინა); 897 58-29-18

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ***ეველინა ლოლაძე***. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ეველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

ლომთათიძე მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, წითელ ქარს, თმის ცვენას, სებორეას, ბუასილს, ფრჩხილების ჩაზრუნებას, ტროფიკულ წყლულს, თირკმლებს, პროსტატიტს, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს, მუცლის ღრუში დაგროვილ სითხეს, მეჭეჭების, პაპილომების მოშორებას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: აღმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29

პროსტატიტის, ადენომის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. ***პროფესორი რევაზ სალაყაია***. მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა №1. მიღება შაბათს, 12-16 სთ; სხვა დღეებში წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა – ლოგონევროზი), წნევის, (ჰიპერტონიის) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. მის: ვაჟა-ფშაველას 16 (მშენებლობის სამინისტროს შენობა), მე-13 სართ. ბიორეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

## ვასწავლი

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08.

კავშირი „ართ ჰოლის“ ხელოვნების საყმაწვილო ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოგა პიპინაშვილი აცხადებს მოზარდთა მიღებას. ტელ: 34-79-59; 34-73-15

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

ნაძალადევის კულტურის სასახლე აგრძელებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე, შეღავათიან ფასად, დაჩქარებული მათოდით. შეისწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, ეპილაცია, მასაჟი, ნელსაცხებლები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, რძეები, ნიღბები, საპნები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: „ნაძალადევი“, მ. „ვაგზლის მოედანი“, დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი“ კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

სწრაფად, იაფად, ხარისხიანად შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. პროგრამები: Windows, Word, Excel; Inernet, E-mail, Page Maker, Photoshop, Adobe Table, Corel draw, Access, Outlook-x-press, Quark; Web-გვერდების მომზადება და განთავსება; კომპიუტერზე სწრაფი ბეჭდვა სპეცპროგრამით. მეცადინეობა ინდივიდუალური მეთოდით. გაიცემა სერტიფიკატი. მის: გაბაშვილის ქ. №7 (მ. „რუსთაველთან“), კ/თ „ქოლგის“ უკან. ტელ: 98-80-23

## იყიდება

ავტოტექმომსახურების სენდვიჩის მოდული – 750კვმ ფართი, საკუთარი ტრანსფორმატორით; მიწის ნაკვეთი – ტერიტორია 4200კვმ, შენობა – იდეალურ მდგომარეობაში. საწყისი ფასი $15.000. მის: ქ. თელავი, ალაზნის გამზირი, კვარტალი. ტელ: 899 50-35-63. ზურა; 899 28-03-02. პაატა

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

შევისყიდი ძველ ლეიბებს, საბნებს, ბალიშებს, მაკულატურის სახით, ნაღდი ანგარიშსწორებით. 30 კგ-ზე მეტი წონის შემთხვევაში, მოგემსახურებით ჩვენი ტრანსპორტით. ტელ: 33-40-48. 34-66-64

## ხსოვნა

**ზურიკო ჩიხლაძის გახსენება**



უკვე 6 თვე გავიდა, ჩვენო საყვარელო ძმაო, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. იმდენად გვტკივა გული, რომ გახსენება არ გვინდა შენი სიკვდილის – შენს უბედურ დედას, დებს და ძმას. არაფერი არ გვახარებს უშენოდ. რა ბედნიერები და ამაყები ვიყავით, როდესაც შენ გვყავდი გვერდით.

იძინე ტკბილად. ღმერთს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ოჯახი*



**თინა ფანცულაია-რურუას ხსოვნას!**

ექვსი თვე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი.

დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ უშენოდ გავლილი თვეები ვერ აღმოჩნდა მკურნალი შენი ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრებისათვის.

ლურჯი ოცნების ბაღში, სიზმარს ავხადეთ ფარდა,

არავინ დაგვხვდა სახლში, შენი სურათის გარდა.

არასოდეს დაგივიწყებთ!

მოვალთ შენს საფლავთან, სანთელს დაგინთებთ, მოგეფერებით, შეგამკობთ ცრემლებითა და ყვავილებით.

ვილოცებთ შენი წმინდა სულისათვის.

*ოჯახი*

**ვახტანგ ლეჟავას ხსოვნას!**



40 დღე გავიდა...

ინსტიტუტის თანამშრომლები კიდევ ერთხელ ვავლებთ თვალს შენთან ერთად ყოფნის მრავალ წელს – ფრონტისა და „პოლიტექნიკურის“ შემდეგ, 36 წელი ვიყავით ერთად. შენ თავი გამოიჩინე, როგორც სამგზავრო საბაგირო გზების სპეციალისტმა, შექმენი და სათავეში ჩაუდექი ამ ტრანსპორტის დაპროექტებას, გახდი ამ საქმის საკავშირო „წესების“ ერთ-ერთი შემდგენელი. ლამაზი მამაკაცი იყავი...

40 დღე გავიდა. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*საქშახტპროექტის ინსტიტუტის თანამშრომლები*



**რამინ ჩხაიძის ხსოვნას!**

40 დღეა, რაც ამქვეყნად აღარ ხარ. ძნელი შესაგუებელია, რომ აღარ გვეგებები სიკეთით და სითბოთი სავსე ადამიანი. კეთილშობილი და კაცთმოყვარე იყავი, ამიტომაც ემახსოვრები და მოენატრები ყველას, შენგან დატოვებული სიყვარული დიდხანს გაგვითბობს გულებს.

*ახლობლები*

**კორნელი (კოკა) ქუთათელაძის მონატრება**



ჩვენო იმედო, ჩვენო სიამაყევ, მუდამ მხიარულო და ყველას უზომოდ მოსიყვარულე ჩვენო კოკა, როგორ გიღალატა შენმა მტკივნეულმა, ნორჩმა გულმა, სიცილ-კისკისში აღმოგხდა შენი ლამაზი, სპეტაკი სული. უეცრად გაგვიფრინდი ხელიდან და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა, დარდი, მოუშუშებელი ტკივილი და ავადმოსაგონარი 2002 წლის 15 ოქტომბერი.

გვიკვირს, როგორ გავლიეთ უშენოდ ეს ორმოცი დღე და ვაი, რომ აწიც ველარასოდეს გიხილავთ. უნდა ვიაროთ მუდამ გამწარებული სულით და ცრემლიანი თვალებით.

ჩვენო კოკა, გიყვარდა ყველა: ოჯახის წევრები, ახლობლები, ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები და ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მათი უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურე. ამიტომაც ცხარე ცრემლებით დაგიტირეს და გაგაცილეს უკანასკნელ გზაზე.

აუხდენელ ოცნებად დაგრჩა სოხუმში დაბრუნება. გიყვარდა შენი სენაკი, ლევახანე, სადაც აფხაზეთიდან დევნილს, ბავშვობა გაგიტარებია. შენი წმინდა სხეული კი, მიიბარა თბილისის მიწამ.

გაუსაძლისმა ტკივილმა და მონატრებამ დაგვრია ხელი. საითაც გავიხედეთ, სულ შენ გველანდები, ჩვენო ტკბილო კოკა.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*გულდათუთქული დედა ლელა, მამა გიული, და ნინო, ბებია რუსუდანი, ბიძები: გია, მალხაზ და ედემ ქუთათელაძეები*

*სამი თვის შემდეგ*



**ჭუტულა (სიმონ) დეკანოიძის გახსენება**

სამი თვე, გაუსაძლისი ტკივილის, სევდის, დარდის, ვარამის მძიმე ცრემლებით დახუნძლული უშენობის სამი თვე – ვეებერთელა შავი კამეჩივით გაწოლილია შენს ოჯახსა და საფლავს შუა...

ოჯახი და სასაფლაო...

სამი თვეა, ამ ორ პოლუსს შორის იწყება და მთავრდება ჩვენთვის სამყარო, საყვარელო ჭუტულა, უძვირფასესო – შვილო, მამავ, ბაბუავ, ძმაო და მეუღლევ, მეგობარო და მოკეთევ – ადამიანო, რომელმაც ნაუცბათევად, მოულოდნელად, ნაადრევად წასვლის შემდეგ უფრო მეტად დაგვანახვე, გვაგრძნობინე შენი სიდიადე...

არადა, ნოემბრის თხუთმეტში სულ რაღაც 50 წელი გისრულდებოდა... გისრულდებოდა და შენებურად, მამაკაცურად, მხოლოდ შენთვის, სხვისთვის ვერგასაგონად ჩაიღიღინებდი ხოლმე, – ნახევარი ისევ გასავლელი მაქვსო.

დიახაც, გქონდა და იმ ნახევარსაც, უეჭველად კაცურად გაივლიდი მოყვასისათვის თავდადებაში, გამტანობაში, თანადგომაში, ვაჟკაცობაში, ხელის გამართვაში.

ძმებს – როსტომს, ჯამბულის და ჯონის გადასძახებდი, – საძმაკაცოს მიუძახ-მოუძახეთ, ერთი ქართველურად შევუბეროთო;

მეზობელს შეუვლიდი, ღვინოს დაუჭაშნიკებდი, შეუქებდი, ჭერ-მარანს დაულოცავდი;

სისხამზე ადგებოდი, ჯალაბობას მიესიყვარულებოდი, პირჯვარს გადაიწერდი, საქმეს დაადგებოდი.

ახლა იძულებულნი ვართ, უშენოდ აღვნიშნოთ შენი დაბადების დღე. გვაპატიე, ძვირფასო, რომ ამ სუფრას სევდა-ნაღველი მოერევა და იმგვარი პეწი და ლაზათი ვერ ექნება, შენ რომ გიყვარდა.

შენი საყვარელი გიორგისთვის მუდამ ცოცხალი იქნები, მას ხომ დღესაც არ გაუგია შენი არყოფნის შესახებ. მაგრამ ყველაზე მძიმე მისთვის მაისის თვე იქნება – მოვა და არ დახვდები. შენს მოსაფერებელს ვის მიეფერება, ვის მი ესიყვარულება, შენ ხომ მისთვის ერთ-ერთი, ლამაზი იუმორით სავსე, უსაყვარლესი ბიძა იყავი.

სხვა მხრივ კი, ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდება. ჩვენ შევეჭიდებით შენს საზიდ ტვირთს, ჩვენ განვაგრძობთ შენს საქმე-საკეთებელს. მუდამ გვემახსოვრები, მარადიულად გიერთგულებთ და თუმცა, სიმბოლურად, მაგრამ მაინც გაგრძელდება შენი სიცოცხლე – შენეულად ლამაზი, უმწიკვლო და განუმეორებელი.

*შენი საყვარელი ოჯახი*

**ანა და ჯემალ კოლაშვილების მონატრება**





ნოემბრის თვე რამდენადაც სასიხარულო იყო ჩვენთვის – თქვენი შვილებისთვის, იმდენად მტკივნეულია ახლა.

11 ნოემბერს, დედა, 67 წელი უნდა შეგსრულებოდა, 13 ნომბერი კი, თქვენი ქორწინების დღე იყო. დედა, 5 წელია, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ, ხოლო 25 ნოემბერს კი, მამის წლისთავი სრულდება.

გვიჭირს უთქვენობა, ძალიან გვენატრებით და გვაკლიხართ. თქვენ ხომ ამაგდარი მშობლები და პაპა-ბებია იყავით.

თქვენი სიყვარულით შექმნილ ოჯახში, უფროსი შვილიშვილის შვილი – პატარა მარიამი დარბის. კარგი იყო, თქვენც მოსწრებოდით ამ დიდ სიხარულს, მაგრამ ავადმყოფობამ არ გაცალათ არც ერთს შვილებსა და შვილიშვილებში გახარება, უდროოდ შეწყვიტა თქვენი ლამაზი ცხოვრება და მარადისობაში დაგიმკვიდრათ სამუდამო სასუფეველი. მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა.

ილოცონ თქვენმა სულებმა თქვენი შვილებისა და ოჯახებისათვის.

დაე, ჩვენი ანთებული სანთლები გინათებდეთ სამუდამო სასუფეველს.

*თქვენი შვილები, ალბერტი და მარიკა კოლაშვილები ოჯახებით.*

**ირაკლი ჩიტორელიძის მონატრება**



ირაკლი, ჩვენო უსაყვარლესო, ულამაზესო და დიდი ტკივილის მომტანო. უკვე ერთი წელია, გვტანჯავს უშენობა. შენ ხომ ჩვენი უფროსი, სამაგალითო დეიდაშვილი იყავი, დეიდაშვილი, რომელიც სიცოცხლის, ცხოვრებისა და საყვარელი ადამიანების სიყვარულით იყო აღსავსე – იმ უცნაური სიყვარულით, რომელიც შენმა საყვარელმა ადამიანმა თავისი გულცივობით ვერ გაგიგო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულე. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები. არასოდეს განელდება ტკივილი, რომელსაც უშენობით განვიცდით. უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი უმანკო, ლამაზი, სპეტაკი და კეთილი სული.

*შენი მოსიყვარულე დეიდაშვილები*

**ირაკლი ჩიტორელიძის მონატრება**



გაუსაძლისი, ტანჯვისა და წამების ერთი წელი გადის უშენოდ, ჩვენო მონატრებულო შვილო. 21 ნოემბერი – ამ დღემ 2000 წელს დიდი ბედნიერება მოგიტანა, მაგრამ ამ ბედნიერებით თავს დიდი უბედურება დაგატყდა და შენი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრე, რითაც სამუდამოდ გაამწარე და დაადუმე შენი ოჯახი.

ირაკლის სიცოცხლე ერთი პატარა სიყვარულის ისტორია გახლდათ, რომელიც ვერ წაიკითხეს, ვერ გაიგეს და ბედისწერამ სიკვდილი აჩუქა.

ღმერთს ვევედრებით ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. ამავე დროს, იმედი გვაქვს, უფალი ყველას თავისას მიუზღავს შენი გულისათვის.

*შენი დედ-მამა, ძმა*

**გივი აზრუმელაშვილის ხსოვნას!**



ტკივილით და ცრემლით სავსე დრო გავიდა უშენოდ. ერთმა ავბედითმა წუთმა დაამსხვრია და ცას შეატოვა ოჯახის ბედნიერება. სამუდამოდ დაცარიელდა ის შეუცვლელი ადგილი, რომელიც შენ გეკავა. დღეს უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს და ისღა დაგვრჩენია, შენი ნათელი ხსოვნა შევინახოთ ჩვენს გულებში.

*ოჯახი*



**გაბო (გაბრიელ) შენგელიას ხსოვნას!**

ამ კვირას ორმოცი დღე სრულდება, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ, ჩვენო საყვარელო დეიდაშვილო გაბო. გაუსაძლისია შენი მშობლების, ძმის, დეიდაშვილ-ბიძაშვილების, მეგობრებისა და ნათესავების მწუხარება.

დასრულდა ჩვენი ერთად ყოფნის უბედნიერესი ხანა.

ლანას თვალებში მონატრების და განშორების დარდი ჩანს.

ჩვენ ვლოცულობთ შენი სულის სასუფეველში დასამკვიდრებლად.

*დეიდაშვილები: დათო, თეა და ეკა სამუშიები*

**ლილი პატარიძის გახსენება**



უკვე მეორე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. მოულოდნელად წახვედი ჩვენგან. შენმა სათუთმა გულმა ვერ გაუძლო ობლობაში დაზრდილი დედმამიშვილების სიკვდილს, მათკენ გაგიწია გულმა. ჩვენ კი დაგვტოვე უზომო სევდასა და დარდში. ღმერთსაც კარგი უნდა თავისთვისო, – ამბობენ. ალბათ, ამიტომაც გამოგვეცალე ხელიდან აღდგომა დღეს. ერთადერთი ნუგეში, რაც დაგვიტოვე, შენი სულია, სამოთხეში რომ გვეგულება.

რამდენი რამ დაგვიგროვდა სათქმელი... გვენატრები, გვიყვარხარ, შენს სულს ვფიცულობთ...

*ახლობლები*

რაც იდუმალებით მოსილი მასალების შეგროვება დავიწყე, ბევრჯერ გამაგონეს ეჭვიანი კითხვა, — ხომ არ იგონებო. მაგრამ უნდა გითხრათ: როგორც უნდა მოვინდომო, ჩემი ფანტაზია ვერასოდეს გასწვდება ასეთი საოცრებების მასშტაბებს...

ამბავი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, ერთ-ერთ „ურწმუნო თომას" შეემთხვა, რომელიც ყოველი შეხვედრისას მიმეორებდა, — არა, არ მჯერა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო!.. ერთხელ მითხრა: „ერთადერთი, უფლის არსებობაში არ შემპარვია არასოდეს ეჭვი და სასწაული მან მომივლინა, რათა დაემტკიცებინა, რომ სამყარო იმდენად უსასრულოა, ადამიანის გონება ვერასოდეს შეძლებს მის მართვას!..."

გიორგი ჩემი ბიძაშვილია. მშობლიური სოფელი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში მიატოვეს ჩვენმა წინაპრებმა და ქალაქში გადასახლდნენ. დედაქალაქში პოვეს განსასვენებელი გიორგის ბაბუამ, მამამ და ბიძებმა. სოფლად მათი გადასვენება არავის უფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი პაპის, შალიკოს, დანატოვარი დრო-ჟამისაგან გახუნებული რიკულებიანი ხის სახლი ისევ იდგა. სოფლელები პატრონობდნენ მოგონებებში დარჩენილი კარგი მეზობლის დანატოვარს და იმედიც ჰქონდათ, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად მოიკითხავდნენ წინაპართა საფლავებს შთამომავლები და ძველი სახლის დანახვაც ისევე გაახარებდათ, როგორც ცოცხალი და ძვირფასი არსებისა..

# სიხარულიც ანათმბს თურმე საიქიოს!..



— ვერ მოგატყუებ, არავითარ მიწის ძახილს და წინაპართა სისხლის ყივილს არ გაუღვიძია ჩემში, აზრადაც არ მომივიდოდა, თუ ისევ მელოდებოდა დიდი პაპის დანატოვარი. შემთხვევით მოვხვდი რაჭაში საახალწლოდ. თანამშრომელი გვყავს იქაური და რამდენიმე ბიჭი ღორის დაკვლაზე დაგვპატიჟა. აბა, ქეიფსა და ღორის მწვადებზე უარს ვინ ამბობს, მაგრამ მე ცნობისმოყვარეობამაც წამიყვანა სოფელში. 32 წლის კაცი ვარ და არასოდეს ვყოფილვარ მამულში. რეზო, ჩვენი მასპინძელი, ჩემი სოფლის მეზობელი სოფლიდანაა...

ღორი დავკალით, კარგად მოვილხინეთ, რეზოს მეზობლები გავიცანი, გამოვეცნაურე. ერთს დედა ჰყოლია ჩემი მოგვარე, ის მოიყვანა. რომ გაიგო, ვისი შვილიშვილი ვიყავი, ატირდა სიხარულით: — მე მართლა სტუმარი მეგონე, შენ კი მასპინძელი ხარ, ბაბუაშენის სახლი ისევ დგას და სული არ წაიწყმიდო, ისე არ გაბრუნდე თბილისში, მისი კარი არ შეაღოო. იმავე დღეს გადავედი მშობლიურ სოფელში, სადაც ისე შეხვდნენ ჩემს გამოჩენას, თითქოს ყველაზე ნანატრი და ნაოცნებარი ნათესავი ჩაუვიდათ. წამიყვანეს, გამიღეს ეზოს ჭიშკარი და სახლის კარი. მართლა რომ უვლიდნენ და ძველ კრამიტს უცვლიდნენ, თორემ რამ გააძლებინა ასე, მე-19 საუკუნის ბოლოს აშენებულ ხის სახლს?! თქვენ წარმოიდგინეთ, რკინის საწოლები, მაგიდა და ტახტიც იდგა, რამდენიმე სკამიც. ბუნებრივია, სიძველისაგან ობი მოსდებოდათ... პატარა ოთახში აკვანიც კი იდგა. მითხრეს, — ამაში მამაშენი გაიზარდაო!..

არ ვემეტებოდი ნათესავებს, ოჯახიდან ოჯახში მატარეს, მეფერებოდნენ, მლოცავდნენ და ყველა მაფიცებდა, — ნუ მიატოვებ აქაურობას, ზაფხულობით მაინც ჩამოდი და გააცოცხლე ეზოო!

დავიფიცე, აუცილებლად განვაახლებდი პაპისეულ სახლს და ასეც მოვიქეცი. მაისის ბოლოს საშენი მასალები ავიტანე სოფელში და სახლი კაპიტალურად შევაკეთე. ივნისის ბოლოს ავეჯიც მივიტანე და ივლისში ცოლ-შვილით ჩავედი. ორი ბიჭი მყავს — 9 და 7 წლისანი. უფროსს შალვა ჰქვია, დიდი პაპის მოსახელეა.

დიდი ხანია აგარაკის შეძენა გვქონდა განზრახული. ჩემმა მეუღლემ — ასეთი სოფლის პატრონი სხვაგან რას ეძებდიო, მისაყვედურა, ძალიან მოეწონა ჩემი წინაპრების სამყოფელი და მეც საოცრად ბედნიერი ვიყავი ამის გამო.

სასწაული კი ჩვენი ჩასვლის პირველსავე ღამეს მოხდა: თერთმეტი საათი იქნებოდა, მეუღლე ბავშვებს დასაძინებლად ამზადებდა, მე ტელევიზორთან ვიჯექი. უცებ შუქი ჩაქრა. კიდევ კარგი, სანთელი გვქონდა მომარაგებული. მოვძებნე და რამდენიმე ავანთე. კარის მისახურად რომ მივტრიალდი, უცებ ზღურბლზე მდგარი მაღალი, ჩოხა-ახალუხიანი, თეთრი თმა-წვერით მოსილი კაცი დავინახე, რომელიც ღიმილით მიცქერდა... მაშინვე ვიცანი — ძველი ფოტოსურათიდან გადმოსულს ჰგავდა საიქიოდან უზენაესის ნებით მობრუნებული პაპაჩემი შალიკო... უნებურად ცოლ-შვილისკენ მივიხედე. ისინიც გაოცებულები მისჩერებოდნენ ღამეულ სტუმარს, რომელმაც მარჯვენა ასწია, პირჯვარი გადაგვსახა და... გაქრა! კაცი გაქრა და... შუქიც აინთო!..

ახლა, ასე მგონია, რომ არც იმ შუქის ჩაქრობა იყო შემთხვევითობა და ისიც სასწაულის ნაწილი იყო...

ბაბუამ უთუოდ მადლობა გვითხრა ჩამქრალი კერის გაღვივებისთვის. პატარები ადვილად დავარწმუნეთ, რომ უჩვეულო არაფერი მომხდარა. რომ გაიზრდებიან, მერე გავახსენებთ, რაც მოხდა. ახლობლებს ვუთხარით, ზოგმა დაიჯერა, ზოგმაც — მოგეჩვენებოდათო. არადა, როგორ შეიძლებოდა ოთხ ადამიანს ერთი და იგივე დაგვენახა ზებუნებრივი ძალების ჩაურევლად?! სიხარულმა დააბრუნა ლამის ასი წლის წინ გარდაცვლილი ბაბუა წამიერად, უფალმა კი დაგვიმტკიცა, რომ სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება და წარსული აწმყოსა და მომავლის შემადგენელი, განუყოფელი ნაწილია. იმიერშიც თან მიჰყვება ადამიანს სიხარული თუ ტკივილები თურმე. ორი თვე დავრჩით სოფელში და ბაბუა აღარ გამოგვცხადებია.

ბაბუას საკურთხი გავუკეთეთ, შესანდობარი ვუთხარით, მღვდელი მივიყვანეთ საფლავზე, პანაშვიდი გადავახდევინეთ. ახლა ძალიან მინდა ბაბუა და მამაჩემიც გადავასვენო შალიკო პაპას გვერდით, თავის დროზე კი მეც წინაპართა მიწაში მინდა დავიმარხო.

არ მეეჭვება, ამასაც აქვს მნიშვნელობა და თავისებური მადლი!..

რა თქმა უნდა, ექნება! წინაპართა დავიწყება არაა მოსაწონი და როგორც ბრძენმა თქვა, ხის სიმაღლე ხომ მისი ფესვების სიძლიერით განისაზღვრება და არა მიწის ზემოთ არსებული სიგრძე-სიგანით!

წარსულის პატივისცემა კი აუცილებლად სიკეთედ ექცევა ჩვენს მომავალს!..

***ინგა ჯაყელი***

# რონალდო — თანამედროვე ტუტანხამონი



კომპიუტერული დიაგნოსტიკის მეშვეობით ბრიტანელმა მეცნიერებმა ტუტანხამონის სიკვდილის შემდეგ აღებული ოქროს ნიღაბი გამოიკვლიეს, რათა ძველი ეგვიპტის მმართველის რეალური გამოსახულება მიეღოთ. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. უმაღლესი ტექნოლოგიით აღდგენილი ქმნილებიდან ჩვენი თანამედროვის — ბრაზილიელი ფეხბურთელის, რონალდოს სახე იყურებოდა.

რონალდოს და 18 წლის ასაკში პროსტატიტით გარდაცვლილ ეგვიპტის ფარაონს ერთნაირი დაავადებაც კი აღმოაჩნდათ — კურდღლის ტუჩი.

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, — ხომ არ მოხდა ტუტანხამონის რეინკარნაცია რონალდოს სახითო.

ვინ იცის...

***ნოიე რევიუ***

**ჩვენ გვწერენ**

# გაითვალისწინეთ და დამეხმარეთ!

მე გახლავართ ვაჟა გიორგის ძე ბიწაძე, აფხაზეთიდან ლტოლვილი. ამჟამად ვცხოვრობ ქალაქ ხაშურში. მივმართავ ყველა ქვეყნის მეცნიერს, გამოიჩინონ სიფხიზლე კოსმოსური სივრცისადმი, რადგან ჩვენი პლანეტა აღმოჩნდა ძალიან ახლოს კოსმოსში მიმდინარე პროცესებთან. ჩვენ გვაფრთხილებენ აი, ამ ნიშნებით:

ვინც ელექტრობა იცის, გასაშიფრიც აღარა-



ფერია, რადგან დაახლოებული გვაქვს ორი ენერგიის წყარო, კონდენსატორი, სადაც ეს ენერგიები გროვდება. გვაქვს გაორმაგებული ენერგია და განმუხტვა.

ჩვენ მიგვითითებენ, რომ განმუხტვის დროს კოსმოსურ სივრცეში წარმოიქმნება დადებითი მუხტები.

თუ გავითვალისწინებთ გამოცხადებას და უფლის მოსვლის დროს, მაშინ მივხვდებით, რომ დაიწყო აღსრულება წინასწარმეტყველებისა.

გთხოვთ დამეხმაროთ, რათა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოვინახულო სამი ადგილი: გაგრა, იფნარი, აჭანდარა. აქ უნდა ვიპოვო ყვითელი ფერის ქვა, გამოქვაბული და კლდეზე გამოკვეთილი ჯვარი, რომელიც მარტო წვიმის დროს ჩანს...

***ვ. ბიწაძე***
***ხაშური, კალინინის ქ. №21***

# ჰიპოთეზები:

...აქამდე მიაჩნდათ, რომ ადამიანის თავის ტვინის ნერვული უჯრედები აღარ აღდგება. მიუხედავად ამისა, იაპონელმა მეცნიერებმა მაინც იპოვეს ხერხი, რომლითაც შესაძლებელია ნერვული უჯრედების აღდგენა, ოღონდ ჯერჯერობით ცდები თაგვებზე ჩაატარეს. მღრღნელის ტვინში შეჰყავთ განსაკუთრებული ცილა, მისი ზემოქმედების შედეგად, ტვინი აქტიურად იწყებს ორგანიზმისთვის საჭირო ნეირონების გამომუშავებას.

...ცნობილია, რომ ადამიანი 25 წლამდე იზრდება. ამის შემდეგ ორგანიზმი ნელ-ნელა დაბერებას იწყებს. როგორც შვეიცარიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, არსებობს ორგანო, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეზრდება ადამიანს. ეს არაჩვეულებრივი ორგანო ყოფილა... ცხვირი. საშუალოდ, ასი წლის კაცის ცხვირის სიგრძე 7-დან და 9,5 სმ-მდეა.

...ინგლისის რეპროდუქციული მედიცინის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ამიერიდან ბავშვის სქესის გამოცნობა მის ჩასახვამდე იქნება შესაძლებელი. თუ ფსიქოლოგიური ტესტით დაადგენენ, რომ ქალს ლიდერის გამოკვეთილი თვისებები აქვს, მაშინ დიდია ალბათობა, რომ მას ვაჟი შეეძინება. მეცნიერები ამ ფაქტს ქალი-ლიდერის სისხლში მამაკაცური ჰორმონის, ტესტოსტერონის მოჭარბებული რაოდენობით ხსნიან.

***ნიუ ზუიქი***

# ადამიანი — მაგნიტი



ნაგასაკელი ჰაიუტორი ტონაკას მეზობლები დასანახავად ვერ იტანენ — მათ ტონაკას უნიკალურმა თვისებებმა მოაბეზრა თავი. საქმე ის არის, რომ მისი სხეული ნამდვილი მაგნიტია — ეწებება ყველაფერი, რასაც კი მიეკარება: კოვზები, ჩანგლები, უთოები... ხურდა ფული ნაცნობ-უცნობების საფულეებიდან, რომ იტყვიან, თავად „ახტებიან" კაცს.

თავისი ფენომენის საჯარო დემონსტრირებით ტონაკა არღვევს იაპონურ ტრადიციას — არ შეიჭრეს სხვის სივრცეში (სხვის საფულეშიც!), მაგრამ ადამიანი-მაგნიტი დასავლური სტილით მოქმედებს — ორთოდოქს იაპონელებს, რომელთაც მორჩილება ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი, წამში ისე გაასუფთავებს, საბრალოები უმწეოდ აფახულებენ თვალებს. ბუნებრივია, რომ ანცი „მაგნიტი" არ უყვართ.

***ვოტ ტაკ! №45***

## „საზალდო–სალაღო"
## გვერდის პასუხები

**I.** გიორგობისთვე.

**II.** 1) — დ) 2) — ბ); 3) — ბ);
4) — ბ); 5) — ა); 6) — დ).

**III. რებუსი**
ნამდვილი მეგობარი ჭირში გამოიცნობაო.

**IV.** ყანჩა.

# ქლამიდიური ინფექცია — ფარული საშიშროება

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, ქლამიდიური ინფექცია, როგორც სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზობრივი ფაქტორი, მრავალმხრივი გამოკვლევის ობიექტი ხდება.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს შორის, გენიტალიური ქლამიდიოზი მეორე ადგილზეა და პირველ „რვიანში" შედის (ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, გონორეა, გენიტალიური ჰერპესი, სიფილისი რბილი შანკრი და ა.შ.).

გენიტალიური ქლამიდიოზის მკურნალობაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 2,4 მილიარდი დოლარი იხარჯება, რაც შესაძლებელს ხდის მისი გავრცელების შეზღუდვას.

საქართველოში ქლამიდიური ინფექცია, გინეკოლოგიურ ანთებით დაავადებათა 60%-ის მიზეზია. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა უროგენიტალიური ტრაქტის დაზიანებისა, ქლამიდიოზი იწვევს რეიტერის დაავადებას, ფარინგიტს, პროქტიტს, კონიუქტივიტს, ოტიტს, პნევმონიას, გასტროენტერიტს და სხვა. ინფექციის შესასვლელ კარიბჭეს უმეტესად ადამიანის შარდსასქესო ორგანოები წარმოადგენს.

ქლამიდიოზი ქალებში ლორწოვან-ჩირქოვანი ინფექციების წარმოშობის მიზეზია. მისი დამახასიათებელი სიმპტომებია: ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენი, შემდგომში ვითარდება შეშუპება და საშვილოსნოს ყელის ერითემა. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ არანამკურნალევი ქლამიდიური ინფექცია სიმსივნის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზია. განსაკუთრებით საშიშია მისი გავრცელება მცირე მენჯის ორგანოებზე. ამ პათოლოგიის აქტიური გავრცელების მიზეზი მისი ფარული მიმდინარეობაა. საწყის ეტაპზე, ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაავადება პრაქტიკულად უსიმპტომოდ ვითარდება, რაც შემდგომში, უნაყოფობას ან საშვილოსნოსგარე ორსულობას იწვევს. ქლამიდიოზით გამოწვეული უნაყოფობა საერთო რიცხვის 72,7%-ს შეადგენს! ინფიცირებული ქალის დაფეხმძიმების შემთხვევაში, ძალზე ხშირია ნაადრევი მშობიარობა, თვითნებური აბორტი და ნაყოფის თანდაყოლილი სიმახინჯეები. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია დაავადების დროული დიაგნოსტიკა.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი" ქლამიდიური ინფექციის მკურნალობა მიმდინარეობს ისრაელის წამყვან კლინიკებში შემუშავებული და დანერგილი მეთოდიკის მიხედვით. მკურნალობის ძირითადი პრინციპები შემდგომში მდგომარეობს:

1) სპეციფიური ანტიბაქტერიული თერაპია.
2) ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლება და ზემოქმედება ბიოიმუნურ პროცესებზე.
3) ანტიბიოტიკებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების მოხსნა.

სამედიცინო ცენტრში გათვალისწინებულია მკურნალობის ყველა ძირითადი ასპექტი. თანამედროვე მაღალეფექტურ პრეპარატებთან ერთად გამოიყენება მკვდარი ზღვის უნიკალური ბიოორგანომინერალური კომპლექსი და ფიზიოთერაპიული პროცედურები. საკმაოდ დიდი ეფექტურობით გამოირჩევა ე.წ. „პულს-თერაპია. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, პრობლემისადმი ამგვარმა კომპლექსურმა მიდგომამ, მკურნალობის დადებითი შედეგი 92%-მდე გაზარდა.

ქლამიდიური ინფექცია საშიში დაავადებაა, რომელიც ქალის ორგანიზმს გამოუსწორებელ ფიზიოლოგიურ, შემდგომში კი მორალურ ზიანს აყენებს. ნუ დაკარგავთ შესაძლებლობას დაიბრუნოთ ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე.

**სამედიცინო ცენტრი**
**„ექიმი გილი"**
**ფალიაშვილის 44/5**
**ტ: 29-05-25 25-27-09**

## შაოლინი უჩივის



სიტყვა „შაოლინი“ თურმე კარგა ხანია იხმარება ბუდისტი ბერების თემთან შეუთანხმებლად. მონასტრის სახელი ჰქვია წამლებს, პროდუქტებს, ავეჯს, ავტომობილებს და თვით არაყსაც კი! ახლა ბერების მოთმინების ფიალა აივსო და გადაწყვიტეს სიტყვა „შაოლინსა“ და „შაოლინის მონასტერზე“ თავიანთი საავტორო უფლებების გაფორმება...

მსოფლიო შეშფოთებულია...

სხვათა შორის, ეს ამგვარი პრეტენზიების წამოყენების პირველი შემთხვევა არ გახლავთ — ერთმა ამერიკელმა ქალბატონმა, ვინმე ფილის ფურუმოტომ, სიტყვა „რეიკი“ გაიფორმა, როგორც საკუთარი სავაჭრო ნიშანი.

რეიკი — მსოფლიოში ყველაზე პოპულარული გამაჯანსაღებელი სისტემაა. მისი შემქმნელი იაპონელი ბერია. ადრე საავტორო უფლება არავის ეკუთვნოდა. ახლა კი ყველა, ვინც კი აშშ-ში რეიკიში სემინარებს ატარებს ან ამ სისტემას იყენებს, ჭკვიან ამერიკელ ქალბატონს სოლიდურ თანხას უხდის.

მსგავსი ამბავი მოხდა რუსეთშიც, უშუს ცნობილ სტილთან, „ვინ ჩუნთან“ დაკავშირებით. ეს სტილი იმიტომაა პოპულარული, რომ მას ლეგენდარული ბრუს ლი იყენებდა, რომელსაც არაერთხელ განუსახიერებია შაოლინელი ბერების სახეები. რუსეთშიც გამოჩნდნენ თაღლითები, რომლებმაც სტილის სახელწოდება სავაჭრო ნიშნად გაიფორმეს.

ახლა შაოლინის ჯერი დადგა, მით უმეტეს, რომ ბერებს თითქოსდა საფუძვლიანი პრეტენზია აქვთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ შაოლინში ბერები აღარ არიან, გარდა წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებლისა.

მე-5 საუკუნეში დაარსებული მონასტერი არაერთხელ დაარბიეს, ბერები დახოცეს და განდევნეს. 70-იან წლებში კინობოევიკების წყალობით სტილი უშუ ძალზე პოპულარული გახდა. სახელმწიფომ მონასტრის აღდგენა გადაწყვიტა, „ბერებად“ კი სპორტული უშუს ინსტრუქტორები და სამხედრო პირები მიიწვიეს.

მილიონობით ტურისტი დაიძრა საბრძოლო ხელოვნების სავანის სანახავად. მონასტრის ირგვლივ ასობით „შაოლინური“ სკოლა გაიხსნა, სადაც საკმაოდ დიდ ფასად ერთ კვირაში ეუფლებოდა მსურველი უშუს „ყველა საიდუმლოს“ და შესაბამის დიპლომსაც იღებდა. ის, ვისაც ეჩქარებოდა, ხელმისაწვდომ ფასადაც აიღებდა დიპლომს ან შაოლინის ბერ-წინამძღვრის წოდებას (ეს უფრო ამბიციური და მდიდარი კლიენტისთვის იყო ხელმისაწვდომი).

ერთი სიტყვით, მონასტრისგან მხოლოდ სახელიღა დარჩა. მიუხედავად ამისა, მისი ბინადრები ათასწლოვანი ტრადიციის გამგრძელებლებად მიიჩნევენ თავს და როგორც მემკვიდრეები, პროცენტებსაც ითხოვენ. თუ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილეს, მაშინ მათთან შეუთანხმებლად ველარავინ გადაიღებს ფილმს უშუზე, ველარ დაწერენ წიგნებს და ველარც შაოლინის სტილს ისწავლის ვინმე.

***ვოტ ტაკ! №45***

## სიურპრიზიანი ვაშლი



კენტის საგრაფოში დაიწყეს ახალი ჯიშის ვაშლის მოშენება. ვაშლზე არის ჯადოქრის, სანტა-კლაუსის და სხვათა გამოსახულებები. ამ სურათებს ვაშლის კანს კი არ ახატავენ, არამედ მისი ნაწილია. ასეთი ხილის მოშენება იოლია და გენეტიკურ კვლევებთან კავშირი არა აქვს: ნაყოფზე სურათის შექმნის პროცესი იწყება გაზაფხულზე, როცა ის მწიფობაში შედის. ვაშლებს შემოახვევენ სპეციალურ ნაჭერს და მოსავლის აღებამდე ასე ტოვებენ. მერე ნაყოფს ხსნიან ნაჭერს, ვაშლებზე აწებებენ ნებისმიერ სურათს და დასამწიფებლად კიდევ ათი დღის განმავლობაში ტოვებენ. ამის შემდეგ დაწებებულ სურათებს ხსნიან და რჩება წითელი ვაშლი მწვანე სურათით. ასეთი სასაცილო სურათებიანი ვაშლები ბრიტანეთის მაღაზიების დახლებზე გამოჩნდება შობის და ახალი წლის დღესასწაულებზე.

***ოგონიოკი***

## გადავაკეთოთ „ცისფრები“!



ტაილანდის ხელისუფლება შეშფოთებულია — პატიმრები გასაოცარი ტემპებით გადადიან სექსუალური უმცირესობის რიგებში.

გამასწორებელი დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ როგორი რეაქცია ექნებოდათ პატიმრებს ქალის დანახვისას, როგორ შეიცვლებოდა მათი ფსიქიკა და ქცევა, რომლებიც უკვე ჰომოსექსუალისტები არიან.

ქალს პატიმარი პირისპირ ვერ შეხვდება, არც ინტიმზე შეიძლება ლაპარაკი — ფიზიკური სიახლოვე დაუშვებელია. თვალყურს მათ მკაცრად ადევნებს დაცვა. ასე რომ, გარკვეული დროით პატიმრები და ქალები მხოლოდ ერთობლივად იმუშავებენ. ნოემბრის ბოლოს პროვინცია ნაკხოსავანის მამაკაცების კოლონიაში 900 ქალს ჩაიყვანენ. „პატიმრებისა და ქალების მუშაობა მკაცრი კონტროლით წარიმართება. მართალია, ბევრ პატიმარს ეს გააღიზიანებს, მაგრამ ციხეებს დაკანონებულ საპაემანო სახლებად ხომ არ ვაქცევთ?!“ — განაცხადა დეპარტამენტის დირექტორმა.

ექსპერიმენტმა ნორმალურ სექსუალურ წიაღში უნდა დააბრუნოს ის პატიმრებიც, რომლებიც საბოლოოდ არ გადასულან „სხვა ორბიტაზე“. სწორედ მათ უნდა დაინახონ, რომ ამქვეყნად საპირისპირო სქესიც არსებობს. ციხის ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ექსპერიმენტის შემდეგ პატიმარ მამაკაცებს ერთმანეთის მიმართ ლტოლვა შეუნელდებათ, შესაძლოა, საერთოდაც აღარ გაიხედონ ერთმანეთისკენ. თუ ჩანაფიქრმა გაამართლა, მეთოდს ციხეებში სისტემატურად დანერგავენ. ამასთან, პატიმრებმა რომ ნაკლებად და იშვიათად უმზირონ ერთმანეთს „სიყვარულით სავსე“ თვალებით, ციხეებში მუსიკალური ჯგუფების შექმნა გადაწყდა.

***ეხო პლანეტი №44***

## „ესეც თქვენ, მამაკაცებო!“

ამერიკული იურისპრუდენციის ისტორია პათოლოგიურად ძუნწი კაცის ზანდუკს ჰგავს — პირთამდე სავსეა კურიოზებითა და უაზრობებით. მაგალითად, ერთხელ მოსამართლეებმა სოლიდური ჯარიმა გადაახდევინეს ქალაქ ლორედოს მკვიდრს მხოლოდ იმიტომ, რომ ძაღლის ბუდრუგანის დიზაინი თურმე სასურველ დონეს ვერ პასუხობდა.

ახლა კი ყველა გააოცა ფემინისტ-ექსტრემისტის, ქალბატონ რეინოლდსის ადვოკატმა. მის რეინოლდსს პოლიციელმა ქუჩაში შენიშვნა მისცა. ქალბატონმა ეს იუკადრისა, მუშტებით მივარდა და თვალიც ჩაულურჯა. „დესერტად“ კი ორი ნეკნიც ჩაუმტვრია. პარადოქსია, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა კინაღამ ბრალდებულის მხარე დაიჭირეს სასამართლოზე. მის რეინოლდსმა მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ქალის უბედურ ხვედრზე მამაკაცის უღელქვეშ. ცეცხლოვან მონოლოგს თან მძაფრი ჟესტიკულაცია ახლდა — დაკუნთულ ხელებს ზეცისკენ აღაპყრობდა, ბღავილით უხმობდა ღმერთს და მამაკაცების დასჯას სთხოვდა. ბოლოს, როგორც იქნა, დადუმდა, მერე დაბეგვილ პოლიციელს მომაკვდინებლად გადახედა და პიკანტური ჟესტიც აჩვენა — ესეც, თქვენ, მამაკაცებსო!



ახლა ნაფიცი მსაჯულები ფიქრობენ, ქალბატონი საგიჟეთში გაგზავნონ თუ ხანგრძლივი ვადით მიაბრძანონ ვირის აბანოში.

***კალეიდოსკოპი***

## მსოფლიოში ყველაზე დიდი ხის სახლი



ინგლისელი ჰერცოგ ნორთუმბერლენდელის მეუღლეს ხელისუფლებამ მსოფლიოში ყველაზე დიდი ხის სახლის აშენების უფლება მისცა.

ორიგინალური ნაგებობა, სახელად Tree Topia, გიგანტური ხეებისგან აშენდება და, ძირითადად, საგანმანათლებლო ფუნქცია ექნება — აქ ჩატარდება ტრენინგები, გაიცვლება ინფორმაციები.

საგვარეულო ციხესიმაგრის ბაღების აღდგენაში დახარჯული თანხების ასანაზღაურებლად, ქალბატონმა 4,5 მლნ გირვანქა სტერლინგად ღირებული უზარმაზარი ხის ნაგებობა შეუკვეთა ოსტატებს. სახლს ირგვლივ უამრავი პატარა კოშკი ექნება, ისეთები, როგორებიც ფილმ „ბეჭდების მბრძანებელში“ უნახავს მაყურებელს. ოთახებს ერთმანეთს ხრახნულა, ბიბლიური კიბეები შეაერთებს. სახლში იქნება რესტორანი, სათამაშო მოედანი და ა.შ.

ჰერცოგის მეუღლეს გადაწყვეტილი აქვს ინგლისში ვერსალის მსგავსი ბაღები გააშენოს. ჩანაფიქრის განხორციელების შემდეგ, ჰერცოგ ნორთუმბერლენდელის ციხესიმაგრე ენიკის შემოგარენში კიდევ უფრო დამშვენდება — რესტავრაციის პირველი ეტაპისთვის კი უკვე დახარჯულია 42 მლნ გირვანქა სტერლინგი.

***ნიუ ზუიქი***

## ჰალსტუხი — დისკრიმინაციის სიმბოლო



დიდი ბრიტანელი სახელმწიფო მოსამსახურეები გაუნელებელი ინტერესით ადევნებენ თვალყურს თავიანთი თანამემამულის ტანსაცმელში ტრადიციული ინგლისური კონფორმიზმის წინააღმდეგ თამამ გამოსვლებს, 46 წლის იან ჯარმანმა შესაძლოა შექმნას იურიდიული პრეცედენტი და მნიშვნელოვნად შეცვალოს სამსახურში ქცევის კოდექსი.

ჯარმანის პროფესია სოციალური შეღავათების განაწილებაში დარღვევების გამოვლენას ითვალისწინებს. მას პრეტენზიებით მისული მოქალაქეების მიღება არ უხდება, ამიტომ ტანსაცმლის თავისუფალ სტილს ამჯობინებს — გულგაღეღილ პერანგს, სადა შარვალსა და ჩვეულებრივ, სადაგ დღეებში სახმარ წაღებს.

წლეულს შრომითი მოწყობისა და პენსიების დეპარტამენტმა თანამშრომლებს სამსახურში ჰალსტუხით სიარული დაუწესა, მაშინ, როცა ქალებს „სტანდარტული ჩაცმულობის“ გამოყენების უფლება აქვთ. იან ჯარმანმა ეს სქესობრივ დისკრიმინაციად აღიქვა და სასამართლოში სარჩელი აღძრა. მას უკან დასახევი არც აქვს — ახალი განაწესის დარღვევისთვის სამუშაოდან დაითხოვენ — ჯარმანს კი სულაც არ სურს წელიწადში 16.000-სტერლინგიანი სამსახურის დაკარგვა.

***დეილი მეილი***

## ხალარო ვირთხამ გაძარცვა

შვედეთის ქალაქ ტრულჰეტანეში ზოომაღაზიიდან ერთ ღამეს ორი ათასი დოლარი გაქრა. მაღაზიის თანამშრომლებისა და პოლიციის მცდელობის მიუხედავად, ქურდი ვერ აღმოაჩინეს. გისოსიანი კარ-ფანჯარა ჩაკეტილი იყო, ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, როგორ შეაღწია მაღაზიაში მოხერხებულმა მძარცველმა.

მაღაზიის თანამშრომლებმა შეამჩნიეს, რომ გალიიდან ერთი ვირთხა გაუჩინარდა. გაქცეულის პოვნა ერთ კვირაში შეძლეს სუნით, რომელიც ერთ-ერთი კარადიდან გამოდიოდა. გამყიდველებმა კარადა გამოსწიეს და დაინახეს ბუდე, რომელშიც ახალდაბადებული წრუწუნები ისხდნენ. ბუდის ძირში კი მზრუნველ დედიკოს ასდოლარიანები ჩაეფინა.

***ინტერპოლ-ექსპრესი №42***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში პითაგორას სიტყვებს ამოიკითხავთ.

| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | ს | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| უ | ა | რ | თ | ლ | ე | ო | რ | ა | ო | ო | ა | უ | მ | ნ | ლ | ა | ი | ა | | ა | თ | მ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ.** საჯარო კამათი; **ა.** ოთახში ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის სხივი; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს.** ოქროსგან გაკეთებული მკერავის იარაღი, რომლითაც წლის საუკეთესო კუტიურიეს ასაჩუქრებენ; **ვ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ე.** მსახიობ მაიკლ დუგლასის ეროვნება; **ნ.** ქალაქი იტალიაში; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **პ.** პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** ძველებური ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** ინგლისური საავტომობილო ფირმა; **ტ.** ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; **რ.** ცხოვრების, შრომის, დასვენების და კვების მტკიცედ დადგენილი წესი; **ა.** კავშირი; **ს.** იოსებ სტალინის ერთ-ერთი ფსევდონიმი; **თ.** საჯინიბო; **ა.** შოთა, ილია, ..., ვაჟა და გალაკტიონი — ჩაწერეთ გამოტოვებული სახელი; **ნ.** ბუდისტების სამოთხე; **ე.** ტელევიზორების ფირმა; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **თ.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ა.** გულის მოქმედების ნორმალური რიტმის დარღვევა; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დოინჯი; **ა.** ანგარი; **ი.** ილიონი; **ს.** საჩმო; **ვ.** ვიერი; **ე.** ერმაკი; **ნ.** ნესკაფე; **ე.** ეკალი; **დ.** დახაუ; **ა.** აღაზა; **გ.** გოლიათი; **ა.** ალგეთი; **ე.** ეტალონი; **რ.** რაზდანი; **თ.** თარაზო; **ე.** ელდინო; **ჩ.** ჩიორა; **ვ.** ვაბანკი; **ე.** ელადა; **ნ.** ნისია; **თ.** თამარი; **ა.** აზარტი; **ნ.** ნაგანი; **ე.** ემოცია; **რ.** რანგუნი; **თ.** თხემი; **ა.** ალბიონი; **დ.** დისნეი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: იგი ჩემს ახალგაზრდობას მაგონებს.**

# ავტოსალონი

## Nissan Murano



ჩრდილოეთ ამერიკის საავტომობილო ბაზრის 27% მხოლოდ ყველგანმავლებს უჭირავთ. ასეთ სიტუაციაში კიდევ ერთი ახალი მოდელის გამოჩენა ალბათ ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ „ნისანის“ ახალ ჯიპს კონკურენციის ნამდვილად არ უნდა ეშინოდეს, თუნდაც ამერიკის ბაზარზე აპირებდეს შესვლას. მსოფლიოში დღესდღეობით ყველგანმავლის 50-ზე მეტი სხვადასხვა მოდელი არსებობს, თუმცა მათგან ძალიან ცოტა თუ აკმაყოფილებს ნამდვილი ჯიპის მოთხოვნილებებს. ასეც რომ იყოს, ავტომობილი, ჩვეულებრივ, უზარმაზარი და ამასთან არაეკონომიურია ხოლმე. რაც შეეხება „ნისან მურანოს“, შეიძლება ითქვას, რომ იაპონელებმა ტრადიციულად, თავი გამოიდეს და შეუძლებლის გაკეთება სცადეს. ახალი ჯიპი ერთდროულად კომპაქტურიც არის, კომფორტულიც და ნამდვილი ყველგანმავალიც. რაც ყველაზე მთავარია, საკმაოდ მძლავრი და სოლიდური ზომების ავტომობილი საკმაოდ ეკონომიურია. ალბათ, უპრიანი იქნება, თუ ავტომობილის განხილვას მისი ზომებით დავიწყებთ — „მურანოს“ საბარგულის ტევადობა 2,4 კუბურ მეტრზე მეტია, სალონი კი გაცილებით მოცულობითია, ვიდრე საკმაოდ სოლიდური MDX და Toyota Highlander-ისა. 3,5 ლ მოცულობის, V6 ტიპის ძრავა 245 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს. რაც შეეხება საწვავის ხარჯს, მთავარი გაოცება აქ გელით: ავტომობილი ქალაქის პირობებში 100კმ-ზე 11,9 ლ-ს მოიხმარს, ქალაქგარეთ, ტრასაზე კი 8,9 ლ-ს. იაპონელ კონსტრუქტორთა წარმატების საიდუმლოება გადაცემათა კოლოფში მდგომარეობს. მის ნაცვლად ჯიპს ე.წ „ვარიატორი“ უყენია. სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა არა მხოლოდ სიჩქარეებს ცვლის, არამედ გზის საფრის და ძრავის დატვირთვის შესაბამისად არჩევს ბრუნვათა რიცხვს და სიმძლავრეებსაც. მისი წყალობით, „მურანო“ თავს უგზოობაშიც ისევე კარგად გრძნობს, როგორც ჩვეულებრივ გზაზე, ან ქალაქის პირობებში მოძრაობისას. ავტომობილის დიზაინი საკმაოდ ორიგინალური და მშვიდობისმოყვარეა (მისი კლასის ჯიპებისგან განსხვავებით). წინა მხარე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ავტომობილი „იცინის“. რაც შეეხება სალონს, აქაც ყველაფერი უმაღლეს დონეზეა, კლიმატკონტროლით დაწყებული და სავარძლების გამათბობლით დამთავრებული. აუდიომართვის ღილაკები მანქანის საჭეზეა განთავსებული, ისევე, როგორც მინების ელექტროამწევი. საბაზო კომპლექტაციიდან აღსანიშნავია სამუხრუჭე სისტემა სპეციალური ვენტილაციით. ჯერჯერობით ავტომობილი მხოლოდ ამერიკული ავტობაზრისთვის არის განკუთვნილი, ფასიც შესაბამისად, მაღალი აქვს. რაც შეეხება ევროპას, როგორც ჩანს, იაპონელები მის დაპყრობას მას შემდეგ ვარაუდობენ, რაც „მურანო“ სერიულ წარმოებაში გამყარდება და გაიაფდება.

## «ზონდა» ტოლს არავის უდებს

საკმაოდ პოპულარული „ზონდას“ რეინკარნაცია წარმატებით შედგა. ხელით აწყობილი იტალიური „სუპერმობილი“ „ფერარისთან და „პორშესთან“ პოზიციების დათმობას არ აპირებს. მით უმეტეს, რომ მის ახალ მოდიფიკაციას 7,3ლ (!) მოცულობის ძრავა აქვს. „მერსედეს-ბენცის“ საკონსტრუქტორო ბიუროში შემუშავებული ძრავა 555 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს და 450 კმ/სთ სისწრაფის განვითარება შეუძლია. იტალიელები შეგნებულად არ აყენებენ სისწრაფის მექანიკურ შემზღუდველს — როგორც ჩანს, ესეც კონკურენტებთან ბრძოლის ერთგვარი ხერხია. ავტომობილის ფასი უცნობია, თუმცა, თუ მისი სალონის ძვირფასი ხისა და ნატურალური ტყავის მიხედვით ვიმსჯელებთ, არც ისე იაფი იქნება.



## ფრანგები გერმანელებს ეჯიბრებიან...



„ავტოსალონის“ წინა გამოშვებაში „ფოლკსვაგენის“ ახალ პროექტზე მოგითხრობდით, რომლის მიხედვითაც „გოლფები“ ბენზინთან ერთად, გაზზეც იმუშავებენ. როგორც ჩანს, ნოვაცია ფინანსურად საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. თბილისის მაგალითზე ეს კარგად უნდა ვიცოდეთ. რაც შეეხება ევროპას, იქ ჩვენგან განსხვავებით, ნომერ პირველი საკითხი ავტომობილთან დაკავშირებით უსაფრთხოებაა. როგორც ჩანს, ეს პრობლემაც გადაიჭრა და გერმანელებს ფრანგებმაც მიბაძეს. „რენოს“ საკმოდ პოპულარული მოდელი „ლაგუნა“ უკვე გაზზე გამოვა. იგი 1,6ლ მოცულობის ძრავით აღიჭურვება. რაც შეეხება საწვავის ავზებს, გაზისთვის სპეციალური სათავსი საბარგულში დამონტაჟდა, სადაც 60 ლ ეტევა. მხოლოდ ამ მარაგით ავტომობილს 600 კმ მანძილის დაფარვა შეუძლია. გაზის დამთავრების შედეგ სისტემა ავტომატურად გადადის ბენზინის მიწოდებაზე. ასეთ ავტომობილი ჩვეულებრივ „ლაგუნაზე“ 1600 ევროთი ძვირი ეღირება.

## TVR T350C ტრადიციებს აგრძელებს

ერთადერთი დამოუკიდებელი ბრიტანული ავტოფირმა ზესწრაფი ავტომობილების წარმოებით 40-იანი წლებიდან არის დაკავებული. ყველა მარკისგან განსხვავავებული, განსაკუთრებულად აგრესიული იერის მქონე ამ ფირმის ავტომობილები ელიტარულ მყიდველებს შორის ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. ნამცეცა ფირმა ბლეკპულიდან თავისი არსებობის მანძილზე მხოლოდ ერთ მოდელს უშვებდა. ამიტომაც ფირმის ფანებმა TVR Tamora-ს განახლებული ვერსია აღტაცებით მიიღეს, ხოლო სრულიად ახალმა TVR T350C-მა კი არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია. მისი დიზაინი დამიან მაკტაგერტს ეკუთვნის და კვლავაც წარმატებით აგრძელებს „წინაპრების“ აგრესიულ იერსახეს. რაც შეეხება სალონს, მისი მოწყობა „ტამორას“ ანალოგიურია. ახალი მოდელი 3,5 ლ. მოცულობის, 350ცხ.ძ სიმძლავრის ძრავით არის აღჭურვილი.



## უახლესი Carrera GT



ახალი „კარერას“ გამოშვებას „პორშე“ 2003 წლამდე არ აპირებდა, მაგრამ პარიზის ავტოსალონზე „ფერარი ენცოს“ გამოჩენამ და ტრიუმფმა გერმანელი ავტომშენებლები დააჩქარა. ასეც რომ არ იყოს, „პორშეს“ ანგარიშზე უკვე ასმა მყიდველმა შეიტანა დეპოზიტი 25 ათასი ევროს სახით, რაც გერმანული კომპანიის მარკეტინგული წესების მიხედვით, მოდელის სერიულ წარმოებაში ჩასაშვებად საკმაოდ სერიოზულ საბაბს წარმოადგენს. ისინი, ვინც „პორშეს“ კონსტრუქტორებს უფრო დიდი ნდობა გამოუცხადა და ავტომობილის შესაძენად ოფიციალურად დადგენილ დეპოზიტზე მეტი გადაიხადა, ახალი მოდელის „დასაჭაშნიკებლად“ პორტუგალიაში, ესტორილის ტრასაზე მიიწვიეს. 10-ცილინდრიანი, V ტიპის ძრავა 5,5ლ მოცულობისაა და 550 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს. ახალ „კარერას“ 100კმ/სთ სიჩქარის განვითარება სულ რაღაც 3,7 წამში შეუძლია, სიჩქარის მაქსიმალური ზღვარი კი 350კმ/სთ ნიშნულზეა ხელოვნურად გაჩერებული. როგორც ჭეშმარიტად სპორტულ მოდელებს შეშვენით, ახალ „კარერას“ მექანიკური, 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი აქვს, რასაკვირველია, უკანა თვლებზე გაწევით. კლიენტის სურვილის შემთხვევაში, ავტმობილს ოთხივე თვალზე შეიძლება გაწევა ჰქონდეს.

რაც შეეხება ფასს: 1250 კილოგრამ ნახშირპლასტიკატის, ალუმინის, ტიტანის, ტყავისა და რეზინის ნაერთში (სწორედ ამ მასალებისგან არის დამზადებული ახალი „პორშე“) მყიდველს 220 000 ევროს გადახდა მოუწევს. სულ 1000 ეგზემპლარის გამოშვებაა ნავარაუდები, რომელთა უმეტესი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავა (სწორედ ამ ქვეყნიდან არის ყველაზე მეტი დამკვეთი). საინტერესოა, რომ დაკვეთებში მეორე ადგილზე რუსეთი გავიდა.

## ახალ BMW-ს პროექტორი ექნება...



ახალი ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ მალე ავტომობილში მძღოლი საერთოდ აღარ იქნება საჭირო. მანამდე კი, ბავარიელმა კონსტრუქტორებმა სპეციალური პროექტორი გამოიგონეს, რომელსაც მძღოლის წინაშე ეკრანული გამოსახულების წარმოქმნა შეუძლია. ჯერჯერობით მასზე ნავიგაციური სისტემის მონიტორი იქნება გამოსახული. უახლოეს მომავალში კი BMW-ს კონსტრუქტორები პროექციის ამ ხერხის გამოყენებას ღამის ხედვის ხელსაწყოსთვის გეგმავენ.

საწყის ეტაპზე Head-Up Display სისტემას მეხუთე სერიის მოდელებზე დაამონტაჟებენ, მოგვიანებით კი ის მეშვიდე სერიაზეც გამოჩნდება. ახალი სიტემა არც ისე ძვირი, 700 ევრო ჯდება.

## მკითხველის სვეტი

**მყავს 1967 წელს გამოშვებული ავტომობილი „ოლდსმობილ ტორნადო“. რამდენადაც ვიცი, ეგზოტიკურ-კლასიკურ მოდელებს განეკუთვნება. გთხოვთ, მოგვითხროთ მისი წარმომავლობა და ისტორია.**

***ვაჟა ბიქაძე***




თავად კომპანია „ოლდსმობილის“ შესახებ „კვირის პალიტრის“ მკითხველს უკვე მოვუთხრობდით — „ჯენერალ მოტორსის“ ერთ-ერთი სეგმენტი ამჟამად დაკონსერვებულია, რადგან ბოლო წლებში, პრესტიჟულ მოდელებზე ორიენტირებულმა ფირმამ სერიულ მწარმოებლებთან კონკურენციას ვერ გაუძლო. რაც შეეხება „ტორნადოს“, მისი ადრეული მოდელები მართლაც საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა რამდენადაც ტექნიკურად მძლავრია, იმდენად არაპრაქტიკულია დღევანდელ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ცოტა არ იყოს, უცნაურიც კია, საიდან მოხვდა ეს უზარმაზარი, დიდი რაოდენობით საწვავის შთანმთქმელი ავტომობილი საქართველოში. აღნიშნული გამა „ოლდსმობილის“ წარმოებაში 1966-1987 წლებში არსებობდა. ამერიკაში კი 60-70-იან წლებში გრანდიოზული ზომების მქონე ავტომობილების ბუმი იყო. პრინციპში, დიდი მანქანით იმ პერიოდის ავტობაზარს ნამდვილად ვერავინ გააკვირვებდა — „ფორდი“, „კრაისლერი“, „ბიუიკი“ და სხვა, ათეული ამერიკული ავტოფირმა ერთმანეთს მასიური, უზარმაზარი ავტომობილების წარმოებაში ეჯიბრებოდა. მაგრამ „ოლდსმობილ ტორნადომ“ ეს ნამდვილად მოახერხა — ფუტურისტული დიზაინის მქონე მანქანა ავტომშენებლობის ისტორიაში ერთ-ერთ რევოლუციურ ეტაპად არის მიჩნეული, რადგან მსოფლიოში პირველად ამ ავტომობილზე გამოიყენეს გაწევა წინა თვლებზე. საინტერესოა, რომ პირველ წლებში გამოშვებული „ტორნადო“ ზემძლავრი, 5.0 ლ ან სპეციალური დაკვეთის შემთხვევაში, 8.0 ლ მოცულობის ძრავებით გამოდიოდა. ძრავის მასა გამწევ თვლებს აწვებოდა და მანქანა ზედმეტად სწრაფი იყო. შესაძლებელია, ესეც გახდა მიზეზი იმისა, რომ 80-იანი წლებიდან ავტომობილის ზომებიც შემცირდა და ძრავის სიმძლავრეც. ამჟამად, აქა-იქ შემორჩენილი ავტომობილები მართლაც, მხოლოდ ეგზოტიკისთვის თუ გამოდგება, რადგან უზარმაზარი, ორკარიანი ავტომობილი 100 კმ-ზე ძრავის სიმძლავრის შესაბამისად 35-50ლ ბენზინს მოიხმარს.

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***

# საფეხბურთო ბაზარი „იღვიძებს“



საფეხბურთო ზამთარი არანაკლებ „ცხელი“ და დატვირთულია, ვიდრე ჩემპიონატების დაწყებამდე. ახლაც ასეთი ვითარებაა და ქართველი მოთამაშეებისთვის მორიგი ფორიაქიც დაიწყო.

უპირველესად საინტერესო უნდა იყოს ლევან კობიაშვილის ამბავი: „ფრაიბურგის“ ნახევარმცველი ბოლო ნახევარი წლის მანძილზე თავის აჩრდილსღა ჰგავდა, ფაქტია, რომ ლევანი ნაკრებშიც საკმაოდ სუსტად გამოდიოდა. ყველაფრის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ „ფრაიბურგმა“ არ ისურვა გაეყიდა ფეხბურთელი იმ თანხად, რაც „ბაიერნმა“, „ბაიერმა“ და „კაიზერსლაუტერნმა“ დაასახელეს. თავად „ფრაიბურგმა“ კი საბოლოო თანხად 3,5 მილიონი მარკა მოითხოვა. ფეხბურთელთა ფასი ბაზარზე დაეცა და თანაც 800 მაღალი დონის ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით ახალ გუნდს ეძებდა. ბუნებრივია, კობიაშვილს ამ ფასად არავინ იყიდდა. იმედგაცრუებული ქართველი ნახევარმცველიც იძულებული გახდა გერმანიის გრანდების ნაცვლად „ფრაიბურგთან“ ერთად მეორე ბუნდესლიგაში ეთამაშა.

როგორც ჩანს, „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობა მაინც აპირებს ხელახლა დაუბრუნდეს კობიაშვილის საკითხს. მართალია, ფინკეს შეგირდები ლიგის ლიდერები და ბუნდესლიგაში დაბრუნების რეალური კანდიდატები არიან, მაგრამ კლუბს წმინდა სპორტულთან ერთად ფინანსური მოტივაციაც გააჩნია. ქართველს „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი 2003 წლის ზაფხულში უმთავრდება და თუკი ახლავე არ გაყიდიან, გუნდი ფინანსურად ვერ იხეირებს. „შპიგელისა“ და „კიკერის“ ინფორმაციით, კობიაშვილის შესყიდვის თაობაზე „ბაიერნის“ მენეჯერმა კვლავ ჩამოუგდო სიტყვა „ფრაიბურგელ“ კოლეგა ანდრეას ბოჩნემანს.

„სკონტოს“ კაპიტან ალეკო რეხვიაშვილს კი ლატვიელებთან კონტრაქტის ვადა უკვე ამოეწურა და არაა გამორიცხული, მომავალ სეზონში იგი პეტერბურგის „ზენიტში“ აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, „სკონტოს“ მწვრთნელ სტარკოვს პიტერელები მწვრთნელობას სთავაზობენ, იგი კი რეხვიაშვილთან თანამშრომლობას ახალ გუნდშიც აპირებს.

ოქტომბერ-ნოემბერში თბილისს სამჯერ ესტუმრა კიევის „დინამოს“ სელექციონერი ანდრეი ბიბა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, გადაჭარბებულია ინფორმაცია, თითქოს მას რამდენიმე ჩვენიანის გადაყვანა სურდა. მას ორად-ორი მოთამაშე მოეწონა — დინამოელი ამისულაშვილი და ლოკომოტიველი სირაძე. თუმცა, „დინამო“ წამყვანი მოთამაშის გაყიდვაზე ყოველგვარ წინადადებას ბანზე აგდებს, სირაძეს კი თავად არ სურს უკრაინაში გაურკვეველი პერსპექტივით გადასვლა. უცხოეთში წასვლას დახარბებულ ქართველთა ფონზე საქართველოს ნაკრების 20 წლის ნახევარმცველის ასეთი წინდახედულება გასაოცარია. „ჩელსიში“ ალექსიძის 3-წლიანი უსარგებლო კარიერა ყველასათვის სამაგალითო უნდა იყოს.

დაბოლოს, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სიმფეროპოლის „ტავრიას“ თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე კარიერას მოსკოვის ცსკაში გააგრძელებს. საკითხი ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, რადგან გიგიაძით დაინტერესებულია ერთ-ერთი გერმანული გუნდი ბუნდესლიგიდან და კიევის „არსენალი“. უცნაური ისაა, თუ როგორ „გაიზარდა“ უკრაინაში 25 წლის ქართველი ფორვარდი, რომელიც საქართველოში მხოლოდ ბოსკამპმა შენიშნა. ამ უკანასკნელის „დინამოდან“ და თავდამსხმელის გუნდიდან წასვლა ერთი აღმოჩნდა.

# კანდელაკი ალმართს შეუყვა




გიორგი კანდელაკის კარიერა პროფესიონალთა შორის სამი წლის წინ დაიწყო. მას შემდეგ 22 ბრძოლა ჩაატარა და ყველა წარმატებით. თუმცა ამის ფონზეც მოულოდნელი და სენსაციური აღმოჩნდა ინფორმაცია, რომლის თანახმად ვარიანელი მოკრივე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს.

საქმე ისაა, რომ დიდი ხნის წინ დაწყებული მოლაპარაკება დასრულდა და გადაწყდა, რომ საჩემპიონო ბრძოლა 21 დეკემბერს გაიმართება რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქ სანკტ-პეტერბურგში. იგი მსოფლიო კრივის კავშირის (WBU) ეგიდით შედგება. გიორგი კანდელაკის მეტოქე რუსი სერგეი ვასილიევი იქნება.

ინტერესი ბრძოლის მიმართ იმდენად დიდია, რომ შესაძლოა, იგი რომელიმე ცნობილმა რუსულმა ტელეკომპანიამ პირდაპირი ეთერით გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ასეთი რანგის ბრძოლაში ქართველი მოკრივე ჯერ არ გამოსულა.

# FIDE-ს ვიცე-პრეზიდენტი ქართველია

სლოვენიის საკურორტო ქალაქ ბლედში დასრულებული საჭადრაკო ოლიმპიადა ქართული დელეგაციისთვის უსიამოვნოც გამოდგა და სასიამოვნოც.

ცუდით დავიწყოთ: ქალთა ნაკრები ტურნირის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე შეჯიბრებას ლიდერობდა და უახლოეს მდევარ ჩინეთს მთელი სამი ქულით უსწრებდა. თანაც, აზიელებს პირად შეხვედრაში სოლიდური უპირატესობით — 2,5:0,5 მოუგეს და ვიფიქრეთ, ახლა კი გვეღირსა ჩემპიონობის დაბრუნებაო. სწორედ ჩინელებმა წაგვართვეს სამჯერ პირველობა.

სამწუხაროდ, ოდესღაც უძლეველი ქართველი ქალები ბოლოს ისევ თავის თავთან დამარცხდნენ: სხვა სახელი არ მოეძებნება პოლონეთთან, ბულგარეთთან და იუგოსლავიასთან ზედ ფინიშის სწორზე წაგებას.

თუკი ქალბატონებისთვის მეოთხე ადგილი ბევრი ვერაფერი შედეგია, ქართველი მამაკაცებისთვის ასეთი შედეგი წარმატების ტოლფასია. აქაც იყო უსიამოვნო უკუსვლა: ბოლო ტურში ჩვენს გუნდს მეზობელ სომხებთან ფრე მესამე ადგილზე დარჩენის გარანტიას აძლევდა, მაგრამ დამარცხდნენ — 1:3 და ბრინჯაოს მედლები სომხებს გადაულოცეს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ დღემდე საჭადრაკო ოლიმპიადა მამაკაცებს ასეთი მაღალი ადგილით არ დაუსრულებიათ. ამდენად, მათი გამოსვლა წარმატებად ჩაითვალა.

თუმცა, ოლიმპიადა მაინც ძალზე სასურველი შედეგით დასრულდა ქართული ჭადრაკისთვის. შეჯიბრების დასრულების შემდეგ FIDE-ს კონგრესი გაიმართა. არჩევნებში კვლავ ყალმუხეთის პრეზიდენტმა, კირსან ილუმჟინოვმა გაიმარჯვა. კირსან ბატონმა კი თავის ხუთ მოადგილეთა შორის დაასახელა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზ-



იდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს.

ზურაბ აზმაიფარაშვილს ასეთი პატივი მხოლოდ პრეზიდენტთან მეგობრობის გამო როდი ხვდა წილად. FIDE-ს ვიცე-პრეზიდენტმა, ქართველმა მოღვაწემ გაჭირვებულ დღეში ჩავარდნილ ქვეყანაში რომ საჭადრაკო ცხოვრება შეენარჩუნებინა, დიდი როლი შეასრულა. სწორედ აზმაიფარაშვილი „შეუჩნდა“ ასლან აბაშიძეს, რათა ბათუმში ჭადრაკის სახლი აეშენებინა და ჩაეტარებინა უმაღლესი რანგის ტურნირები — ევროპის გუნდური პირველობა და მსოფლიოს წინა საჭადრაკო ოლიმპიადა. იმავე კასპაროვის ვიზიტი საქართველოში მისივე ინიციატივის შედეგია. ილუმჟინოვიც არაერთხელ სწვევია საქართველოს.

შედეგად ქართული სპორტის ისტორიაში დიდი და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად პირველად აირჩიეს ჩვენი თანამემამულე.

***მოამზადა ზვიად კალანდაძემ***

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური

A ჯგუფი

არსენალი 0:0 პსვ ეინდჰოვენი
ოსერი 1:0 დორტმუნდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| დორტმუნდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | 7 |
| პსვ ეინდჰოვენი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |

B ჯგუფი

ბაზელი 3:3 ლივერპული
ვალენსია 3:0 სპარტაკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 5 | 1 | 0 | 17:4 | 16 |
| ბაზელი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:12 | 9 |
| ლივერპული | 6 | 2 | 2 | 2 | 12:8 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:18 | 0 |

C ჯგუფი

გენკი 1:1 რეალი
რომა 1:1 აეკ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 2 | 3 | 1 | 15:7 | 9 |
| რომა | 6 | 2 | 3 | 1 | 3:4 | 9 |
| აეკი | 6 | 0 | 6 | 0 | 7:7 | 6 |
| გენკი | 6 | 0 | 4 | 2 | 2:9 | 4 |

D ჯგუფი

აიაქსი 1:2 ინტერი
რუსენბორგი 1:1 ლიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:8 | 11 |
| აიაქსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:12 | 4 |

E ჯგუფი

დინამო 1:2 იუვენტუსი
ფეიენოორდი 2:3 ნიუკასლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 13 |
| ნიუკასლი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:8 | 9 |
| დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ფეიენოორდი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |

F ჯგუფი

მანჩესტერი 2:0 ლევერკუზენი
ოლიმპიაკოსი 3:3 მაკაბი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:8 | 15 |
| ლევერკუზენი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| მაკაბი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:12 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 11:17 | 4 |

G ჯგუფი

მილანი 1:2 დეპორტივო
ბაიერნი 3:3 ლანსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 12 |
| დეპორტივო | 6 | 4 | 0 | 2 | 11:12 | 12 |
| ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:11 | 8 |
| ბაიერნი | 6 | 0 | 2 | 4 | 9:13 | 2 |

H ჯგუფი

ბარსელონა 3:1 გალათასარაი
ლოკომოტივი 2:0 ბრიუგე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 13:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| ბრიუგე | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| გალათასარაი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ჯგუფური ეტაპის წილისყრა

### A ჯგუფი

**ბარსელონა (ესპანეთი)**
**ინტერი (მილანი, იტალია)**
**ლევერკუზენი (გერმანია)**
**ნიუკასლი (ინგლისი)**

**I ტური. 27.11 2002**
ლევერკუზენი — ბარსელონა
ნიუკასლი — ინტერი

**II ტური. 10.12. 2002**
ინტერი — ლევერკუზენი
ბარსელონა — ნიუკასლი

**III ტური, 18.02. 2003**
ბარსელონა — ინტერი
ლევერკუზენი — ნიუკასლი

**IV ტური, 26.02.2003**
ინტერი — ბარსელონა
ნიუკასლი — ლევერკუზენი

**V ტური, 11.03. 2003**
ბარსელონა — ლევერკუზენი
ინტერი — ნიუკასლი

**VI ტური. 19.03. 2003**
ლევერკუზენი — ინტერი
ნიუკასლი— ბარსელონა

### B ჯგუფი

**ვალენსია (ესპანეთი)**
**არსენალი (ლონდონი, ინგლისი)**
**რომა (რომი, იტალია)**
**აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია)**

**I ტური. 27.11.2002**
რომა — არსენალი
ვალენსია — აიაქსი

**II ტური. 10.12.2002**
აიაქსი — რომა
არსენალი — ვალენსია

**III ტური. 18.02.2003**
არსენალი — აიაქსი
რომა — ვალენსია

**IV ტური. 26.02.2003**
აიაქსი — არსენალი
ვალენსია — რომა

**V ტური. 11.03.2003**
არსენალი — რომა
აიაქსი — ვალენსია

**VI ტური. 19.03.2003**
რომა — აიაქსი
ვალენსია — არსენალი

### C ჯგუფი

**რეალი (მადრიდი, ესპანეთი)**
**მილანი (იტალია)**
**დორტმუნდი (გერმანია)**
**ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)**

**I ტური. 26.11.2002**
მილანი — რეალი
ლოკომოტივი — დორტმუნდი

**II ტური. 11.12.2002**
დორტმუნდი — მილანი
რეალი — ლოკომოტივი

**III ტური. 19.02.2003**
რეალი — დორტმუნდი
მილანი — ლოკომოტივი

**IV ტური. 25.02.2003**
დორტმუნდი — რეალი
ლოკომოტივი — მილანი

**V ტური. 12.03.2003**
რეალი — მილანი
დორტმუნდი — ლოკომოტივი

**VI ტური. 18.03.2003**
მილანი — დორტმუნდი
ლოკომოტივი — რეალი

### D ჯგუფი

**მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)**
**იუვენტუსი (ტურინი, იტალია)**
**დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)**
**ბაზელი (შვეიცარია)**

**I ტური. 26.11.2002**
ბაზელი — მანჩესტერი
დეპორტივო — იუვენტუსი

**II ტური. 11.12. 2002**
იუვენტუსი — ბაზელი
მანჩესტერი — დეპორტივო

**III ტური. 19.02.2003**
მანჩესტერი — იუვენტუსი
ბაზელი — დეპორტივო

**IV ტური. 25.02.2003**
იუვენტუსი — მანჩესტერი
დეპორტივო — ბაზელი

**V ტური. 12.03.2003**
მანჩესტერი — ბაზელი
იუვენტუსი — დეპორტივო

**VI ტური. 18.03.2003**
ბაზელი — იუვენტუსი
დეპორტივო — მანჩესტერი

## უეფას თასი 2002–2003. მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები

ლევსკი (ბულგარეთი) 1:0 დ.დ. (პენ. 7:8; 1:0) შტურმი (ავსტრია) (0:1)
ანორთოსისი (კვიპროსი) 0:1 ბოავიშტა (პორტუგალია) (1:2)
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 1:4 ლიდსი (ინგლისი) (0:1)
შალკე (გერმანია) 0:0 ლეგია (პოლონეთი) (3:2)
დენიზლისფორი (თურქეთი) 2:0 სპარტა (ჩეხეთი) (0:1)
ვიკინგი (ნორვეგია) 1:1 სელტა (ესპანეთი) (0:3)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:1 ლაციო (იტალია) (0:1)
ლიბერეცი (ჩეხეთი) 1:0 დ.დ. (პენ. 4:2; 1:0) იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) (0:1)
ბეშიქთაში (თურქეთი) 1:0 ალავესი (ესპანეთი) (1:1)
ფულემი (ინგლისი) 2:1 დინამო (ხორვატია) (3:0)
ბლექბერნი (ინგლისი) 0:2 სელტიკი (შოტლანდია) (0:1)
სლავია (ჩეხეთი) 5:1 დ.დ. (3:1) პარტიზანი (იუგოსლავია) (1:3)
მიდტიულანდი (დანია) 0:3 ანდერლეხტი (ბელგია) (1:3)
გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:1 პაოკ (საბერძნეთი) (1:2)
ვერდერი (გერმანია) 3:3 ვიტესი (ჰოლანდია) (1:2)
პსჟ (საფრანგეთი) 1:0 ნაციონალი (რუმინეთი) (2:0)
ვისლა (პოლონეთი) 4:1 დ.დ. (2:1) პარმა (იტალია) (1:2)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 4:1 ფენერბახჩე (თურქეთი) (1:1)
პორტუ (პორტუგალია) 2:0 აუსტრია (ავსტრია) (1:0)
ბეტისი (ესპანეთი) 3:0 ჟიჟკოვი (ჩეხეთი) (1:0)
შტუტგარტი (გერმანია) 2:0 ფერენცვაროში (უნგრეთი) (0:0)
ამიცა (პოლონეთი) 1:2 მალაგა (ესპანეთი) (1:2)
ბორდო (საფრანგეთი) 2:1 იურგორდენი (შვედეთი) (1:0)

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალის წილისყრა. 28/XI–12/XII

ლაციო (იტ.) — შტურმი (ავსტ.)
ვისლა (პოლ.) — შალკე (გერმ.)
ბეტისი (ესპ.) — ოსერი (საფრანგეთი)
ბეშიქთაში (თურქ.) — დინამო (კიევი, უკრ.)
პსჟ (საფრ.) — ბოავიშტა (პორტ.)
ბრიუგე (ბელგ.) — შტუტგარტი (გერმ.)
ლივერპული (ინგ.) — ვიტესი (ჰოლ)
პანათინაიკოსი (საბერძ.) — ლიბერეცი (ჩეხ.)
დენიზლისფორი (თურქ.) — ლიონი (საფრ.)
ბორდო (საფრ.) — ანდერლეხტი (ბელგ.)
მალაგა (ესპ.) — ლიდსი (ინგ.)
პაოკ (საბერძ.) — სლავია (ჩეხ.)
ჰერტა (გერმ.) — ფულემი (ინგ.)
აეკ (საბერძ.) — მაკაბი (ჰაიფა, ისრ.)
პორტუ (პორტ.) — ლანსი (საფრ.)
სელტიკი (შოტლ.) — სელტა (ესპ.)

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №45 (319) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

№45-ე რეიტინგის თემა „ქართული სამზარეულო" იყო. კონკურსში 543-მა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 196-მა ქალმა და 342-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქართული კერძი გიყვართ ყველაზე მეტად?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ქართული სუფრის სიამაყე მწვადია. რესპონდენტთა 41-მა შეაფასა „მწვადი" მაქსიმალური — 9 ქულით. **7,50** საშუალო ქულით „მწვადი" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „ხინკალი", საშუალო ქულაა 7,24. ხინკალი მკითხველთა 27-ის ყველაზე საყვარელი კერძია. აღსანიშნავია, რომ „მწვადიც" და „ხინკალიც" ზუსტად 4-4 რესპონდენტისაგან (0,7) შეფასდა მინიმალური — 1 ქულით.

მესამე საპრიზო ადგილი „ღირსეულად" დაიკავა „საცივმა". რესპონდენტთა 22-მა მიაკუთვნა მაქსიმალური — 9 ქულა.

ჩვენი მკითხველები, აქ ჩამოთვლილ ქართული სუფრის შედევრებთან შედარებით ნაკლებ უპირატესობას ანიჭებენ ჩახოხბილს, ღომსა და მეგრულ ხარჩოს. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (24) „მეგრულმა ხარჩომ" დაიმსახურა და რეიტინგშიც 3,03 საშუალო ქულით ბოლო ადგილი დაიკავა.

როგორც აღმოჩნდა, ქალებს, მამაკაცებისაგან განსხვავებით, ხინკალი ურჩევნიათ მწვადს, ღომი სულგუნით კი — ხაშლამას.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 22 წლის **ზურაბ მამფორიაა** ჩხოროწყუდან. მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ღომი სულგუნით" ორის ნაცვლად სამი ქულით (მეშვიდე ადგილი) შეაფასა, ხოლო „ჩახოხბილი" — სამის ნაცვლად — ორი ქულით (მერვე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 20 ნოემბერს, 17 საათზე.

**ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა შემდეგნაირად ხდება. პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX-VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII-VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII-VI ადგილებს), 4-სა და 5-ს (VI-V ადგილებს) და ა. შ. 8-9-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად 1 და 3 (IX და VII ადგილები), 2 და 4 (VIII და VI ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №46 (320) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა"** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის"** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№46 (320) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 20 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 21 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №46 (320) — გიორგობა

**რომელი გიორგი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№46(320) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გიორგი თარგამაძე | |
| 2 | გიორგი ასანიძე | |
| 3 | გიორგი გეგეჭკორი | |
| 4 | გიორგი შენგელაია | |
| 5 | გიორგი ბარამიძე | |
| 6 | გიორგი კანდელაკი | |
| 7 | გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი) | |
| 8 | გიორგი ისაკაძე | |

**დამატებითი კითხვა**

**გაქვთ თუ არა იმედი, რომ ახალი საკრებულო მოსახლეობის საკეთილდღეოდ შეცვლის მდგომარეობას დედაქალაქში**

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი

______________________

ქალაქი (რაიონი)

______ ასაკი ______ ტელეფონი

## დამატებითი კითხვის შედეგები

**როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის ცხოვრების დონე (მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით) ბოლო ორი წლის განმავლობაში?**




1. გაუმჯობესდა 11 %
2. გაუარესდა 29 %
3. დარჩა იგივე 60 %

*დამატებით კითხვას 496 რესპონდენტი გამოეხმაურა.*

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

**1-2. ეკა ლომიძე — „შეგვიძლია თუ არა ქართველებს ნამდვილი მეომრის აღზრდა..." — 67 ხმა**

**1-2. ვაჟა გავაშელი — „მორწმუნე" ფუტკარი და ხატის მიერ გამოტანილი განაჩენი..." — 67**



**3. მარინა მამისაშვილი — „შოუ ორმოდან უელსამდე?!" — 63**

**4. ზვიად ჩაკვეტაძე — „იარაღის ბიზნესში გავლენის სფეროების ახალი გადანაწილება დაიწყო" — 46**



**5. დაჩი გრძელიშვილი — „საქართველო — ფულის საამქროდ ქცეული სახელმწიფოს კარიკატურა..." — 43**

**თქვენს პრემიას თანაბრად გაინაწილებენ ჟურნალისტები — ეკა ლომიძე და ვაჟა გავაშელი.**

**ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ორმა ავტორმა თანაბარი ქულებით მოაგროვა და I-II ადგილები გაიყო.**

***„მკითხველის პრემიის" მფლობელები 428 რესპონდენტმა გამოავლინა.***

# ფოტოანეკდოტი © • ფოტოპალიტრა •




**კ.ნ.** — ვალერი, იმ ორმოს, საიდანაც შოუ ამოძვრა და გაიქცა, ვიწრო ყელი ჰქონდა და როგორ ამოეტია იმხელა კაცი, ნეტავ?

**ვ.ხ.** — ლაუაზიეს კანონის მიხედვით ვერ უნდა ამოტეულიყო და როგორ მოახერხა, ვერც მე გამიგია.

*ლ. ქაჩიბაია, თბილისი*

ძმები გრიმები თავიანთი ახალი ზღაპრის „ორმოში ჩავარდნილი პიტერ შოუს" პრეზენტაციაზე.

*კ.ო. ქიზიყი*

შეხვედრა მოსახლეობასთან:

**კითხვა დარბაზიდან:** — როგორ გაძლო შოუმ ორმოში 141 დღე? როგორ გაათავისუფლეთ?

**ვ.ხ.** — ვამხნევებდით, წერილებს ვუგზავნიდით, წვერს სანთლით იტრუსავდა. სანთელი გამოელია, ამოვიდა და მოგვძებნა...

**კ.ნ.** — (ფიქრობს) თქვე უბედურებო, 10 წელია ჭურში ზიხართ და შოუს ორმო გიკვირთ?

*ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო*

**ვ.ხ.** — უფალო! გთხოვე და მაპოვნინე ის არამზადა შოუ. ახლა გთხოვ, ის ორმო მაპოვნინო, რომელშიც პიტერ შოუ ვიპოვეთ!!!

*ალიკო ნადირაშვილი, თბილისი*

**ვ.ხ.** — ნახე, რა შოუ ჩაატარა?! კაი სვა, კაი ჭამა, მილიონებიც შეიტყაპუნა და ორმოში ვიჯექიო.

**კ.ნ.** — ერთხელ კიდევ მომაგდებინა ხელში და ისეთ ორმოში ჩავსვამ, „მეტროსტროიმაც" ვერ მიაგნოს.

*პაატა ნაზღაიძე, რუსთავი*

**ვ.ხ.** — ნუ მკითხავთ, ჩვენ დღეში ჩავვარდით?! ხომ იცით პიტერ შოუ როგორ გამოვტაცეთ გამტაცებლებს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ შოუს ქართული მილიონები მიუტაცია და ახლა მის გამტაცებლებთან ერთად ვამუშავებთ ვაჟაბატონ შოუს სამშობლოდან გამოტაცების ოპერაციის გეგმას.

*გიორგი ჯანელიძე, თბილისი*


ვალერი ხაბურძანია, კობა ნარჩემაშვილი

პიტერ შოუს შოუს თოჯინები — „ბასტი" და „ბუბუ"

*გიორგი გონგაძე, თბილისი*

**ვ.ხ.** — ჰოდა, მივდივართ მე და კობა და რას ვხედავთ: აგერ არ ზის ჩვენი შოუ „სვეტაფორთან" ბუჩქებში?

(ნარჩემაშვილს, ჩუმად) ე, ბიჭო, შუა პანკისში „სვეტაფორს" რა უნდოდა, ახლა შენც მოიფიქრე რამე, გავთავდი კაცი!

**კ.ნ.** — ვფიქრობ, აბა რას ვშვრები, მეხუთე „პასტა" შემომეჭამა, ვერ ხედავ?

*ინგა ნინუა, სამტრედია*

C

## ფოტო განწყობისთვის



— ღვინო, დუდუკი, ქალები...

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



20/XI — 15-დან 17 სთ-მდე
22/XI — 22-დან 24 სთ-მდე





## „ფერმერის იურიდიული სახელმძღვანელო"

იურიდიული და პრაქტიკული რჩევები ფერმერებისა და მიწის მესაკუთრეთათვის.

მიწის პრივატიზაცია, რეგისტრაცია, გადასახადები, მიწის დაცვა, კრედიტები, სასოფლო-სამეურნეო




საინტერესო ინფორმაცია და პასუხი თქვენს კითხვებზე.

სახელმძღვანელო შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში.

ტელ: 931276, 986291, 931681.
ელ-ფოსტა: aplr@caucasus.net;
www.aplr.org

# Voice of America

www.voanews.com

მოისმინეთ

VOA ამერიკის ხმის

გადაცემები ქართულ ენაზე

ყოველდღიურად 19:30-დან 20:00 საათამდე „მთავარი რადიოს" და „რადიო 2-ის" ტალღებზე


ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (46) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და სახელი

ვინიცობა ტექსტი გარკვევით დაწერით: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№46 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 21 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

* * *

საქართველოში აწყვეს სუპერყველგანმავალი და უცხოელები მიიწვიეს შესაფასებლად.



დასავლელი სპეციალისტები აღფრთოვანებულები ათვალიერებენ ტექნიკის საოცრებას და ბოლოს, როგორც იქნა წარმოთქვეს:

— რას არ მოიგონებენ ეს ქართველები, ოღონდ გზები არ გაარემონტონ!!!


## ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებას.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: [illegible] №8

ტელ.: რედაქცია: 33-39-54; რეკლამის, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა" ©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პალიტრაში".